კვირის პალიტრა

მზე

N50(131) 12/XII.-18/XII.2002.ფასი 60 თ.

არსენა მიქელაძის ცოლი ანდერძს ტოვებს

1168
2002

„მოძღვარს მივენდეთ...“

— აივ-ინფიცირებულ წყვილს ჯანმრთელი შვილი შეეძინა

უახლოესი მეგობრის მკვლელობა ცოლის ღალატის გამო

ქეთა თოფურიას კონცერტებზე მიწისძვრები დაეცა

თაზო თოლორაია — „ღიმილის ბიჭიდან“ ღიმილის მამამდე

ეკა ბესელია:

„...დავინახე, რომ მანქანა მართლა აღარ დგას. შოკში ჩავვარდი... ერთი სიტყვით, მანქანა მომტაცეს. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ საქართველოს მთელი კრიმინალური სამყარო ეძებდა ჩემს მანქანას...“

გვ. 18

ქმირის პარტიერა
№50 (131)
12 - 18 დეკემბერი 2002
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„შოფერ, დააყე ქათმი ქვეშა!“ 3
ერთი კითხვა 4
პროგლემა
ნავთობსადენი, ბორჯომის ხეობა და წვიმის წვეთების მოტანილი რადიონუკლიდები 6
სასარგებლო აზრები
აფორიზმების ენციკლოპედია 7
დეტექტორი
რა მოუვიდა გურამ შარაძეს ბუდაპეშტში, ქართველი კაცის იმიჯის დაცვისას 8
ცხოვრება
აივ-ინფიცირებულ წყვილს კიდევ ერთი ჯანმრთელი შვილი შეეძინა! 10
კრიმინალი
ცოლის ღალატი ვერ აიტანა და უახლოეს მეგობარს ტყვიით გაუსწორდა 12
ოჯახი
„ვერ ყოფილა მთლად კარგი ბავშვი, თაგოს თუ ჰგავსო...“ 16
ქალი საჭესთან
ავტოინსპექტორებმა იციან, როგორი დასამორჩილებელი ქალია ეკა ბესელია 18
ტესტი
ერთგული მკითხველი 20
ბედისწერა
„36 წლის შემდეგ, დედის სახე აღმიდგა მეხსიერებაში...“ 21
მოდელი
სალომე ღვინიაშვილი: „მილანში გამგზავრებაგე საუბარი ჯერ ნაადრევია...“ 24
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 26
ადამიანი
„ადრე რომ გაგხსენებოდი, ჩემი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართებოდაო...“ 26
მითი
არსენა მიქელაძის მეუღლის ანდერძი 29

92391

აივ-ინფიცირებულ წყვილს კიდევ ერთი ჯანმრთელი შვილი შეეძინა!

მანანას ხმა აუკანკალდა და ოთახიდან გავიდა. ისინი არა მარტო ერთმანეთს, არამედ გარშემომყოფებსაც არწმუნებენ, რომ ყველაფერი არცთუ ისე ცუდადაა, სინამდვილეში რა ხდება მათ გულებში, მხოლოდ იმ ოთახის კედლებმა იციან, სადაც ლევანი და მანანა მარტონი რჩებიან...

10

მომღერალი, რომელმაც სამი მიწისძვრა გადაიტანა სცენაზე...

ჩემი კარიერის დასაწყისში ასეთი რამ მოხდა: სიმღერის დროს ელექტროენერგია გამოირთო და უკუნეთ სიბნელეში ვიმღერე. როგორც კი დავამთავრე, დარბაზი გაჩახჩახდა, შუქი მოვიდა და ხალხმა მაშინღა დაინახა, ვინ მღეროდა...

52

ცოლის ღალატი ვერ აიტანა და უახლოეს მეგობარს ტყვიით გაუსწორდა



როგორც ამბობენ, კირვალიძემ ზურგით მდგარ მეგობარს, რომელსაც წლების მანძილზე ძმას ეძახდა, კეფაში იარაღი დაუმიზნა და ესროლა. ძირს დავარდნილ გორგასლიძეს მან ამის შემდეგ კიდევ ორი ტყვია დაახალა. როცა დარწმუნდა, რომ მოკლა, იქაურობა დატოვა.

12

„ვერ ყოფილა მთლად კარგი ბავშვი, თაგოს თუ ჰგავსო...“

– არ შეიძლება, კაცი შენს ოჯახს არ ამოუდგე მხარში და არ დაეხმარო მეუღლეს. თუ ვინმეს ჩემს კაცობაში შეეპარება ეჭვი, მოვიდეს და დაველაპარაკები. არ მესმის, რატომ არ უნდა მივეხმარო ცოლს.

16

სამყარო

ᲧᲝᲠᲧᲝ ᲐᲠᲛᲐᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ 32

ტაძარი

ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ ᲚᲝᲪᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ? 34

საუნჯე

„ᲛᲐᲦᲚᲐ ᲛᲗᲐᲡ ᲛᲝᲓᲒᲐ ᲣᲪᲮᲝ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲘ...“ 35

ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ

ᲰᲝᲚᲘ ᲑᲔᲠᲘᲡ ᲠᲘᲠᲐᲓᲘ ᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲔᲚᲔᲕᲐ 37

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲖᲐᲘᲙᲐ 40

ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ. ᲥᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲣᲘᲪᲘᲐ ᲐᲜᲣ ᲭᲘᲐᲛᲐᲘᲐᲡ ᲤᲠᲗᲔᲑᲘ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 42

ᲙᲔᲠᲞᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲑᲘᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ 46

ᲔᲙᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ

ᲕᲘᲜ ᲓᲘᲒᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲡ ᲧᲔᲘᲛᲡ ᲑᲝᲜᲓᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲡ 49

ᲐᲕᲢᲝ 50

ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲛᲝᲛᲓᲔᲠᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲢᲐᲜᲐ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ... 52

ᲘᲥᲘᲗᲣᲠᲘ 54

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲒᲐ

- ᲐᲡᲗᲛᲘᲐᲜᲔᲑᲝ, ᲔᲠᲘᲓᲔᲗ ᲡᲘᲪᲘᲕᲔᲡ 56
- ᲒᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲙᲝᲡᲛᲔᲢᲘᲙᲐ 56
- ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ – ᲘᲜᲡᲣᲚᲢᲘ! 57
- ᲙᲘᲗᲮᲕᲐ-�პᲐᲡᲣᲮᲘ 58
- ᲢᲧᲣᲘᲚᲘᲡ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲐ 58
- ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲒᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ? 59

ᲐᲥᲔᲗᲣᲠᲘ 60

ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘ 61

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲠᲘ

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ (16-22 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ) ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ 62

ᲢᲔᲡᲢᲘ

ᲮᲐᲠᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲔᲭᲕᲘᲐᲜᲘ 63

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

ᲭᲠᲔᲚ-ᲭᲠᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ 64

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲖᲔ: ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲟᲝᲠᲯᲝᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲒᲖᲐ“
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ
ᲒᲐᲖᲗᲘ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲗ.
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲓᲔᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲡ.
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲒᲝᲩᲐ ᲢᲧᲔᲨᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ: ᲙᲘᲐᲖᲝ ᲑᲘᲭᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲙᲣᲠᲘᲡ Ქ. №8 ᲢᲔᲚ: 33-50-32
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“

ᲐᲠᲡᲔᲜᲐ ᲛᲘᲭᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲘᲡ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘ

1993 ᲬᲔᲚᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ. ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲠᲚᲘ Ე.Წ. „ᲨᲐᲕᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ“ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ, ᲐᲠᲡᲔᲜᲐ ᲛᲘᲭᲔᲚᲐᲫᲔ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ. ᲛᲘᲡ ᲥᲕᲠᲘᲕᲡ, ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ, ᲒᲐᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲓᲐ. ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲐᲜᲐᲡ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲐ ᲛᲘᲕᲘᲦᲔ.

29

„ᲐᲓᲠᲔ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲒᲮᲡᲔᲜᲔᲑᲝᲓᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲡᲮᲕᲐᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲬᲐᲠᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲝᲓᲐᲗ...“

ᲛᲔ ᲛᲘᲕᲮᲕᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲠᲡ ᲐᲛᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲛᲝᲡᲚᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐᲓᲝ – ᲡᲘᲛᲬᲐᲠᲔᲪ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲝᲪ. ᲗᲣ ᲛᲬᲐᲠᲔᲡ ᲒᲔᲛᲝ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲒᲔ, ᲒᲐᲜᲐ ᲨᲔᲘᲒᲠᲫᲜᲝᲑ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲝᲡ?! ᲛᲔ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ – ᲩᲔᲛᲔᲑᲣᲠᲐᲓ...

26

ᲰᲝᲚᲘ ᲑᲔᲠᲘᲡ ᲠᲘᲠᲐᲓᲘ ᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲔᲚᲔᲕᲐ



ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲣᲗᲘᲐᲜᲛᲐ ᲡᲐᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ ᲡᲪᲔᲜᲐᲛ ᲒᲐᲐᲝᲒᲜᲐ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲰᲝᲚᲘᲛ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲔᲡ ᲡᲪᲔᲜᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ: „ᲔᲡ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲐ... ᲔᲡ ᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲝᲠᲘ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲣᲪᲮᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡ ᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲡ...“

37

ᲥᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲬᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲜᲣ ᲭᲘᲠᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲠᲗᲔᲑᲘ

ᲜᲘᲜᲘᲛ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲒᲐᲡᲪᲐ:

– ᲓᲘᲐᲮ.

– ᲠᲐ ᲒᲐᲔᲬᲧᲝᲑᲐ, – ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲠᲐ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲗᲐᲛᲗᲐᲛ, – ᲗᲣ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲓᲐᲘᲤᲘᲥᲠᲔᲑ, ᲡᲐᲙᲝᲜᲓᲘᲢᲠᲝᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲘᲐᲠᲔ. ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲝ, ᲬᲐᲕᲔᲓᲘᲗ.

42

„შოფერ, დააყე ქათმი ქვეშ"



ესეც ასე! — „აზოტიც" გაიყიდა! თანაც 500 ათას დოლარად! ერთმა ჩემმა ნაცნობმა მილიონ-ნახევრად ორსართულიანი სახლი იყიდა ვაკეში, ამათ კი, ამხელა ქარხანა გაყიდეს ნახევარ მილიონად.

პრინციპში, რას ვერჩი — „აზოტი", მგონი, ერთსართულიანია და თანაც რუსთავშია და არა ვაკეში. მოუტყუებიათ საწყალი რუსები — რუსთავში, ერთსართულიანში, ნახევარი მილიონი, მართლაც ბევრია.

ისე, იმ ჩემმა ნაცნობმაც ეგრე იყიდა თავისი მილიონ-ნახევრიანი სახლი — რაღაც ქარხნის დირექტორი იყო პროვინციაში, ის „გაუყიდა" სახელმწიფომ იაფად და მერე, ეტყობა, მორალური ზარალისთვის ჩაახუტეს მილიონ-ნახევარი.

მოკლედ, ყველა და მათ შორის — თვით სახელმწიფოც, ყველაფრის გაყიდვაზეა გადასული. პრეზიდენტმა ბრძანა, — ჯართი იყო და ჯართში, ეგ ფულიც ზედმეტიაო.

მე კი, სულ სხვანაირად ვფიქრობ. ოჯახი ხრამიაო, — ნათქვამია, ამიტომ გაყიდვას კი არა, ყიდვას ვაპირებ. რა იცი, რა ხდება — ეგდოს სახლში ერთი საავიაციო ქარხანა ან პურკომბინატი, ხელს შემიშლის თუ რა?

ამას წინათ, კახეთში ვიყავი. იმ ადგილებში, აგერ უკვე თხუთმეტი წელია, რაც აღარ ვყოფილვარ და მახსოვდა, რომ კარგად გამართულ ღვინის ქარხანასთან მარჯვნივ უნდა ჩაგვეხვია, მერე ორი კილომეტრის გავლის შემდეგ, დიდი მეფრინველეობის ფაბრიკა შეგხვდებოდა — ჭიშკართან, მაღალ პოსტამენტზე, უზარმაზარი წიწილის ძეგლი იყო აღმართული, ავტობუსით მგზავრობისას (აბა, „მარშრუტკები" სად იყო, ბნელი დრო იყო) ვიღაც კახელი დაიძახებდა: „ჯოო, შოფერ, ქათმი ქვეშ დააყე!" მძღოლიც „დააყენებდა" და სანამ მგზავრები ჩავიდოდნენ, თეთრად მოფენილ ფერმის ეზოს ვათვალიერებდი ხოლმე.

ახლაც, ძველ გზას რომ დავადექი, თანაც ცივილიზებულად — „მარშრუტკით", ვფიქრობდი, ის ქარხანა იქნებ ველარც ვიცნო — მოდერნიზებულ-გაევროპელებული იქნება და ის ქათმის „ფაბრიკაც", სირაქლემების თუ არა, ინდაურების ფერმად იქნება-მეთქი გადაქცეული. ისე აგიცხადდეთ ყველაფერი კარგი — ვერც ერთი ვერ ვიცანი: ღვინის ქარხნისგან მხოლოდ არმატურები და მილები დარჩენილიყო, ფერმის ეზო კი, რაც მართალია — მართალია, ძველებურად იყო გადათეთრებული და ალაგ-ალაგ შავად დაწინწკლული. მეგონა, თეთრკოპლებიანი სირაქლემის ბარტყები (თუ წიწილები ჰქვია?) მოუყვანიათ-მეთქი, მაგრამ როდესაც ნაცნობი ფრაზა გაისმა: „შოფერ, დააყე ქათმი ქვეშ!" და წინ მჯდარი მგზავრი ჩავიდა, კარგად მოვათვალიერე ეზო და ის სითეთრე და შავი ლაქები მხოლოდ თოვლი და ახლომახლო მცხოვრებთა ძროხების ფუნა აღმოჩნდა.

სხვათა შორის, „ქათმი ქვეშ დაყენებაც" მხოლოდ „ხალხურ გამოთქმად" დარჩენილა, თორემ ის სპილენძისა თუ ბრინჯაოს წიწილაც, ეტყობა, ჯართი იყო და ვიღაცამ „იყიდა"...

ერთი სიტყვით, სანამ ჯართად ქცეულა, გადავწყვიტე ორივე ვიყიდო, იქვე, რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, ათიოდე ჰექტარი საყანე მიწაც იქნება „ჯართად ქცეული" და რაღა მინდა — ღვინო, პური, ხორცი და ოჯახიც სავსეა! მარილიც საჭიროა, მაგრამ მეზობელმა მითხრა, საახალწლოდ თვე-ნახევრის ხელფასს დაგვპირდნენ და კუმისის ტბის ყიდვას ვაპირებ, მარილის წარმოება უნდა გავმართო და მერე ქათმის კუჭებში გაგიცვლიო.

ასეა, ბატონებო — გული გულობდეს და კაცი შარზე არ იყოს, თორემ ქადას ორივე ხელით კი არა, პირდაპირ ტაფიდან ჭამს „საქმის ხალხი", ხელის დაუკარებლად.

10 წელია, იძახის ჩვენი პრეზიდენტი (ვენაცვალე მას!): „ხალხო, იყიდეთ აი ქარხნები, ეგი არის საბაზრო ეკონომიკა. იყიდეთ და მეიხმარეთ, თვარა დეიჟანგება..." მაგრამ ქართველების ამბავი ხომ იცით?! — ოღონდ თავისიანს არ დაუჯერონ და ეშმაკს შეეკვრებიან.

რაღა ექნა იმ კაცს?! — სხვა გზა რომ აღარ იყო, თავისი ოჯახის წევრებს და ნათესავებს სთხოვა და იმათ იყიდეს ყველაფერი, თორემ მერე გენახათ თქვენ — მთელი ქვეყანა ჯართად იქცეოდა.

ასე რომ, ადამიანებო, ქართველებო! გამოიჩინეთ პატრიოტიზმი, გაიხედ-გამოიხედეთ, გადადეთ თითო თვის პენსია და თითო პატარა კომბინატი მაინც გადაარჩინეთ დაჟანგვას და ჯართად ქცევას, თორემ სხვა რომ არაფერი იყოს, მოხუცდა ის კაცი და გაუსკდება სათუთი გული, რატომ იდებთ კაცის ცოდვას?!

P.S. მეზობელმა რემონტი წამოიწყო და სამი ათასი ლარი მარტო ცემენტში, საკანალიზაციო მილებში და შპალერში დახარჯა.

ათასჯერ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ: სანამ ეს ტვინმოხარშული თაობა არ წავა, მანამ არაფერი ეშველება ჩვენი ქვეყნის „ცივილიზებულ რელსებზე შედგმას" და ამ რელსებით იმ გვირაბში შესვლას, რომლის ბოლოშიც სინათლეს მხოლოდ ერთი კაცი ხედავს.

აბა, თქვენ თვითონ განსაჯეთ, იმ ჩემს მეზობელს ცოტა მაინც სამეწარმეო ჟინი და ნიჭი რომ ჰქონოდა, წავიდოდა და იმ ფულის ნახევრით, რაც დახარჯა, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასაც იყიდდა თავისი მილებით, „რუსთავცემენტსაც" („კასპიცემენტს" მაინც შესწვდებოდა) და ზუგდიდის ქაღალდ-კომბინატსაც ხურდაში მისცემდნენ, თავისი ეროვნული ორნამენტებით გაფორმებული შპალერებით.

პროვოკატორი

„არანაირ შეკვეთას და რუსეთთან თანამშრომლობას ადგილი არა აქვს!“

— ბევრი ამბობს, რომ საქართველოს უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები რუსეთის მიერ შეკვეთილ ღონისძიებებს ატარებენ. რა კომენტარი შეგიძლიათ გაუკეთოთ საზოგადოებაში მოარულ ხმებს?

***ნიკა ლალიაშვილი**, უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელი:*

— მე ვერც სპეცოპერაციას დავარქმევ და ვერც რაიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას მივანიჭებ იმას, რაც ბოლო დღეების განმავლობაში ხდება. ეს არის ჩვეულებრივი პროფილაქტიკური ღონისძიება, რომელიც ტარდება იმისათვის, რომ დაიწყოს ფართომასშტაბიანი ანტიკრიმინალური ღონისძიება. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ზუსტი სურათი — რა ხდება ქალაქში? პირველ რიგში, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რა მდგომარეობა გვაქვს საპასპორტო და სავიზო რეჟიმის თვალსაზრისით. თბილისი სავსეა იმ ხალხით, ვინც უკანონოდ იმყოფება ჩვენს ტერიტორიაზე. რაც შეეხება იმას, რომ ოპერაციის დროს არის საშიშროება, დაირღვევს ადამიანის უფლებები, — მართლაც განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. თუ გვინდა, რომ ის ღონისძიებები, რაც დაგეგმილი გვაქვს, საზოგადოებამ ნორმალურად აღიქვას, ამისათვის აუცილებელია, ჩატარდეს განსაკუთრებული ინსტრუქტაჟი იმ ხალხთან, ვინც ამ ოპერაციის უშუალო მონაწილე და შემსრულებელია. იმ მოსაზრებას კი, თითქოს ჩვენ რუსეთის მიერ შეკვეთილ ღონისძიებებს ვატარებთ, ასე ვუპასუხებდი: არანაირ შეკვეთას და რუსეთთან თანამშრომლობას ადგილი არა აქვს. ჩემთვის გასაგებია, რომ ჩეჩნებმა ეს მოვლენა ძალიან მტკივნეულად აღიქვეს, ისევ და ისევ იმ შემსრულებლების გამო, რომელთაც რიგ შემთხვევაში შესაძლოა, მართლაც დაარღვიეს ადამიანის უფლებები. თითის ანაბეჭდები აუღეს არა მარტო ჩეჩნებს, არამედ ყველას, ვისზეც ეჭვი მიიტანეს, რომ ისინი უკანონოდ იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენ ჩეჩენ ხალხთან ადამიანური, მორალური, თუ იურიდიული თვალსაზრისით, პირნათელნი ვართ და არ მგონია, ამ ოპერაციის გამო, ისინი მოსალოდნელ პროვოკაციაზე წამოეგონ და იმას, რაც ხდება, რაიმე ცუდი შედეგი ან შეფასება მიეცეს.

ვალერი ხაბურძანია და კობა ნარჩემაშვილი

***პაატა გოგელაური**, შს სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელი:*

— არავინ არ უნდა გაიგოს ისე, რომ ჩატარებული ოპერაცია ჩეჩნების წინააღმდეგ იყო მიმართული. ადრე საქართველოში არალეგალურად მცხოვრებლებს სათანადო ყურადღება რომ არ ექცეოდათ, ამან განაპირობა პანკისის ხეობის პრობლემა. რაც შეეხება იმას, თითის ანაბეჭდები რომ ავიღეთ და ეს ადამიანის უფლებების დარღვევად ჩაგვითვალეს, — გიპასუხებთ, რომ საქართველოში არც ერთი საკანონმდებლო ნორმა არ კრძალავს მსგავს ქმედებას. ჩატარებული ღონისძიების შედეგად, თბილისში გახსნილია 38 დანაშაული და დაკავებულია 12 ძებნილი, ამოღებულია დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი. ამ ღონისძიებით, თავიდან ავიცილეთ რამდენიმე ათეული დანაშაული. იმერეთის რეგიონში დაკავებულია 3 ძებნილი, ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი და ნარკოტიკული ნივთიერება. ანტიკრიმინალური ოპერაცია გრძელდება. ის არ მოიცავს მხოლოდ თბილისსა და ქუთაისს. ეს მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება და ისევ ჩვენი მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის არის გამიზნული. ■

„ჯორბენაძე ბათუმში ჩასასვლელად ბენზინს ტყუილად დახარჯავს“

— როგორც ამბობენ, უახლოეს მომავალში ავთანდილ ჯორბენაძე, ასლან აბაშიძესთან შეხვედრას აპირებს. თუ გაქვთ ინფორმაცია, რის შესახებ ისაუბრებენ ისინი და თქვენი ვარაუდით, გამონახავენ თუ არა საერთო ენას?

***სანდრო ბრეგაძე**, პარლამენტარი:*

— „აღორძინებამ“, როგორც ოპოზიციურმა პარტიამ, არანაირი მოლაპარაკებები არ უნდა გამართოს არც ჯორბენაძესთან და არც მისი პარტიის რომელიმე წევრთან. მეტიც, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ მთელ აღმასრულებელ ხელისუფლებას გამოეცხადოს უნდობლობა. ერთადერთი, რაზეც შეიძლება ისაუბროს ჯორბენაძემ ბათუმში, ეს არის საბიუჯეტო დავალიანებები. თუ ჯორბენაძე მიდის, როგორც სახელმწიფო მინისტრი, ეს მისაღებია ჩემთვის, მაგრამ თუ იგი მიდის მოლაპარაკებებზე, როგორც „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარე, ეს შეუძლებელია. ვიღაცას სურს, რომ „აღორძინება“ ჩაითრიოს შევარდნაძის მხარდამჭერი უმრავლესობის შექმნის იდეაში. ამ მიზნით თუ მიდის ჯორბენაძე ბათუმში, ბენზინს ტყუილად დახარჯავს. ჩვენი მომავალი მოკავშირეები „მოქკავშირი“ კი არა, ლეიბორისტები არიან, თუ რა ფორმით — ეს მოგვიანებით გადაწყდება. თუ ამ პროცესს ვინმე გარედან ან შიგნიდან შეუშლის ხელს, ეს შევარდნაძის ხელისუფლების სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯი იქნება. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ერთად მოვალთ უმრავლესობაში. ■

„უფასო „სასწრაფო დახმარება“ „ხალხისნური“ ლოზუნგი არ არის“

— ქალაქის ახალარჩეული საკრებულო ძალიან შთამბეჭდავ განცხადებებს აკეთებდა — „უფასო სასწრაფო“ დახმარების შესახებ. ეს იყო მორიგი „ხალხისნური“ გამოსვლა, თუ რეალურად იქნება შესაძლებელი უფასო სასწრაფო დახმარების გამოძახება? ან როდიდან გვექნება ასეთი მომსახურებით სარგებლობის ბედნიერება?

რომან გოცირიძე, *პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი, საკრებულოს წევრი:*

— პირველი თებერვლიდან დავაყენებთ ამ სისტემაში არსებული მდგომარეობის შესწავლის საკითხს და „სასწრაფო დახმარების“ მუშაობაში მნიშვნელოვან გარდატეხას შევიტანთ. უნდა გაიზარდოს მათი დაფინანსება, თუმცა, მანამდე უნდა შევისწავლოთ, როგორ იხარჯებოდა ამ სამსახურში ფული, როგორ უძღვებოდა მათი ხელმძღვანელობა ამ საქმეს და იმსახურებენ თუ არა ისინი ქალაქის ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების მიღებას. გავარკვევთ იმასაც, რამდენად უნდა ვენდოთ მათ თანხების გამოყენებაში. მაგრამ მოსახლეობამაც უნდა გათვალისწინოს ჩვენი მდგომარეობა. პულსის აჩქარების თითოეულ შემთხვევაში „სასწრაფო“ რომ გამოიძახოს, იმდენი ხარჯი იქნება, რომ ამას ვერც ექიმი აუვა და ვერც ჩვენი ბიუჯეტი გასწვდება. ამ ეტაპზე საუბარია იმაზე, რომ თითო ადამიანზე წელიწადში 2-3 გამოძახების ლიმიტი დავაწესოთ. ამ საკითხების შესწავლის შემდეგ, ძალიან მალე, ჩვენს მოსახლეობას ექნება საშუალება, ისარგებლოს უფასო „სასწრაფო დახმარების“ მომსახურებით. ასე რომ, ეს არ არის „ხალხისნური“ ლოზუნგი და მალე ამაში ყველა დარწმუნდება“. ■

„აზოტის“ პრივატიზებაში კლანური ინტერესი არ დევს“

— ძალიან ბევრი პარლამენტარი დღემდე ვერ მალავს აღშფოთებას იმის გამო, რომ ქონების მართვის სამინისტრო „აზოტის“ „იტერასთვის“ ნახევარ მილიონად „ჩუქებას“ აპირებს. რა შეგიძლიათ თქვათ ამასთან დაკავშირებით?

სოლომონ პავლიაშვილი, *ქონების მართვის მინისტრი:*

— „იტერას“ მიერ წარმოდგენილ „აზოტის“ განვითარების ბიზნესგეგმას რა აქვს ჩვენი დასაწუნი? ჩვენ ვყიდით საწარმოს, რომელსაც „იტერას“ მიმართ 100.000 ლარის დავალიანება აქვს, 33 მილიონი ბიუჯეტის მართებს, ხოლო 12 მილიონი — საბითუმი ბაზრის. „იტერა“ ვალების მთლიანი მომსახურების გარდა, 14 მილიონ დოლარამდე ინვესტიციის განხორციელებისა და საწარმოს მუშაკთა ხელფასების გაზრდის პირობას დებს. ბიზნესგეგმის მიხედვით, საწარმოში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი ყოველთვიურად 300 ლარი იქნება, რომელიც ყოველწლიურად 30%-ით გაიზრდება. ამ გიგანტი საწარმოს გაკოტრება და შემდეგ მისი ჯართად გაყიდვა უდიდესი დარტყმა იქნებოდა არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკისათვის, არამედ, იქ დასაქმებული თითოეული ადამიანისათვის. „აზოტის“ პრივატიზებაში, როგორც ზოგიერთები ეშეობენ, ნამდვილად არ არსებობს კლანური და ოჯახური ინტერესები. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ჯერ მომზადების პროცესშია და ის ძალაში მხოლოდ ორმხრივი თანხმობისა და ხელმოწერის შემდეგ შევა. ■

„ეი-ი-ეს თელასი“ არსად წასვლას არ აპირებს“

— *„ეი-ი-ეს თელასმა“ ბევრი დანაპირები ვერ შეასრულა (თუნდაც — ქალაქს სრულად „გამრიცხველიანება“). ეს ხომ არ გახდა იმის მიზეზი, რომ სახელმწიფო მინისტრი უკვე იძულებულია, ხმამაღლა განაცხადოს, რომ თქვენთან ურთიერთობა გადასახედია?*

ივანასიო ირიბარნეი, *„ეი-ი-ეს თელასის“ გენერალური დირექტორი:*

— „ეი-ი-ეს“-ის საქართველოში ყოფნით, ძალიან ბევრია უკმაყოფილო. ძირითადად, ეს ის კატეგორიაა, რომელსაც ბიზნესის წყარო გადავუკეტეთ. სწორედ ამ ადამიანების პირადმა ინტერესებმა გაანადგურა ეს დარგი. რაც შეეხება „გამრიცხველიანებას“, ის დროებით იყო შეჩერებული და ეს პროექტი უკვე განახლდა, მაგრამ „ეი-ი-ეს“ კორპორაცია საქართველოში ინვესტიციებს არ განახორციელებს. ჩვენს კომპანიას ენერგეტიკაში უკვე 280 მლნ-ზე მეტი ინვესტიცია აქვს ჩადებული, ამიტომ მუშაობას ვაგრძელებთ. თუმცა, დარწმუნებულნი ვართ, რომ წინ კიდევ ბევრი პრობლემა გველის, რადგან ეს არ ესიამოვნებათ მათ, ვისაც ჩვენი აქედან გაქცევა სურს. მე შევხვდი და ვესაუბრე სახელმწიფო მინისტრს და გადაწყდა, რომ ქართული ბანკიდან ამერიკული კომპანია 30%-იან სესხს გამოიტანს. ამ თანხის ფარგლებში სახელმწიფომ უნდა გაუწიოს სუბსიდირება მოსახლეობას. ეს იქნება საკუთარი ხალხისათვის მთავრობის მიერ გაწეული დახმარება. ამ სუბსიდიით დაიფარება ელექტროენერგიის გაზრდილი ტარიფი — 1,3 თეთრი. მთლიანი თანხა 7 მლნ 800 ათას ლარს აღწევს და ტარიფში პირველი ნოემბრიდან აისახება. მაგრამ ჩემს გაკვირვებას ერთი ფაქტი იწვევს: მთავრობამ ხალხის დახმარების სურვილი კი გამოთქვა, მაგრამ მას ფული არა აქვს; შეგახსენებთ, რომ „ეი-ი-ეს თელასს“ უკვე 16 მლნ ლარის სუბსიდია აქვს გამოყოფილი, რომელიც კომპანიამ ჯერჯერობით უკან ვერ დაიბრუნა. ჩვენ მივესალმებით სახელმწიფო მინისტრის სურვილს, რომ როგორმე დისაჯონ ის პირები, ვინც ელექტროენერგიას იპარავენ. რაც უფრო ნაკლები იქნება ელექტროენერგიის ქურდობის ფაქტი, მით მეტი თანხა იქნება დაფარული სუბსიდიის ფარგლებში. მათ კი, ვინც პრეზიდენტს ჩვენ შესახებ მცდარ ინფორმაციას აწვდის — თითქოს საქართველოდან გავრბივართ, — კიდევ ერთხელ ვუცხადებთ: „ეი-ი-ეს თელასი“ არსად წასვლას არ აპირებს. ■

მოამზადა ნანა ქიბიშაურმა

ნავთობსადენი, ბორჯომის ხეობა და წვიმის წვეთების მოტანილი რადიონუკლიდები



როგორც საქართველოს საერთაშორისო ნავთობკორპორაციის პრეზიდენტი, გიორგი ჭანტურია ირწმუნება, ბორჯომის ხეობაზე ნავთობსადენის გამო ატეხილი აჟიოტაჟი და ეკოლოგების პრიტენზია უსაფუძვლოა, რადგან ნავთობსადენი თორმეტბალიან მიწისძვრასაც კი გაუძლებს და მას პენტაგონის მიერ მომზადებული ქვედანაყოფები დაიცავენ. გარდა ამისა, დასავლეთელი პარტნიორები ტრასის აეროკოსმოსური დაკვირვების სისტემას ქმნიან, რომლის მეშვეობითაც მათ საქართველოს მთელი ტერიტორიისა და მთელი კავკასიის გაკონტროლების საშუალება ექნებათ.

ნავთობსადენი დღეს ყველაზე აქტუალური, მაგრამ არა ერთადერთი ეკოლოგიური პრობლემაა საქართველოსთვის, ამიტომაც, სწორედ ამ თემით დავიწყეთ საუბარი რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის კვლევითი ცენტრის თანამშრომელთან, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორ მარინა ნიკოლაიშვილთან

ნანა ქიბიშაური

— როგორია თქვენი პოზიცია ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით ან საერთოდ, აქვს კი აზრი ეკოლოგების პოზიციის დაფიქსირებას მაშინ, როცა რეალურად ეს საკითხი მარტო პოლიტიკურ ჭრილში განიხილება?

— რეალობაა, რომ თუ განვითარდა ეკოლოგიური კატასტროფა, მას შეიძლება მოჰყვეს მთელი ბორჯომის ხეობის დაბინძურება. იმის მიუხედავად, რომ ეს ნავთობსადენი არ გადის ბორჯომის ხეობაზე — ის გადის ცხრაწყარო-კოდის ქედზე, ეს ქედი არის მეწყერსაშიში. ასე რომ, სავსებით მოსალოდნელია, შესაძლოა მეწყერმა გამოიწვიოს ნავთობსადენის ჩატანა. ავარიის შემთხვევაში, 20 წუთის შემდეგ კი, გადაიკეტება ნავთობსადენი, მაგრამ ამ 20 წუთში დაიღვრება ათობით ტონა ნავთობი და ამან შეიძლება გამოიწვიოს კატასტროფა, რომელიც მთელ ხეობას წალეკავს.

— რამდენი დრო სჭირდება ნავთობით დაბინძურებულ ნიადაგს, რომ პირვანდელი სახე დაიბრუნოს?

— წლები სჭირდება და წლებთან ერთად — ბევრი ფულიც. ყველაზე შემაშფოთებელი ის არის, რომ ყველა იმ შესაძლო საფრთხის შემთხვევაში, რაც კი საქართველოში შეიძლება მოხდეს, პასუხისმგებლობას იღებს საქართველოს მთავრობა. ეს დაფიქსირებულია ხელშეკრულებაში. ბატონმა პრეზიდენტმა თქვა: მე თავს ვდებ, რომ არანაირი რეციდივი არ მოხდებაო. ეს რას ნიშნავს? თავი კი არა — ფული უნდა ჩადო, რომ კატასტროფის შემთხვევაში, საქართველომ მდგომარეობის გამოსწორება მოახერხოს. იყო იმის შესაძლებლობა, რომ სხვა, ჩვენთვის უფრო მომგებიანი პროექტი მიეღოთ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. უსაზღვროდ დიდი შემოსავალი ამ ნავთობსადენიდან საქართველოს არ ექნება — აქ პოლიტიკური ფაქტორები უფრო იქნა გათვალისწინებული. პროექტის 18 ვარიანტი არსებობდა, ერთ-ერთის თანახმად, ნავთობსადენს ახალქალაქის ტერიტორიაზე უნდა გაევლო. ამის უარყოფითი მხარე ის იყო, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის გართულებული ურთიერთობის გამო, შესაძლებელი იყო, იქ დივერსია მომხდარიყო. სამაგიეროდ, არსებობდა დადებითი ფაქტორი: სომხები, რომლებიც ამ მშენებლობაზე დასაქმდებოდნენ, ყველანაირად დაინტერესებულები იქნებოდნენ, დაეცვათ ეს ნავთობსადენი. ჩემი აზრით, ეს არ იყო ჩვენთვის მიუღებელი პროექტი. მოგვიანებით ატეხილი აჟიოტაჟი იმის შედეგია, რომ ნინო ჩხობაძემ არ ინება, ცოტა ადრე გასცნობოდა ამ საკითხს და დაეწყო ამ საბუთების შესწავლა. იმდენად გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობდა ამ ნავთობსადენის პროექტის შეთანხმება, რომ ამ საკითხში კომპეტენტურმა ბევრმა პირმა ყველაზე გვიან გაიგო, თუ რა ხდებოდა. შეიძლება კიდევ სხვა თამაშსაც აქვს ადგილი. მე ვფიქრობ, თუნდაც საპროტესტო განცხადებებს, არც ჩხობაძე და არც ხაზარაძე შევარდნაძესთან შეთანხმების გარეშე არ გააკეთებდნენ. იმაშიც დარწმუნებული ვარ, საქართველოს 30-ის ნაცვლად, 35 მილიონი რომ მოეთხოვა, მეორე მხარე ამაზე აუცილებლად წავიდოდა.



მარინა ნიკოლაიშვილი

— ნავთობსადენის გარდა, საქართველოში სხვა ეკოლოგიური პრობლემაც მრავლადაა. აქედან უმნიშვნელოვანესია მომატებული რადიაციული ფონი.

— რადიაციული ფონი ადრინდელთან შედარებით, რამდენჯერმეა მომატებული. ეს არის მიზეზი იმისა, რომ აგრესიული ფონიც საგრძნობლად გაზრდილია. საქართველოში უამრავი ბუნებრივი ანომალია შეინიშნება. ყველა მინერალური წყალი, რომლითაც ჩვენი ქვეყანა მდიდარია, რადიაციულია. საქართველოში ურანის ბევრი საბადოცაა. სწორედ ამიტომაა რაჭაში ყველაზე მაღალი დასხივება. ქალაქ თბილისში ყველაზე დაბინძურებული ადგილი ამ მხრივ არის დიდუბე, რადგან იქ განსაკუთრებითაა გადატვირთული საავტომობილო მოძრაობა. ჩერნობილის ავარიის შემდეგ, ჩვენმა ჩაის კულტურამ, როგორც ღრუბელმა, ისე შეიწოვა რადიონუკლიდები. შეიძლება ითქვას, რომ ჩაის ფოთოლი რადიაციული ფონის გასაზომი საშუალებაა, რადგან ეს მცენარე ზედმეტად მგრძნობიარეა დასხივების მიმართ. რადიონუკლიდებით ყველაზე მეტად დაბინძურებული იყო შავი ზღვისპირეთი. მომატებული რადიაციის მიზეზია ის უცნაური დაავადებებიც, რის შედეგადაც ადამიანის ორგანიზმი გარკვეული სახის მუტაციას განიცდის — მაგალითად, ნაადრევ სიბერეს, რომლითაც ერთი თბილისელი ბიჭიც დაავადდა: 38 წლის კაცი 80 წლისას ჰგავს. სხვათა შორის, საკმაოდ ცნობილი ოჯახის ერთადერთი ვაჟიშვილია... საერთოდ, რადიაციული ფონი მთელ მსოფლიოშია მომატებული. ჩვენ ამ პროცესს ვერ შევაჩერებთ, მაგრამ უნდა ვიცოდეთ ბევრი რამ საიმისოდ, რომ შეძლებისდაგვარად დავიცვათ თავი. მაგალითად, არაფრით არ შეიძლება, ანადუღარი წყლის ხელმეორედ გადადუღება და გამოყენება, რადგან წყლის დუღილის დროს ორთქლდება წყალბადი, მაგრამ დეიტორიუმი თავისი სიმძიმით რჩება წყალში და მაშინ, როდესაც დიდხანს ვადუღებთ ჩაის, ვსვამთ დეიტორიუმიან წყალს, აუცილებელია ვიცოდეთ, რომ მაქსიმალურად უნდა მოვერიდოთ წვიმას: ღრუბელში ხდება რადიონუკლიდების კონცენტრაცია და ის წვიმასთან ერთად ჩამოდის. როგორც გითხარით, არ შეიძლება გარეცხილი ტანსაცმელი წვიმის დროს გარეთ დავტოვოთ, გაუთოების შემდეგაც კი, წვიმაში მოყოლილი ტანსაცმელი ინახავს რადიონუკლიდებს, რომელსაც შემდგომ ჩვენი კანი შეიწოვს. უცხოური სიგარეტის მოწევაც არ არის სასურველი: თამბაქოს ფოთოლი სწრაფად და დიდი ზომისა რომ გაიზარდოს, მას კვებავენ სასუქით. აი, ამ გზით ხვდება სიგარეტიდან ჩვენს ორგანიზმში რადიონუკლიდები. ძალიან ბევრი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს ნებისმიერ ჩვენგანს, რომ გაერკვეს იმ პროცესებში, რაც ბუნებაში თუ ჩვენს ორგანიზმში მიმდინარეობს და ამ ინფორმაციის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება — როგორი ცხოვრების წესი აირჩიოს, ან ამა თუ იმ მოვლენისას რა პოზიცია დაიკავოს. ■

„ნინო ჩხობაძემ არ ინება, ცოტა ადრე გასცნობოდა ამ საკითხს...“

„იმდენად გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობდა ამ ნავთობსადენის პროექტის შეთანხმება, რომ ამ საკითხში კომპეტენტურმა ბევრმა პირმა ყველაზე გვიან გაიგო, თუ რა ხდებოდა“



გიორგი ჭანტურია

ადამიანის ფასეულობანი

გაუსინჯავსა სიტყვასა ჩხავილი სჯობან ტურისა.

სულხან-საბა ორბელიანი

მოკლედ თქმული ზნეობრივი აფორიზმები განამტკიცებენ ადამიანში მოვალეობის გრძნობას, ცხოვრებისეულ სიბრძნეს, თვალსაზრისს ამკვიდრებენ.

ჰეგელი

იარე საკუთარი გზით და ხალხმა ილაპარაკოს, რაც უნდა.

კარლ ლიბკნეხტი

რამდენ სისულელეს ამბობენ იმის ცდაში, იქნებ ახალი რამე ვთქვაო.

ფრანსუა მარი ვოლტერი

მოყვასს სცემე, დაამცირე, გადათელე კაცი თანაც?

რა გიხარის, მეგობარო? უკეთესი გახდი განა?

სხვისი ცუდით ხარობ, მაგრამ ეს იცოდე: ვერასოდეს

სხვათა გაუბედურებით თავი ვერვინ გაიტანა.

ასირადინ აქსიქათი

თუ სიმართლეს დაფარავთ და მიწაში ჩამარხავთ, უსათუოდ გაიზრდება და ერთხელაც იქნება ისეთ ძალას მოიპოვებს, რომ თავის გზაზე ყოველივეს წალეკავს.

ემილ ზოლა

ადამიანებს ის კი არ ახარებთ, რაც აქვთ, არამედ ის აწუხებთ, რაც არ გააჩნიათ.

ვისარიონ ბელინსკი

უიმედო მეგობარს აშკარა მტერი სჯობს.

ფრიდრიხ ენგელსი

გურამ შარაძეს ბავშვობაში თურმე ფრინველებზე ნადირობა ჰყვარებია, ოღონდ — კაკანათით; როცა გარეთ ბარდნიდა, ის ფანჯრიდან უდარაჯებდა მსხვერპლს. თუმცა „წარმატებულ“ მონადირეს მხოლოდ ერთხელ გაუმართლა: ყინვით შეწუხებული ბელურა, დაყრილ ნამცეცებს მიეტანა და მახეში გაება. მერე, მომავალი პარლამენტარი რამდენიმე კვირა ფრთამოტეხილ ჩიტს უვლიდა. ბატონი გურამის თქმით, ეს იყო უკანასკნელი მცდელობა მისი მხრიდან ვინმეზე ძალადობის განხორციელებისა.

რა მოუვიდა გურამ შარაძეს ბუდაპეშტში, ქართველი კაცის იმიჯის დაცვისას

ხათუნა მაღრაძე

— მახსოვს, ამბობდით — სკოლაში და უნივერსიტეტში „გამოუსწორებელი“ ფრიადოსანი ვიყავიო. რა ნიშანზე შეაფასებთ თქვენს აკადემიურ მოსწრებას პარლამენტში?

— სასწავლებლებში ჩემს მუშაობას პროფესორ-მასწავლებლები აფასებდნენ, პარლამენტში ამის გამკეთებელი არავინ არის. ყალბი თავმდაბლობა რომ არ გამომივიდეს, ვიტყვი: „ოროსანი“ პარლამენტარი რომ ვყოფილიყავი, ქართველი ხალხი წინა მოწვევის შემდეგ აღარ ამირჩევდა.

— როგორ ფიქრობთ — მალე დადგება დრო, როცა ახალგაზრდებს ჰკითხავენ: თქვენი მამა ან ბაბუა „მოქკავშირის“ წევრი ხომ არ იყო?

— ისინი კი უპასუხებენ: შვილები მამის ცოდვებზე პასუხს არ აგებენო...

- საბედნიეროდ, ჩემს შთამომავლობას ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ მოუწევს, რადგან „მოქალაქეთა კავშირს“ არასოდეს

გავკარებივარ. ისე კი, ამორალობად მიმაჩნია, იმ ხალხისგან მმართველი პარტიის ლანძღვა-გინება, ვინც მისი მეშვეობით მიაღწია კეთილდღეობას. მე ამ მოვლენას ეთიკურ-ზნეობრივ სკლეროზს დავარქმევდი. გონებრივი სკლეროზი თანაგრძნობას იწვევს, მაგრამ ზნეობრივი გულმავიწყობა უმადურობის მაჩვენებლია, როდესაც ადამიანს ჰგონია — თუ თვითონ „დაივიწყებს“ წარსულს, საზოგადოებაც სკლეროზით დაავადდება.

— თქვენი ოპონენტები ამბობენ, გვარზეც ეტყობა, როგორი „მშვიდობის მტრედიც“ ბრძანდებაო...

— *(იცინის)* მათ ჩემი გვარის წარმოშობის ისტორია არ იციან. შარაძე ერთ-ერთი უძველესი ტაო-კლარჯული გვარია. რაც შეეხება ფუძეს — ნიკო მარი წერდა, რომ „შარა“ ნიშნავს არა გზას ან შარს, ოპონენტები და ჟურნალისტები რომ მკენწლავენ, არამედ ჭირნახულს, ბარაქას. ასე რომ, შარიანი სულაც არ ვარ.

— ისეთ „აჟიტირებულ“ სიტუაციებში ხვდებით ხოლმე, მიკვირს, თქვენს გენეტიკაში შარი ბარაქას რომ ნიშნავს...

— ყველა ხარხარებს, როცა ამას ვამბობ, მაგრამ ჩემსავით დამთმობი, უპრეტენზიო და ბუნჩულა კაცი ქვეყანაზე არ მეგულება. არის შემთხვევები, როცა ტოლსტოის თქმისა არ იყოს, „გაჩუმება არ შეიძლია“ — ხანდახან ჩემნაირ მოკვდავებსაც არა აქვთ დუმილის უფლება.

— ახლა კიდევ, საფრანგეთის ელჩი დაგიპირისპირდათ...

მე და ჩემი მეუღლე — ნათელა გახარია, თანაკურსელები ვიყავით

— ჰოო, გამომიხტა. გრიგოლ რობაქიძემ თქვა: „საქართველოს ქართველებზე დიდი მტრები არ ჰყოლია“. ქართველები ასეთი ბედოვლათები რომ არ ვიყოთ, ქალბატონი მიუსო, ორბელიანების ბაღში საელჩოს აშენებას გაბედავდა?! ჩვენს ელჩს საფრანგეთში, ბულონის ტყეში, ვინმე მისცემს ამის უფლებას?! მე როცა ვამბობ, ალექსანდრეს ბაღი კულტურული ძეგლია-მეთქი, — სასამართლოს, საწინააღმდეგო გადაწყვეტილება გამოაქვს. მიუსო ამბობს, რომ ყველაფერი კანონიერად აქვს შესყიდული. მთელი ცინიზმიც იმაშია, რომ საქართველოში ყველაფერი უკანონო, დაკანონებულია და ყველაფერი კანონიერი, უკანონოდაა მონათლული.

— რამდენიმე წლის წინ, ამერიკის საელჩოს დაუპირისპირდით, ახლა ფრანგები გადაიკიდეთ. რა იცით, მომავალში ხელისუფლებაში ვინ მოვა? იქნებ, როგორც ოპოზიციონერს, დევნა დაგიწყონ და მაშინ რომელი ქვეყანა შეგიფარებთ?

— ნებისმიერი ზეწოლის შემთხვევაში, მე საქართველოში დავრჩები და აქ მოვკვდები, რადგან სხვაგან გაქცევის უფლება არ მაქვს.

— მერიის თავზე აღმართული დროშის გამო, თქვენსა და მიხეილ სააკაშვილს შორის სერიოზული დაპირისპირება წარმოიშვა. ხვალ რომ ის ქვეყნის პრეზიდენტი გახდეს, რას იზამთ?

— სააკაშვილის პრეზიდენტობამ შარაძეს რა უნდა დააკლოს?! მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ის პრეზიდენტი ვერ გახდება. ამ ბავშვს ტყუილად აბრიყვებენ. თქვენი ჟურნალის საშუალებით, როგორც მისმა გულშემატკივარმა, მინდა ვუთხრა, რომ თავი

დანებოს უპერსპექტივო საქმეებზე ოცნებას, რადგან ახალგაზრდა კაცია და დაუფიქრებლობის გამო, გადაიჩეხება...

— ძველი ანეკდოტი: „ბავშვი მამას ეკითხება: ვეფხვის გეშინია? — არა. — ლომის? — არა. ბავშვი ჩაფიქრდა და ბოლოს, თავისი მიხვედრილობის თვითონვე გაუკვირდა: აა! შენ მარტო ჩემი დედიკოსი გეშინია...“ თქვენს ოჯახში როგორ არის ამ მხრივ საქმე?

— ბევრ ოჯახში მეუღლე და ქალი არის რისხვა იმ მნიშვნელობით, რომ ის უნახავს ბევრ საიდუმლოს თავის მეორე ნახევარს. ამ საიდუმლოს გაცემის შიშით კი, მამაკაცები ძალიან უტყვნი არიან და არა მეტყველნი...

— თქვენ ამ მხრივ კარგად გაქვთ საქმე?

— საბუნაროდ, კარგად, რადგან უკანონო გზით შემოსული თანხა არასოდეს მქონია. ეს კი ჩემი ოჯახის ბიუჯეტზე არცთუ ისე სასიამოვნოდ აისახება. სულ ტყუილად არის გავრცელებული შეხედულება, რომ მამაკაცებს ეშინიათ, ცოლებმა საყვარლების შესახებ გაუგონ, რადგან ბევრ ქართველ ქალს ეამყება, რომ მისი მეუღლე სხვა ქალბატონებს მოსწონდათ, რჩეული კი, თვითონ აღმოჩნდა... ჩემი მეუღლე იმდენად არ არის ეჭვიანი, რომ ხანდახან მისი ზედმეტი ნდობა მაღიზიანებს კიდეც.

— ამბობთ — დამატებითი შემოსავალი არასოდეს მქონიაო. მეუღლესთან ამის გამო პრობლემები არ გიჩნდებათ ხოლმე?

— ჩემი მეუღლე არასოდეს არაფერს ითხოვს. მან მთლიანად ოჯახსა და შვილებს მიუძღვნა საკუთარი თავი. ბუნებაში არც კი მეგულება მეორე ქალი, რომელიც ასეთი დამთმობი იქნება. სიმართლე გითხრათ, არც მომწონს მისი ამგვარი ხასიათი. მინდა, რომ ხანდახან პრეტენზია ჰქონდეს და რამე მოითხოვოს, მაგრამ ამს ვერ მივაღწიე. გინდათ, რომ რომანტიკულ სიბრტყეში გადამიყვანოთ?..

— მე მგონი, არსად გადაყვანა აღარ გჭირდებათ, იმდენად ამაღელვებლად საუბრობთ თქვენს მეუღლეზე. ალბათ შეყვარებულობის ამბებსაც მოგვიყვებით...

— მე და ჩემი მეუღლე — ნათელა გახარია, თანაკურსელები ვიყავით. დანახვის პირველ დღეებში შემიყვარდა, მაგრამ ის სრულ იგნორირებას მიკეთებდა. ამიტომ, უნივერსიტეტში მასთან ურთიერთობას რომ ვერ ვახერხებდი, ეზოიანი სახლი ჰქონდა და მისი ჭიშკრის სახელურს ყოველ დილით ვარდების თაიგულით ვამკობდი. პირველიდან ბოლო კურსამდე უიმედოდ შეყვარებული, მეგობრებს ძალიან ვებრალებოდი და ყველა თანამგრძნობდა. ბოლო წელს, როცა სახელმწიფო გამოცდები ჩავაბარეთ და ჩვენი გზები საბოლოოდ უნდა გაყრილიყო, მივედი და თვითმკვლელობით დავემუქრე. დაღლილი და ნანერვიულები, შინ წავედი და დავიძინე. გარიჟრაჟი იქნებოდა, როცა ნათელამ თავისი და ჩემი მეგობრის თანხლებით, შინ მომაკითხა. როგორც ჩანს, იმდენად გულწრფელი ვიყავი და ისე დამავალებლად გამოიყურებოდა ჩემი მუქარა, რომ შეეშინდა. მივხვდი, განიცდიდა ჩემს სიცოცხლეს. იმ დილით ჩვენს ურთიერთობაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა.

— თქვენზე ამბობენ, ძალიან პედანტურიაო.

— სრული სიმართლეა, თუმცა, ჩინოვნიკი არასოდეს ყოფილვარ. მომთხოვნი კი, პირველ რიგში, ჩემი თავის მიმართ ვარ. დეპუტატები დადებენ თავს და პარლამენტში ჯინსებით მოდიან; ზოგს ღიპი უჩანს, გადაღებული „მაიკები...“ შეიძლება, პოლიტიკოსი ასე გამოცხადდეს სამსახურში? ჩემი პედანტურობა იმაშიც ვლინდება, რომ მოუწესრიგებელ ოთახსა თუ კაბინეტში მუშაობა არ შემიძლია. ასეთი ვარ და რა ვქნა?!

— ერთი, ის ამბავი მოგვიყევით, ბუდაპეშტში ქართველი მამაკაცის იმიჯის დაცვა ძვირად რომ დაგიჯდათ.

— მინდა გითხრათ, რომ 30 წლამდე ალკოჰოლის, სიგარეტისა და ყავის გემო არც ვიცოდი. უკვე ცოლიც მყავდა და შვილიც. როცა მეგობარმა უნგრეთში დამპატიჟა და ჩემს საპატივცემულოდ ვახშამი მოაწყო. იგი არისტოკრატიული ოჯახის წარმომადგენელი იყო და წვეულებაზე ბუდაპეშტის წარჩინებული საზოგადოება მოვიდა. მასპინძელმა მითხრა: თავი არ მომჭრა, ქართველ მამაკაცებზე ბუდაპეშტელ ქალბატონებს წარმოდგენა არ დააკარგვინო — კონიაკიც დალიე და სიგარეტიც მოსწიეო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი, თავმოშწონედ წარმოვთქვი სადღეგრძელო და ჭიქა გამოვცალე. მერე სიგარეტიც გავაბოლე, თუმცა ნაფაზი ვერ დავარტყი, ცხვირიდან კვამლს მაინც ვუშვებდი. ახლა ბუდაპეშტური, ნახშირივით შავი ყავა მომიტანეს. ვატყობ, რომ რაღაც ვერაა კარგად ჩემი საქმე. ვიგრძენი, რომ ფერი წამივიდა და მშველელისთვის დაახლებაც კი ვერ მოვახერხე, ისე დავეცი უგონოდ იატაკზე. საბედნიეროდ, სუფრის წევრები ვერ მიხვდნენ, რა იყო ჩემი ავად გახდომის მიზეზი.

— ეი. დიდი მსმელის იმიჯი დღესაც არ გეჭნებათ...

— ბევრს ეგონა, ვერ ვსვამდი და ამით კისერი წაიტეხეს. მე მთვრალი არავის ვუნახივარ, მაგრამ სუფრაზე კახური რქაწითელი უნდა მომიტანონ და ისე დავასრულებ ქეიფს, რომ ნასვამობაც კი არ შემეტყობა.

— აბა, კარგი თამადაც იქნებით.

— საოცარი და არაჩვეულებრივი. საახლობლო წრეში თითქმის შეუცვლელ თამადად ვითვლები. თუმცა, დიდი დემოკრატიულობით არ გამოვირჩევი, რადგან დისციპლინა მიყვარს. სუფრის წევრებს წარმოთქმული სადღეგრძელოები უნდა ესმოდეთ.

— ბატონო გურამ, სასწაულების თუ გჯერათ?

— მე და ჩემი მეუღლე პირველ შვილს ველოდებოდით, როცა ნათელამ ღამით გამაღვიძა და მითხრა: სიზმარში კაბენის ღვთისმშობელი გამომეცხადა და მითხრა: შვილები შეეძინებათ და თამარის შვილების სახელები დაარქვითო. სამებელში ვნახე და მართლაც აღმოჩნდა თამარის მიერ აშენებული, კაბენის ღვთისმშობლის ეკლესია. შვილებს ლაშა, გიორგი და რუსუდანი დავარქვი. მაგრამ მოგეხსენებათ, ლაშა-გიორგი ერთ ადამიანს ერქვა. მე კი ის შუაზე გავყავი და ორ ვაჟიშვილს „გავუნაწილე“. დღესაც საშინლად განვიცდი ამას და ვფიქრობ — იქნებ, ლაშა სწორედ ამისთვის წამართვა ღმერთმა?..

— თქვენი იმპულსური ხასიათიდან გამომდინარე, თუ შეგიძლიათ, ცალკეულ უსამართლობებზე თვალის დახუჭვა?

— სამწუხაროდ, ბევრ რამეზე ვხუჭავ თვალს და პირში წყალს ვიგუბებ. ხშირად, ამას შეგნებულად ვაკეთებ, რომ გული არ გამისკდეს და ბოლომდე არ დავკარგო ადამიანების რწმენა. ოღონდ, ეს ზნეობრივ კომპრომისად არ ჩამითვალოთ. ყველაფრის დანახვა და გაგონება დღევანდელ საქართველოში ფიზიკურ განადგურებამდე მიიყვანს ადამიანს.

■



სამწუხაროდ, ბევრ რამეზე ვხუჭავ
თვალს და პირში წყალს ვიგუბებ

აივ-ინფიცირებულ წყვილს კიდევ ერთი ჯანმრთელი შვილი შეეძინა!

შარშან ნოემბერში (იხ. „გზა“, 2001 წ. №45) ვწერდით ახალგაზრდა ოჯახური წყვილის შესახებ, რომელიც აივ-ინფიცირებულია (ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი). შეგახსენებთ, რომ იმ დროისთვის, როდესაც მათთან ინტერვიუ ჩავწერეთ, ცოლქმარს ჰყავდა ორი შვილი — 15 წლის ერეკლე და 13 წლის დოდო (ღვთის წყალობით, ორივე ჯანმრთელია). ცხოვრობდნენ ჩვეულებრივი ოჯახური ცხოვრებით და ფარ-ხმალს არ ყრიდნენ. წელს კი, მაისში, ამ ოჯახს მეხუთე წევრი შეემატა — პატარა მარიამი. ის სრულიად ჯანმრთელი დაიბადა და თავსაც მშვენივრად გრძნობს.

მარი ჯაფარიძე

— ქალბატონო მანანა, როგორ გადაწყვიტეთ, თქვენს მდგომარეობაში მყოფმა ადამიანმა ბავშვის გაჩენა?

— ეს არ იყო წინასწარ ჩაფიქრებული. ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ ორსულად ვიყავი. თავიდან შოკში ჩავვარდი. ბავშვის გაჩენაზე ლაპარაკიც არ მინდოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ის განწირული იქნებოდა. გადავწყვიტე, აბორტი გამეკეთებინა. თქვენ რომ ჩვენთან ინტერვიუზე გახლდით, მაშინ ორი თვის ორსული ვიყავი და გადაწყვეტილი არ იყო, დაიბადებოდა თუ არა ბავშვი. წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებოდი. მაშინვე ჩემს მოძღვარს, მამა ალექსის მივაკითხე. ვთხოვე, კურთხევა მოეცა, რომ აბორტზე წავსულიყავი. კურთხევა არ მომცა, მითხრა: შვილო, მიენდე ღვთის ნებას, იყოლიე მესამე შვილი; რადგან უფალმა მოგცა, უფალი დაარჩენს და გაზრდისო. დამძიმებული გულითა და აფორიაქებული გონებით წამოვედი ეკლესიიდან. ვინანე — მოძღვართან არ უნდა მივსულიყავი-მეთქი, რადგან ახლა მის სიტყვას ვეღარ გადავიდოდი, დაბადებიდანვე სასიკვდილოდ განწირული შვილის დედობა კი არ მინდოდა. იმ საღამოს ჩემს მეუღლეს, ლევანს ვუამბე მოძღვრის გადაწყვეტილების შესახებ. ლევანმა მირჩია, ექიმთან მივსულიყავი და გამერკვია, შეიძლებოდა თუ არა ჩანასახის ჯანმრთელობის მდგომარეობის გარკვევა. თუ ბავშვი ჯანმრთელია, გააჩინეო, — მითხრა. არ მეგონა, რომ მუცლადმყოფი ბავშვისთვის ამ გამოკვლევის ჩატარება შესაძლებელი იქნებოდა.

— როგორც ქალს, გქონდათ თუ არა სურვილი, რომ მესამე შვილი გაგეჩინათ?

— რა თქმა უნდა, მე და ჩემს მეუღლეს ეს საშინელი ვირუსი რომ არ გვქონოდა, უყოყმანოდ გავაჩენდი შვილს, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში, ეს დიდ რისკთან იყო დაკავშირებული.

— გამოკვლევის ჩასატარებლად ნაცნობ ექიმს მიმართეთ?

— არა, თავდაპირველად, დავრეკე შიდსის ცენტრში და ვიკითხე მხოლოდ ის, შესაძლებელი იყო თუ არა ნაყოფის გამოკვლევა. მიპასუხეს — შესაძლებელია და თუ გჭირდებათ, აუცილებლად მოგვაკითხეთო. მოგეხსენებათ, დედა და ძმა მოსკოვში მყავს. მეც მათთან გავემგზავრე. ჩემი ოჯახის წევრებმა არც კი იცოდნენ, აივ-ინფიცირებული რომ ვიყავი. იქ ჩასულმა აღარაფერი დავუმალე. უნდა გენახათ, რა ამბავი ატყდა. დედაჩემი ისე მოსთქვამდა, თითქოს წინ მიცვალებული ესვენა. ჩემი ძმა კი გამშრალი იდგა და ადგილიდან ვერ იძროდა. მოვკლავო, — გამოცრა ბოლოს ჩემი ქმრის მისამართით... მაგრამ მე ორივე დავამშვიდე: ხომ ხედავთ — მე არ განვიცდი, არც ისე საშიშია ყველაფერი, როგორც თქვენ გეჩვენებათ-მეთქი... ექიმებმა ყველანაირად შეისწავლეს ნაყოფის მდგომარეობა და მახარეს: ბავშვი ჯანმრთელია და შეგიძლიათ, მშვიდად იყოთო. მაგრამ კიდევ ერთი პრობლემის წინაშე შეიძლებოდა აღმოჩენილიყავი: ექიმებმა ამიხსნეს, რომ ბავშვის დაბადებისას, ბუნებრივი მშობიარობის პროცესში, არსებობდა იმის რისკი, რომ ინფექცია ჩემი სისხლიდან მოხვედრილიყო მის ორგანიზმში. ამიტომ საჭირო იყო, გამოცდილ ექიმს საკეისრო კვეთა გაეკეთებინა, მაქსიმალური სიფრთხილით, რათა ბავშვის დასნებოვნება არ მომხდარიყო.

— ესე იგი, მაინც რისკავდით?

— დიახ, მაგრამ ბედს მივენდე. დედაჩემმა აღარ გამომიშვა თბილისში, — მე უკეთ მოგივლიო. თანაც გადაწყვიტეს, იქ მემშობიარა და ამის გამო 6 თვე მოსკოვში დავყავი.

— ლევანს როგორი რეაქცია ჰქონდა, როდესაც შეიტყო, რომ ნაყოფი ჯანმრთელი იყო?

— გაუხარდა. ბავშვები ჩემს დედამთილს დაუტოვა და მოსკოვში ჩამომაკითხა. გვერდიდან აღარც მომშორებია. ბავშვი 21 მაისს დაიბადა, ივნისის ბოლოს კი, სამივე ერთად დავბრუნდით თბილისში.

— სამშობიარო სახლში წინასწარ დაწექით?

— გადაწყვეტილი იყო, რომ 25 მაისს

უნდა მივსულიყავი ექიმთან და მაშინ მეტყოდნენ, როდის მომათავსებდნენ კლინიკაში, ვინაიდან ვარაუდობდნენ, რომ 30 მაისს ვიმშობიარებდი. 20-ში ამტკივდა მუცელი. შუაღამისას მიმიყვანეს საშობიაროში და უკვე აღარ შეიძლებოდა დაყოვნება. ფაქტობრივად, საკეისრო კვეთა უკვე დაგვიანებული იყო. ამიტომ მამშობიარეს ჩვეულებრივი წესით და დილით 6-ის ნახევარზე ჩემი მარიამი მოევლინა ქვეყანას. ბუნებრივია, ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ ღვთის წყალობით, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

— ბავშვს ძუძუთი კვებავთ?

— არა, რა თქმა უნდა, არა. დედის რძეში უამრავი რაოდენობითაა ვირუსი, ამიტომ არ შეიძლება.

— რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც პატარა მარიამი შეგეძინათ?

— იცით, ვფიქრობ, რომ თქვენ უფრო მუქ ფერებში და ტრაგიკულად აღიქვამთ ჩვენი ოჯახის მდგომარეობას, ვიდრე სინამდვილეშია. თქვენს თანაგრძნობით სავსე თვალებს რომ ვუყურებ, ვგრძნობ, როგორ გებრალებით. შეკითხვებსაც ძალიან ფრთხილად მისვამთ, ჩემს შემოთავაზებულ ყავაზე ან თუნდაც ნამცხვარზე კი, უარს მხოლოდ იმიტომ არ ამბობთ, რომ არ ვიფიქრო, — მერიდებით, თუმცა ფიქრობთ, რომ გარკვეულწილად რისკავთ... მადლობის მეტი რა მეთქმის? — თანაგრძნობა კარგი თვისებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში, გადაჭარბებული თანაგრძნობა ზედმეტია. მერწმუნეთ, აბსოლუტურად ჩვეულებრივი ოჯახი გვაქვს, ჩვეულებრივად ვცხოვრობთ — ვკამათობთ, ვმხიარულობთ და ვტირით. უბრალოდ, ვცდილობთ, ბავშვებს გავუფრთხილდეთ — თავიდან ავარიდოთ ინფექცია. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას — რა შეცვალა მარიამის დაბადებამ? — გეტყვით, რომ უბრალოდ, უფრო მეტი საზრუნავი და ხალისი შემოიტანა ოჯახში. მარიამის დაბადებით თითქოს საკუთარ თავს დავუმტკიცეთ შეც და ლევანმაც, რომ ცხოვრება გრძელდება, ჩვეულებრივი ოჯახი გვაქვს და საგანგაშოც არაფერია.

ექიმი ლალი შარვაძე

— ე.ი. მაინც გჭირდებათ საკუთარი თავისთვის იმის მტკიცება, რომ ჩვეულებრივი ოჯახი გაქვთ...

— არა, ამის მტკიცება არ გვჭირდება, ეს ნამდვილად ასეა.

ამ ბოლო სიტყვების წარმოთქმისას მანანას ხმა აუკანკალდა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და ბოდიშის მოხდით ოთახიდან გავიდა. კარგა ხნის შემდეგ დაბრუნდა და მისი ნამტირალევი თვალების დანახვაზე მივხვდი, რომ ისინი არა მარტო ერთმანეთს, არამედ გარშემომყოფებსაც არწმუნებენ, რომ ყველაფერი არცთუ ისე ცუდადაა, თავსაც იმხნევებენ და ბოლომდე გულს არავის უხსნიან. სინამდვილეში რა ხდება მათ გულებში, მხოლოდ იმ ოთახის კედლებმა იციან, სადაც ლევანი და მანანა მარტონი რჩებიან და ერთმანეთთან დასამალიც აღარაფერი აქვთ...

ბუნებრივია, ამ მოკლენასთან დაკავშირებით პროფესიონალის კომენტარით დავინტერესდით. ექიმ-ინფექციონისტ **ლალი შარვაძეს** *მივმართეთ.*

— ქალბატონო ლალი, როგორი რისკის წინაშე იდგა ეს ქალბატონი, როდესაც ბავშვის გაჩენა გადაწყვიტა?

— როდესაც მეუღლეები ინფიცირებულები არიან, არსებობს დიდი რისკი იმისა, რომ ბავშვიც დაავადებული იყოს. მაგრამ არის შანსი, რომ ნაყოფი აბსოლუტურად ჯანმრთელი დაიბადოს, რადგან პლაცენტა ძნელად ატარებს ვირუსს. თეორიულად, ასეთ შემთხვევაში ნაყოფზე აივ-ვირუსის გადაცემის რისკი 30%-ს შეადგენს. გასათვალისწინებელია ისიც, იმყოფება თუ არა დედა ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზე — ე.ი იტარებს თუ არა შიდსის ვირუსის საწინააღმდეგო მკურნალობას. თუ ქალს უტარდება აქტიური მკურნალობა, შესაძლებელია, რისკის ფაქტორი ნულამდეც კი შემცირდეს.

— არსებობს თუ არა იმის გარანტია, რომ ნაყოფის მუცლადყოფნის პერიოდში ჩატარებულმა გამოკვლევამ ასპროცენტიანი პასუხი მოგვცეს?

— დიახ. ამ შემთხვევაში ხდება ანალიზისთვის სისხლის აღება ჭიპლარიდან და დგინდება, არის თუ არა ნაყოფის სისხლის მიმოქცევის სისტემაში ვირუსი.

— ჩაიდება თუ არა ეს ვირუსი ინფიცირებული მშობლების ჯანმრთელი ბავშვის გენეტიკურ კოდში?

— იმ მონაცემებით, რაც დღეს გვაქვს, ეს ვირუსი გენში არ ჩაიდება. მომავალში თუ რაიმე შეიცვლება, არ ვიცი.

— თუ გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნაყოფი ინფიცირებულია და დედა გადაწყვეტს, რომ შვილი არ გაჩინოს, როგორ ხდება ამ საკითხის მოგვარება?

— ჩვეულებრივად, მივა აბორტის გასაკეთებლად. მაგრამ მედპერსონალი აუცილებლად უნდა იყოს გაფრთხილებული, რომ ქალი აივ-ინფიცირებულია. სხვა მხრივ, მშობიარეც, რომელიც ინფიცირებულია, ქალი, რომელიც აბორტს იკეთებს ან რომელსაც ქირურგიული ჩარევა სჭირდება, ისეთივე ჩვეულებრივი პაციენტები არიან, როგორებიც ჩვენ — არაინფიცირებულები.

— თუ არსებობს ჩასახვის ხელოვნური მეთოდი, რომელიც ჯანმრთელი ბავშვის დაბადების ასპროცენტიან გარანტიას იძლევა?

— დიახ, არსებობს. მაგრამ საქართველოში ასეთი მეთოდი დანერგილი არ არის. სულ ახლახან ვიყავი პოლონეთში. იქ შევხვდით ინფიცირებულებს, მათ შორის იყო წყვილი, რომელსაც ჰქონდა შვილის ყოლის სურვილი; ინფიცირებული მხოლოდ მამაკაცი იყო. როგორც გაირკვა, მისი სპერმა უნდა გაწმენდილიყო იმ სითხისგან, რომელიც ვირუსს შეიცავს და ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო განაყოფიერება. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, მხოლოდ მომავალზე — პერსპექტივაზე იყო საუბარი... ■

ცოლის ღალატი ვერ აიტანა და უახლოეს მეგობარს ტყვიით გაუსწორდა

მოგვიანებით, ციხის მეგობარს დანით 63 ჭრილობა მიაყენა

უზენაეს სასამართლოში თბილისელ ლერი კირვალიძეს ასამართლებენ. მას უახლოესი მეგობრის, გია გორგასლიძის განზრახ მკვლელობაში ადანაშაულებენ. როგორც ამბობენ, კირვალიძემ ზურგით მდგარ მეგობარს, რომელსაც წლების მანძილზე ძმას ეძახდა, კეფაში იარაღი დაუმიზნა და ესროლა. ძირს დავარდნილ გორგასლიძეს მან ამის შემდეგ კიდევ ორი ტყვია დაახალა. როცა დარწმუნდა, რომ მოკლა, იქაურობა დატოვა.

ასე გადმოგვცემს პროკურატურა მომხდარ ფაქტს. გამოძიების ცნობით, ლერი კირვალიძემ მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე ჩაიდინა. შეიტყო, რომ ცოლი მას ღალატობდა, მისი საყვარელი კი სწორედ გია გორგასლიძე იყო. მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, კირვალიძემ მეგობარს ცოლის სააბაზანოში შეუსწრო...

განსასჯელი ლერი კირვალიძე

მეგი ცანავა

საქმის გამოძიების პროცესში ლერი კირვალიძემ თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ. პოლიციაში ის თავისი ფეხით მივიდა, თუმცა განაცხადა, რომ ჩადენილი დანაშაულის მიუხედავად, გია გორგასლიძის მკვლელობა იმ დღეს მას განზრახული არ ჰქონია.

სასამართლოსთვის კირვალიძეს ჩვენება ჯერ არ მიუცია. მხოლოდ ის განაცხადა, რომ წარდგენილ ბრალდებებში თავს დამნაშავედ არ ცნობს. თუ რით და როგორ ახსნის ის ჩადენილ დანაშაულს, მომავალში შევიტყობთ. დღეს კი, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით არაერთი ვერსია არსებობს. მათ შორის ის, რომ გია გორგასლიძის მოკვლით კირვალიძეზე მეტად, სხვა უფრო იყო დაინტერესებული...

ლერი კირვალიძეს გია გორგასლიძის გარდა, კიდევ ერთი ადამიანის, ამჯერად, ციხის მეგობრის – კახა ყურაშვილის მკვლელობაც ედება ბრალად. ბრალდების თანახმად, ყურაშვილს მან დანით 63 ჭრილობა მიაყენა. ამ დანაშაულს პროკურატურამ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაცია მისცა.

1970 წელს ღაბადებული ლერი ჯუმბერის ძე კირვალიძე თბილისში, კახიანის ქუჩაზე ცხოვრობდა. 1990 წელს ის მოქალაქე ნინო ქიტიაშვილზე დაქორწინდა და მასთან ორი შვილი – ქალვაჟი შეეძინა. ცოლ-ქმარმა ერთად რვა წელი იცხოვრა. იმავე პერიოდში ლერი კირვალიძე თავისივე უბნელთან, ნახალოვკელ გია გორგასლიძესთან მეგობრობდა. ისინი ოჯახებით იყვნენ დაახლოებულები. გია განსაკუთრებით კირვალიძის მშობლებს უყვარდათ. *„იმ ოჯახში მას თავისი ოთახი და საწოლი ჰქონდა. მამუკას* (იგივე ლერი კირვალიძე. – ავტ.) *დედა იტყოდა ხოლმე – გია ჩემი მეორე შვილია, როცა ჩემთან არიან, ორივეზე ერთნაირად ვზრუნავ, მამუკას ტანსაცმელთან ერთად, გიას ტანსაცმელსაც ვრეცხავ“*, – იხსენებს კირვალიძისა და გორგასლიძის საერთო მეგობარი.

1992-1993 წლებში ლერი კირვალიძე სხვა მოხალისეებთან ერთად, აფხაზეთის ომში იბრძოდა. როგორც ამბობენ, სწორედ იქ შეიძინა მან „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი. იარაღი და საბრძოლო ვაზნები შემდეგ თბილისში ჩამოიტანა და სისტემატურად ატარებდა თან, ან თავის საცხოვრებელ ბინაში ინახავდა.

1998 წელს ლერი კირვალიძეს ოჯახი დაენგრა. ამის მიზეზი ცოლთან გაუთავებელი კონფლიქტები და ჩხუბი გახლდათ, რის გამოც მეუღლეებმა, საბოლოოდ, განქორწინება გადაწყვიტეს. ერთმანეთს გაეყარნენ კიდეც, თუმცა არაოფიციალურად. გაყრის მიუხედავად, ლერი კირვალიძე ცოლ-შვილთან კონტაქტს არ წყვეტდა. ბავშვებს ის ყოველთვის ნახულობდა, ცოლს კი ბინაში, სადაც ის ქმართან გაყრის შემდეგ ცხოვრობდა, ხშირად აკითხავდა. ნინო ქიტიაშვილი შვილებთან ერთად ცალკე, მშობლების მიერ ნაყიდ ბინაში, საბურთალოს ქუჩაზე გადავიდა საცხოვრებლად.

გია გორგასლიძე იმ დროისთვის ნინო ქიტიაშვილთან უკვე დაახლოებული იყო. მან ისიც იცოდა, რომ კირვალიძე ცოლ-შვილს ძველებურად აკითხავდა, თუმცა ამის მიუხედავად, ნინოსთან ინტიმური ურთიერთობა მაინც ჰქონდა. კირვალიძეს არც ცოლი ეუბნებოდა რამეს და არც – მეგობარი. როგორც ამბობენ, ბოლო დროს მათმა ურთიერთობამ დააეჭვა, მაგრამ ამის შესახებ ნინოსთვის ან გიასთვის არაფერი უთქვამს.

2001 წლის 17 აპრილს, დაახლოებით დღის ოთხ საათზე, ლერი კირვალიძემ თავისი უფროსი შვილი – ვაჟი სკოლიდან გამოიყვანა და სახლში – ნინო ქიტიაშვილის ბინაში მიიყვანა. კორპუსთან, ეზოში, მან გია გორგასლიძის კუთვნილი ავტომანქანა დაინახა. ამან კირვალიძეს ეჭვი – ცოლის ღალატის შესახებ, უფრო გაუმძაფრა. ბინაში რომ

შევიდა, ნინომ მას გიას იქ ყოფნის ფაქტი დაუმალა...

ნინო ძიტიაშვილი:

„მამუკა (ლერი კირვალიძე) კიევში გავიცანი. ცოლად მას სიყვარულით გავყევი. ქორწინებიდან 5-6 წლის შემდეგ ჩვენი ურთიერთობა ძალიან დაიძაბა, ხშირად ვჩხუბობდით, რადგან გავიგე, რომ მას საყვარელი ჰყავდა. ამიტომაც დავშორდით ერთმანეთს. გაყრის შემდეგ მამუკა ჩემთან მაინც მოდიოდა. ღამითაც რჩებოდა ხოლმე, თუმცა სისტემატურად არა. იყო შემთხვევები, რომ შევრიგებულვართ. მაშინ მამუკა ჩემთან და ბავშვებთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ ეს შერიგება ორ კვირაზე მეტხანს არ გაგრძელებულა. მერე ისევ ვჩხუბობდით და ვშორდებოდით ერთმანეთს.

გია გორგასლიძე მამუკასგან გავიცანი. ისინი ახლო მეგობრები იყვნენ. გია ჩვენთან ხშირად რჩებოდა. მამუკასთან რომ ურთიერთობა გამიფუჭდა, მას დავუახლოვდი. ეს დაახლოებით სამი წლის წინ მოხდა. იმ დროისთვის ქმრის სახლიდან უკვე წამოსული ვიყავი. მე და გიას ერთმანეთთან ინტიმური ურთიერთობა გვქონდა და ეს ჩემგან ნებაყოფლობით ხდებოდა. ამ კავშირის შესახებ მამუკასთვის არც ერთს არაფერი გვითქვამს. პირადად მე სურვილი არ მქონდა, რამე მეთქვა. შესაძლოა, მამუკას ეჭვი ჰქონოდა ჩვენს ურთიერთობაზე, მაგრამ დარწმუნებული არ უნდა ყოფილიყო.

2001 წლის 17 აპრილს, ჩემი სამსახურიდან მე და გია ერთად წამოვედით. ჩემს ბინაში მივედით. გია საბაზანოში შევიდა, მე მისაღებ ოთახში ვიყავი. ამ დროს მამუკამ ბავშვი მოიყვანა სკოლიდან. ცოტა ხანში მკითხა — ვინ არის საბაზანოშიო? მე ვუპასუხე — ჩემი თანამშრომელია-მეთქი. ამაზე არაფერი უთქვამს, მაგრამ არც მიდიოდა. ალბათ, ეჭვობდა, რომ გია იყო და ამიტომაც დაელოდა, აინტერესებდა, საბაზანოდან ვინ გამოვიდოდა. გიასთვის უკვე ნათქვამი მქონდა, რომ მამუკა მოვიდა და ის იქიდან გამოსვლას არ ჩქარობდა, მამუკას წასვლას უცდიდა.

ბოლოს, რომ არ წავიდა, გია გამოვიდა. მამუკას მისთვის არაფერი უთქვამს. ჩვეულებრივად შეხვდნენ ერთმანეთს, ერთიმეორე გადაკოცნეს კიდეც. გიამ თქვა — საბაზანოში მინდოდა შესვლა და აქ ამიტომაც ამოვედიო. მას ხელში დანა და შპრიცი ეკავა, საიდან მოიტანა, არ ვიცი. ამის შემდეგ გია წავიდა. მაშინ მამუკა მომიბრუნდა, ძალიან გაბრაზებული იყო და ჩხუბი დამიწყო. ნარკოტიკების აქ გაკეთებას მე მიშლი და გიას რატომ აძლევ ამის უფლებასო? ვუპასუხე, რომ არ ვიცოდი თუ გია საბაზანოში ნარკოტიკების გასაკეთებლად იყო შესული. ჩხუბისას მამუკამ ჩემსა და გიაზე ეჭვი გამოთქვა — არ მომწონს თქვენი ურთიერთობაო და სახეში ხელი გამარტყა. მერე დაიმუქრა — თუ დავრწმუნდები, რომ თქვენ შორის ნამდვილად ხდება რამე, ორივეს მოგკლავთო და წავიდა.

ამის შემდეგ გიამ თავად დამირეკა. მამუკამ ხელი რომ გამარტყა, მისთვის არ მითქვამს. მხოლოდ ის ვუთხარი — ძალიან გაბრაზებულია, მგონი ჩვენზე რაღაცას ეჭვობს და ფრთხილად იყავიმეთქი.“

ამ ფაქტიდან მესამე დღეს, 2001 წლის 20 აპრილის, დაახლოებით, საღამოს ცხრა საათისთვის, ლერი კირვალიძე თავის მეგობარ გოგიტა კილაძესთან ერთად, დადიანის ქუჩაზე, გია გორგასლიძის სახლში მივიდა. როგორც თავად კირვალიძე და ასევე მისი მეგობრები აცხადებენ, მათ იმ დღეს საერთო ძმაკაცის — ბაჩუკი ბენდიანიშვილის ნახვა სურდათ. ბენდიანიშვილს გოგიტა კილაძისგან 100 დოლარი ჰქონდა ნასესხები, უნდოდათ გაეგოთ, თუ სად იყო ბენდიანიშვილი და გორგასლიძესთან სწორედ ამ მიზნით მივიდნენ. გია მათ შინ არ დახვდა. შინ მხოლოდ დედამისი, მარინა ჩიხლაძე იმყოფებოდა, რომელმაც შვილის მეგობრებს უთხრა, რომ გია სადღაც ეზოში იქნებოდა, ბაჩუკი კი სად იყო, არ იცოდა. კირვალიძემ და კილაძემ ეზოში გიაც იპოვეს და ბაჩუკიც. რადგანაც ამ უკანასკნელს თანხა თან არ აღმოაჩნდა, კილაძე ვალის გასასტუმრებლად შინ წაიყვანა, ხოლო კირვალიძე, კენჭოშვილი და გორგასლიძე სალაპარაკოდ კორპუსის სადარბაზოში შევიდნენ. საუბრისას გია გორგასლიძემ ლერი კირვალიძეს ცოლთან ჩხუბის გამო შენიშვნა მისცა.

დათო კენჭოშვილი:

„რატომ ეჩხუბე ნინოსო? — შეეკითხა და თან უხეში და უწმაწური სიტყვებით მიმართა მამუკას. მამუკამ უპასუხა — შენ ვინ გეკითხება? ჩემი ცოლია და მინდა, ვიჩხუბებ მასთან, მინდა — არაო. ამაზე გიამ უთხრა — მე და ნინოს ერთმანეთი გვიყვარსო. ეს რომ გავიგონე, მათ საუბარში მაშინვე ჩავერიე. გიას ვუთხარი — რას ამბობ, ბიჭო, აზრზე მოდი, ძმაკაცები არა ვართ? ძმაკაცს ამას როგორ ეუბნები-მეთქი? ამ დროს გიას ხელში იარაღი დავინახე, უცებ მომიტრიალდა და დამიმიზნა. ამ მომენტში გასროლაც გაისმა...“

გოგიტა კილაძე:

„ამ დროს მე მანქანაში ვიჯექი. მამუკასგან, დათოსა და გიასგან დაახლოებით ხუთი-ექვსი მეტრით ვიყავი დაშორებული. ვხედავდი, რომ ერთმანეთში საუბრობდნენ. უცებ ყვირილი მომესმა, დათო კენჭოშვილი ყვიროდა. დავინახე გიაც, იმავე წუთში გასროლის ხმაც გაისმა და გია წაიქცა. სწორედ მაშინ დავინახე, რომ მამუკას ხელში იარაღი ეჭირა, იმავე წამს მივარდა დავარდნილ გიას, რომელსაც ასევე ეკავა ხელში რევოლვერი. აართვა მას ეს იარაღი და კიდევ ორჯერ ესროლა.

კენჭოშვილი გაშეშებული იდგა და უყურებდა. მერე ორივენი, დათოც და მამუკაც გაიქცნენ“.

თავად **ლერი კირვალიძემ** მკვლელობის მომენტი გამომძიებელს ასე წარმოუდგინა:

„გიამ მითხრა – მე და ნინოს ერთმანეთი გვიყვარს და ინტიმური ურთიერთობა გვაქვსო. მერე უწმაწური სიტყვებით დაამატა, რომ თუ არ გავჩერდებოდი, ჩემთანაც დაამყარებდა ინტიმურ კავშირს. იმავე წამს კენჭოშვილმა უთხრა გიას – შეეწყვიტა მეგობრებისთვის შეუფერებელი საუბარი. გორგასლიძემ კენჭოშვილსაც უხეშად უთხრა – ეს შენი საქმე არ არის, ჩვენს ლაპარაკში შენ ნუ ერევიო და თან „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი მიუშვირა მას“. ამ მომენტში, როგორც კირვალიძემ აღნიშნა, გორგასლიძე მისკენ ზურგით დადგა, კირვალიძემ კი, როცა დაინახა, რომ გორგასლიძე პისტოლეტს კენჭოშვილს უმიზნებდა, იფიქრა, გაისვრისო და თავისი „მაკაროვის“ პისტოლეტიდან მას კეფის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. გორგასლიძე მაშინვე ძირს დაეცა. კირვალიძემ ძირს დავარდნილს „ნაგანის“ რევოლვერი აართვა და ამჯერად იქიდან ესროლა მას ორი ტყვია მარცხენა მხრის არეში. გია გორგასლიძე მაშინვე გარდაიცვალა.

კირვალიძე, კენჭოშვილთან ერთად, შემთხვევის ადგილიდან გაიქცა და მიიმალა. მაკაროვის პისტოლეტი და გორგასლიძის კუთვნილი „ნაგანის“ რევოლვერი, როგორც თავად ამბობს, მან მტკვარში გადაყარა.

4 ივლისს კირვალიძე გლდანი-ნაძალადევის რაიონულ პოლიციაში ბრალის აღიარებით გამოცხადდა. მისი ინტერესების დამცველი ადვოკატები დღეს აცხადებენ, რომ მკვლელობა კირვალიძეს განზრახ და წინასწარ გააზრებულად არ ჩაუდენია. მათი თქმით, ის დანაშაულის ჩადენის მომენტში აფექტურ მდგომარეობაში იყო.

იასონ ბესელია, ადვოკატი:

„პროკურატურის მასალებში, სამწუხაროდ, მკვლელობა სრულყოფილად და დეტალურად არ არის აღწერილი. ამ შემთხვევაში კირვალიძისა და გორგასლიძის, ასევე კენჭოშვილის ყოველ მოქმედებას და მოძრაობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, გამომძიებელმა კი მკვლელობის მომენტი ზედაპირულად აღწერა. გია გორგასლიძემ ლერი კირვალიძეს წარმოუდგენელი შეურაცხყოფა მიაყენა და საშინლად დაამცირა. წარმოიდგინეთ, როგორი ასატანი იქნებოდა კირვალიძისთვის იმის გაგება, რომ მისი ორი შვილის დედას, მის საუკეთესო მეგობართან ჰქონდა სასიყვარულო ურთიერთობა. გორგასლიძემ მას ეს დარტყმა არ აკმარა და უხამსი სიტყვებით კირვალიძის თავმოყვარეობა კიდევ უფრო შელახა. იმავდროულად ხდება ისიც, რომ გორგასლიძემ იარაღი კენჭოშვილს მიუშვირა. სწორედ იმწამს, უზომოდ შეურაცხყოფილი კირვალიძე საკუთარ თავზე კონტროლს კარგავს, მეტისმეტად აღელვებული იარაღს იღებს და გორგასლიძეს ესვრის“...

თუმცა, არიან ექსპერტები, რომლებიც ადვოკატს არ ეთანხმებიან. მათი თქმით, კირვალიძე, ვისაც იარაღი ყოველთვის ჯიბეში ედო, რამდენიმე დღით ადრე, გორგასლიძეს ცოლის ბინაში სრულიად მოულოდნელად წაადგა თავს, თუმცა საყვედურის ნაცვლად, მშვიდად გადაკოცნა იგი და იქიდან ყოველგვარი ინციდენტის გარეშე გაუშვა. მათივე დასკვნით, მკვლელობის დეტალების გათვალისწინებით და მოწმეთა ჩვენებების მიხედვით, კირვალიძე არ შეიძლებოდა აფექტურ მდგომარეობაში ყოფილიყო. ექსპერტთა მტკიცებით, ამას კირვალიძის თანამიმდევრული მოქმედებებიც მოწმობს – პირველი გასროლის შემდეგ ძირს დავარდნილ გორგასლიძეს მან იარაღი აართვა და კიდევ ორჯერ ესროლა... ექსპერტთა ნაწილი ამ შემთხვევაში კირვალიძის აფექტურ მდგომარეობას არ გამორიცხავს. სასამართლო ექსპერტთა ორივე ჯგუფის დაკითხვას აპირებს.

მკვლელობის დროს კირვალიძის აფექტში ყოფნას არც დაზარალებული – დაღუპულის დედა იზიარებს. თუმცა, ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით, ძას სრულიად განსხვავებული ვერსია აქვს.

მარინა ჩიხლაძე, გია გორგასლიძის დედა:

„მართალია, ჩემს შვილს ნინო ქიტიაშვილთან ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ ამის შესახებ მთელმა უბანმა იცოდა და ეს არავისთვის ახალი ამბავი არ უნდა ყოფილიყო, მათ შორის, ლერი კირვალიძისთვისაც. მას ჩემი შვილის მოკვლა ამის გამო რომ ნდომოდა, გაცილებით უფრო ადრე ეცდებოდა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ მკვლელობის მიზეზი სულ სხვა რამაა. თუმცა, ზუსტად რა, დღემდე ვერ გამიგია. თანაც, გიას კეფის არეში კირვალიძემ კი არა, კენჭოშვილმა ესროლა. ამის მოწმეებიც არიან. მართალია, ისინი ჯერ არ ჩანან, მაგრამ სასამართლოზე ყველაფერს იტყვიან. კენჭოშვილი იარაღს სისტემატურად ატარებდა. მკვლელობამდე სამი თვით ადრე, ის პისტოლეტით ხელში შინ შემომივარდა. ის და მისი ძმაკაცები მეზობლის ბინას ძარცვავდნენ. ვილაცებს პოლიციაში დაურეკავთ და კენჭოშვილი გამოქცეულა. სურდა ჩემთან შეეფარებინა თავი. გიას, კირვალიძემაც ესროლა, მაგრამ კენჭოშვილი არანაკლებაა დამნაშავე. ჩემი შვილი იარაღით არსად დადიოდა, მიუხედავად იმისა, რომ უფროსი ვაჟი ორგანოს თანამშრომელი მყავს და იარაღი შინ ყოველთვის გვედო...“

გია გორგასლიძე ნარკოტიკულ ნივთიერებებს ხმარობდა. ამის გამო, ის აღრიცხვაზეც იყო აყვანილი. როგორც ამბობენ, ამ მიზეზით პოლიციასთან პრობლემა არაერთხელ შეჰქმნია და ამიტომაც ყოველთვის ცდილობდა მათთვის საბაბი არ მიეცა, იარაღის ტარებასაც ამის გამო ერიდებოდა. რაც შეეხება დაზარალებულის ვერსიას, დათო კენჭოშვილი, ისევე როგორც შემთხვევის ადგილას მყოფი მისი მეგობრები, მას კატეგორიულად უარყოფენ.

მომხდარის გამო დაპატიმრებული კირვალიძე, 19 ივლისს სასჯელთაღსრულების მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს. იქ ის მეორე სართულზე, №17 პალატაში მცხოვრებ ქურდული ტრადიციების მიმდევარ პატიმარს – კახა ყურაშვილს დაუახლოვდა.

2001 წლის პირველ სექტემბერს ლერი კირვალიძემ კახა ყურაშვილი მოკლა. ამ უკანასკნელის გვამი მისსავე პალატაში დანით აჩეხილი იპოვეს. მოკლულის სხეულზე 63 ჭრილობა დააფიქსირეს. ლერი კირვალიძემ პროკურატურის წინაშე ეს მკვლელობაც აღიარა.

„აწ გარდაცვლილი კახა ყურაშვილი ყაჩაღობისთვის გახლდათ მსჯავრდებული. №17 პალატაში მომხდარი მკვლელობის შესახებ, „გზის“ მომავალ ნომერში მოგითხრობთ. ■

„გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა“

ახალი საბანკო სერვისი დანერგა

მაია ლილუაშვილი

„გქბ“-ს გენერალური დირექტორი ირაკლი კოვზანაძე

დისტანციური საბანკო მომსახურება ქართულ საბანკო ბაზარზე ახალი პროდუქტია, როგორც ფორმით, ისე შინაარსით. იგი გულისხმობს კლიენტთა უფასოდ მომსახურებას ბანკში მისვლის გარეშე – ტელესაკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით და მოიცავს კავშირს ბანკთან ღილაკიანი ტელეფონის აპარატის, მობილური ტელეფონის, ფაქსის, კომპიუტერის ელექტრონული ფოსტის და ინტერნეტის მეშვეობით. რამდენიმე წამყვან ბანკს საქართველოში უკვე დანერგილი აქვს ინტერნეტ-ბანკის სერვისი. თუმცა, მომხმარებლისათვის მაშსტაბური და სრული დისტანციური მომსახურების შეთავაზების საქმეში „გაერთიანებული ქართული ბანკი“ სამართლიანად უნდა ჩაითვალოს მოწინავედ და პიონერად.

ბანკის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი კოვზანაძემ ჩვენთან საუბარში „გქბ“-ის დისტანციური საბანკო მომსახურების რამდენიმე უპირატესობაზე გაამახვილა ყურადღება. „მნიშვნელოვნად მიმაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ამ სისტემით სარგებლობა კლიენტურისათვის უფასოა. ისიც აღსანიშნავია, რომ დისტანციური მომსახურებით სარგებლობა შეუძლია ჩვენი ბანკის ნებისმიერ კლიენტს, იმის მიუხედავად, ანგარიში სად აქვს გახსნილი – სათავო ბანკში თუ სისტემის ნებისმიერ ფილიალსა თუ სერვის-ცენტრში. ამგვარი მასშტაბის დისტანციური საბანკო მომსახურების პრაქტიკა, ფაქტობრივად, პირველად ინერგება ქართულ საბანკო სისტემაში“, – განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

ახალი სერვისის საშუალებით კლიენტურას საშუალება ეძლევა მისთვის მოსახერხებელი რომელიმე ელექტრონული საშუალებით ოპერატიულად და ეფექტურად აწარმოოს თავისი საფინანსო საქმეები. მათ შორის, კონვერსიის ოპერაციები, ანგარიშების მართვა, თუ კომუნალური და სხვადასხვა გადასახადის გადახდა.

თავად პრეზენტაცია, რომელიც სასტუმრო „მერიოტის“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა, საკმაოდ მასშტაბური და შინაარსიანი გამოდგა. „გაერთიანებული ქართული ბანკის“ დისტანციური საბანკო მომსახურებით ქართული ბიზნეს და საფინანსო ელიტის პრაქტიკულად სრული სპექტრი დაინტერესდა. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის ეკონომიკური ფაკულტეტების ხელმძღვანელები, ქართველი და უცხოელი ბიზნესმენები, ქვეყნის საფინანსო ინსტიტუტების საზოგადოებისთვის ცნობილი წარმომადგენლები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს დისტანციური საბანკო მომსახურების შესახებ სპეციალურად შექმნილ საპრეზენტაციო ვიდეომასალას. ამ მასალის მეშვეობით დეტალურად იყო ახსნილი სისტემის მუშაობის პრაქტიკული მექანიზმები.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ირაკლი მანაგაძემ აღნიშნა, რომ დისტანციური საბანკო მომსახურების პრაქტიკაში დამკვიდრება ქვეყნის საბანკო სისტემის მართებულად და დინამიკურად განვითარების დასტურად მიაჩნია.

უცხოურ ბანკებში დისტანციური მომსახურება ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნიათ, ჩვენში კი ასეთი სახის მომსახურება სიახლეა და ცხადია, მისასალმებელია, როგორც თითოეული ბანკისათვის, ისე მთლიანად საბანკო სისტემისათვის. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს თავისთავად მოითხოვს ქვეყანაში საკომუნიკაციო, მათ შორის, ინტერნეტის სფეროს განვითარებას. „გაერთიანებულ ქართულ ბანკში“ აცხადებენ, რომ ბანკი გაისად უფრო „ამბიციურ პროექტებს“ გეგმავს კლიენტების უკეთ მომსახურების მიზნით.



ნათია თენიეშვილი

„ვერ უოფილა ამთ�sp ჯერჯერ, თაზო თუ ჯავრო...“

„50 ფილმში ვარ გადაღებული, მაგრამ არც ერთს არ ახსენებს არავინ, მარტო „ღიმილის ბიჭები“ ახსოვთ. პოპულარობის თვალსაზრისით, დიდი როლი ითამაშა ამ ფილმმა ჩემს ცხოვრებაში,“ — მითხრა მსახიობმა თაზო თოლორაიამ. ბატონი თაზო სკოლაში ჩვეულებრივი, „სამოსანი“ მოსწავლე ყოფილა. მე-9 კლასში იყო, როცა „ცისკრის ზარებში“ გადაიღეს. ამას მოჰყვა „ღიმილის ბიჭები“. „ბოლო ორი წელი სკოლაში არ მივლია. ისე მომცეს ატესტატი. ვის ეცალა ამ დროს სკოლისთვის?!“ — ამბობს მსახიობი. ბატონი თაზოს მამა — მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი კოტე თოლორაია, თურმე საოცრად ანებივრებდა და ათამამებდა ერთადერთ ვაჟს. ბატონ თაზოსაც ერთადერთი ქალიშვილი ჰყავს — 19 წლის თაკო. ის პირველი „ბასტიბუბუელია“ და ამასთანავე, ბავშვობიდან მოყოლებული დღემდე, ბევრი როლი აქვს შესრულებული კინომსახიობის თეატრის სცენაზე. მიუხედავად ამისა, თაკომ არ აირჩია მამის პროფესია და ამჟამად ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლობს. მამა-შვილი ძალიან დიდი მეგობრები არიან და პატარ-პატარა საიდუმლოებებიც აქვთ, მაგრამ თურმე ხშირად კამათობენ კიდეც, ძირითადად — ხელოვნებაზე. ბატონი თაზო ხასიათით ცოტა ბუზღუნა ყოფილა. სწორედ ამის გამო შეურქმევიათ თეატრში მისთვის — თაზო უკმაყოფილო...

თაზო თოლორაია:

— მამაჩემი უნიკალური პიროვნებაა. ის გიჟი მამა იყო, დღემდე დადის ლეგენდები მასზე. არა ხარ ნორმალურიო, — ეუბნებოდნენ. დედის ფუნქციები თავის თავზე ჰქონდა აღებული და ყველაფერს ის მიკეთებდა: დილით ის მაღვიძებდა, მასაუზმებდა, მაცმევდა და სკოლაში მივყავდი. სკოლიდან თეატრში მივდიოდი, დავყავდი სპორტზე და ა.შ. ჩვენ ძმაკაცებივით ვიყავით. კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ და ამაში ძალიან დავემსგავსე მამას. მთლად ისეთი გადარეული არა, მაგრამ დაახლოებით ისეთივე ვარ თაკოსთვის, როგორიც მამა იყო ჩემთვის. მოკლედ, არც მე ვარ „დალაგებული“ მამა. მე და თაკო ძალიან ვმეგობრობთ.

— თაკო, მართლა ყველაფერს ეუბნები ბატონ თაზოს?

— კი, შეიძლება დედა გამიბრაზდეს, მამა კი არასდროს მიბრაზდება. არასდროს დავუსჯივარ, პირიქით — ჩემი დამცველია.

თაზო:

— მოდის და მეუბნება: დედას უთხარი, გამიშვასო. მეც ვუწყობ საქმეს — მოდი, ახლა გავუშვათ-მეთქი...

თაკო:

— 11 წელი, მამა დგებოდა დილით, მაღვიძებდა, მაჭმევდა და მივყავდი სკოლაში. დედას ამ დროს ეძინა ხოლმე. პრინციპში, სკოლაში როგორ დავდიოდი, არც კი გაუგია.

— თაკო, როგორც ვიცი, შენ ბავშვობიდან თამაშობდი სხვადასხვა სპექტაკლში. მიუხედავად ამისა, მსახიობი არ გახდი. რატომ? ბატონი თაზო ხომ არ იყო წინააღმდეგი?

— 6 წლიდან ვთამაშობდი სპექტაკლებში. ყველაფერი შევიცანი, შევეჩვიე და მერე აღარ მომინდა. ტექნიკურ უნივერსიტეტს რომ დავამთავრებ, მერე შეიძლება, ჩავაბარო კიდეც სამსახიობოზე.

თაზო:

— მე არ ვყოფილვარ წინააღმდეგი, რომ თაკო მსახიობი გამხდარიყო. თუ ნიჭი გაქვს, ამაზე კარგი პროფესია არ არსებობს. თუ უნიჭო ხარ, მაშინ უბედურებაა. ისეთი ჩათრევა იცის, ვერც მოეშვები... თაკოში ნიჭს ვხედავ, ამაში მე არ შევცდები, მაგრამ მან არ მოისურვა და ხომ არ დავაძალებდი.

— თაკო, რაში გიშლის ხელს და რაში გეხმარება ის, რომ ცნობილი მსახიობის შვილი ხარ?

— ხელს მიშლის-მეთქი, ვერ ვიტყვი, დახმარებით კი ძალიან მეხმარება.

თაზო:

— ხელს რაში უნდა უშლიდეს? მოვა და მეტყვის: ის ჩათვლა ვერ ჩავთვალე, ის გამოცდაო, — და ა.შ. მე მივდივარ ლექტორებთან; დამინახავენ თუ არა, მეუბნებიან: ბატონო თაზო, რაზეა ლაპარაკი?! — ჩათვალეთ, რომ ჩათვლილი აქვსო... — და ა.შ. *(იცინის).*

თაკო:

— სულ ორჯერ იყო ასეთი შემთხვევა. ვიცი, რომ არ არის სწორი ეს საქციელი, მაგრამ არაფრით მიწერდნენ ნიშანს და სხვა რა გზა მქონდა?!

— ბატონო თაზო, „ღიმილის ბიჭების“ წყალობით, დღესაც ძალიან პოპულარული ხართ, მაგრამ რა ხდებოდა მაშინ, როცა ფილმი ახალი გამოსული იყო?

— 18 წლის ვიყავი, როცა ფილმი გამოვიდა. ეს იყო бешеная популярность. ქუჩაში ხალხი ჩერდებოდა და ღიმილით გვაცილებდა. მარტო მე კი

არა — ხუთივე ბიჭს. უზარმაზარი წარმატება გვქონდა. იმ ხუთიდან მარტო მე გავხდი მსახიობი. თან, დასამახსოვრებელი სახე მაქვს. ერთად რომ გავდივართ ქუჩაში მე, კახა ქორიძე და მიხო ბორაშვილი, ჩემ გარდა, ვერავის ცნობენ. ოღონდ, რატომღაც ბოლოკას მეძახიან: ე, ბოლოკა მოდისო!.. ამ დროს, მე ლევანს ვთამაშობ. ბიჭები ხშირად აღნიშნავენ — ე.ი. ჩვენ არ გვითამაშია ამ ფილმშიო. ამას წინათ, ბაზარში ერთმა მოხუცმა ქალმა მითხრა: შვილო, შენ ცოცხალი რახან გნახე, ფულს როგორ გამოგართმევო?!.

— თაკო, შენ თუ მოგწონს ეს ფილმი?

— ძალიან მომწონს. მახსოვს, პირველად რომ ვუყურე, ბევრი ვიტირე და ძალიან განვიცადე ის სცენა, სადაც მამას გმირს კლავენ.

— ხშირად კამათობთ ხოლმე?

— კი, ძალიან ხშირად ვკამათობთ, მაგრამ უფრო ხშირად ვიცინით და ვმაიმუნობთ ხოლმე.

— ბატონო თაზო, ოჯახში რალაცების გაკეთება გეხერხებათ?

— შეხერხება და თანაც ძალიან კარგად. ჩემს სახლში რემონტი ჩემი ხელით მაქვს გაკეთებული — მარჯვე ვარ მაგ საქმეში.

თაკო:

— ...მაგრამ ყველაზე კარგად მაინც ჭურჭლის რეცხვა ეხერხება.

— მართლა, ბატონო თაზო?

— მიყვარს — არა, მაგრამ ვეხმარები ხოლმე მეუღლეს.

თაკო:

— ჩვენ იმიტომ დავასკვენით, უყვარსო, რომ ვერ დაასწრებ თეფშის გარეცხვას...

თაზო:

— არ შეიძლება, კაცი შენს ოჯახს არ ამოუდგე მხარში და არ დაეხმარო მეუღლეს. თუ ვინმეს ჩემს კაცობაში შეეპარება ეჭვი, მოვიდეს და დაველაპარაკები. არ მესმის, რატომ არ უნდა მივეხმარო ცოლს.

— თაკო, ბატონი თაზოს ნაკლი რა არის?

— ბუზღუნაა. შეუძლია, ძალიან უმნიშვნელო და პატარა რამეზე იბუზღუნოს. წყნარად ზის და უცებ დაიწყებს ყვირილს. აღვილად შეუძლია ადამიანი დააყენოს ცუდ ხასიათზე და ასევე ადვილად შეუძლია — გაგახალისოს. იბუზღუნებს, მერე უცებ, კარგ ხასიათზე დადგება და მთელი ოჯახი ვართ აწყობილი თაზოზე.

— ბატონო თაზო, თაკოს თუ აქვს რაიმე ნაკლი?

— ხასიათში, მე მგონი, არა აქვს ნაკლი. ცოტა მოუწესრიგებელია: შემოვა სახლში, პალტოს აქეთ დააგდებს, ჟაკეტს — იქით, ფეხსაცმელებსაც სადღაც დაყრის და წავა...

— მერე ვინ ალაგებს ამ ყველაფერს?

— მე და დედამისი... ეგაა მისი ნაკლი, თორემ ხასიათით გადასარევი გოგოა. კეთილშობილი ბუნება აქვს. ნაზია და ქალური.

— თქვენ თვითონ წესრიგის მოყვარული ხართ?

— გაგიკვირდებათ და — კი. ეს ალბათ დედისგან გამომყვა. სანამ კინოში მოვხვდებოდი, სულ შინ ან ეზოში ვიყავი. დიდი ქუჩის ბიჭი არ ვყოფილვარ. დედისაგან გამომყვა ის, რომ სიკოხტავე მიყვარს. ოჯახის კაცი ვარ. არ მეგონა, ასეთი ერთგული თუ ვიქნებოდი, ასე თუ მოვუვლიდი და ვიზრუნებდი სხვაზე. თვითონ მე ყოველთვის მპატრონობდნენ. 18 წლის ასაკში დიდი პოპულარობა მოვიპოვე — მცნობდნენ და ა.შ. გატუტუცებული ვიყავი. როცა ოჯახი შევქმენი, მერე დავიჭირე ჩემი თავი იმაში, რომ თურმე, ოჯახის კაცი ვყოფილვარ.

— მსახიობი რომ არ გამოსულიყავით, ვინ იქნებოდით?

— ისევ მსახიობი. მსახიობის მეტი ჩემგან არაფერი გამოვიდოდა. ახლა უფრო და უფრო ვრწმუნდები ამაში. მარჯანიშვილის თეატრში ჯერ კიდევ ფეხის ადგმამდე დავყავდი ჩემს მშობლებს. საგრიმიორო ოთახში ქალები მიგლიდნენ. როცა ბავშვობიდან უყურებ ჟორჟოლიანს, კვანტალიანს, შავგულიძეს, ზაქარიაძეს — ასეთ ბუმბერაზ ხალხს, — არ შეიძლება, მსახიობი არ გახდე. თანაც, ეტყობა, ღვთის წყალობით, მთლად უნიჭო არა ვარ და... თუმცა, ბავშვობაში ძალიან მინდოდა, ძლიერი ქირურგი ვყოფილიყავი. სასწაულია, როცა შეგიძლია, სიცოცხლე შეუნარჩუნო ადამიანს.

— თაკო, ბატონი თაზოს ყველაზე დადებითი თვისება რა არის?

— იუმორი. როცა სახლში დაძაბულობაა, თავისი იუმორით ყოველთვის ახერხებს სიტუაციის განმუხტვას. ყველაზე მეტად ეს მომწონს.

თაზო:

— იუმორი არის მთავარი ამ ცხოვრებაში. ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ მარტო იუმორი თუ გამოგიყვანს მდგომარეობიდან. ერთხელ, ფრუნზიკ მკრტჩიანმა მითხრა: თაზოჯან, единственный выход в этой жизни – это юмор. Надо всё время дурака валять.

— ბატონო თაზო, თუ გახსოვთ, ბოლოს როდის იჩხუბეთ?

— საერთოდ, იშვიათად ვჩხუბობდი. 33 წლის ვიყავი, ბოლოს რომ ვიჩხუბე. მოსკოვში ვიყავი, გაიდაი მიღებდა ფილმში. რესტორანში, სუფრასთან ვისხედით. ერთმა რუსმა ცოტა ცუდად დაიწყო ლაპარაკი ქართველებზე. რა თქმა უნდა, მე გინება არ დავაკელი. იმან ბოთლს წამოავლო ხელი, მაგრამ მეორემ დაიჭირა და წაართვა. მე ნასვამი ვიყავი. რას ჰქვია, ბოთლის დარტყმას მიპირებდი-მეთქი?! მოვუარე მაგიდას და კარგად ვჭეჭე. ძალიან იშვიათად ვჩხუბობდი, არა ვარ მე მოჩხუბარი კაცი.

— თაკო, მამას ყველაფერს ვეუბნებიო, თქვი. შეყვარებულის შესახებაც მოუყვები?

— ახლა არ მყავს შეყვარებული. როცა მეყოლება, მოვუყვები.

თაზო:

— ვიცი, რომ მომიყვება. მე, რა თქმა უნდა, დავიზაფრები, მაგრამ რას ვეტყვი? არ გიყვარდეს-მეთქი, ხომ ვერ ვეტყვი? ბუნებრივია, ვიღაცა უნდა უყვარდეს და ვიღაცას კიდევ, ეს უნდა უყვარდეს, მაგრამ ის ბიჭი მაინც უნდა ვნახო, შორიდან მაინც უნდა შევხედო *(იცინის)*. რა არის, იცით? ცხოვრება რასაც მოიტანს, იმას უნდა შეეგუო.

— ერთად ბევრ დროს ატარებთ ხოლმე?

თაზო:

— ეს ბავშვობიდან ჩემზე იყო მოწებებული. სულ ჩემთან იყო. ახლა, ასაკი რომ მოემატა, ეს ბოლო ორი წელია, ვეღარ ვერევი. ესეც გასაგებია. 19 წლის არის, თავისი მეგობრები ჰყავს, თავისი წრე აქვს და გართობა უნდა. მე ცოტათი გული მეთანაღრება, მაგრამ რას იზამ? — ასეთია ეს ცხოვრება.

P.S. საუბრის ბოლოს, ბატონმა თაზომ გაიხსენა: „თაკო რომ დაიბადა, ჩვენი თეატრის დირექტორი ეროსი მანჯგალაძე იყო. უთქვამს: თაზოს გოგო გაუჩნდა, ისეთი კარგი, ისეთი კარგი — სულ თაზოს ჰგავსო. — აბა, ვერ ყოფილა მთლად კარგი ბავშვი, თაზოს თუ ჰგავსო... — უპასუხია ეროსის...“ ■



ერთად რომ გავდივართ ქუჩაში მე, კახა ქორიძე და მიხო ბორაშვილი, ჩემ გარდა, ვერავის ცნობენ



რისკიანმა ადვოკატმა, ეკა ბესელიამ ოცნება აისრულა და დაბადების დღეზე საკუთარ თავს ვერცხლისფერი „მერსედესი“ აჩუქა. მალე ის, თვალსა და ხელს შუა ისე ააცალეს, რომ ხმაც არ გაუგონია. თუ რა ბედი ეწია იმ მანქანას, რომლითაც ეკას უამრავი პატიმარი ჰყავს კოლონიებიდან გამოყვანილი, ინტერვიუდან შეიტყობთ...

საღამოობით, როცა ქალაქის ქუჩები შედარებით განტვირთულია, ეკა თავის ათი წლის ვაჟთან ერთად სანაპიროზე სეირნობს. რატი და ეკა შესანიშნავად უგებენ ერთმანეთს. მათ ერთადერთი პრობლემა აქვთ: ცოტა დრო რჩებათ ერთად ყოფნისთვის. დილით რატი ეკას სკოლაში მიჰყავს, მერე სამსახურში მიდის და მთელი დღე პატიმართა საქმეებს ჩაჰკირკიტებს. მას სწორედ სამსახურში ვესტუმრეთ. ენაწყლიანმა რესპონდენტმა მანქანასთან თავისი დამოკიდებულების შესახებ ბევრი საინტერესო ამბავი მოგვითხრო.

ავტოინსპექტორებმა იციან, როგორი დასამორჩილებელი ქალია ეკა ბესელია

ლელა ჭანკოტაძე

— ეკა, როდის და როგორ გაჩნდა შენს ცხოვრებაში ავტომანქანა?

— სკოლაში სწავლის დროს, ისეთი ქალაბიჭა ვიყავი, ცხადია, მანქანებისკენ სწრაფვაც მექნებოდა. ჩემი მასწავლებელი მამა აღმოჩნდა. მას მანქანა ჰქონდა და მართვაც მასწავლა. საკუთრად პირველი ავტომანქანა, ჭაობისფერი „ბე-ემ-ვე“ მყავდა, რომლის შეძენაც საინტერესო ამბავთან არის დაკავშირებული. ამ მანქანის მფლობელი გახლდათ ჩემი უახლოესი მეგობარი, რომელიც გარდაიცვალა, რის შემდეგაც მანქანა გაიყიდა. ის საჩხერეში მცხოვრებმა ორმა ძმამ შეიძინა. მოხდა უცნაური რამ: სიზმარში გარდაცვლილი მეგობარი გამომეცხადა და მითხრა, — ჩემი მანქანა წაიყვანეო. მერე მსგავსმა სიზმრებმა სისტემატური ხასიათი მიიღო. არადა, მანქანის ყიდვას არ ვაპირებდი. მაინც გადავწყვიტე, ამ საკითხზე მეფიქრა. ერთ დღესაც, ეს მანქანა ჩემს სახლთან გაჩერებული დავინახე. მისი ახალი მფლობელი ჩემი მეზობლის მეგობარი აღმოჩნდა. მივედი მასთან და ვუთხარი: თუ გაყიდვას დააპირებ, დამიკავშირდი და აუცილებლად შევიძენ-მეთქი. რამდენიმე თვეში მართლაც დამირეკა: დაჭერილი ვარ, დახმარება მჭირდება და მანქანასაც ვყიდიო. ჩავედი საჩხერეში. თურმე ავარია მოუხდენია და ის „ბე-ემ-ვე“-ც დაუმტვრევია. რა თქმა უნდა, პატიმრობიდან დავიხსენი და მანქანაში ფულიც გადავუხადე.

— არ გაჩუქა?

— არა. საჭირო თანხა სრულად არ მქონდა. ჯერ ნახევარი მივეცი, დანარჩენი ნახევარი კი, ნაწილ-ნაწილ გადავუხადე. სხვათა შორის, იმ მანქანით ორი ავარია მომივიდა, ერთ-ერთი საკმაოდ გახმაურდა კიდეც. ვფიქრობ, რომ ეს ავტოავარია შემთხვევითი არ იყო და აი, რატომ: მაშინ დუშეთის ბატალიონის მეთაურს, გელა გელაშვილს (მეტსახელად ყაჩაღას) ვიცავდი და სერიოზული დაპირისპირება მქონდა უშიშროების სამინისტროსთან. პროცესი დუშეთში მიმდინარეობდა. მივხვდი, რომ საშიშ საქმესთან მომიხდა შეხება. პროცესზე დავკითხეთ უშიშროების ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, რომელიც ჩიხში მოექცა. სიტუაცია ძალიან დაიძაბა. პროცესიდან რომ წამოვედი, პროკურორი დამეგზავრა, მთხოვა: თბილისამდე წამიყვანეო. მანქანაში იჯდა ჩემი მეგობარიც, ადვოკატი ლილი გელაშვილი. დიღომში რომ შემოვედით, იქ, სადაც გზა ორად იყოფა, მანქანა გავაჩერე. უცბად გამოვარდა „ბეეი“ ფერის „ჟიგული“ და ჩვენს მანქანას ჩემი მხრიდან შეეჯახა, თან ისე ძლიერად, რომ მანქანას მთლიანად მოაგლიჯა ცხვირი. სასწაულებრივად გადავრჩი. პროკურორი ისე ცუდად გახდა, რომ ნახევარი საათის განმავლობაში ვასულიერებდით. დამტვრეული მანქანა რომ შევაკეთე და პროფილატორიუმიდან გამოვიყვანე, მაშინვე ვაკეში ვიღაც ახალგაზრდები დამეჯახნენ. თან მისაყვედურეს: თქვენი ბრალია — როგორ მოძრაობთო?!. მე კი მშვიდად მივუგე: ბიჭებო, საბუთები მომეცით-მეთქი. წამოვიყვანე ადვოკატურაში და მერე შემიკეთეს მანქანა.

— შენი პროფესია სულ რისკთან არის დაკავშირებული. არ გეშინია საღამოობით მანქანით მარტო მოძრაობისა?

— ბუნებით მშიშარა არ ვარ და ეს საჭესთანაც სრულ თავისუფლებას მანიჭებს. არ მეშინია და არ ვიბნევი. ისეთ სიტუაციებშიც კი, როგორიდანაც პროფესიონალ მძღოლს თავის დაღწევა გაუჭირდებოდა, მე იოლად მომიხდენია ყურადღების კონცენტრირება და „გამოვმძვრალვარ“. ამის წყალობით ბევრი სერიოზული ავარია ამიცილებია თავიდან. სხვათა შორის, როცა ძალოვან მინისტრებს ვუპირისპირდებოდი, მომივიდა ინფორმაცია, რომ მანქანაში ყოფნისას უნდა მომსვლოდა ინციდენტი, ამიტომ მანქანით სიარული მაშინ ჩემთვის ძალიან საშიში იყო. თავდაცვის მექანიზმი, რომელიც ამის საწინააღმდეგოდ ავამუშავე, ის გახლდათ, რომ ეს ინფორმაცია გავავრცელე. თორემ, მე არ ვარ ისეთი ტიპი, მანქანის სარკეში რომ ვიყურებოდე და წამდაუწუმ ვაკონტროლებდე, უკან ვინ მომყვება... მანქა-

ნა რომ ვიყიდე, მაშინვე ჯვრის მონასტერში წავედი, სადაც მოძღვარი მყავს. მამა კონსტანტინემ მიკურთხა მანქანა. სალონში მიდევს იერუსალიმიდან ჩამოტანილი ფსკვნილი და მეუფის ნაჩუქარი ხატი. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ რაც არ უნდა შემემთხვევა, დაღუპვას გადავურჩები. ზედმეტი ყოფითი შიშები არ მაწუხებს. რაც გარდაუვალია, ის ნამდვილად მოხდება...

— არ გიჭირს გამუდმებით საცობებით სავსე ქალაქში მოძრაობა?

— ძალიან. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, რომ თბილისში მანქანით მოძრაობა საერთოდ არ შეიძლება. მაგრამ ალტერნატიული ტრანსპორტი არ არსებობს. პირველად რომ მივუჯექი საჭეს, მინდოდა, რუსთაველამდე მივსულიყავი, მაგრამ ვერაფრით მოვახერხე — ვერც ერთი გზით დანიშნულების ადგილამდე ვერ მივაღწიე. არ ვიცოდი ქალაქში მოძრაობა. ისე გავმწარდი, რომ მანქანა შუა ქუჩაში მივატოვე და ტაქსი გავაჩერე. მერე მთელი კვირა ახლობლები დამყვებოდნენ, რომ ქალაქის ქუჩებში მოძრაობა მესწავლა.

— საგზაო პოლიციელებთან კონფლიქტი ხშირად მოგდის?

— საერთოდ, გახმაურებული თემაა — თუ როგორ „მიყვარან“ პოლიციელები და როგორ „ვუყვარვარ“ მათ. მაგრამ მათ შორის ყველაზე „ხავერდოვანი“ ურთიერთობა სწორედ საგზაო პოლიციელებთან მაქვს. ისინი სისხლს უშრობენ მძღოლ მამაკაცებს, მაგრამ ძალიან კარგები არიან ქალებთან ურთიერთობაში. მათთან კონფლიქტი არასდროს მქონია. კარგად მახსოვს ერთი შემთხვევა: დასავლეთ საქართველოში მივდიოდი. რამდენიმე ადგილას მანიშნეს, — გაჩერდიო, — მაგრამ არ გავუჩერე, რადგან მოძრაობის წესები არ დამირღვევია. ალბათ ერთმანეთს დაუკავშირდნენ და გადასცეს რამდენიმე

შოკში ჩავვარდი. ვერ წარმოვიდგინე, რომ შეიძლებოდა, ჩემი „მერსედესი“ ვინმეს მოეტაცა

საგუშაგოს — ამა და ამ ნომრის მქონე მანქანა არ გვემორჩილებაო. ქუთაისში, სპეცპუნქტთან დაახლოებით თხუთმეტი კაცი გადამიდგა წინ. გავაჩერე. მომიახლოვდა ერთი ინსპექტორი, მომესალმა და მითხრა: დაუმორჩილებლობისთვის უნდა დაგაჯარიმოთო. მე კი ვუპასუხე: კარგად შემომხედე ერთი — როგორი დასამორჩილებელი ქალი ვარ-მეთქი?! აუტყდათ სიცილი. ჩემი ნათქვამი ისე მოეწონათ, რომ სულ ხვევნა-კოცნით გამომიშვეს იქიდან. მქონდა მეორე შემთხვევაც. გზა იყო გადაკეტილი, რადგან პრეზიდენტის ესკორტს უნდა გაევლო. მე ეს არ ვიცოდი. გამოვედი შინაგან საქმეთა სამინისტროდან და მოვდიოდი სამსახურში. წინა დღეს კი, პრესკონფერენცია ჩავატარე, რომელზეც კახა თარგამაძის საწინააღმდეგო განცხადებებით გამოვედი. გადაკეტილ გზაზე რომ გავიარე, წინ ინსპექტორი გადმომიხტა. მე დავუყვირე: რა გჭირთ? მანქანაში უნდა ჩამივარდეთ-მეთქი?! მეორე ინსპექტორმა მისაყვედურა: ქალბატონო ეკა, მინისტრზე კი ხართ გაბრაზებული, მაგრამ მაინცდამაინც პრეზიდენტს უნდა ჩაუვარდეთ ქვეშო?!. ძალიან მესიამოვნა, რომ ინსპექტორები ამ დონეზე იყვნენ ინფორმირებულები.

— ავტოინსპექტორებთან ურთიერთობისას კურიოზებიც გადაგხდებოდა...

— ბარათაშვილის ხიდზე გამოვედი და საწინააღმდეგო მიმართულებით მინდოდა წასვლა. დაუფარავად ვარღვევდი მოძრაობის წესებს. შუა გზაზე იდგა მანქანა; არ ჩანდა, შიგ ვინ იჯდა. მაინცდამაინც იმ მანქანას მივადექი და მივუსიგნალე — გადაიწიე-მეთქი. წარმოიდგინეთ, როგორ უტიფრად მოვიქეცი. გაიღო ამ მანქანის ორივე კარი და გადმოვიდნენ ინსპექტორები. შემრცხვა. ქალბატონო ეკა, მოძრაობის წესები ხომ იცითო? — მკითხეს და გამატარეს...

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ

საქართველოს მთელი კრიმინალური სამყარო ეძებდა ჩემს მანქანას



შენ ახალი მანქანა მოგტაცეს. სიმართლეა?

— ეს სულ ახლახან მოხდა. ეს „მერსედესი“ საკუთარ თავს 6 ნოემბერს, დაბადების დღისთვის ვაჩუქე. დილის ცხრა საათზე მივედი სამსახურში. ათის ნახევარზე ჩემი თანაშრომელი შემოვიდა და მკითხა: ქალბატონო ეკა, თქვენ მანქანით არა ხართ მოსულიო?! გამეცინა: თვალებში ვერ იყურები? ვერ ხედავ, ამხელა მანქანა რომ დგას შემოსასვლელთან-მეთქი?! — არ დგასო, — მიპასუხა. გადავიხედე ფანჯრიდან და დავინახე, რომ მანქანა მართლა აღარ დგას. შოკში ჩავვარდი. ვერ წარმოვიდგინე, რომ შეიძლებოდა, ჩემი „მერსედესი“ ვინმეს მოეტაცა: ყოფილა შემთხვევა, როცა მანქანა გასაღებიანად დამიტოვებია ქუჩაში, თან — ისეთ ადგილებში, სადაც მანქანის მოპარვის დიდი ალბათობაა და ხელი არავის უხლია. თუმცა, ადრე, ორჯერ გამიტეხეს „ბე-ემ-ვე“, მაგნიტოფონის მოპარვის მიზნით... ერთი სიტყვით, მანქანა მომტაცეს. არ გადავჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ საქართველოს მთელი კრიმინალური სამყარო ეძებდა ჩემს მანქანას.

— შენ თვითონ შეატყობინე ამის შესახებ?

— არა, მე რამდენიმე კაცს დავურეკე. მაშინვე დამამშვიდეს: ალბათ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი და ნებისმიერ შემთხვევაში, მივაგნებთ და დაგიბრუნებთ, თუ პოლიციას არ ჰყავს შეგნებულად წაყვანილიო... მართლაც — იმ დღესვე, ხუთ საათზე მანქანა მომიყვანეს.

— როგორ ახერხებ მანქანის მოვლას? პროფილაქტორიუმში შენ თვითონ მიგყავს ხოლმე?

— „ბე-ემ-ვე“, რომლიც ადრე მყავდა, ძალიან მაწვალებდა, „მერსედესში“ კი თავს უფრო კომფორტულად ვგრძნობ. აღარ მჭირდება „პროფილატიკებში“ ხშირად

მრთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რა ეწოდება დასავეში ძორ-შევარდნის მიერ პირველად დაჭერილ ფრინველს?

ა) ყლორტი;
ბ) ბავლი;
გ) ჯიდო.

2. ქართული მხატვრული ფილმი, რომელშიც ეპიზოდურ როლს თამაშობს ქართლოს ქასრაძე:

ა) „თოჯინები იცინიან“;
ბ) „მიმინო“;
გ) „დათა თუთაშხია“.

3. რა სტატუსით იმყოფებოდა 1987 წელს პრეზიდენტ რეიგანის ვაჟი მოსკოვში?

ა) მსახიობის;
ბ) ჟურნალ „ფლეიბოის“ ჟურნალისტის;
გ) აშშ-ის შეიარაღებული ძალების ოფიცრის.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

სიარული. მყავს ხელოსანი, გრიშა. წესიერი კაცია. ყველაფერს ის მიკეთებს. მას საკუთარ თავზე მეტად ვენდობი. ამ მანქანის ყიდვაც მან გადამაწყვეტინა. სულ მეუბნებოდა: „მერსედესი“ იყიდე და მოისვენებო. როცა ვყიდულობდი, გრიშას ვაჩვენე. მითხრა: თუ ფული არ გყოფნის, მე დაგიმატებო. მივხვდი, რომ კარგი მანქანა იყო და ვიყიდე. პრობლემებს ნამდვილად არ მიქმნის, თუმცა, ავარია მაინც მომივიდა. სულ ახალი ნაყიდი მქონდა, დასავლეთში რომ წავედი. რიკოთის უღელტეხილზე გზა ძალიან მოყინული იყო. იმ დღეს პირველად მოთოვა. გვირაბამდე ჯაჭვებით ავედი, როგორც კი ჯაჭვები მოვხსენი, მივხვდი, რომ მანქანა მოცურდა, ველარ ვიმორჩილებდი. წინ იდგა „რაფი“ — სამარშრუტო ტაქსი. ვიფიქრე: სჯობს, მას დავეჯახო, ვიდრე მსუბუქ მანქანასმეთქი, — და რამდენადაც შემეძლო, მისკენ ავიღე გეზი. მართლაც „რაფს“ შევეჯახე. ვერ აღვიწერ, როგორი შეგრძნება დამეუფლა, ერთი თვის ნაყიდი მანქანა რომ დავლეწე. ძლივს ჩამოვათრიე თბილისამდე. აქ კი მეგობრებმა შემიკეთეს.

— შენი ოჯახის წევრები ალბათ შენ გამო ხშირად ნერვიულობენ...

— განსაკუთრებით დედა ნერვიულობს. როგორც კი დავაგვიანებ, მაშინვე მირეკავს. ჩემი ცხოვრების წესის გამო, მშვიდად არც აქამდე ყოფილან. სულ მთხოვდნენ: ხომ შეიძლება, ნაკლები იჩხუბოო. რაც მანქანა ვიყიდე, დედას სულ ჰგონია, რომ ავარიაში მოვყვები. მაგრამ ვცდილობ, ფრთხილად ვიარო. თან მართვაც მეხერხება. მამაკაცებს ხშირად უთქვამთ ჩემზე: მანქანას მამაკაცივით მართავსო. პრობლემა ის არის, რომ მანქანას ჩაცმულობის სპორტული სტილი უხდება, მე კი კლასიკურად მაცვია. მხოლოდ ამ ერთი რაღაცით „ვეწინააღმდეგებით“ მე და ჩემი მანქანა ერთმანეთს...

— თუ ყოფილა შემთხვევა, როცა მანქანა გაგიფუჭდა და გზაში დარჩი?

— ქუთაისიდან მოვდიოდი და მოულოდნელად ბენზინი გამითავდა. თან ისეთ ადგილას, ახლომახლო ავტოგასამართი სადგური რომ არ იყო. მაქვს ერთი საშინელი ჩვევა: როგორც არ უნდა მიჭირდეს, გზაზე მანქანის გასაჩერებლად ხელის ქნევას ვერ დავიწყებ. ამიტომაც, დიდხანს მომიწია დგომა. ბოლოს, როგორც იქნა, ჯიპმა გააჩერა. ბუქსირით მიმიყვანა ავტოგასამართ სადგურამდე. გაცილებით ტრაგიკული წუთებია, როცა საბურავი ეშვება. ამაზე ლაპარაკიც არ მინდა. თანაც, მანქანაში უმეტესად ქალები მისხედან ხოლმე. იშვიათად ხდება, რომ მამაკაცი ჩამიჯდეს... საჭესთან არავის დავსვამ. მანქანის თხოვება არ მიყვარს. 18 წლის ძმა მყავს. „ბე-ემ-ვე“ მას ვაჩუქე. ვიცი, რომ კარგად ატარებს, მაგრამ „მერსედესის“ საჭესთან ვერაფრით დავსვამ.

— ალბათ მანქანის სალონსაც განსაკუთრებით უვლი.

— საერთოდ, მანქანას კარგად ვუვლი. არ ვარ მოუწესრიგებელი მძღოლი. სალონში იდეალური სისუფთავე უნდა მქონდეს და სასიამოვნო სურნელიც. არსებობს წესი, რომელსაც ჩემს მანქანაში, ყველა იცავს: სიგარეტს არავის მოვაწევინებ — ეს გამორიცხულია! მე თვითონ არამწეველი ვარ და სიგარეტის სუნი ჩემზე ცუდად მოქმედებს. თუ ვინმე ველარ ითმენს, გავუჩერებ ხოლმე მანქანას და დიდსულოვნად ველოდები, მოწევას როდის დაამთავრებს. სალონში სულ მაქვს ყავის ელექტრომადუღარა და ყველაფერი, რაც საჭიროა იმისთვის, რომ ცხელი ყავა მივირთვათ. ამას ლილიკო გელაშვილმა მიმაჩვია. მას განსაკუთრებულად უყვარს ყავა.

— ეჰა, ბევრი ვისაუბრეთ შენზე, როგორც მძღოლზე. მანქანა კი ალბათ, პროფესიულ საქმიანობაშიც დიდად გეხმარება, არა?

— მანქანა ჩემთვის ფუფუნება არ არის. მე არ მაქვს „კაბინეტური“ სამუშაო — სულ მოძრაობაში ვარ. როცა დამირეკავენ და დახმარებას მთხოვენ, მაშინვე უნდა წავიდე. ქუთაისში საჭიროების შემთხვევაში, ორ საათში ჩავდივარ ხოლმე. თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ მანქანას დიდი წვლილი მიუძღვის ჩემ მიერ გაკეთებულ ზოგიერთ წარმატებულ საქმეში. ■

ხშირად უთქვამთ ჩემზე: მანქანას მამაკაცივით მართავსო

გულიკო სარჯველაძე, იგივე გულიკო როსვაძე, თბილისში თავის დროზე სახელგანთქმული იურისტის, იროდიონ სარჯველაძის ოჯახში გაიზარდა. ჩიტის რძეც არ მოჰკლებია — ეფერებოდნენ, ანებივრებდნენ. მაგრამ გულში გაჩენილმა ეჭვმა მოსვენება დაუკარგა. ოცდათექვსმეტი წლის მანძილზე ყოველ ადამიანში თავის მსგავსს ეძებდა. ადამიანებს აკვირდებოდა და საკუთარ თავს ეკითხებოდა: იქნებ, ეს ჩემი დაა, იქნებ ჩემი ძმაო?..

ორსულობის დროს ფოტო გადაიღო — ეჭვი რომ არ შეეპარვოდათ მის შვილებს, მათი ნამდვილი დედა რომ იყო... გამზრდელ დედას ყოველდღე სთხოვდა: მითხარი, ვისი შვილი ვარო...

ქალბატონი გულიკო იმისთვის დაგვიკავშირდა, რომ ყველა ნაშვილებ ბავშვს თავისი ამბავი ამცნოს. გამზრდელ დედას კი, უნდა, მადლობა გადაუხადოს ამაგისთვის და ბოდიში მოუხადოს იმ უამრავი კითხვისთვის, რომლითაც მთელი ცხოვრება აწვალებდა...

36 წლის შემდეგ, დედის სახე აღმოიდგა მეხსიერებაში...

ლელა ჭანკოტაძე

— ქეთევანი ქალაქის მთავარი აგრონომ-დეკორატორი იყო, იროდიონი — გამომძიებელი. ეს გახლდათ სახელგანთქმული ოჯახი, რომელმაც ჩემთვის ყველაფერი გააკეთა. თუ რაიმე სიკეთე არსებობდა, ჩემთვის ხელმისაწვდომი იყო. მაგრამ ძალიან განვიცდიდი იმას, რომ დედისერთა ვიყავი. ქეთოს ყოველთვის ვეკითხებოდი: და-ძმა რატომ არ მყავს-მეთქი? ათას მიზეზს მოიგონებდა ხოლმე: გვიან გავთხოვდი, დედისერთა იმიტომ ხარო, — თან დააყოლებდა: ადრე გათხოვდი და შენ გააჩინე ბევრი შვილიო... სულ ახლახან ჩემმა დეიდაშვილმა, თინა ამაშუკელმა მითხრა: დედაშენმა თქვა — გულიკოს ისე უნდა, და-ძმა რომ ჰყავდეს, თუ გაიგო სიმართლე, ნამდვილად წავა და მათ მოძებნისო.

— პირველად როდის გაგიჩნდა ეჭვი, რომ ნაშვილები იყავი?

— მაშინ რვა წლის გახლდით. ალბათ გავაბრაზე იროდიონი და გულმოსულმა თქვა: რას ჩამომყავდა აი ბაღანა გურიიდანო?.. უცებ ქეთომ პირზე ხელი მიაფარა. „გურიის“ მაგივრად, „გორი“ გავიგონე. ამის შემდეგ, ჩემს დეიდაშვილს სულ ვეუბნებოდი: ნამდვილად გორის ბავშვთა სახლიდან ვარ აყვანილი-მეთქი. ის კი მეფიცებოდა, ასე არ არისო... ხშირად ვიყურებოდი სარკეში, ჩემს სილუეტს ვაკვირდებოდი — მინდოდა, ჩემსა და ქეთოს შორის მსგავსება აღმომეჩინა. მთელი სიცოცხლე ვტანჯავდი დედაჩემს, სულ ვეკითხებოდი: მითხარი, აყვანილი თუ ვარ-მეთქი. ის სიმართლეს არ აღიარებდა. ახლახან თინამ მითხრა: ცოტა ხნით დაგაწყნარებდით, მაგრამ ვერ გაჯერებდით, რომ აყვანილი არ იყავიო... მთელი სიცოცხლე ერთი კითხვა მაწვალებდა: ვინ ვარ? რა რჯულის ვარ? სულ საბუთებში ვიქექებოდი. ერთხელ ქეთოს წამოსცდა: 1960 წელს მოვაწერეთ ხელი მე და იროდიონმაო. მაშინვე ვეცი — ე.ი. ორი წლის ვიყავი, ხელი რომ მოაწერეთ-მეთქი? ვერაფერი მიპასუხა, დაიბნა: ქეთო იმ ქალების რიგს არ მიეკუთვნებოდა, ჯერ რომ ბავშვს გააჩენს და მერე დაქორწინდება. ჩიხში მოვიმწყვდიე, მაგრამ სიმართლე მაინც არ მითხრა. საეჭვო იყო ჩემი დაბადების მოწმობაც. ერთხელ ქეთომ მითხრა: ლენინის ქუჩაზე დაიბადეო. „მეტრიკაში“ დაბადების ადგილად ლანჩხუთის რაიონი იყო აღნიშნული. თანაც დაბადების მოწმობაში ეწერა: „აღებულია განმეორებით“. ყოველივე ამის გამო, ეჭვი მქონდა, რომ ნაშვილები ვიყავი, მაგრამ ამას ვერ ვამტკიცებდი. ქეთო მთელი ცხოვრება მიმალავდა სიმართლეს და ეს ამბავი სამარეში ჩაიტანა. მისი სიკვდილის წინ, ჩემი უფროსი გოგო რომ შემოვიდა ოთახში, დედაჩემმა იკითხა: ეს ვინ არისო? შვილიშვილი ვერ იცნო. ახლოს მივედი და ვკითხე: მე ვინ ვარ-მეთქი? ჩაიცინა და პაუზის შემდეგ მიპასუხა: ოცდათხუთმეტი წელიწადია, მე და შენ დედაშვილი ვართო... ორი დღის შემდეგ, ქეთო გარდაიცვალა. მანამდე კი ასეთი რამ მოხდა. ავადმყოფს წუთითაც არ ვტოვებდი, ორი კვირის მანძილზე თვალი არ მომიხუჭავს, ძალიან გადაღლილი ვიყავი და ერთხელ, ჩამეძინა. ჩემი მეგობარი ბიჭი დამესიზმრა. მითხრა: ნუ გეშინია, შენ დიდხანს აღარ იწვალებო — ე.ი. სიმართლეს გაიგებო... იმწამსვე გამომეღვიძა. დედაჩემს დავხედე. საოცარი სიბრალული ვიგრძენი მის მიმართ: მთელი ცხოვრება დავტანჯე ჩემი შეკითხვებით, მოსვენება არ მივეცი.

— საიდუმლო როგორ გამჟღავნდა?

— მეგობარი, რომელიც სიზმარში ვნახე, ერთხელ იაპონიაში გაემგზავრა. იქ შემთხვევით იროდიონის ნათესავი, ჟორა სარჯველაძე გაიცნო. თბილისში რომ ჩამოვიდა, მითხრა: შენი მოგვარე გავიცანიო. მაშინვე მივხვდი, რომ ეს ის ჟორა იყო, რომელსაც ჩვენთან მოსვლა აღკვეთილი ჰქონდა. მას და მის ძმას, შადუნის ქეთომ ჩემს სიახლოვეს მოსვლა აუკრძალა... მეგობარს შევეხვეწე: შენ შეგიძლია, სიმართლე დაადგინო; ჰკითხე ჟორას, ნაშვილები ვარ თუ არა-მეთქი. მართლაც შეხვდა ჟორას და ჰკითხა: იროდიონ სარჯველაძეს თუ იცნობდიო? — ბიძად მეკუთვნოდაო, — უპასუხია ჟორას, — პატარა გოგო ჰყავდა აყვანილიო... ჩემი მეგობარი მოვიდა და მკითხა: რას გიგრძნობს გულიო? ჩემი აზრით, აყვანილი უნდა ვიყო-მეთქი, — ვუპასუხე. მხოლოდ მაშინ დამიდასტურა, რომ მართლაც ასე იყო. ხომ ველოდი ამ ამბავს! — მაინც კანკალმა ამიტანა... წავედი თინასთან, რომელიც მთელი ცხოვრება მიმტკიცებდა, შენი ეჭვები უსაფუძვლოაო. ვუთხარი, რაც მოხდა. თინა გაოცდა: ქალი ბერდები, 36 წლის ხარ და კიდევ წარსულში იქექებიო?!. მისგან ისევ ვერაფერი გავიგე. ვერც ჟორა სარჯველაძის ნახვა მოვახერხე. ბოლოს, როგორც იქნა, მისი ძმა, შადუნი ვნახე. ისე ვთხოვე და ვემუდარე,

სიმართლე მითხარი-მეთქი, ვეღარ იუარა, ტირილი დაიწყო... თურმე სარჯველაძეები ჩემს ბიოლოგიურ მშობლებს იცნობდნენ, მათთან სისტემატური კონტაქტიც ჰქონდათ. ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათში დავბადებულვარ. ჩემი ნამდვილი დედა, არიადნა მოდებაძე თავის დედას იძულებით მიუთხოვებია 28 წლით უფროს კაცზე. ძალიან უთქმელი ქალი ყოფილა. წარმოიდგინეთ, როგორი დაჩაგრული იქნებოდა მამისტოლა კაცთან, რომ შვილის გაშვილებაზეც კი ხმა ვერ ამოიღო... მამაჩემი, გრიგოლ როხვაძე და იროდიონი ბავშვობის მეგობრები ყოფილან. ჩვენს ოჯახს მატერიალურად ძალიან უჭირდა. მე მეოთხე შვილი ვიყავი. ჩემ შემდეგ იყო კიდევ ერთი ბავშვი, თინა; ჩემი გაშვილების შემდეგ, დაიბადა მეექვსე ბავშვი, ზაირა. ქეთოს და იროდიონს თინას აყვანა უნდოდათ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, მე გამოვსულვარ და ქეთოს მოვწონებივარ... მამაჩემმა იცოდა, რომ იროდიონი და ქეთევანი შეძლებულები იყვნენ, ამიტომ გადაწყვიტა, მათთვის ბავშვი მიეშვილებინა, — ოღონდ ერთი პირობით: ბავშვს უნდა სცოდნოდა, ვინ იყვნენ მისი ნამდვილი მშობლები და მათთან ურთიერთობაც ჰქონოდა. გრიგოლი თურმე ძალიან მკაცრი კაცი ყოფილა. არც თავის სიტყვას გადავიდოდა და სხვისი სიტყვისაც სჯეროდა. ის დარწმუნებული იქნებოდა, რომ იროდიონი სიტყვას არ გატეხდა და მე ნამდვილ მშობლებს არ დამაკარგვინებდა. თავიდან, მოსალაპარაკებლად მხოლოდ იროდიონი დადიოდა. ბოლოს, როცა გადაწყდა, რომ ბავშვი უნდა წამოეყვანათ, ქეთოც ჩასულა. ეს ყველაფერი მაშინ გამახსენდა, როცა უკვე გავიგე, რომ ნაშვილები ვიყავი... ოთხი წლისა და ორი თვის ვიყავი. ოჯახში რომელიღაცამ თქვა: სტუმარი მოვიდა და სკამი გამოუტანეთო. ისიც გამახსენდა, ეზოს ჭიშკარს ქეთო მარჯვენა მხრიდან რომ მოადგა. მომეფერა და მითხრა: ბევრი სათამაშო მაქვს შენთვის, ჩემთან ხომ წამოხვალო? ეზოში ხელჩაკიდებულს დამატარებდა...

იროდიონ სარჯველაძემ და მისმა მეუღლემ პატარა გუგული (ასე ეძახდნენ გულიკოს სოფელში) თბილისში წამოიყვანეს. ერთი თვის შემდეგ, გრიგოლმა და არიადნამ მისი წერილი მიიღეს:

„...სანამ მატარებელი მოვიდოდა, გუგულის დაეძინა ქეთოს კალთაში...

შვიდ საათზე მივედით თბილისში. სახლში მანქანით მივიყვანე. გუგული მშვენიერად იყო, იცინა, ითამაშა. ვისაუზმეთ და მთელი დღე გაატარა კარგად. ერთხელ არ მოუგონებია მანდაურობა. ჩვენც გვიკვირდა მისი ქცევა. საჭმელს კარგად ჭამდა. ეს ორი დღეა, ცოტა უკლო. ეს ჩვენი ბრალია. რაც კარგი საჭმელები იყო, დავაყარეთ ბავშვს, უფრო მეტად, ტკბილეულობა და გული მოუყირჭა. გუშინ ცოტა ლობიო გავაკეთეთ და ის კი უფრო ღონივრად შეჭამა...“

იროდიონი გრიგოლსა და არიადნას ამშვიდებდა, გულში კი ცეცხლი უტრიალებდა: ბავშვი ჯავრობდა. სულ რამდენიმე დღით ადრე, სანამ გულიკო თავის დამმებთან გაემგზავრებოდა, მოულოდნელად ერთი ამბავი გაახსენდა...

— იროდიონის საწერ მაგიდასთან ვიჯექი. ვტიროდი. იროდიონიც იქვე იჯდა. ისიც ტიროდა. ცისფერი, ლამაზი თვალები ჰქონდა, ცრემლებით სავსე. მან თქვა: წავიყვანოთ აი ბაღანა ისევ უკანო... ქეთომ შეუტია: შენ თუ არ შეგიძლია მისი ცრემლების ყურება, მეორე ოთახში გადი, ბავშვს მე მივხედავო. ქეთო მომეფერა და მანუგეშა: დედაშენმა თქვა, მე თვითონ ჩამოვალო, მე და შენ აქ უნდა დაველოდოთო. რამდენ ხანში მოვა დედა-მეთქი? — ვკითხე. ორივე ხელის თითები გაშალა და დამანახვა. თან მითხრა: აი, ამდენჯერ უნდა გათენდეს და დაღამდეს — მერე დედაშენი მოვა და წაგიყვანსო... ისიც გამახსენდა, მერე როგორ ვეკითხებოდი ხოლმე: რამდენჯერ დაღამდა-მეთქი? ღამით ვტიროდი. ქეთო გვერდით მომიწვებოდა და მაწყნარებდა... ბოლოს, შეკითხვებს აღარ ვუსვამდი, მოლოდინი გულში სევდად ჩავიხვიე.

ასე დარჩა იგი სევდიან ბავშვად. ძალიან გულჩათხრობილი იყო. მის მხიარულებაშიც კი ნაღველი ჭარბობდა, ამიტომ მის გრძნობებს ყველა უფრთხილდებოდა. იროდიონი კი სოფელში წერილებს აგზავნიდა და ბავშვის მშობლებს ამშვიდებდა.

„...ყველაფერი რიგზე იქნება, თქვენ მრწმუნეთ, რომ ერთი თუ იქნება ბედნიერი, მეორე — გუგული იქნება. გუგულის არ მოაკლდება არასდროს არაფერი. თქვენც დაინახავთ, თქვენც კმაყოფილი იქნებით და მეც. ჩემი ოჯახი სრულიად შეიცვალა. ქეთოს ძალიან შეუყვარდა. სამსახურიდან მოსვლამდის ერთი სული აქვს. გუშინ სამსახურში ერთად იყვნენ და ერთად მოვიდნენ სახლში. რომ მოვიდნენ, ქეთომ მითხრა: ბავშვი რომ გვერდით მომყვებოდა, ქვეყანა ჩემი მეგონაო... ამ დღეებში სურათს გამოგიგზავნი.

იროდიონი. 8 მაისი. 1962 წელი“.

1962 წლის 14 ივლისს იროდიონმა და ქეთომ გულიკოს შვილად აყვანის მოწმობა აიღეს. ეს ამბავი იროდიონმა მაშინვე ამცნო გულიკოს მშობლებს.

„...ყველა გაკვირვებულია, თქვენს სახელს არ ახსენებს. ჯერჯერობით ასევე იყოს და მერმეთ ყველას კარგად გავაცნობ. თქვენ კარგად იყავით და თუ არ მოკვდი, სასახელოდ გავზრდი. როგორც იქნა, დამტკიცება გავაფორმე. ახლა ავიღე მეტრიკულის ამონაწერი. უკვე გუგული იროდიონის ასული სარჯველაძის ქალი გახლავთ. ახლა ჩემ გვერდით ზის და სათამაშოებით გართობილია“.

— არ მახსოვს, დედა როგორ ან როდის დავუძახე ქეთოს. საბავშვო ბაღში რომ მიმიყვანეს, სულ ვტიროდი. ბაღს ძალიან ძნელად შევეგუე. სულ ტირილით მტოვებდა. გვერდზე ოთახში გადიოდა და კარს ეფერებოდა ხოლმე, იმ კარს, რომელიც ერთმანეთს გვაშორებდა. მოგეხსენებათ, ბაღში როგორ ხდება: ვინმეს, დედა რომ მოაკითხავს, სხვა ბავშვები ეტყვიან: შენი დედა მოვიდაო. ალბათ მეც ასე მეუბნებოდნენ. თანაც ქეთო ერთადერთი ქალი იყო, ვინც ჩემთვის იმ უცხო გარემოში მაკითხავდა. ალბათ ასე გავაიგივე ქეთო, დედასთან და ამიტომ დავუძახე დედა.

— გურიაში აღარ ჩასულხარ? იროდიონიც ხომ იმ სოფლიდან იყო, სადაც შენი მშობლები ცხოვრობდნენ?

— ხუთი წლის ვიყავი, იროდიონს დედა რომ გარდაეცვალა. რა თქმა უნდა, სოფელში წავედით. მახსოვს იროდიონის სახლი, დიდი ეზო, მწვანე მოლით. ყველა ტიროდა. ამიტომ ვერ მივაქციე ყურადღება ერთ ამბავს: ეზოში ვიღაც ბავშვი მომეფერა და მკითხა: არ გახსოვარო? ქეთომ ეს რომ დაინახა, მომვარდა და იქაურობას გამარიდა. ღია აივანზე ამიყვანა და იქ დამსვა. თმას მისწორებდა. ამ დროს დავინახე, როგორ იყურებოდა „ბალკონის“ კარიდან ვიღაც ქალი; ხან გააღებდა კარს, ხან ისევ მიხურავდა. მიყურებდა და ტიროდა. ქეთომ

უთხრა: წადი ახლავე, ამას აღარ ახსოვხარ, არ დაენახვოო. ის ქალი დედაჩემი იყო. ჩემს სანახავად მოვიდა, მაგრამ ვერც მომიახლოვდა. ხვდებოდა, როგორ მივლიდნენ ახალი მშობლები, მანებივრებდნენ, მას კი შვილები გაჭირვებაში ჰყავდა. თან ისიც აჩერებდა, რომ ირონიონი იურისტი იყო, კანონით კი მაშინ ის ისჯებოდა, ვინც ბავშვს ეტყოდა — აყვანილი ხარო... ძალიან სხვანაირი ქალი ყოფილა დედაჩემი. ჩემი წამოსვლიდან რვა წლის შემდეგ, გულის მანკი დაემართა, 5 წელი იცოცხლა და 47 წლის ასაკში გარდაიცვალა. მთელმა სოფელმა დამიდასტურა, როგორ ჯავრობდა. არიადნამ ღიღინი იცოდა ხოლმე, შენი წაყვანის შემდეგ, ღიღინი კი არა, მის სახეზე ღიმილი აღარ გვინახავსო, — მითხრეს... დედის გარდაცვალების შემდეგ, ირონიონი თავის სოფელში აღარც ჩასულა. მეუბნებოდნენ: ძმასთან ჩხუბი მოუვიდა და იმიტომო. მერე კი, მისი უკანასკნელი სიტყვა იყო: გურიაში წამიყვანეთ, სოფელში ჩამიყვანეთო. ჩემ გამო თავისი საყვარელი სოფელი დაკარგა... შეიძლება, მას ჩემთვის სიმართლე ეთქვა, მაგრამ ქეთო არ აძლევდა ამის უფლებას. დედაშვილური გრძნობა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ვეღარ გამიმეტა, დამისაკუთრა, ეგონა — სიმართლეს თუ გავიგებდი, მივატოვებდი, ამაგს დავუკარგავდი...

— შენი ოჯახის წევრები, თუნდაც და-ძმანი არ ჩამოსულან თბილისში შენს სანახავად?

— მერვე კლასში ვიყავი, ჩემი უფროსი და რომ ჩამოსულა თბილისში. ის მაშინ ოცი წლის იყო, ჩვენთან ქეთოს ნაცნობმა ქალმა მოიყვანა. მე ვმეცადინეობდი. ჩემი ოთახი გაიარეს და „ზალაში" შევიდნენ. მახსოვს, ჩემმა დამ საცოდავი თვალებით შემომხედა. ახლოს ვერ მოვიდა. რომ მიდიოდნენ, იმ ქალმა დედაჩემს უთხრა: ეს გოგო გრიგოლის გოგოა, ვერ იცანიო? ქეთომ ისინი სასწრაფოდ გაიყვანა ეზოში. ჩემმა დამ უსაყვედურა თურმე: კიდევ არ იცის სიმართლე? როგორ მოგვატყუეო?!. დედაჩემს შემოსვლა რომ დააგვიანდა, გარეთ გავიხედე და დავინახე — ტიროდა. ის ჩემს დას დაჰპირებია: ახლა ისეთი ასაკი აქვს, მეშინია, სწავლაზე არ აიყაროს გული ან თავი არ მოიკლას, ამიტომ, ახლა ვერ ვეტყვი; სკოლას რომ დაამთავრებს, ჩემი ფეხით ჩამოგიყვანთო... 1975 წლის მაისში დავამთავრე საშუალო სკოლა, იმავე წლის 3 იანვარს კი, დედაჩემი გარდაცვლილა. ჩემი და დამუქრებია ქეთოს: თუ სიმართლეს არ ეტყვი, გზაში დავხვდები და მე ვეტყვი, ვისი შვილიც არისო. მაგრამ ჩემს გრძნობებს გაუფრთხილდა, შევეცოდე. ქეთო კი, იმ დღიდან სულ შიშსა და ეჭვში ცხოვრობდა, შეკითხვებით თუ შევაწუხებდი, აქეთ მკითხავდა: ვინმე ქალი ხომ არ დაგხვდა ქუჩაში და ხომ არ გითხრა, ნაშვილები ხარო? უფროსი და მაინც იბრძოდა ჩემს დასაბრუნებლად. მაგრამ ქეთო თავს იცავდა. ისიც კი შეუთვალა: გულიკომ გაიგო, ვინ არიან მისი მშობლები, მაგრამ მათი ნახვა არ მოინდომაო. ერთი სიტყვით, ქეთოს ჩემი დაკარგვის შიში ჰქონდა. არადა, თუ სიმართლეს გავიგებდი, რა თქმა უნდა, მას არ მივატოვებდი, უზარმაზარ ამაგს არ დავუკარგავდი. ჩემ ირგვლივ ყველამ იცოდა, ნაშვილები რომ ვიყავი, მაგრამ ამას არავინ მეუბნებოდა. თითქოს ყველას დავიწყებული ჰქონდა. ბოლოს, შადუნი სარჯველაძისგან სიმართლე რომ გავიგე, თინას დავურეკე. მიხვდა, წინააღმდეგობას აზრი აღარ ჰქონდა. „გეტყვი, ვინც ხარო". მაშინვე წავედი თინასთან. მან საბუთები გამომიტანა და მომცა. 34 წელია ვინახავ და ამ საბუთებს ჯერ მზის შუქი არ უნახავსო. ეს საბუთები მისთვის ქეთოს ჩაუბარებია და გაუფრთხილებია: არც ჩემს სიცოცხლეში და არც ჩემი სიკვდილის შემდეგ, არ გაიგოს ეს ამბავიო... საბუთები

რომ მომცა, თინამ მკითხა: ჩვენ შორის შეიცვალა რამეო? არა, ისევ დეიდაშვილები ვართ-მეთქი, — ვუპასუხე... თინამ ასეთი ამბავი გამახსენა: ერთხელ გიკითხავს: ნეტავ, ახლა თინა რას აკეთებსო? (თინა იმ ბავშვს ერქვა, ჩემ შემდეგ რომ დაიბადა) მამაშენმა კი ჩემთან მოგიყვანა, რადგან მეც თინა ვიყავი და იმ თინაზე არ გეფიქრაო... ამ დროს, თინასთან ტელევიზორი ყოფილა ჩართული. უცბად, ჩაის პლანტაციები რომ გამოჩნდა, მე ეკრანთან მივვარდინლვარ და თვალმოუცილებლად ვუყურებდი თურმე — ალბათ ვცდილობდი, ვინმე ჩემიანი დამენახა... თინამ ასეთი ამბავიც მომიყვა: კოკისპირულად წვიმდა, შენთან ვიყავი სტუმრად და უცბად შენ თქვი: ვაი, ახლა ჩემთან სახლში როგორ წვიმს! — რომელ სახლშიო? — გკითხეს. ქეთომ კი თქვა: ნუ ეკითხებით — არ გაახსენდესო... ალბათ ჩემს სახლში ჭერიდან წყალი ჩამდიოდა და წვიმამ სწორედ ჩემი სახლი და ჩემიანები გამახსენა... თინა რომ წარსულს მახსენებდა, მეხსიერება დავძაბე, მაგრამ მაშინ ვერაფერი გავიხსენე. შემდგომში ბევრი რამ გამახსენდა. ისიც, ვიღაცამ რომ მკითხა: რა ჰქვია დედაშენსო? მე პასუხი გავეცი, მაგრამ რა ვუპასუხე, ვერ გავიხსენე... რამდენიმე ხნის წინ, დროებით ვაზისუბანში ვცხოვრობდით. ზამთარი იყო, სახლში ძალიან ციოდა და მოფუთნული ვიყავი. თავზე შალი მქონდა მოხვეული. უცბად, ჩემს თავს სარკეში შევხედე და წამიერად, სარკეში გამოსახული ლანდი მეცნო: წამით დედაჩემის სახე გაცოცხლდა ჩემ თვალწინ. 36 წლის შემდეგ, დედის სახე აღმიდგა მეხსიერებავში... ჟორა სარჯველაძემ ჩიბათში ჩამიყვანა. ჩემმა ძმამ, რეზომ მომცა დრო-ჟამისგან გაყვითლებული წერილები, რომელსაც ირონიონი ჩემებს უგზავნიდა. ისინი კი ინახავდნენ — ალბათ იმიტომ, რომ ოდესმე თუ მნახავდნენ, ამ წერილებით დამიდასტურებდნენ, რომ მე მათგან მოძულებული და გაყიდული არ ვიყავი... ამიყვანეს იმ სახლში, სადაც დავბადებულვარ. მეორე დღეს კი, დედ-მამის საფლავზე წამიყვანეს. მოხდა ისე, რომ დედის გარდაცვალებიდან ზუსტად ოცი წლისთავზე ჩავედი იქ. საფლავზე განცდები მომეძალა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს დედის სული იქვე იყო და ხარობდა, სიმართლე რომ გავიგე და მასთან ჩავედი. ისეთი შეგრძნებაც მქონდა, თითქოს დედის სიკვდილში მე ვიყავი დამნაშავე...

სიმართლის გამჟღავნებით, გულიკოს ცხოვრებაში მართლაც არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ მან ამ ვიდიოდე წლის წინ, ოთხი და და ერთი ძმა შეიძინა...

ნინო ჯავახიშვილი

18 წლის მოდელმა სალომე ღვინიაშვილმა უკვე დაოჯახებაც მოასწრო და დედობაც. სალომეს და ტატო აბულაძეს სტუდენტური ოჯახი აქვთ. მათი პატარა კი, ჯერ მხოლოდ 10 თვისაა. სალომე თბილისის სამხატვრო აკადემიის მოდელირების ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი გახლავთ და როგორც გამიმხილა, საკმაოდ სერიოზულადაც ეკიდება ამ საქმეს, რადგან სურს, კარგი დიზაინერი გახდეს. თუმცა, გეგმებზე და იმაზე, აპირებს თუ არა მოდელი საზღვარგარეთ, უფრო კონკრეტულად კი — საფრანგეთში გამგზავრებას, თავად გვესაუბრება.

სალომე ღვინიაშვილი:

მილანში ჭამგზავრებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია...

— სალომე, დიდი ხანი არ არის, რაც მოსკოვიდან დაბრუნდი. ვიცი, რომ ჩვენებამ წარმატებით ჩაიარა და ქართველმა მოდელებმა დიდი მოწონებაც დაიმსახურეთ. „შავი მარგალიტები“ რომ გიწოდეს, როგორი იყო პირადად შენი რეაქცია ამგვარ კომპლიმენტზე?

— *(იცინის)* მგონი, შავი მარგალიტი ცუდი არ უნდა იყოს, არა? ძალიან მეუხერხულება ამის თქმა, მაგრამ გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ მართლაც ძალიან აღფრთოვანდნენ ჩვენით. გვიყურებდნენ და დროდადრო აღნიშნავდნენ: არა, მაინც რა ლამაზები ხართო!.. ჰოდა, ჩვენც სიამოვნებით ვიღებდით კომპლიმენტებს.

— როგორც ვიცი, ერთ-ერთი ფრანგული სააგენტოდან სერიოზული შემოთავაზებაც მიიღე. უფრო კონკრეტულად ხომ არ გვეტყვი რაიმეს ამის შესახებ?

— სააგენტოს ჰქვია „ეი-ბი-სი“, მას იტალიაში, კერძოდ მილანშიც აქვს წარმომადგენლობა. ჯერჯერობით, კონკრეტულად არაფრის თქმა არ შემიძლია, რადგან მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

— და თუ პირობებზე შეთანხმდით, ალბათ საკმაოდ მაღალი ანაზღაურებაც გექნება, არა?

— რა თქმა უნდა, ალბათ მართლაც კარგი ანაზღაურება მექნება, თუმცა, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია.

— კარგი, მაშინ ის მითხარი, სამოდელო სააგენტოში და საერთოდ, ამ ბიზნესში როგორ მოხვდი?

— სააგენტო „ნატალიში“ თავდაპირველად ჩემი და მოვიდა. მისგან ხშირად მესმოდა აქაური ამბები, ვიცოდი, როგორ ცხოვრობდნენ მოდელები და ძალიან მომწონდა მათი პროფესია. მერე ისე მოხდა, რომ ჩემი და, სხვა სამსახურში გადავიდა, გათხოვდა და სამოდელო კარიერაზე უარი თქვა. მე კი სააგენტოში 14 წლის მოვიყვანა და აი, დღემდე აქ ვარ. მიმაჩნია, რომ მემოდელეობა ჰობი კი არა, პროფესიაა.

— თავიდან ხომ არ გაგიჭირდა მოდელის პროფესიის ათვისება?

— იცი რა, პატარაობიდანვე საკმაოდ პრანჭიკელა ვიყავი. მგონი, ყველა გოგოს უყვარს სარკესთან ტრიალი და კოპწიაობა. დედაჩემის ტანსაცმელს ვიცვამდი და ჩვენებებს ვაწყობდი ხოლმე. მაყურებლები, რა თქმა უნდა, ოჯახის წევრები იყვნენ. ჩემს მეგობრებთან ერთად სილამაზის კონკურსებსაც ვაწყობდი და ასე ვერთობოდით. ერთ მშვენიერ დღეს კი, ამ ოცნებებმა ფრთები რომ შეისხა, ძალიან გამიხარდა. ბევრს ჰგონია, რომ მემოდელეობა ძალიან ადვილია, მაგრამ ასე არ არის. უამრავი რამ უნდა ისწავლო, თითოეული მოძრაობა უნდა დახვეწო. შინაგანად მზად უნდა იყო პოდიუმისთვის, თავიდან ბოლომდე უნდა გაითავისო და შეიგრძნო ის კოსტიუმი, რომელიც გაცვია. ჩვენი საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ჩაიცვა ესა თუ ის კოსტიუმი, გამოხვიდე და ანახვო მაყურებელს. ასე რომ იყოს, მაშინ პროფესიონალი მოდელის ნაცვლად, დიზაინერი ადგებოდა და პლასტმასის მანეკენებს ჩააცვამდა თავის კოსტიუმებს...

— გამოდის, რომ მემოდელეობისთვის მხოლოდ გარეგნული სილამაზე არ ყოფილა მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი?

— რა თქმა უნდა, პირველ რიგში, კარგი გარეგნობა უნდა გქონდეს, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ შეძლო ამა თუ იმ მოდელის სწორად წარმოჩენა.

— სალომე, რაიმე ახალი და კარგი თუ შეგძინა მემოდელეობამ?

— უფრო დამხვეწა, როგორც ქალი. სხვათა შორის, სააგენტოში ბევრ ისეთ რამესაც სწავლობ (თუნდაც მანერებს), რაც ყველა ქალისთვის აუცილებელია. ვფიქრობ, ქალი ყოველთვის ფორმაში უნდა იყოს და საკუთარი გარეგნობით ყველასგან უნდა გამოირჩეოდეს.

— რომელი იყო შენთვის ყველაზე რთული სამუშაო?

— ერთხელ, შუა ზამთარში, კოჯრის ციხეზე გადავიღეთ სურათები. ჯერ ხომ ფეხით ავედით იქამდე, რადგან მანქანა ვერ ადის, მერე — ისეთი თხელი, სიფრიფანა კაბები გვეცვა, რომ თავიდან ფეხებამდე გავიყინეთ. კიდევ კარგი, რომ სურათებს მზის ჩასვლამდე ვიღებდით... მოკლედ, გაყინვას გადავურჩით.

— სალომე, საუბრისას მითხარი, შვილს მამაჩემის სახელი დავარქვიო. მეუღლე არ გაგი-

ნაწყენდა ამის გამო? ჩვენში, როგორც წესი, მამამთილის სახელს არქმევენ ხოლმე უფროს ვაჟიშვილს.

— არა, სხვათა შორის, არანაირი პროტესტი არ გამოუთქვამს. ბავშვობიდანვე ნათქვამი მქონდა, ჩემს შვილს დავითი უნდა დავარქვა-მეთქი და ტატოსაც არ გაუწევია წინააღმდეგობა.

— მეუღლის პროფესიისადმიც ასეთივე უპრეტენზიოა?

— ტატო ყოველ ჩვენებას ესწრება ხოლმე და ეს ძალიან მსიამოვნებს. ყოველი ჩვენების შემდეგ კი, რაღაც შენიშვნებს მაძლევს. მის აზრს ყოველთვის ვითვალისწინებ. ძალიან მოსწონს ჩემი პროფესია.

— გაგვაცანი შენი მეუღლე — ვინ არის, რას საქმიანობს და როგორ გაიცანით ერთმანეთი?

— ჩემი მეუღლე — ტატო აბულაძე ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტია. უფრო ზუსტად, წელს ამთავრებს ეკონომიკის ფაკულტეტს. მცირე ბიზნესიც აქვს. საკმაოდ ადრეულ ასაკში დავქორწინდით. გუდაურში გავიცანით ერთმანეთი. მოთხილამურე ვარ და სპორტულ ჯგუფთან ერთად ვიყავი წასული გუდაურში. ამ დროს, ტატო უბრალოდ დასასვენებლად იყო ჩამოსული მეგობრებთან ერთად. გაცნობისთანავე დავმეგობრდით, მერე გრძნობაც გაჩნდა და სიყვარული ქორწინებით დავაგვირგვინეთ. 16 წლის ასაკში გავთხოვდი, მაგრამ ვფიქრობ, არ

მიჩქარია გადაწყვეტილების მიღება და ამით ძალიან ბედნიერი ვარ.

— ეი. ტატომ იმედები გაგიმართლა. მაგრამ მაინც, რით მიიქცია შენი ყურადღება, რით მოგხიბლა?

— კონკრეტულად, რით მომხიბლა, ვერ გეტყვი. რა ვიცი — რაკი გადავწყვიტე, მისი მეუღლე გავმხდარიყავი და მთელი სიცოცხლე მასთან გამეტარებინა, ალბათ, ყველაფერმა მომხიბლა.

— თვითონ რას ამბობს — ძალიან გამიჭირდა შენი შებმაო?

— *(იცინის)* თვითონ მეუბნება — გამიჭირდაო, — მაგრამ ასე არ ვფიქრობ. ტატო გაცნობისთანავე მომეწონა და ფაქტობრივად, დიდი წინააღმდეგობა არც გამიწევია. ტატო კი მაინც ასე ამბობს, რომ ჩემი მოხიბვლა გაუჭირდა.

— ალბათ სხვა ქალებს უფრო ადვილად აბამდა ხოლმე და ამიტომ...

— რა ვიცი, ეტყობა... ყოველ შემთხვევაში, ჩემი მხრიდან სერიოზული პრობლემები არ შეჰქმნია.

— დიასახლისის როლი როგორ აითვისე?

— შევეგუე, მაგრამ კარგი დიასახლისი ვარ-მეთქი, ვერ ვიტყვი...

— რაღაც საეჭვოდ გელიმება, რაშია საქმე?

— იცი რა, კერძების და რაღაც-რაღაცების კეთება, უნდა ვაღიარო, რომ საერთოდ არ მეხერხება, რა ვქნა? — სამაგიეროდ, სხვა საოჯახო საქმეები კარგად გამომდის. ყოველ შემთხვევაში, სახლში ყველაფერი წესრიგში მაქვს.

— სალომე, ანაზღაურება, რაც დღესდღეობით აქვს ქართველ მოდელს, საკმარისია იმისთვის, რომ საკუთარი თავი თვითონ შეინახოს? შენ თუ გყოფნის შენი ხელფასი?

— რომ გითხრა — იმდენი შემოსავალი მაქვს, საკუთარ თავს თვითონ ვინახავ-მეთქი, — ტყუილი იქნება. ქალს უამრავი რამ სჭირდება. ჩემი ფულით შეიძლება, რაღაც ყველაზე აუცილებელი შევიძინო — ეს არის და ეს.

— როგორც ვიცი, ავტომობილის საჭესაც უზიხარ. მძღოლის ამპლუაში როგორ გრძნობ თავს?

— არაჩვეულებრივად! „ბე-ემ-ვე“ მყავს — ეს ჩემთვის პირველი მანქანაა. მართვა ტატომ მასწავლა. უკვე რამდენიმე წე-

ლია, რაც საჭესთან ვზივარ, მაგრამ ვფიქრობ, საკმაოდ კარგად დამყავს მანქანა. ძალიან წესიერი და ფრთხილი მძღოლი ვარ. ჯერჯერობით, არც ერთი საგზაო შემთხვევა არ მქონია. ადრე, მართვის მოწმობა რომ არ მქონდა აღებული და საჭესთან რომ ვიჯექი, ავტოინსპექტორები ხშირად მაჩერებდნენ ხოლმე. სულ ვიტყუებოდი: იცით რა, „პრავა“ შინ დამრჩა, ან — მეორე ჩანთაში მედომეთქი და სხვა ამგვარი. ახლა კი, როცა მართვის მოწმობა მაქვს, აღარც მაჩერებენ, მაგრამ როცა მაჩერებენ, ისე მიშვებენ, რომ საბუთებს აღარც კი მთხოვენ ხოლმე. სიმართლე რომ გითხრა, ამაზე ძალიან მწყდება გული და თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან ვთხოვ საგზაო პოლიციელებს: გამაჩერონ და მართვის მოწმობა მომთხოვონ ხოლმე!..

■

ნდობის ტელეფონი
კონსულტაცია
ინტიმი (18 წლიდან)
822 009 005

„ბავთი“, „ჯუსელი“,
„ბეგაკომი“ — 0,70 ლ.
თბილისი — 0,45 ლ.
რაიონები — 0,65 ლ.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალიშ

ულის წიგნაკიდან:

1. ქვის ხავსს ხვოფლი ჰქვია.
2 მოთხრობა „ცხვირი“ გოგოლის დაწერილია.
3. საიათნოვამ განათლება ხელმოკლეობის გამო ვერ მიიღო.
4. თომას მანი ხანძრისაგან დამზღვევ კომპანიაში მუშაობდა.
5. დანტეს კომედიას „ღვთაებრივი“ ჯოვანი ბოკაჩომ უწოდა.
6. სამხრეთ ოსეთის სოფელ ისაკყაუს ადრე გიორგიწმინდა ერქვა.
7. „ჩინგისხან ს მიკროფონომ“ — ასე ეძახდა ტუხაჩევსკი სტალინს.
8. იაკობ გოგებაშვილმა თავისი სუსტი ფილტვების გამო არ მოიყვანა ცოლი.
9. „ყველა ადამიანში მზეა, ოღონდ აცალეთ, რომ ანათოს,“ — ამბობდა სოკრატე.
10. „ოთხმოცდაცამეტი წელი“ ჰიუგოს ბოლო რომანი იყო, „ტორკვემადა“ — მისი ბოლო პიესა.
11. ჯუზეპე ვერდის ოპერა „რიგოლეტო“ ჰიუგოს რომანის — „მეფე ერთობას“ მიხედვით არის დადგმული.
12. ფრანსუა ვიიონმა უნივერსიტეტში იმ მოტივით ჩააბარა, რომ მაშინდელი წესით, ეს მას სამეფო სასამართლოს იურისდიქციისგან ათავისუფლებდა.
13. შუქშენიღბვისა და დისციპლინის დარღვევისათვის თბილისში 1941 წელს სამხედრო ტრიბუნალმა 6 ჰიროვნებას დახვრეტა მიუსაჯა.
14. საჰარის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთ ავტოგასამართ სადგურზე შეგიძლიათ წაიკითხოთ შემდეგი განცხადება: „ჩაასხით საწვავი ჩვენთან! ყველა მომდევნო ავტოგასამართი სადგური მირაჟია“.



15. „სამარადჟამო მწიგნობრული სიბრძნე მდარე სათავიდან წარმოიშობა. ცრუმორწმუნეობა წარმოქმნის ასტრონომიას, ჰატივმოყვარეობა, პირმოთნეობა და მლიქვნელობა — მჭევრმეტყველებას, უსაქმური ცნობისმოყვარეობა — ფიზიკას, ადამიანური გულზვიადობა — ფილოსოფიას, სიძუნწე — გეომეტრიას“, — ამბობდა ჟან-ჟაკ რუსო.
16. „ერთსართულიანი ამერიკა“ ილფმა და პეტროვმა 1936 წელს, აშშ-ში მოგზაურობის შემდეგ დაწერეს. P.S. ფაინზილბერგი — ილფის ნამდვილი გვარია, კატაევი — პეტროვის.
17. საცურაო აუზს წყალჯომარდობის დარბაზსაც ეძახდნენ. სიტყვა „ჯომარდი“

„ადრე რომ გაგხსენებთოდი, ჩემი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართებოდა...“

თავისუფლების მოედანზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში ყოველდღიურად ათიათასობით ადამიანი ჩადის. ალბათ არ არსებობს თბილისელი, ამ გადასასვლელით ერთხელ მაინც რომ არ ესარგებლოს. სწორედ ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა ქერა მამაკაცს, რომელიც გიტარის თანხლებით პოპულარულ რუსულ სიმღერებს მღერის, მთელი თბილისი იცნობს. რასაკვირველია, ეს ნაცნობობა ზედაპირულია და ალბათ ბევრს გასჩენია კითხვა: ვინ არის ეს კაცი? საიდან მოვიდა? როგორ ცხოვრობს? რას ფიქრობს?..

მაშ ასე, თქვენ წინაშეა 35 წლის ვალერი ლიზენკო.



ელენე ხირსელი

— ეს მიწისქვეშა გადასასვლელი უშენოდ ვეღარც წარმოიდგენია, ასე მგონია, მუდამ აქ იდექი...

— ბავშვობიდან აქა ვდგავარ *(იცინის)*... 4 წელია, რაც აქ ვმუშაობ. მანამდე, თბილისის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში დაცვის სამსახურში ვიყავი. ისედაც მწირი ხელფასი, თვეების მანძილზე დაგვიგვიანეს, ოჯახს კი რჩენა უნდოდა... ბევრი ფიქრი არ დამჭირდა, ყველაფერი თავისთავად მოხდა: ქალაქში ვსეირნობდი, შემთხვევით ამ მიწისქვეშა გადასასვლელში აღმოვჩნდი. სასიამოვნო მელოდიამ მიმიზიდა — ახალგაზრდები გიტარაზე უკრავდნენ. სწორედ ამ ყმაწვილებმა ჩამოაყალიბეს ცნობილი მუსიკალური ჯგუფი — „ზუმბა“. სწორედ აქ დაიწყეს მათ თავინთი მუსიკალური საქმიანობა!.. ერთ ხანს გავჩერდი და აღტაცებული ვუსმენდი. იმ წუთში გავიფიქრე ისეთი რამ, რამაც ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. მეორე დღეს კი, ავიღე ხელში გიტარა და მეც ქუჩის მუსიკოსი გავხდი. ჯგუფ „ზუმბას“ დიდი მადლობელი ვარ — სწორედ მათ დამაკვალიანეს... მუშაობა რომ დავიწყე, ჩემს მაშინდელ მდგომარეობას მივუსადაგებდი რუსულ გამოთქმას: Денег ни гроша, а поёт душа!

— და მაინც — ეს გადაწყვეტილება იძულებითი ხომ არ იყო?

— პირიქით, დიდი ენთუზიაზმითა და სიხარულით მოვეკიდე ამ საქმეს. მე რომ მხოლოდ მატერიალური მხარე მაინტერესებდეს, მაშინ ვივაჭრებდი და მოგებაც მეტი მექნებოდა. რასაც გული ითხოვს, იმას ვაკეთებ.

— უმეტესად, რა სიმღერებს ასრულებ?

— პოპულარულ რუსულ საესტრადო სიმღერებს — ე.წ. შლაგერებს. მე თვითონაც ვწერ მუსიკას, სიმღერების ტექსტებს, ლექსებს, მაგრამ ხალხში არ ვასრულებ, რადგან გამვლელი დროის მცირე მონაკვეთში გადის მიწისქვეშა გადასასვლელს და უცხო სიმღერის აღქმას ვერ მოასწრებს.

— მუსიკალური განათლება თუ გაქვს?

— დავამთავრე მუსიკალური შვიდწლედი ვიოლინოს კლასით, იქვე ვისწავლე ფორტეპიანოზე დაკვრაც. გიტარას კი, მე თვითონ დავეუფლე. ძალიან მომწონს ეს ინსტრუმენტი, ახალგაზრდებშიც პოპულარულია.

— შემოსავლით თუ ხარ კმაყოფილი?

— დღეში 5-7 ლარს ვშოულობ — პურის ფულია! უკმაყოფილო არ ვარ, რადგან ვიცი, რომ ბევრს ესეც არა აქვს.

— ქუჩაში გამოსვლამდე რას საქმიანობდი?

— უსაქმური არასდროს ვყოფილვარ, მუდამ ვმუშაობდი, თუმცა პროფესიით — არასდროს. პედაგოგიური ინსტიტუტი დავამთავრე. ოჯახს ტვირთად რომ არ დავწოლოდი, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში (დაუსწრებელზე ვსწავლობდი) მშენებლობაზე წავედი. ჩვენი ბრიგადა დიდი დიღმის და ნუცუბიძის პლატოს მშენებლობებზე მუშაობდა. შემდეგ საჩხერეში, მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებზე გაგვაგზავნეს. საკმაოდ დიდი ანაზღაურება გვქონდა — თვეში 600 მანეთი. სოლიდური თანხა დამიგროვდა. ვფიქრობდი, როგორ გამომეყენებინა ეს ფული ჭკვიანურად და ბოლოს გადავწყვიტე, მემოგზაურა. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და ბედნიერი ხანა. მოვიარე რუსეთის მრავალი ქალაქი: მოსკოვი, სარატოვი, როსტოვი, ვიყავი სოხუმშიც... არჩევანი გავაკეთე ღირსშესანიშნაობებით მდიდარ ქალაქებზე. უდიდესი სულიერი სიამოვნება მივიღე. რომ შემეძლოს, მთელ ცხოვრებას „ბორბლებზე" გავატარებდი. ერთ ადგილზე გაჩერება მიმძიმს, ვერ ვიტან მდორე ცხოვრებას. ბოშური სული მაქვს. ძველ დროში მოხეტიალე მსახიობები რომ იყვნენ, მათ შევნატრი. ჭეშმარიტად თავისუფალი, ლაღი და ბედნიერი ადამიანები იყვნენ.

— საქართველოში დაბადებული და გაზრდილი რუსი კაცი, სად უფრო გრძნობ თავს, ასე ვთქვათ, შენს კალაპოტში — აქ თუ რუსეთში?

— შეიძლება ითქვას, რომ მე უკვე „მათიანი" აღარ ვარ. რუსეთში ყოველთვის, როგორც „ჩამოსული", ისე ვგრძნობდი თავს და იქაურებიც მატყობდნენ ამას: აქცენტით, საქციელით, აზროვნებით... თუმცა იმასაც ვერ ვიტყვი, ქართველი ვარ-მეთქი, რადგან ვფიქრობ და ვაზროვნებ რუსულად. ქართული მესმის, მაგრამ თავისუფლად ვერ ვსაუბრობ.

— ვალერი, სენტიმენტალური ადამიანი ხარ?

— ალბათ. ხშირად მიტირია ფილმზე. ბოლოს და ბოლოს, ქვა ხომ არ გიდევს ადამიანს გულის ადგილას... სხვათა შორის, ჩემი ოცნებაა, ვიყო რეჟისორი. ძალიან საინტერესო ფილმს გადავიღებდი.

— რა თემაზე?

— ჯერჯერობით საიდუმლოა. იდეა თუ გავამხილე, გამოვა, რომ რეჟისორებს სიუჟეტს ვუკარნახებ, ეს კი სრულებით არ მაძლევს ხელს.

— ოჯახში ვისთან ერთად ცხოვრობ?

— ვცხოვრობ ოცდამეთერთმეტე ქარხნის სიახლოვეს, ერთოთახიან ბინაში. როგორც იტყვიან — в тесноте, да не в обиде. ოჯახში ხუთნი ვართ: მე, დედა, მეუღლე და ორი ბავშვი (ჩემი დედ-მამა გაყრილები არიან). დედა ბაზარში ვაჭრობს, მეუღლე კი დიასახლისია.

— რატომ გაიყარნენ შენი მშობლები?

— ეს ჩემთვის ისეთივე საიდუმლოა, როგორიც თქვენთვის: დედა ამის შესახებ არაფერს მიყვება. ალბათ მისთვის ეს ძალიან მტკივნეული თემაა. ისე კი, ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ვიცოდე მამის შესახებ, მაინტერესებს — ვინ არის, როგორია, ცოცხალი თუა...

— მოდი, ახლა შენს პირად ცხოვრებაზე მომიყევი. სად და როგორ გაიცანი მეუღლე?

— ეს ჩემი მეორე მეუღლეა. პირველთან მხოლოდ რამდენიმე თვე ვიცხოვრე. კარგად არც კი ვიცნობდით ერთმანეთს, როცა შევუღლდით და მალე მივხვდით, რომ შეცდომა დავუშვით.

რომ შემეძლოს, მთელ ცხოვრებას „ბორბლებზე", გავატარებდი. ერთ ადგილზე გაჩერება მიმძიმს

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ლვალი: „ფის წიგნაკიდან:

ყოჩაღს, გულადს ნიშნავს.

18. მხატვრული ფილმის — „უდაბნოს თეთრი მზის" პერსონაჟმა, პაველ არტემიევიჩ ვერეშჩაგინმა საკუთარი მუნდირი ფარშევანგებში გაცვალა.

19. „თუ თქვენ ვინმესთვის მონობის ბორკილებს ამზადებთ, შეეგუეთ იმ აზრს, რომ ეს ბორკილები ერთ დღეს თქვენც დაგედებათ", — ამბობდა აბრაამ ლინკოლნი.

20. „საქართველოში რეპი გაცილებით ადრე გაჩნდა, ვიდრე ამერიკაში. თუ არ გჯერათ, გაიხსენეთ „ქეთო და კოტეში" მზითვის სიას რომ კითხულობენ!" — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში დათო ევგენიძემ.

21. „ძლივს არ მეღირსა თავადის ქალებთან ჯდომა!" — თქვა ერთ-ერთი კონცერტის დროს სტალინმა, როდესაც ნატო ვაჩნაძესა და თამარ ციციშვილს შორის დაჯდა.

22. ტუტანხამონის სარკოფაგის აღმოჩენის შემდეგ, არქეოლოგი კარნარონი მალე გარდაიცვალა. ბრიტანეთის პრესა ამის მიზეზად სარკოფაგში ნაპოვნ ერთ-ერთ ნივთს ასახელებდა, რომელიც თითქოსდა შხამს შეიცავდა. P.S. ამ კერსიის ავტორი, არტურ კონან დოილი, სახელგანთქმული „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავლის" ავტორი გახლდათ.

23. ადრე ბორდოში ღვინოს არ აძველებდნენ. ერთი წლის ღვინოს აღარავინ სვამდა და ღვრიდნენ. P.S. კასრში დაყენებულ ღვინოსაც სხვადასხვა ფასი ჰქონდა: კასრის ზედა ნაწილში მდგარი ღვინო უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე კასრის შუა ან ქვედა ნაწილში.

24. ისანი თბილისის ისტორიული უბანია. წყაროებში იგი XI საუკუნეშია მოხსენიებული. VIII-IX საუკუნეებში, არაბთა ბატონობის ხანაში, აქ, გამაგრებული დასახლება ყოფილა. IX საუკუნის ბოლოს იგი ქვიტკირის გალავნითა და თხრილით გაუმაგრებიათ და სიმტკიცის გამო, არაბულად ჰისნი (ციხე-სიმაგრე) უწოდებიათ.

25. „რაც უნდა უშვერი, უმსგავსი სულელობით აღსავსე საქმე იყოს, ჩვენში ფეხს გაიდგამს ხოლმე, ისე, რომ ყურსაც არავინ შეაპარტყუნებს. არც მის მოქმედსა აქვს შიში, რომ მოვა დრო და მომკითხავს ვინმე, არც მის მაყურებელს აქვს სირცხვილი, ეგრე პირუტყვულად რაზედ ვექცევინებითო", — წერდა ილია ჭავჭავაძე. ■

— შენს ახლანდელ მეულლეზე რას მეტყვი?

— ეს ძალიან საინტერესო ამბავია. უცნაური რამ არის ბედისწერა: ჩვენ ერთ სკოლაში ვსწავლობდით. ის მესამეკლასელი იყო, მე კი უკვე სკოლას ვამთავრებდი (ჩვენ შორის 8 წელია სხვაობა). მე, როგორც უფროსკლასელი, მათ კლასში ხელმძღვანელად დამნიშნეს. შევხედე თუ არა პირველად პატარა ირინას, გულმა უცნაურად გამკრა. რატომღაც გავიფიქრე, რომ ეს ბავშვი ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა. ძალიან უცნაური და ამავე დროს, ძალიან სასაცილოც იყო, მაგრამ მასთან ურთიერთობისას ყოველთვის ვლელავდი. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ის გრძნობა, რაც საპირისპირო სქესის წარმომადგენლის მიმართ გიჩნდება კაცს, მაგრამ არც მხოლოდ ის, რასაც მცირეწლოვანი ბავშვის მიმართ განიცდი. დიდ სიამოვნებას მანიჭებდა მისი ყურება, მისი ბავშვური ტიკტიკი. რა იყო, ეს თვითონაც არ ვიცი, მაგრამ ფაქტი იყო, რომ პატარა ესტონელმა გოგონამ მომხიბლა და ჩვენ შორის რაღაც უხილავი, შეუცნობელი კავშირი გაჩნდა.

— რამდენ ხანს იყავი მათი კლასის ხელმძღვანელი?

— მხოლოდ რამდენიმე თვე, მაგრამ მერეც, ხშირად ვხედავდი ამ ბავშვს სკოლაში. მიხაროდა უბრალოდ, ის რომ არსებობდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ბაფთიანი გოგონა გაქრა ჩემი თვალთახედვიდან. ამ ამბავმა ძალზედ დამწყვიტა გული. ერთხელაც, ვეღარ მოვითმინე, მის თანაკლასელთან მივედი და ირინას ამბავი ვკითხე. მახსოვს, როგორ გაოცდა ის გოგონა, როცა ასეთი „დიდი ბიჭი", მისი პატარა მეგობრით დაინტერესდი. მან ირინას ტელეფონის ნომერი მომცა, მაგრამ დარეკვა ვერ გავბედე, შემრცხვა, ვიფიქრე — რას იფიქრებს ხალხი, რა უნდა ამხელა ბიჭს ბავშვისგანო... გავიდა წლები. ეს უცნაური ამბავი თითქოს დავიწყებას მიეცა. იმ პერიოდში, ცოლის შერთვაც მოვასწარი და მასთან გაყრაც. ერთ მშვენიერ დღეს კი (27 წლის ვიყავი უკვე), მოულოდნელად, პატარა, ბაფთიანი გოგონა გამახსენდა. ძველი უბის წიგნაკში მისი მეგობრის მიერ ოდესღაც მოცემული ნომერი მოვძებნე. გავახსენდები კი? — ვფიქრობდი... ირინამ უცებ გამიხსენა, ძალიან გაუკვირდა და გაუხარდა. შეხვედრა ვთხოვე, მან მითხრა, რომ ქმართან იყო გაყრილი და 3 წლის ბიჭი ჰყავდა. ისიც მითხრა — ყოველთვის მომწონდი და ადრე რომ გაგხსენებოდი, ჩემი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართებოდაო. თურმე 15 წლის ასაკში გათხოვილა. ამაზე ვუპასუხე: ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, პირიქით — ძალიან მიყვარს ბავშვები-მეთქი... ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. ერთი წლის შემდეგ დავქორწინდით და გვეყოლა გოგონა. ახლა ბიჭი 10-ისაა, გოგონა კი — 6-ის. ბავშვებს ერთმანეთისგან ვერ განვასხვავებ — ორივე ერთნაირად მიყვარს, ორივე ჩემი ღვიძლი შვილია.

— როგორ ფიქრობ — რით მოხიბლე ირინა? სიმღერით ხომ არა?

— ალბათ, რა ვიცი — მაშინ ხშირად გამოვდიოდი სკოლის სცენაზე...

— ახლა როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. მართალია, ზოგჯერ ვკამათობთ და ვჩხუბობთ კიდეც, მგარამ ხომ გაგიგიათ ანდაზა — ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო. წარმოუდგენელია ჩვენი ცხოვრება უერთმანეთოდ.

— ვალერი, ცხოვრებით კმაყოფილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ. მუდამ ლაღი და ხალისიანი ხარ. როგორ ახერხებ ამას?

— მე მივხვდი, რომ ცხოვრება ძალიან საინტერესოა და ღირს ამქვეყნად მოსვლა. ცხოვრებაში ყველაფერი უნდა გამოსცადო — სიმწარეც და სიტკბოც. თუ მწარეს გემო არ გაუგე, განა შეიგრძნობ სიტკბოს?! თუ ცუდი ადამიანი არ შეგხვდა, განა დააფასებ კეთილს?! ნუ მოინდომებ იმაზე მეტს, რისი გაკეთებაც შეგიძლია. ისწავლე, იყო კმაყოფილი იმით, რაც გაქვს. მე ვხელმძღვანელობ პრინციპით: მთავარია, არა თვითონ ფაქტი, არამედ ის, თუ როგორ აღიქვამ მას. ეს საკმარისია იმისთვის, რომ ბედნიერად იგრძნო თავი. და კიდევ: უნდა ეცადო, იპოვო საკუთარი თავი.

— შენ იპოვე?

— ვეძებ და აუცილებლად ვიპოვი.

— ბედისწერის თუ გწამს?

— კი. ვფიქრობ, რომ დედამიწა გარკვეული, წინასწარ მოცემული პროგრამით ბრუნავს. არსებობს რაღაც ძალა, რომელიც გვმართავს და სხვა, ჩვენთვის შეუცნობელ განზომილებაში იმყოფება.

— ვალერი, დავუშვათ, ოქროს თევზი დაიჭირე, რომელმაც 3 სურვილის შესრულება შემოგთავაზა. რას სთხოვდი?

— პირველად, აუცილებლად ვთხოვდი ჭკუას: მინდა, ვიყო ძალიან ჭკვიანი და მქონდეს უსაზღვრო ცოდნა. გექნება ჭკუა — დანარჩენს თავად მოიპოვებ. ჭკვიანი კაცი არასდროს იქნება ღარიბი... მეორე — ძალიან მინდა, ცხოვრებაში არასდროს აღმოვჩნდე ჩათრეული კონფლიქტში. მშვიდობისმოყვარე ადამიანი ვარ და ყველანაირად ვცდილობ, თავი ავარიდო კონფლიქტურ სიტუაციებს. იმიტომ კი არა, რომ მეშინია, უბრალოდ, საოცრად არ მიყვარს ჩხუბი და უსიამოვნება... და მესამე — მინდა, რომ ჩემს ორ შვილს ჩემზე ლაღი ცხოვრება ჰქონდეს. მინდა, რომ იყვნენ ბედნიერები, თორემ მე ისედაც ბედნიერი ვარ — ჩემებურად... ■



მე მივხვდი, რომ ცხოვრება ძალიან საინტერესოა და ღირს ამქვეყნად მოსვლა

არსენა მიქელაძის მეუღლის ანდერძი

1993 წლის 12 დეკემბერს თბილისში ერთი გახმაურებული მკვლელობა მოხდა. მსხვერპლი — ყოფილი საბჭოთა კავშირისა და შემდგომ, დსთ-ის ქვეყნების ე.წ. „შავი სამყაროს“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ავტორიტეტი, არსენა მიქელაძე გახლდათ. მისი ქვრივი — ქალბატონი მანანა მუდამ თავს არიდებს საკუთარ ტკივილზე საუბარს, მაგრამ ძალზე თავაზიანად მიმიღო. ვიცი, რომ არაერთხელ მიმართეს თხოვნით, პირადად გაეხსენებინა 9 წლის წინანდელი მოვლენები და არსენა მიქელაძეზეც მოეთხრო, მაგრამ არ სურდა. ამჯერად ქალბატონი მანანას თანხმობა მივიღე და ჩვენი შეხვედრაც თბილისის ძველ უბანში, დიდუბეში მდებარე მის სახლში შედგა.

პირველ სართულზე, მისაღები ოთახის კედელზე არსენა მიქელაძის უზარმაზარი პორტრეტი კიდია. ჯერ კიდევ არსენას დაკრძალვამდე მოუტანიათ მის მეგობრებს ზეთში შესრულებული ეს სურათი. ქალბატონი მანანა, როგორც თავად მითხრა, იშვიათად შემოდის ამ ოთახში. მეც, სასაუბროდ, თავის მყუდრო ოთახში მიმიწვია.

მაია კახიძე



— ქალბატონო მანანა, ალბათ ხშირად ფიქრობთ თქვენი მეუღლის მკვლელზე...

— მკვლელის განსჯის უფლება არ მაქვს, მის ადგილზე კი, ბევრჯერ დამიყენებია საკუთარი თავი. თუ მკვლელის იმიჯს, კაცობას, სიცოცხლეს ჩემი მეუღლის სიკვდილი სჭირდებოდა, მერე რა?.. მკვლელის სიცოცხლეს ჩემთვის ფასი არა აქვს, ის ცოცხალი მკვდარია და ცოცხალი მკვდრის სიცოცხლე, სიცოცხლეა?! მას ეშმაკი შეუჯდა და არსენას იმიტომ ესროლა! ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ მკვლელს არსენასთვის ზურგიდან არ უნდა ესროლა, არსენას ეს არ ეკადრებოდა! მე იმას გეუბნებით, რასაც არსენა გეტყოდათ. და მთავარი — ჩვენ მკვლელი დავსაჯეთ. დავსაჯეთ იმით, რომ მან უნდა იცოცხლოს, უსაშველო ტვირთით უნდა იაროს...

— თქვენი აზრით, არსენა მიქელაძის მკვლელი საქართველოშია?

— შეიძლება... სანამ იმ ქვეყნად წავალ, ჩემს შვილებს ანდერძს ვუტოვებ: თუ ოდესმე გაიგებენ მამის მკვლელის ვინაობას, უბან-უბან უნდა ატარონ, რომ ხალხმა საკუთარი თვალით ნახოს არსენას მკვლელი!.. არსენას ხსოვნას უამრავმა ადამიანმა მიაგო პატივი. მას ბევრი სიკეთე აქვს დათესილი. რამდენი დაუპურებია, რამდენისთვის გაუწევია თანადგომა, რამდენის ჭირი და ლხინი გაუზიარებია... მკვლელს თითო ქვა რომ ესროლონ, ესეც ეყოფა... ჩემი ოჯახი სისხლში ხელს არ გაისვრის; შეიძლება ჩხუბში, კაცურკაცობაში, სიმართლისთვის ამოიღონ ხმა მიქელაძეებმა, მაგრამ სისხლი — არასოდეს!

— ხომ არ ფიქრობთ, რომ არსენა მიქელაძე ძალიან დიდი თანხის გამო მოკლეს? ყოველ შემთხვევაში, ასეთი ვერსია ტრიალებდა, მგონი, არა?

— ეს არც ჩვენი გასარჩევია და არც საზოგადოების. მხოლოდ ერთს დავაკონკრეტებ: არ მინდა, არსენა მიქელაძის მკვლელი ახლობელი იყოს. ვთქვათ, ფული იყო მიზეზი, მაგრამ ის ვიღაც ხომ მაინც ჩემი მეუღლის სიკვდილმა გადაარჩინა...

— როგორც ვიცი, თქვენი მეუღლე და ჯაბა იოსელიანი მეგობრობდნენ, მაგრამ არსენას მკვლელობის შემდეგ, ხალხი ათასგვარ ვერსიას ჰყვებოდა მათ ურთიერთობაზე...

— ერთმანეთს სულ რამდენჯერმე შევხვედრივართ. 17 წლის ვიყავი, ჯაბა რომ გავიცანი და შემიძლია გითხრათ: ჯაბა ის კაცი არ არის, არსენა რომ მოეკლა. ჯაბა ჩემს მეუღლეში კაცური ტრადიციების გაგრძელებას ხედავდა. თუკი ჯაბაზე და ჩემს მეუღლეზე ათასგვარ ამბავს ბეჭდავენ ჟურნალისტები, თავად ჯაბამ არ უნდა მისცეს უფლება, რომ ამდენი ილა-პარაკონ და დეზინფორმაცია გაავრცელონ. აი, თქვენ მობრძანდით და შეკითხვებს მისვამთ, ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთი კი, თავის ვერსიებს ბეჭდავს, რაც ოდნავადაც არ დგას ახლოს ჭეშმარიტებასთან. ასე არ შეიძლება!

— ჰოდა, მეც რომ „სავერსიოდ“ არ გამიხდეს საქმე — თუ შეგიძლიათ, რა თქმა უნდა, — 1993 წლის 12 დეკემბერი გაიხსენეთ...

— დაღუპვამდე სამი დღით ადრე, მეგობრის შვილის დაკრძალვაზე ჩამოვიდა არსენა. 12-ში ნოდარ კვანტალიანის ოჯახში მიიწვიეს ვახშამზე. იქ იმყოფებოდნენ: ჯონდო ფარცხალაძე, ბუბა კიკაბიძე, ვახტანგ ტატიშვილი, ნუგზარ ჯანელიძე (მეტსახელად ხოსია), ელდარ კვინტრაძე... ნოდარ კვანტალიანი ბახტრიონზე ცხოვრობს, მე-14 სართულზე. მეც უნდა მივსულიყავი ვახშამზე, მაგრამ ჩემს ბიჭს მანქანა გაუფუჭდა და მოსვლა დააგვიანა, გამზადებული ველოდებოდი. დაახლოებით, საღამოს ცხრა საათზე — ათის წუთებზე დაიშალნენ და ლიფტში პირველები ელდარი, ხოსია და ჩემი ქმარი შევიდნენ. ლიფტი პატარა იყო და ყველა ერთად ვერ დაეტეოდა. მეც იქ რომ ვყოფილიყავი, ჯემალთან *(არსენა მიქელაძის ნამდვილი სახელი. — ავტ.)* ერთად, მის გვერდით ვიქნებოდი ლიფტში და სწორედ მასთან ერთად გამოვიდოდი. გამორიცხული არ არის, რომ მეც მოვეკალი... ლიფტიდან გამოვიდნენ თუ არა, ესროლეს...

— თბილისში იმასაც ამბობდნენ — ხოსიამ გაჭირვებაში მყოფი არსენა მიქელაძე მიატოვაო...

— როგორ გეკადრებათ! ნუგზარი (ხო-

სია) ის კაცი არ არის, ჯემალ მიქელაძე გაჭირვებაში მიეტოვებინა. მარტო ნუგზარზე კი არა, იქ ვინც იყო, არც ერთი მათგანის ვაჟკაცობაში არ მეპარება ეჭვი. ვახტანგი (ტატიშვილი), ბუბა და დანარჩენები ზემოთ იყვნენ, ლიფტს ელოდებოდნენ.

— ქალბატონო მანანა, იმასაც ამბობდნენ — მაყუჩიანი იარაღით მოკლესო, მართალია?

— ესეც ტყუილია — არსენა მიქელაძე ავტომატის ჯერით დაცხრილეს!

— ახლა რამდენი წლის იქნებოდა არსენა მიქელაძე?

— 27 ივლისს 61 წლის გახდებოდა.

— რატომ ეძახდნენ ჯემალ მიქელაძეს არსენას?

— უბრალო ფაქტის გამო. ერთ ახლობელს უთქვამს მეორისთვის: შენ რა, არსენასავით ღუნავ მონეტასო? — ჯემალი ჰყავდა მხედველობაში და იქიდან წამოვიდა ეს სახელი, თორემ ჯემალს მეტსახელი არ ჰქონია.

— წარმოშობით სადაურია არსენა მიქელაძე?

— სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშიდან არის, მაგრამ თბილისშია დაბადებული.

— თქვენ?

— მე ქუთაისელი გახლავართ და ჯემალიც ქუთაისში გავიცანი.

— იქნებ, თქვენი შეუღლების შესახებ მიამბოთ?

— ჯემალი რვა წლით უფროსია ჩემზე. ქუთაისში, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. ყველას, ვინც ახლომახლო ვიყავით სკოლის მოსწავლეები, გვამეცადინებდა. მკაცრი და მომთხოვნი იყო, მაგრამ საოცრად წიგნიერი. მერე, სადედამთილომ და სამამამთილომ წამომიყვანეს და დღემდე ღირსეულად ვატარებ მიქელაძეების გვარს. დიახ, მიქელაძეებმა გამზარდეს, ბევრი რამ მასწავლეს, ტრადიციებით აღმზარდეს... 15 წლის გოგო ჯემალ მიქელაძის ცოლი გავხდი და ჩემს აღზრდაში ყველაზე დიდი ღვაწლი ჩემს მეუღლეს მიუძღვის. ყოველწამს ვგრძნობდი მის უდიდეს სიყვარულს, მთელი ჩვენი ურთიერთობა ამის გამოხატულება გახლდათ.

— ჯვარიც დაიწერეთ? კომუნისტების დროს, ეს ხომ, ფაქტობრივად, აკრძალული იყო. თქვენი მეუღლისთვისაც მისაღები იყო ჯვრისწერა?

— რა თქმა უნდა, დაქორწინებიდან ათი წლის შემდეგ სვეტიცხოველში დავიწერეთ ჯვარი.

— ქალბატონო მანანა, 15 წლის გოგონამ თუ იცოდით, კანონიერ ქურდს რომ მიჰყვებოდით ცოლად?

— ჩემთვის მუდამ ჯემალი იყო უმთავრესი და არა — მისი პროფესია. ჩემი მეუღლე საოცარი პიროვნება გახლდათ. ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობდა, მთელი ოჯახი მორწმუნეები ვართ. მისი სამაგიდო წიგნები იყო: ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი... ისე საუბრობდა ფილოსოფოსებზე, ერთ რამედ ღირდა მისი მოსმენა. შექსპირის სონეტები ზეპირად იცოდა. ჯემალი არაჩვეულებრივი მამა, მეუღლე და ბაბუა იყო. ციხიდანაც არ მაკლებდა ყურადღებას და ზრუნვას. მე იმის თქმა მინდა, რომ ჩემი მეუღლე გამორჩეული პიროვნება იყო თავისი კაცობით. ისეთ საოცარ წერილებს მწერდა, ციხის ხელმძღვანელობა გაოგნებული იყო. მაგალითად, მომწერდა ხოლმე: რა უნდოდა ეთქვა ბალზაკს, კანტს, ლაო-ძის, ნიცშეს და ა.შ. პასუხებს ნოველების სახით ვუბრუნებდი, ოღონდ — საკუთარი ინტერპრეტაციით. ლეგენდები დადიოდა ჩვენს მიმოწერაზე. იქიდანაც მზრდიდა. ყველაფერი ხომ ცენზურას გადიოდა და იმიტომაც ვთქვი — ციხის ხელმძღვანელობა გაოგნებული იყო-მეთქი. ჯემალი პატივს სცემდა ჩემს აზრს...

— რამდენჯერ იყო ჯემალ მიქელაძე პატიმრობაში?

— ორჯერ. 1968 წელს დააპატიმრეს და ოთხი წლის შემდეგ გაათავისუფლეს, მეორედ — ორი წლით დააპატიმრეს.

— სად იხდიდა სასჯელს?

— ორჯერვერ — რუსეთში. პირველად ვეტლაგიდან დაბრუნდა, მეორედ — ნიჟნი ტაგილიდან.

— პაემანზე ხშირად ჩადიოდით?

— პაემანზე კი არა, მილიციაშიც არასოდეს ვყოფილვარ. არ მინდა, საზოგადოებამ ისე გაიგოს, რომ ჩემი პაემანზე არმისვლა ჯემალის ახირება იყო. არა, ეს ჯემალის ფაქიზი გრძნობის და რომანტიკული დამოკიდებულების გამო ხდებოდა: ჯემალი ვერ მიმეტებდა იქ მისასვლელად.

— პირველი შვილი მამუკაა თუ ჯემალი?

— მამუკა. მისი დაბადების შემდეგ, ერთი ოთახი სპეციალურად მოვაწყვე სათამაშოდ. მეც პატარა ვიყავი და ჩემს შვილთან ერთად ვატარებდი დროს. ჯემალის და მისი მეგობრების მორთმეული უამრავი სათამაშო მაქვს შენახული. სხვათა შორის, როდესაც რუსულ პრესაში რამე იწერება, ხშირად აღნიშნავენ — არსენა მიქელაძეს რუსეთში უფრო უფრთხილდებოდნენ, ვიდრე საქართველოშიო.

— თქვენი მეორე ვაჟი მამის სეხნიაა და ალბათ მეუღლის პატივსაცემად დაარქვით მისი სახელი, არა?

— ჩემს შვილს ძალიან ეამაყება, მამის სეხნია რომ არის, მაგრამ ბავშვობიდან ჯემოს ვეძახით.

— მიქელაძეების რძლებზე რას მეტყვით?

— ჯემოს ცოლი არ ჰყავს. ტრადიციების მომხრეა და მთავარი მისთვის ის არის, რომ მისმა მეუღლემ მიქელაძეების რძლობა დაიმსახუროს. მამუკას მეუღლეს, სოფო კაპანაძეს რომ უთხრა — მანანა დედამთილიაო, — გაბრაზდება. მიქელაძეების ოჯახს დიდებულად მოერგო. ასეთი რძალი უნდა ინატრო, მისი პიროვნება

ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ ᲛᲝᲰᲧᲐᲕᲗ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲡ. ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘ ᲡᲝᲤᲝᲐ.

— **ᲗᲥᲕᲔᲜ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲐᲠᲩᲘᲔᲗ ᲡᲐᲠᲫᲚᲝ?**

— ᲗᲐᲕᲐᲓ ᲨᲔᲐᲠᲩᲘᲐ ᲛᲐᲛᲣᲙᲐᲛ. ᲡᲝᲤᲝ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲓᲐᲕᲣᲑᲠᲣᲜᲔ ᲝᲯᲐᲮᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲛᲭᲝᲜᲓᲐ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲡᲔ ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲐ: ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲕᲩᲔᲠᲓᲔᲑᲘᲝ, — ᲓᲐ ᲐᲒᲔᲠ ᲣᲙᲕᲔ 12 ᲬᲚᲘᲐ, ᲒᲕᲔᲠᲓᲡ ᲣᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲩᲔᲛᲡ ᲨᲕᲘᲚᲡ. ᲩᲔᲛᲘ ᲯᲔᲛᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲝᲛ, ᲓᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘᲪ. ᲡᲐᲣᲪᲮᲝᲝ ᲠᲐᲚ-ᲛᲐᲖᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲗ.

— **ᲗᲥᲕᲔᲜ ᲬᲔᲚᲐᲜ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ ᲐᲮᲡᲔᲜᲔᲗ. ᲠᲐ ᲒᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ?**

— ᲨᲐᲕᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲗᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ — ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐᲐ. ᲔᲡ ᲮᲝᲛ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐᲐ?!

— **ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐᲡ ᲒᲐᲮᲕᲔᲕᲐ?..**

— ᲓᲘᲐᲮ, ᲔᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐᲐ...

— **ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲚᲛᲔᲠᲗᲘ ᲡᲬᲐᲛᲗ?**

— ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ. ᲐᲗᲘ ᲛᲪᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲗᲘᲕᲔᲕᲔ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲘᲪᲐᲕᲔᲜ. ᲛᲐᲠᲮᲕᲐᲡᲐᲪ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲔᲜ...

— **ᲐᲚᲡᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ?**

— ᲐᲠᲐ. ᲕᲙᲘᲗᲮᲔ ᲛᲐᲛᲣᲙᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲡᲔ ᲛᲘᲞᲐᲡᲣᲮᲐ — ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲐᲠᲝ.

— **ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲣᲚᲚᲔᲪ ᲘᲪᲐᲕᲓᲐ ᲐᲗᲡᲐᲕᲔ ᲛᲪᲜᲔᲑᲐᲡ?**

— ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ. ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲖᲔ ᲗᲐᲛᲐᲛᲐᲓ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲪᲐᲕᲓᲜᲔᲜ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚ, ᲙᲐᲪᲣᲠ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘ „ᲯᲓᲔᲑᲝᲓᲐ“?

— **ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲫᲚᲕᲐᲠᲘ?**

— ᲣᲤᲐᲚᲗᲐᲜ ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲛᲦᲕᲓᲔᲚᲘ ᲠᲐ ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘᲐ?! ᲛᲦᲕᲓᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲪ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲕᲠᲐᲓ ᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲣᲤᲐᲚᲡᲐᲪ.

— **ᲠᲝᲛᲔᲚ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲖᲔᲐ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲜᲐ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ?**

— ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝᲖᲔ, ᲡᲐᲒᲕᲐᲠᲔᲣᲚᲝ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲖᲔ. ᲘᲥ ᲒᲐᲜᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ, ᲫᲛᲐ, ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲔᲕᲓᲐᲜᲐᲠᲔᲕᲘ ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲗ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ ᲑᲐᲑᲣᲐᲡ ᲐᲠᲡᲔᲜᲐ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲐᲓᲘᲐ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ ᲰᲒᲐᲕᲡ ᲑᲐᲑᲣᲐᲡ.

— **ᲜᲐᲓᲘᲐ, ᲑᲔᲑᲘᲐᲛ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲜ ᲓᲐ ᲑᲐᲑᲣᲐᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲒᲥᲝᲜᲓᲐᲗ.**

— ᲔᲜᲘᲗ ᲐᲣᲬᲔᲠᲔᲚᲘ, ᲒᲔᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲐᲑᲣᲐ ᲛᲧᲐᲕᲓᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲕᲐᲛᲐᲧᲝᲑ. ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲣᲚᲐᲓᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲕᲒᲐᲕᲐᲠ. ᲛᲐᲡ ᲛᲘᲐᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲘᲧᲝ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲖᲔ ᲡᲣᲚ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲘᲛᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲣᲑᲜᲔᲑᲝᲓᲐ: ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲡ�წᲐᲕᲚᲔ, ᲗᲐᲠᲯᲘᲛᲜᲐᲓ ᲬᲐᲒᲘᲧᲕᲐᲜᲔ, — ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲔᲡᲬᲠᲝ... ᲓᲘᲓᲘ ᲑᲔᲑᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ — ᲜᲐᲓᲘᲐᲪ ᲛᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲠᲥᲕᲐ.

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ. ᲚᲔᲥᲡᲡ ᲠᲝᲛ ᲬᲐᲕᲣᲙᲘᲗᲮᲐᲕᲓᲘ, ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠ ᲦᲘᲛᲘᲚᲡ ᲕᲐᲛᲩᲜᲔᲕᲓᲘ. ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲛᲔᲙᲘᲗᲮᲐ. ᲑᲔᲕᲠ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲡ ᲛᲩᲣᲥᲜᲘᲓᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ. ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲣᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡᲘ ᲙᲐᲑᲐ ᲩᲐᲛᲝᲛᲘᲢᲐᲜᲐ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ — ᲨᲐᲕᲘ, ᲬᲘᲗᲔᲚᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲘᲛ ᲙᲐᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲘᲡᲔ ᲛᲝᲕᲬᲝᲜᲓᲘ, ᲚᲐᲨᲐ ᲗᲐᲑᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲬᲐᲛᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ. ᲑᲐᲑᲣᲐᲡ ᲨᲔᲕᲣᲡᲠᲣᲚᲔ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲩᲐᲕᲐᲑᲐᲠᲔ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ, ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ ᲛᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡᲐᲪ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑ. ᲓᲦᲔᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲣᲡᲐᲧᲕᲐᲠᲚᲔᲡᲘ ᲑᲐᲑᲣᲐ ᲩᲔᲛ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲙᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲡᲣᲚᲘ ᲛᲐᲘᲛᲔᲓᲔᲑᲡ... ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲪ ᲓᲐᲛᲘᲪᲮᲠᲘᲚᲐ ᲒᲣᲚᲘ... ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲡ, ᲑᲐᲑᲣᲐᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲛᲐᲛᲐᲡ ᲕᲔᲫᲐᲮᲓᲘ. ᲝᲠᲘ ᲑᲘᲭᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲡ ᲣᲮᲐᲠᲝᲓᲐ — ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲔᲖᲠᲓᲔᲑᲐᲝ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲪᲔᲙᲕᲔᲑᲘ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲪᲔᲙᲕᲐᲕᲓᲘᲗ. ᲕᲡᲔᲘᲠᲜᲝᲑᲓᲘᲗ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲝᲓᲐ... ᲑᲑᲣᲐᲩᲔᲛᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲓᲐ ᲛᲐᲡᲨᲘ. ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲔᲫᲚᲝ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲩᲐᲛᲔᲑᲐᲠᲔᲑᲘᲜᲐ. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲖᲔᲪ ᲣᲐᲠᲘ ᲕᲗᲥᲕᲘ: ᲯᲔᲠ ᲐᲥ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲘᲦᲝ ᲪᲝᲓᲜᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲑᲐᲑᲣᲐᲡᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲡᲣᲠᲓᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲙᲘ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲦᲠᲛᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ, ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲡᲐᲪ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑ. ᲩᲔᲛᲘᲗ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲘᲐᲛᲐᲧᲔᲑᲡ ᲐᲠᲡᲔᲜᲐ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ... ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲭᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲠᲩᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲨᲔᲛᲘᲮᲝᲠᲪᲓᲔᲑᲐ. ᲘᲛᲐᲖᲔᲪ ᲛᲬᲧᲓᲔᲑᲐ ᲒᲣᲚᲘ, ᲑᲐᲑᲣᲐᲩᲔᲛᲘᲡ „ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ“ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲘᲐᲠᲔ. ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲛᲔᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲐ: ᲡᲣᲚ ᲛᲔᲤᲔᲠᲔᲑᲐ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲛᲘᲛᲖᲔᲠᲡ ᲓᲐ ᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘᲐ ᲩᲔᲛᲘᲗᲕᲘᲡ. ᲛᲣᲓᲐᲛ ᲙᲝᲞᲬᲘᲐ ᲛᲔᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲘᲪ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲘᲧᲝ. ᲐᲠᲡᲔᲜᲐ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲘᲡᲜᲐᲘᲠᲘ ᲑᲐᲑᲣᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ, ᲛᲘᲡᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲥᲕᲘᲐ. ᲑᲔᲑᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲑᲣᲐᲡ ᲖᲦᲐᲠᲣᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲙᲘ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲘᲗᲕᲘᲡ. ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ ᲐᲠ ᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲙᲐᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲝᲪᲐᲠ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲡ ᲛᲘᲒᲖᲐᲕᲜᲘᲓᲐ. ᲐᲮᲚᲐ, ᲑᲔᲑᲘᲐᲡ ᲠᲐ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲡ ᲬᲔᲠᲓᲐ?!. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲐᲑᲣᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲐᲦᲐᲠᲐᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲢᲙᲘᲕᲐ...

— **ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲖᲔ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲓᲐᲓᲘᲮᲐᲠ?**

— ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ. ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲐᲛᲡ, ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲣᲗᲡ ᲛᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲑᲐᲑᲣᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲝᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲙᲚᲐᲕᲔᲑᲐ ᲣᲡᲐᲨᲕᲔᲚᲝᲓ ᲛᲘᲭᲘᲠᲡ...

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜ, ᲑᲐᲢᲝᲜ ᲑᲣᲑᲐ ᲙᲘᲙᲐᲑᲘᲫᲔᲡ ᲨᲔᲕᲮᲕᲓᲘ ᲓᲐ ᲕᲙᲘᲗᲮᲔ: ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲐ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲘᲛᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ, ᲗᲣ ᲐᲠᲡᲔᲜᲐ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲠᲐ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘᲐ?

ᲑᲣᲑᲐ ᲙᲘᲙᲐᲑᲘᲫᲔ:

— ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲑᲐᲠᲔᲑᲘᲮᲐᲠᲗ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ, ᲘᲡᲔ ᲩᲔᲛᲘᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲣᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ ᲠᲐᲘᲛᲔ. ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲒᲐᲣᲮᲡᲜᲔᲚᲘᲐ. ᲐᲠᲡᲔᲜᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲔ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲛᲧᲐᲕᲡ ᲘᲥᲘᲗᲐᲪ ᲓᲐ ᲐᲥᲔᲗᲐᲪ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲐ, ᲛᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲜ ᲐᲠ ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ — ᲛᲔᲪ ᲠᲝᲛ ᲘᲛ ᲚᲘᲤᲢᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲧᲝᲚᲝᲓᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲐᲠᲡᲔᲜᲐ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ...

— **ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲕᲘᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ?**

— ᲔᲡ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲘᲘᲩᲥᲛᲐᲚᲐ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ... ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲩᲥᲛᲐᲚᲣᲚᲘᲧᲝ... ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ. ᲠᲣᲡᲔᲑᲡ ᲐᲥᲕᲗ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ — „ᲑᲔᲖᲠᲐᲪᲘᲓᲔᲚᲘ“. ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲒ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ... ■

ჯონჯო ორმანის

ARASEBRIVAGZAULI SAXLI

მილანის მახლობლად ძნელად თუ იპოვით ისეთ დიდებულ მამულს, როგორიც ეს ასწლოვანი ვერცხლისფერი ნაძვებითა და გიგანტური ჯვიპაროსებით გარშემორტყმული მამულია. ვარდისფერი, სასახლის ტიპის შენობისა და მის ირგვლივ მდებარე თვალუწვდენელი სავარგულების დანახვისას, ძნელად ვინმე თუ იფიქრებს, რომ ამ ზეაწეული, ოქროს ბრწყინვალებით აღვსილი, უზომოდ ბურჟუაზიული დიდებულების პატრონი, ოდესღაც, სახელგანთქმული დიზაინერი ჯორჯო არმანი იყო. ადამიანი, რომელიც თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ამტკიცებდა, რომ სამუდამო არსებობის უფლება და ღირებულება მხოლოდ ისეთ ცნებას ჰქონდა, როგორიც სისადავით აღვსილი ელეგანტურობაა...

ვილა რივარა პატარა ქალაქ ბრონის მახლობლად მდებარეობს. ეს არის დიდი, ნათელი, ცისარტყელის ფერებისა და პროვინციული ინტერიერის მქონე სახლი. საერთო ჯაშში, ვილა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ძნელია ჯორჯო არმანის იმიჯთან მისი გაიგივება. მისთვის ჩვეულ თავშეკავებულ ცხოვრებ-



ის სტილთან შეუსაბამოდ არა მარტო მჭახე ფერის ყვავილებიანი შპალერი აღიქმება, არამედ კატისა და ძაღლისგამოსახულებიანი მრავალრიცხოვანი ყურთბალიში, ანტიკვარული სათამაშოები, პატარა ზომის იაფფასიანი კერამიკული სკულპტურები, რომელიც სახლის ყველა კუთხე-კუნჭულში გხვდება, მასიური, მოოქრულჩარჩოიანი სარკეები და სახლის ეზოში დადგმული მარმარილოს ქანდაკებები... დიზაინერი, რომელიც ხოტბას ასხამდა ნაცრისფრისა და ჩალისფრის სრულყოფილებას, საკუთარი სახლის გარემოს გაფორმებისას, სრულიად საწინააღმდეგო გზას დაადგა. მისი ოცდახუთი ოთახის სივრცეში მარჯნისფერი და მწვანე ჭარბობს; კედლებზე კი პროვინციული, ყვავილებიანი შპალერია გაკრული. შედარებით ნეიტრალური, სახლში მხოლოდ მასიური მარმარილოსკიბიანი დიდი ჰოლი და ბუხრის ოთახია. მოკლედ, სულ თავისუფლად შეიძლება, ყველაფერი ეს არმანის პროვოკაციად მოინათლოს.

მოდელიერი თავადაც არ უარყოფდა, რომ მთელი ეს ყურთბალიშები და კერამიკული ფიგურები საშინელება იყო, მაგრამ ამ ნივთებს ერთი მიზეზით ვერ ელეოდა — ყოველი მათგანი საჩუქარი გახლდათ. თუმცა, ზიზ-

დიზაინერი ხოტბას ასხამდა ნაცრისფრისა და ჩალისფრის სრულყოფილებას

ილ-პიპილების ერთი უდავო უპირატესობაც უნდა აღინიშნოს: ვარდისფერი მამულის სტუმრები მთელი ამ კატების, ძაღლების, თოჯინებისა და არქიტექტურული ხვიების ნახვისას თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში. თავის დროზე, სტუმრების ამგვარი განწყობა არც დიზაინერის მახვილ თვალს გამოჰპარვია. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მან, გულწრფელად მიძღვნილი ნებისმიერი საჩუქრისათვის ადგილი ვილა რივარაზე მოეძებნა. თუმცა, სახლი „რწყილების ბაზრობას" რომ არ დაშსგავსებოდა, დიზაინერი ინტერიერს ხშირად აახლებდა და მას მოგზაურობებისას შეძენილი უამრავი წვრილმანით ავსებდა. მიუხედავად ასეთი ორიგინალური მიდგომისა, თავად არმანი სუვენირების ამ კრებულთან კონტაქტს ზედმეტად მიიჩნევდა და ფიქრობდა, რომ ასეთი გარემო დასვენების დღეებისათვის იყო ზედგამოჭრილი (ვილაზე ივი შაბათ-კვირას ატარებდა ხოლმე). თუმცა, ამ ვეებერთელა სახლში იყო ერთი ადგილი, სადაც არმანის გემოვნება და დიქტატი აშკარად იგრძნობოდა. ეს იყო მისი სახელოსნო, სადაც ვერც ერთ ზედმეტ დეტალს ვერ შეხვდებოდით.

არმანიმ ეს სახლი და მის ირგვლივ მდებარე თვალუწვდენელი ტერიტორია დანახვისთანავე შეიყვარა. ერთხელ, 1983 წლის ზაფხულში, მილანის მახლობლად მგზაუ-

აზიის სახელმწიფო	მუსლიმანთა ფეოდალური მმართველი	ერთნიშნა რიცხვი	ხინჯის გადი	ოპტიკური ხელსაწყო მნათობებზე დასაკვირვებლად	ქართველი კინორეჟისორი	...
...	...	...	...	...	...	...
ყვავილი	ჯუჯა ცხენი	... ცოცხალ არგად გვის	პეპელა	გასაღები	აბატი პრევო. „მანონ ..."	სცენაზე წარმოდგენილი დრამატული ნაწარმოები	სოფელი მცხეთის რაიონში

რობისას (მისი მოგზაურობის მიზანი პატარა სახლის ყიდვა გახლდათ) მან თვალი მოჰკრა ამ XVIII ს-ის პომპეზურ ნაგებობას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ვეებერთელა მამული მისთვის საკმაოდ შეუფერებელი იყო, რადგან მას მხოლოდ და მხოლოდ პატარა კოტეჯის შეძენა სურდა, რათა შაბათ-კვირა წყნარ გარემოში გაეტარებინა, მოდელიერმა ცდუნებას ვერ გაუძლო. რამდენიმე თვე არმანმ, მამულის გაყიდვაზე ყოფილი მფლობელის დაყოლიებას მოანდომა, კიდევ ორი კვირა — საბუთების გაფორმებას. მისი ახლობლების თქმით, მას არასოდეს უნანია ვილა-რივარას შეძენა, იგი მიიჩნევდა, რომ მთელი დედამიწის ზურგზე, ეს ყველაზე „არმანული" ადგილი იყო.

მოდის იმპერიის ხელმძღვანელი ასე მყუდროდ და მშვიდად არსად გრძნობდა თავს, არც სიცილიის მახლობლად მდებარე კუნძულზე (სადაც მას არაჩვეულებრივი სახლი ჰქონდა) და არც სანტროპეს კერძო სახლში, სადაც არმანი ზაფხულობით შვებულებას ატარებდა ხოლმე. თითქმის ოცი წელი ჯორჯო არმანი ყოველ შაბათ-კვირას (იშვიათი გამონაკლისის გარდა, როცა ის მილანში არ იმყოფებოდა) რივარაში ჩადიოდა. იგი იქ ცხოვრების ამაოებას გარიდებული, სალამოს მოციონით, გოლფის თამაშითა და დისშვილებთან ერთად ველოსიპედით გასეირნებით იქცევდა თავს. ჯოდი ფოსტერი, გლენ კლოუზი, რიჩარდ გირი, ბენ აფლეკი და გვინეტ პელტროუ არა მარტო მოდელიერის კლიენტები, არამედ მისი უერთგულესი მეგობრები იყვნენ, ისინიც ხშირად სტუმრობდნენ რივარას და ტკბებოდნენ მამულის საოცარი სილამაზითა და მასპინძლის კულინარიული ტალანტით.

ამ ვეებერთელა სახლში იყო ერთი ადგილი, სადაც არმანის გემოვნება და დიქტატი აშკარად იგრძნობოდა

როცა ცნობილი დიზაინერი ამ უზარმაზარ მამულს ყიდულობდა, მის ზურგს უკან ბევრს ლაპარაკობდნენ მასზე. ვარაუდობდნენ, რომ სულ უფრო და უფრო მზარდი იმპერიის მეპატრონე, განდიდების მანიით იყო შეპყრობილი და სურდა, რომ ამ ვეებერთელა სივრცის სრულუფლებიან მფლობელად ეგრძნო თავი. მაგრამ მათი ვარაუდი არ გამართლდა, ეს მამული არმანისათვის თავისებურ განდეგილობის ადგილად იქცა, სადაც იგი მილანში გამეფებულ ამაოებას დროებით მაინც აღწევდა ხოლმე თავს. მართალია, მას ხშირად სტუმრობდნენ მეგობრები და სხვა ცნობილი ადამიანები, მაგრამ ისინი ერთ დღეზე მეტხანს არასოდეს რჩებოდნენ იქ. მთელი დანარჩენი დროის მანძილზე ეს უკიდეგანო სივრცე არმანის დედის, დისა და მისი ორი დისშვილის განკარგულებაში იყო. არმანის სიკვდილის შემდეგ, მამული მემკვიდრეობით მის დას ერგო. იგი ოჯახთან ერთად, დღესაც იქ ცხოვრობს და წარმატებითაც აგრძელებს ძმის საქმიანობას. ■







მრავალრიცხოვანი ყურთბალიში, კერამიკული სკულპტურები, სახლის ყველა კუთხე-კუნჭულში გვხვდება

არმანის სიკვდილის შემდეგ, მამული მემკვიდრეობით მის დას ერგო

...ბი ...ტროუ	თევზის ...ში	კირიანი მარიდებით მდიდარი წყალი	რაულ დე ბრაველონის წოდება	ბილიარდის ...ოხი	შეძახილი თეატრში	...ის ...ამგზავრი	მდინარე ... საქართველოში
...ტარა, ... და ბრუტო	ხორცისა და ბოსტნეულის კერძი	სურამის ქედს კიდევ ... ... ქედი	წყლის მორბიანი ტრანსპორტი	ტურ ჰეიერდალის ტივი	ფრინველი	ერთ-ერთი თანავარსკვლავედი	



საუბარი ლოცვასთან დაკავშირებით, „გზის“ წინა ნომერში დავიწყეთ. როგორ უნდა ვლოცულობდეთ იმისათვის, რომ უფალმა ჩვენი ლოცვა შეისმინოს? შეიძლება თუ არა, ადამიანი ლოცულობდეს თავისი სიტყვებით? აქვს თუ არა „იესოს ლოცვას“ განსაკუთრებული ძალა? შეიძლება თუ არა ლოცვა მოუნათლავის ან სხვა სარწმუნოების წარმომადგენლისათვის? — ამ და სხვა კითხვებთან დაკავშირებით, გვესაუბრება ანდრია პირველწოდებულის სახელობის (ლურჯი მონასტრის) ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი დავით შარაშენიძე.

რა უნდა ვიცოდეთ ლოცვასთან დაკავშირებით?

შორენა მერკვილაძე

— როგორ უნდა ვლოცულობდეთ იმისათვის, რომ უფალმა ჩვენი ლოცვა შეისმინოს?

— იმიტომ ვერ ვილებთ ნაყოფს ლოცვისას, — ამბობს იაკობ მოციქული, — რადგან თქვენი ლოცვა არ არის ერთგულებით და გულმოდგინებით განმტკიცებული. ლოცვის დროს, ლოცვები არ უნდა ვიკითხოთ მექანიკურად. ღმერთს უნდა შევთხოვოთ ის, რაც სასარგებლოა ადამიანის სულისთვის და კარგად დავრწმუნდეთ იმაში, რომ რასაც ვითხოვთ, ნამდვილად სათნოებაა. შეიძლება, ადამიანი რასაც ითხოვს, მართლაც სათნოებაა, მაგრამ არ ვლოცულობთ გულისყურით. ამიტომ, უნდა ვილოცოთ გულმოდგინედ, სიმდაბლით და ყურადღებით. ამასთანავე უნდა განვცდიდეთ და გონებითაც მივსდევდეთ იმას, რასაც ვკითხულობთ და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვილოცოთ რწმენით და ღმერთის შემწეობის იმედად.

— როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც ლოცვის დროს თავს ვერ ვაღწევთ უკეთურ აზრებს?

— წმინდა მამები ასეთ შემთხვევაში ორგვარ რჩევას გვაძლევენ: 1) არ შევწყვიტოთ ლოცვა და მთელი გულისყურით ჩავულრმავდეთ მას; 2) შევწყვიტოთ ლოცვა, შევევედროთ უფალს, რომ განგვარიდოს უსიამოვნო აზრები და მცირე ხნის შემდეგ, ლოცვა განვაგრძოთ.

— შეიძლება თუ არა ადამიანი ლოცულობდეს თავისი სიტყვებით?

— არათუ შესაძლებელი — აუცილებელიცაა, რადგან ასეთი ლოცვა ღმერთს ბავშვის ტიტინივით სიამოვნებს, მაგრამ აუცილებლად უნდა ვითხოვოთ ის, რაც ჩვენი სულისთვის სასარგებლოა.

— რატომ იწოდება „მამაო ჩვენო“ „საუფლო ლოცვად“ ანუ „ლოცვების გვირგვინად“ და რატომ არის ეს ლოცვა ყველა ქრისტიანისათვის უმთავრესი?

— „მამაო ჩვენო“ თვითონ უფალმა იესო ქრისტემ ასწავლა თავის მოწაფეებს, რომლებმაც შემდეგ, ის გადასცეს ყველა ქრისტიანს. სწორედ ამიტომ ეწოდება ამ ლოცვას „საუფლო ლოცვა“. იმის გამო, რომ „მამაო ჩვენო“ შეიცავს მოწოდებასაც, თხოვნასაც და დიდებისმეტყველებასაც, ყველასთვის უმთავრესი და უსაჭიროესია.

— არსებობს აზრი, რომ „იესოს ლოცვას“ განსაკუთრებული ძალა აქვს. რამდენად გამართლებულია ეს ეკლესიური სწავლებით?

— საერთოდ, მორწმუნემ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ ყველა ლოცვას ერთნაირი ძალა აქვს — „იესოს ლოცვა“ იქნება ეს, „დედის ლოცვა“, „მიცვალებულთათვის ლოცვა“ თუ სხვა. ყველაზე მარტივ ლოცვაზეც — „უფალო შეგვიწყალენ“, ღმერთი წყალობას მოგვცემს, თუ მას გულშემუსვრილები წარმოვთქვამთ. ამიტომ, მადლისა და წყალობის მოცემა რომელიმე ლოცვას კი არა, თვითონ ლოცვის სინანულით და გულისყურით აღვლენას შეუძლია.

— როდესაც ფიზიკური უძლურების გამო წამოდგომა არ შეგვიძლია, შეიძლება თუ არა, ლოცვა წავიკითხოთ საწოლში?

— თუ ადამიანი ავადმყოფობის გამო ვერ ახერხებს წამოდგომას, შეუძლია, ლოცვა დაწოლილმაც წარმოთქვას. რაც შეეხება ჯანმრთელ ადამიანს, ლოცვას ფეხზე მდგომი უნდა კითხულობდეს.

— თუ ადამიანმა ყოველთვის ფეხზე მდგომმა უნდა ილოცოს, რატომ არსებობს დაუჯდომელი ლოცვები?

— ეს არის სპეციალური ლოცვები, რომელიც მხოლოდ დაუჯდომელ მდგომარეობაში იკითხება, მაგრამ მორწმუნე უნდა კითხულობდეს ფსალმუნებსაც, რომლის კითხვის დროს შესაძლებელია ჩამოჯდომა. თუმცა, იოანე კრონშტადტელის სწავლებით: „ვკობია, ოჯდე და ოფიქრო ღმერთზე, ვიდრე იდგე და ოფიქრო ფეხებზე“. ამიტომ, თუ ფიზიკური უძლურების გამო, ფეხზე დგომა გვიჭირს, შეგვიძლია ნებისმიერი ლოცვის დროს ჩამოვჯდეთ.

— უნდა შევწყვიტოთ თუ არა ლოცვა, როდესაც სტუმარი გვეწვევა?

— გაჩნია, რასთან დაკავშირებით გვსტუმრობენ. თუ ადამიანი მოდის უქმად მეტყველებისთვის, სხვათა განსაკითხავად და სხვა, ღვთისთვის არასათნო საქმის გამო, ასეთ შემთხვევაში ლოცვა არ უნდა შევწყვიტოთ.

— შეიძლება თუ არა, ვილოცოთ მოუნათლავის ან სხვა სარწმუნოების წარმომადგენელთათვის?

— მოუნათლავთა და სხვა სარწმუნოების წარმომადგენელთათვის ვლოცულობთ კერძო მოხსენიების (პირადი ლოცვების) დროს. დილის ლოცვებში არის სპეციალური პუნქტი, რომლის კითხვის დროსაც შევთხოვთ უფალს, რომ შეეწიოს ამ ადამიანებს და ისინი დაადგნენ ჭეშმარიტების გზას. მაგრამ ჩვენ ლოცვას ალვავლენთ მხოლოდ ცოცხალთათვის.

— სასურველია თუ არა, ლოცულობდეს ადამიანი, რომელსაც აქვს რწმენა, მაგრამ არ ცხოვრობს ეკლესიური ცხოვრებით?

— სასურველია, ადამიანი ასეთ დროსაც ლოცულობდეს, რადგან ლოცვა ასეთი ადამიანის მხრიდან, უფლისკენ მიმავალ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯია. ეკლესიამდეც სწორედ ლოცვის მადლით და ძალით მივა.

— რით განსხვავდება კერძო ლოცვა საზოგადო ლოცვისგან?

— კერძო ლოცვის დროს ადამიანი ლოცულობს მარტო — დილის ლოცვები იქნება ეს, სადილისწინა ლოცვები თუ სხვა პირადი ლოცვითი კანონები. საზოგადო ლოცვა ის მსახურებაა, რომელიც ეკლესიაში აღესრულება. ■

„გზის“ წინა ნომერში ქართული ხალხური შემოქმედების ოსტატი **დავით სხირტლაძე** უნიკალური საკრავის — **გუდა-სტვირის** შესახებ მოგვითხრობდა. ბატონ დავითთან საუბრის მეორე ნაწილი მისი შემოქმედების ქორეოგრაფიულ მხარეს შეეხება.

მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი...

ლია ანდრონიკაშვილი

— ცეკვა ბავშვობიდან მიყვარდა. ამბროლაურის პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისში, კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში, ქორეოგრაფიის განყოფილებაზე ჩავირიცხე. მონაწილეობა მაქვს მიღებული ქართული ცეკვის რესპუბლიკურ ფესტივალში. იმ ფესტივალზე ჟიურის თავმჯდომარე ილიკო სუხიშვილი იყო. მე პირველი ადგილი დავიკავე ცეკვა „ქართულში“. ამის შემდეგ, ილიკო სუხიშვილმა თავის ანსამბლში მიმიწვია. სუხიშვილების ანსამბლთან ერთად, საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა მოვიარე, ვიყავი აგრეთვე საბერძნეთში, ინგლისში, უნგრეთში, ბელგიაში, იუგოსლავიაში. სუხიშვილების ანსამბლიდან რომ წამოვედი, დავბრუნდი ამბროლაურში და ჩამოვაყალიბე ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდია, რომელსაც შვიდი წლის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი. ამ სტუდიის ბაზაზე ჩამოვაყალიბეთ ქორეოგრაფიული ანსამბლი „საგალობელი“, რომელმაც მრავალ რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე იზეიმა გამარჯვება. ამ ხნის განმავლობაში, სულ ვფიქრობდი რაჭულ ცეკვაზე. ქართულ ქორეოგრაფიაში ძირითადად, ცნობილია: „მთიულური“, „ფერხული“, „ხორუმი“, „აჭარული“, ეს ცეკვები უმაღლეს დონეზეა დამუშავებული. რაჭული ცეკვა კი ცნობილი არ არის. ნუთუ ხალხს, რომელმაც ისეთი საფერხულო სიმღერები შექმნა, როგორიცაა: „ქვედრულა მოდიდებულა“, „რაშოვდა“, „ქალსა და ვის ერქვა შუშანაო“, „მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი“, ცეკვა არ უნდა ჰქონოდა?!. 20 წლის განმავლობაში ვაგროვებდი მასალას. დავდიოდი რაჭის სოფლებში — ქორწილებში, სახალხო ზეიმებზე და ვაკვირდებოდი, როგორ ცეკვავდნენ. ამ მიზნით შემოვლილი მაქვს: ურავი, ლიხეთი, სხვავა, ხიმში, შქმერი, აბარი, ფუტიეთი. რელიეფი დიდად მოქმედებს ადამიანის მოძრაობის თავისებურების ჩამოყალიბებაზე. რაჭაში იშვიათია სწორი, ვაკე ადგილი, სულ ოღროჩოღროებია. ამიტომაც, საკარაუდო იყო, რომ რაჭველებს ამ რელიეფის შესაბამისი საცეკვაო ილეთები ექნებოდათ. როგორც ჩანს, სოფლის მოედანზე მოცეკვავეს ფეხი ორმოში უვარდებოდა; გარშემომყოფები გასცინებდნენ — რა ოღროჩოღროდ დადიხარო? — ეს „ჩავარდნები“ შემდეგ ილეთებად იქცეოდა და ალბათ, ასე შეიქმნა „ოღროჩოღრო“ — რაჭველების სახასიათო ცეკვა. ამ ცეკვის შემსრულებლები ძირითადად, ლუხუნის ხეობაში, ურავში, ლიხეთში ცხოვრობენ. ამ ცეკვის გარდა, ცეკვავენ „ნაცვლიას“. ეს არის ცეკვა-შეჯიბრი: ცეკვავს გოგო, ბიჭები კი ერთმანეთს ენაცვლებიან, ეჯიბრებიან — ვინ უკეთეს ილეთს გააკეთებს; გოგოს ვინც მეტად მოეწონება, ბოლოს იმას გაჰყვება. ცეკვავენ აგრეთვე ფერხულებს. ეს ფერხულები ხშირად ორ სართულად სრულდება. ამბობენ, მოცეკვავე ამ დროს ღმერთს უფრო უახლოვდებაო... ამ მარგალიტებს 20 წლის განმავლობაში ვაგროვებდი, შემდეგ ჩამოვედი თბილისში, ხელოვნების ინსტიტუტში, ქორეოგრაფიის კათედრაზე. ვესაუბრე ბესიკ სვანიძეს, რევაზ ჭანიშვილს, ჯანო ჯანიაშვილს, მიშა დვალიშვილს, რექტორს — თემურ ჟღენტს. ისინი ძალიან დაინტერესდნენ რაჭული ცეკვის ჩემეული პროექტით. კოსტიუმიც შევარჩიეთ — სოფლიდან მქონდა ჩამოტანილი მოდელი, რომლის მიხედვით, მოდელიერებმა მშვენიერი კოსტიუმები შექმნეს, არც ერთი დეტალი არ გამორჩენიათ. შემდეგ, ინსტიტუტის ანსამბლ „როკვასთან“ დავიწყე მუშაობა და ჩემი 20-წლიანი ნამუშევარი და ფანტაზია სცენაზე გადავიტანე. ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე 1999 წლის

დავით სხირტლაძე

ჯეონეთი GEONET

საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

- ინტერნეტ სერვისი
  - მომსახურება ინტერნეტ ბარათებით - 10/20 ლარი
  - ინტერნეტი პაროლის და დეპოზიტის გარეშე - 8 00 50 50
  - გამოყოფილი ხაზები (Leased Lines)
- ვებ ჰოსტინგი
- სერვერების განთავსება
- სისტემური ინტეგრაცია
- მომსახურება სატელეფონო ბარათებით - 10/20 ლარი
  - აშშ, კანადა, რუსეთი - 0.43 ლარი

ლესია უკრაინკას 1, 3
47 21 25 ☎ 92 21 25

www.geonet.ge

დავით სხირტლაძე
მშობლებთან ერთად

მაისში, „სტუდენტურ დღეებზე“ შედგა „რაჭული ცეკვის“ პრემიერა. ცეკვას მესტვირული მისალმება უძღვის წინ:

სწვარის ხმას გადმოყოლილი
მოვდივარ, მომიხარია,
რაჭის ლამაზი მთებიდან
სიმღერა მომიწვნია.
მაყრულით გამომაცილა
ქვედრულამ და რიონმა,
გულითადად მოგიყითხათ
ბებერმა ყვავყასიონმა.
ზემს ცეკვა მოუხდება
"ოდრიჩოდრო",
"ნაცვლიარო",
ბიჭო, ქალი ათამაშე,
სანამ სხვაზე გაგცვლიანო.
რა ლამაზად
მოწმენდილხარ,
ჩემი ქვეყნის ცაო წმინდა,
შეგეწალთ ყოვლადწმინდა
მრავალძალიც,
ნიკორწმინდაც.

ამ ბოლო სიტყვებით მთავრდება ყველა სუფრა რაჭაში. თამადას ამ სადღეგრძელოს დალევა თუ დაავიწყდა, გზიდან მობრუნდება და მაინც დალევს.

თვითონ ცეკვას ასეთი სიმღერა ახლავს:

რაშოვდა, ჩამოვიარე
ფარეხეთს, რაშოვდა,
რაშოვდა, მამასახლისი
გალახეს, რაშოვდა,
რაშოვდა, გასაშველებლად
მივედი, რაშოვდა,
რაშოვდა, ერთი-ორი მეც
მომარწყეს, რაშოვდა.
რაშოვდა, ჩამოვიარე სევაო,
რაშოვდა,
რაშოვდა, გვერდზე დავიწყე
ნევაო, რაშოვდა,
რაშოვდა, გოგოები იძახიან,
რაშოვდა,
რაშოვდა, ნეწა, ვის სახლში
შევაო, რაშოვდა,
რაშოვდა, ჩამოვიარე
ურავში, რაშოვდა,
რაშოვდა, გოგო დამიხვდა
ხულაში, რაშოვდა,
რაშოვდა, გედევეხვიე,
ვაუცე, რაშოვდა,
რაშოვდა, გედევიგრიხე
ულვაში... და ა.შ.

დღეს რაჭული ცეკვა კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სასწავლო პროგრამაშია შეტანილი.

— როგორც ვიცი, მესტვირე არა მხოლოდ მუსიკოსი, არამედ კარგი მოცეკვავე და პოეტიც უნდა იყოს.

— მამაჩემი მეუბნებოდა: დათუნიკა, მესტვირე თუ გინდა იყო, ლექსიც შენ თვითონ უნდა დაწეროო. ადრე ლექსს მამა მიწერდა ხოლმე. მერე და მერე, მეც დავიწყე წერა. მესტვირულ პოეზიას უფრო ვგრძნობ. მამას გამოქვეყნებული აქვს თავისი ლექსების კრებული — „საკუთარი სარკმლიდან დანახული“. მე კი ჩემი ლექსი საჯაროდ არასოდეს წამიკითხავს, არც გამოქვეყნება მომსვლია აზრად — ისე, სამ-ოთხკაციან სუფრასთან მჯდომს თუ მითქვამს ხოლმე, უფრო სწორად — სტვირზე დამიმღერებია. ჩემს ყველა ლექსს სტვირზე ვმღერი ხოლმე.

წყვილად ავურიფე შარი
ერაძეების ყარსაო,
დღეისთვის შემოვინახე
ახლა ქვე მოვხსნი თავსაო.
სწვარის ხმა მომნაწერია
ყახაბრის ნამოსახლსაო.
მე დამიდუმდეს მარჯვენა,
თუ რაჭამ მოიწყინოსა.
ჩემი ლოცვა და ვედრება
ღმერთმა იქნებ ისმინოსა,
სოფელს ჰაწრონი გაუჩნდეს
ხვანჭყარამ მოილხინოსა.
შაწილს მივიდეს ამბავი,
სვანი რომ მღერის „ლილესა“,
მაღლა მთას უცხო ფრინველი
რაჭას დაფლოცავს შვილებსა,
ვიყავით, მარად ვიქნებით,
არ გადვიწყვიწვათ იმედსა.

ჩემი და მამაჩემის მესტვირული ლექსები ერთად მაქვს შეკრებილი და მითითებული, სად და როდის არის შესრულებული. ჩემს მეგობარს ვაჟი გაუჩნდა. ბავშვის ნათლობაში დამპატიჟეს. ვიფიქრე, გავახარებ-მეთქი და სტვირიც თან წავიღე, ეს ლექსი კი გზაში დავწერე:

მაღლა შენს გამჩენს,
შენს დაბადებას ვამცნობ
ქვეყანას,
ცხრა ძალის წყარო
სიხარულის ცრემლებს ვერ
მალავს,
გულით დაგლოცავს
ბარაყონი, გისინჯავს მაჯას,
ერთს გეწყვი, შვილო,
უპირველესად სჯარდები
რაჭას.
შენს მწერს და ორგულს,
ჰაწარავ,
სმალი გადუწყდეს ვადაში,
ველიეთს დაუჯდნიათ,
გორგუნას ვზრდით რაჭაში.

დღეს ლირიკისათვის აღარავის სცხელა. კაპიტალიზმს ვამკვიდრებთ და შესაბამისადაც ვიქცევით, ანუ ხელს არ ვკიდებთ იმას, რაც დღესვე არ მოიტანს მოგებას, ამიტომ, დავით სხირტლაძის მსგავსი ადამიანების საქმიანობას მიმდევრები ნაკლებად ჰყავს: ეს საქმიანობა ხომ მის პატრონს არანაირ მოგებას არ უქადის არც დღეს, არც ხვალ და იქნებ, არც მთელი მისი ცხოვრების მანძილზე... ეს რაც შეეხება მატერიალურ მოგებას, სულიერ და კულტურულ სფეროში კი, მთელი ერის საქმე კეთდება და არა მხოლოდ სადღეისო, არამედ — საშვილთაშვილო საქმე...

■



ჰოლი ბერის

პირადი პრობლემები არ ელევა

სილამაზის დედოფალი, მოდელი, მსახიობი, „ოსკარის" მფლობელი და ჯეიმს ბონდის უკანასკნელი სიყვარული – აი, იმ მიღწევების არასრული ჩამონათვალი, რომელიც თავისი არცთუ ისე ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ფერადკანიანმა ვარსკვლავმა – ჰოლი ბერიმ თავის აქტივში ჩაწერა. ყველაფერ ამასთან ერთად, ჰოლის სიმდიდრე, სახელი და რაც მთავარია, სულიერი სიმშვიდეც მოუხვეჭავს.

ჰოლი ბერი შერეული ქორწინების შედეგად მოევლინა ქვეყნიერებას – მას შავკანიანი მამა და თეთრკანიანი დედა ჰყავს. მამამისი – ჯერომი ბერი, სულიერად დაავადებულთა კლინიკაში სანიტრად მუშაობდა, იქვე გაიცნო მომვლელი ქალი – ჯუდიტი და სულ მალე, წყვილმა იქორწინა კიდეც. ჯუდიტის ოჯახი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა მათ შეუღლებას და ქალიშვილის ამ დაუფიქრებელი ნაბიჯის შედეგად, მასთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა. ჯუდიტს იმედები არც მეუღლემ გაუმართლა: ჯერომი გალოთდა და ცოლი მიატოვა. ქალი იძულებული გახდა, ორი ფერადკანიანი გოგონას აღზრდა მარტოს ეკისრა. დედამ ჰეიდსა და ჰოლის ბავშვობიდანვე ჩაუნერგა, რომ მათ სანახევროდ თეთრკანიან წარმოშობას ანგარიშს არავინ არასოდეს გაუწევდა. მსახიობი ცხოვრებაში მართლაც არაერთხელ წასწყდომია პირადად მისი მისამართით გამოხატულ რასისტულ გამოხდომას: „ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანია, ვაიძულო ადამიანები, უარი თქვან საკუთარ, წინასწარ ჩამოყალიბებულ უარყოფით სტერეოტიპებზე სხვა რასის ადამიანების მიმართ. თუ ამას ცოტათი მაინც მოვახერხებ, მეცოდინება, რომ ჩემი ცხოვრება ტყუილად არ განვლე", – აცხადებს ბერი.

წარმატების მოპოვებაში ჰოლის დიდად დაეხმარა სილამაზის კონკურსებში მონაწილეობა: იგი იყო „მის ოჰაიოსა" (ახალგაზრდებს შორის) და „მის ამერიკის" (ახალგაზრდებს შორის) ტიტულების მფლობელი, „მის აშშ"-ის კონკურსზე მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო სილამაზის მსოფლიო კონკურსზე ხუთეულში მოხვდა. „ნახევარი ცხოვრება ისე გავატარე, რომ თავზე დედოფლის გვირგვინი მედგა", – ხუმრობს ჰოლი. ბუნებრივია, სილამაზის კონკურსის არაერთგზის გამარჯვებულისათვის სამოდელო ბიზნესისაკენ მიმავალი გზა ხსნილი იყო: თავდაპირველად, ჰოლი პარფიუმერიული ფირმის – „რევლონის" სარეკლამო სახეს წარმოადგენდა, მოგვიანებით, ჩიკაგოსა და ნიუ-იორკის სამოდელო სააგენტოებთანაც მუშაობდა, თუმცა, ამ ბიზნესისთვის არცთუ ისე შესაფერისი სიმაღლის გამო (მისი სიმაღლე 170 სმ-ია), ტოპ-მოდელი მაინც ვერ გახდა.

1989 წელს მისი სამსახიობო დებიუტი შედგა. როგორც მოსალოდნელი იყო, მისი პირველი ფილმი, კომედიური სერიალი – „ცოცხალი თოჯინები" გახლდათ, რომელიც სწორედ სამოდელო ბიზნესის თემაზე იყო შექმნილი. სერიალს დიდხანს არ უარსებია, მისი დამთავრებიდან ორი წლის მანძილზე კი, ჰოლიმ მხოლოდ რამდენიმე სატელევიზიო ფილმის ეპიზოდურ როლებში მოახერხა გადაღება. დიდ კინოში მისი პირველი სერიოზული ნამუშევარი სპაიკ ლის „ჯუნგლების ციებ-ცხელებაში" შექმნილი, ნარკომანის სახე გახლდათ. ამ სურათში მონაწილეობის შემდეგ, ახალგაზრდა, ნიჭიერმა შემსრულებელმა კრიტიკის ყურადღების მიქცევა შეძლო. ის ფაქტი, რომ ჰოლი ბერის ნათლობა დიდ კინოში სწორედ სპაიკ ლის სახელს უკავშირდება, შემთხვევითი სულაც არ არის, რადგან რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ მებრძოლ რეჟისორს არაერთი უცნობი აფრო-ამერიკული წარმოშობის მსახიობი გამოუყვანია ხალხში.

როცა ჰოლის ამ სურათში როლი შესთავაზეს, იგი მიხვდა, რომ ეს მისი შანსი იყო. მან მართლაც შეძლო დაემტკიცებინა, რომ უბრალოდ შავკანიანი ლამაზმანი კი არა, ნიჭიერი და ამბიციების მქონე მსახიობიც იყო.

თუმცა, კანის ფერმა მსახიობის შემდგომ კარიერას მაინც დაასვა დაღი: ფილმში – „უხამსი წინადადება" ჰოლი ერთ-ერთი პრეტენდენტი გახლდათ მოგვიანებით დემი მურის მიერ შესრულებულ როლზე, მაგრამ სურათის პროდიუსერმა ბერის აგენტს დაურეკა და ყოველგვარი მორიდების გარეშე ჰკითხა: „იქნებ ამიხსნათ, რა პრინციპით უნდა გაყიდოს შავკანიანმა ქალმა საკუთარი თავი მილიონ დოლარად?"

ბერი „კრავთა დუმილის" კასტინგშიც მონაწილეობდა, მაგრამ როლი ჯოდი ფოსტერს ერგო. მას დღემდე თვალზე ცრემლი ადგება, როცა იგონებს, თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე როგორ მიახალეს პირში: „შე ზანგო!". მიუხედავად ასეთი უსამართლო დამოკიდებულებისა, მსახიობმა შეძლო მწვერვალის დაპყრობა და ჰოლივუდის ისტორიაში საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა. იგი აფრო-ამერიკული წარმოშობის პირველი მსახიობი ქალია, რომელმაც „ოსკარი" მოიპოვა.

„ჯუნგლების ციებ-ცხელებაში" განსახიერებული ნარკომანის როლიდან „მონსტრების მეჯლისის" ოფიციანტამდე ჰოლიმ საკმაოდ გრძელი და მძიმე გზა განვლო. სპაიკ ლის ფილმში წარმატებული დებიუტის შემდეგაც, მას დიდხანს, მხოლოდ მეორეხარისხოვან როლებს სთავაზობდნენ. ბერიმ ითამაშა სტრიპტიზის მოცეკვავე „უკანასკნელ ბოისკაუტში", საქმიანი ქალი „ბუმერანგში", მდივანი „ფლინსტოუნებში",

საკუთარი ქმრის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ქვრივი „მდიდრის ცოლში“; ასევე მონაწილეობდა ფილმებში: „ნაბრძანებია – განადგურება“, „რატომ უყვარდებათ სულელებს“, „ბულვორტი“, „ისაიას დაკარგვა“. ზემოთ ჩამოთვლილ სურათებში მსახიობმა არაერთი საინტერესო და დასამახსოვრებელი სახე შექმნა, თუმცა საკუთარი აქტიორული ნიჭის სრულად გამოვლინების საშუალება მხოლოდ 1999 წელს მიეცა.

დოროთი დანდრიჯი (პირველი ფერადკანიანი ამერიკელი მსახიობი, რომელიც „ოსკარის“ ნომინაციაზე იყო წარდგენილი), ჰოლი ბერის იდეალი და მიბაძვის ობიექტი გახლდათ. ფილმის – „გაიცანით დოროთი დანდრიჯი“ – უდიდესი გამარჯვება ჰოლი ბერის მრავალმხრივი წარმატების საწინდარი გახდა: მან არა მარტო მთავარი როლი შეასრულა, არამედ საოცარი ორგანიზაციული ნიჭიც გამოავლინა, ვინაიდან, ფილმის თანაპროდიუსერიც გახლდათ. „თითქმის არავის სურდა ჩემი დახმარება, რადგან ყველა გიჟად მიმიჩნევდა; სულ მეკითხებოდნენ: „ვინ არის იგი?“ „ვის სჭირდება მისი გახსენება?“ მაგრამ მე ჩემი გავიტანე და წარმატებასაც მივაღწიე, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანს ოცნების ასრულების უნარიც კი შესწევს“. დოროთის როლზე პრეტენზია ჰქონდათ ისეთ ცნობილ ვარსკვლავებს, როგორებიც არიან, უიტნი ჰიუსტონი და ჯენეტ ჯექსონი, რომლებსაც შეეძლოთ, წინასწარ განესაზღვრათ ფილმის წარმატება მხოლოდ საკუთარი მონაწილეობით. მაგრამ ჰოლიმ დამსახურებული დაფ-

ნის გვირგვინის მითვისების საშუალება არავის მისცა და როლი თავად შეასრულა. მან ამოცანას ბრწყინვალედ გაართვა თავი: კრიტიკა აღფრთოვანებას ვერ ფარავდა, წარმატებამაც არ დააყოვნა და მან ამ როლისათვის რამდენიმე ჯილდო და მათ შორის „ემიც“ მიიღო.

ჰოლიმ ჰოლივუდში საკუთარი ადგილის დამკვიდრება შეძლო და ამიერიდან, მას თავად შეეძლო როლებისა და რეჟისორების არჩევა. ფანტასტიკის ჟანრის მოყვარულთა სასიხარულოდ, ბერიმ მონაწილეობა მიიღო „იქსის ადამიანებში“, აგრეთვე ბოევიკში – „პაროლი – ხმალთევზა“, სადაც 500.000 დოლარად მსახიობმა მკერდიც კი მოიშიშვლა.

აი, რეჟისორ მარკ ფორსტერის „მონსტრების მეჯლისში“ ლეტიშა მასგროუს როლის მოსაპოვებლად კი, ბერის აქტიური ბრძოლა დასჭირდა. რეჟისორს მკაფიოდ ჰყავდა წარმოდგენილი თავისი გმირი და მიიჩნევდა, რომ ჰოლი ამ როლისათვის შესაფერის კანდიდატურას არ წარმოადგენდა. მაგრამ ბერი სცენარის გაცნობისთანავე მიხვდა, რომ ეს როლი მისთვის იყო ზედგამოჭრილი და ძალღონე არ დაიშურა მის მოსაპოვებლად. იგი რამდენჯერმე შეხვდა და ესაუბრა თავად რეჟისორს, შემდეგ პროდიუსერს და ბილი ბობს. ბოლოს და ბოლოს, მათ დათმეს და ლეტიშის როლზე ჰოლი დაამტკიცეს.

ფილმის სამწუთიანმა სასიყვარულო სცენამ (მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ამერიკულ ვერსიაში იგი საფუძვლიანად დამონტაჟებული შევიდა) გააოგნა მაყურებელი, თუმცა ჰოლიმ განაცხადა, რომ გმირის ხასიათიდან გამომდინარე, ეს სცენა აუცილებელი იყო: „ეს ფილმის ცენტრალური სცენაა... ეს ის მომენტია, როცა ორი, ერთმანეთისთვის თითქმის უცხო ადამიანი სულიერ კავშირს ამყარებს და შეყვარებულ წყვილად იქცევა. ამ სცენაში ისინი ხელახლა იბადებიან“. სურათში ჰოლის კიდევ უფრო მძიმე ეპიზოდიც ელოდა, როცა სცენარის მიხედვით, საკუთარი ვაჟიშვილი უნდა ეცემა: „ვცდილობდი, ამეხსნა მისთვის, რომ ეს მხოლოდ ფილმი იყო“. მან კი მიპასუხა: „არაფერია, ჩემი კლასელები რომ მექცევიან, იმაზე უარესს ვერაფერს მიზამ...“

ფილმს იმდენად დიდი წარმატება ხვდა წილად, რომ თვით შემქმნელების ყოველგვარ მოლოდინსაც კი გადააჭარბა. ჰოლი ბერიმ რამდენიმე ჯილდო მიიღო, მათ შორის – კინომსახიობთა გილდიისა და რეცენზენტთა ნაციონალური გაერთიანების პრემიები. 2002 წლის მარტში კი, მსახიობმა თავისი უმთავრესი ჯილდო – „ოსკარი“ მოიპოვა და კინოაკადემიის ისტორიაში „ქალის მთავარი როლის“ შემსრულებლის პრემიის მფლობელი, პირველი აფრო-ამერიკელი ქალბატონი გახდა.

ჰოლი ბერის წინაშე ფანტასტიკური შესაძლებლობები გადაიშალა. ოსკაროსანმა მსახიობმა სტუდია „მეტრო გოლდვინ მაიერისაგან“ მიიღო მიწვევა ბონდიანის მეოცე სერიაში – „მოკვდი, ოღონდ არა ახლა“ მონაწილეობაზე. აგენტ 007-ის მრავალრიცხოვან მეგობარ ქალებს შორის, ჰოლი მეორე ოსკაროსანი მსახიობი იყო (პირველი, კიმ ბესინჯერი გახლდათ). მან სურათში ჯინქსის როლი შეასრულა. იგი აგენტის ერთგული თანამებრძოლი თუ მხოლოდ მშვენიერი საბედისწერო ქალი კი არა, მისი მეტოქე და მოწინააღმდეგე, მრავალსახება საშიში ქალბატონია. იგი ტოლს არ უდებს ბონდს არც ამტანობასა და არც ეშმაკობაში. ფილმის შემქმნელებმა წარსულში ბონდიანის ძალზე პოპულარული ეპიზოდიც გაიხსენეს და ურსულა ანდრესის მსგავსად, საბანაო კოსტიუმში გამოწყობილი ჰოლი ბერიც ამოიყვანეს ზღვიდან. მსახიობმა იმდენად წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა თავად ფილმის შემქმნელებზე, რომ პირველად სერიალის არსებობის მანძილზე, მისმა მფლობელებმა გადაწყვიტეს პერსონაჟის გაყიდვის უფლების გამოყენება. მათ განზრახული აქვთ განუმეორებელი ჯინქსისთვის განკუთვნილ ახალ სერიალსაც კი დაუდონ სათავე.

MGM-ი მსახიობს ახალ პროექტში მონაწილეობასაც სთავაზობს – ეს გახლავთ კინოკლასიკის – „ფოქსი ბრაუნის“ რიმეიქი. გარდა ამისა, ჰოლი ბერიმ ხელი მოაწერა „ადამიანი იქსის“ სიქველის კონტრაქტს. უკვე მიმდინარეობს გადაღებები ფილმისა – „საჭიროება“, სა-

დაც ბერი ასრულებს წარმატებული ფსიქოთერაპევტის როლს, რომელიც მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ ქმარი, მისსავე პაციენტთან ღალატობს. მსახიობს წინ ელის კიდევ ერთ პროექტში მონაწილეობა, ეს არის სურათი – „ოქტომბრის ქარტეხილი“, სადაც ჰოლის გმირი ძალადობის მსხვერპლი ხდება. გაუპატიურებული ქალი დაორსულდება, გააჩენს შვილს და მისი ზრდასრულობის ჟამს აღმოაჩენს, რომ ვაჟს მამის მანკიერი მიდრეკილება გამოჰყოლია.

აი, ის ყველაფერი, რაც ჰოლი ბერის შემოქმედებას შეეხება, რაც შეეხება მის პირად ცხოვრებას – მას საკმაოდ დიდხანს არ უმართლებდა. ჰოლის ცხოვრებაში ერთადერთ ნორმალურ მამაკაცად მისი პირველი ბოიფრენდი (რომელმაც იგი სილამაზის კონკურსის პრეტენდენტების სიაში ჩაწერა), საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე რჩებოდა.

უესლი სნაიპსთან ხანმოკლე რომანმა ჰოლის ბედნიერება ნამდვილად ვერ მოუტანა. ბერი მას იშვიათად იხსენებს. შემდეგი რომანი კი, ალბათ არასოდეს დაავიწყდება: მისმა ბოიფრენდმა იმდენად ძლიერად გაარტყა, რომ მან 80%-თ დაკარგა სმენა და ცალ ყურში ნორმალურად დღესაც არ ესმის. უკეთესი არც მისი მომდევნო რჩეული აღმოჩნდა: იგი მათი ინტიმური ურთიერთობის პიკანტური წვრილმანების გამოქვეყნებით იმუქრებოდა და შანტაჟის მეშვეობით, ჰოლის 80 ათასი დოლარი დასტყუა. შედარებით ხანგრძლივი აღმოჩნდა მისი ურთიერთობა კალათბურთელ დევიდ ჯასტისთან. მათ ერთმანეთი მაშინ გაიცნეს, როცა ჰოლიმ ავტოგრაფის ნაცვლად, მის ფურცელზე საკუთარი ტელეფონის ნომერი დაწერა. ექვსი თვის თავზე, დაქორწინების ინიციატივაც ბერის მხრიდან წამოვიდა. მათ იქორწინეს, მაგრამ ოჯახური ბედნიერება ჰოლიმ მაინც ვერ მოიპოვა. ერთობლივი თანაცხოვრების მეოთხე წელს, წყვილი გაიყარა. ჯასტისმა ჰოლი ღალატში დაადანაშაულა, ბერიმ კი თავის მხრივ განაცხადა, რომ ქმარი მას ცუდად ეპყრობოდა. მათ ურთიერთობას საკმაოდ სკანდალური დასასრული ჰქონდა: საკუთარი ნივთების წასაღებად შინ მისული ჯასტის დანახვაზე, ჰოლიმ პოლიცია გამოიძახა და ოფიციალურად განაცხადა, რომ ქმრის სიახლოვე საფრთხეს უქმნიდა მის სიცოცხლეს. სასამართლომ დევიდს ყოფილ ცოლთან 500 ფუტის მანძილზე მიახლოება აუკრძალა. გაყრის შემდეგ, ჰოლი თავს იმდენად უბედურად გრძნობდა, რომ თავის მოკვლაც კი სცადა, თუმცა ბოლო მომენტში ისევ დედაზე ფიქრმა მოიყვანა გონს და საბედისწერო ნაბიჯის გადადგმისაგან იხსნა.



მსახიობს რეპუტაცია საკმაოდ ბნელით მოცულმა ავარიამაც შეულახა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ავტოშემთხვევის შემდეგ ჰოლი თავადაც საავადმყოფოში მოხვდა და მას ოციოდე ნაკერიც დაადეს, სიტუაცია დაამძიმა იმან, რომ მსახიობი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, ხოლო სასამართლოზე თავის მართლების არავითარი მცდელობა არ ჰქონია. სასამართლომ მას 200 საათი საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულება მიუსაჯა და 9 ათასი დოლარითაც დააჯარიმა. ამ ავარიის გარშემო ისეთი მითქმა-მოთქმა იყო ატეხილი, რომ ჰოლიმ 2001 წლის „ოსკარების“ ცერემონიაზე მისვლა ვერც კი გაბედა. „ჩვეულებრივი საგზაო შემთხვევა პრესამ იმდენად ცუდად გააშუქა, რომ ჩემი აღარავის სჯეროდა...“ – წერდა გულნატკენი მსახიობი.

მაგრამ ჰოლიმ, ბოლოს და ბოლოს, თავისი ბედნიერება მაინც იპოვა. ხანგრძლივი და რომანტიკული ურთიერთობების შემდეგ, მუსიკოსმა – ერიკ ბენეტმა მას ხელი სთხოვა. წყვილმა ყველასაგან უჩუმრად იქორწინა, თუმცა ისევ ჰოლიმ ვერ მოითმინა და თავისი ბედნიერი ქორწინების შესახებ პრესას გაუმხილა: „მისი ახალი ალბომის ექვსი სიმღერა მე მეძღვნება... ჩვენ ერთმანეთს ყველაფერში მხარს ვუჭერთ... ბედნიერებაა, როცა გვერდით ასეთი მეორე ნახევარი გყავს!“

კიდევ უფრო დიდი ენთუზიაზმით ჰოლი ნაშვილები პატარა გოგონას – ინდის აღზრდას შეუდგა. „მასთან ურთიერთობა საოცრად ათბობს ჩემს სულს, სწორედ მან მასწავლა სიყვარული. ვფიქრობდი, რომ ამ გრძნობის შესახებ ბევრი რამ ვიცოდი, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ მისი გამოჩენის შემდეგ მივხვდი, თუ რა არის გულწრფელი და უანგარო სიყვარული“, – აცხადებს მსახიობი.

ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ წყვილის ოჯახური ცხოვრება სულაც არ არის ასეთი უღრუბლო: როცა ჰოლის „ოსკარის“ ცერემონიაზე ჯილდოს გადასცემდნენ, ერიკ ბენეტი პაპარაცებმა თავის ყოფილ საყვარელთან ერთად ჩახუტებული, დერეფანში დააფიქსირესო. ჰოლივუდში გავრცელებულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ჰოლიმ ეს ფოტოები საკუთარი თვალითაც კი იხილა, თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, წყვილი კვლავ ერთად ცხოვრობს. ■

კლიჩკოსთან შეხვედრამდე ლუისი საკუთარ ადვოკატს უსწორდება

სუპერმძიმეწონოსანმა მსოფლიო ჩემპიონმა ლენოქს ლუისმა განაცხადა, რომ მომავალი წლის მარტიდან იგი ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოებთან და მაიკ ტაისონთან აპირებს ორთაბრძოლების გამართვას. „მსურს, რომ ჩემმა ქომაგებმა იცოდნენ: WBC-ის ვერსიით ჩემს ტიტულს 2003 წლის 8 მარტს, ვიტალი კლიჩკოსთან შეხვედრისას დავიცავ“, – ამბობს ბრიტანელი მოკრივე, რომელმაც ზემოთ დასახელებული ათლეტების წარმომადგენლებთან მომავალი მატჩების შესახებ უკვე გამართა კიდეც მოლაპარაკებები. ლუის-კლიჩკოს ორთაბრძოლის კონტრაქტი უახლოეს მომავალში გაფორმდება. მანამდე კი, ბრიტანელი მსოფლიო ჩემპიონი თავის ყოფილ ადვოკატთან, მილტონ ჩვარსკისთან სასამართლოზე არკვევს სადავო ფინანსურ საკითხებს. ლენოქსი, რომელმაც ამას წინათ ჩვენებაც მისცა, ირწმუნება, რომ ჩვარსკი მოკრივის პრომოუთერ, პანოს ელიადისთან ერთად მისი კუთვნილი თანხის მითვისებას ცდილობდა. კრივის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ ადრე ლუისმა, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, 8 მლნ დოლარი მიიღო ელიადისისაგან. ჩვარსკისგან კი, ბრიტანელი მძიმეწონოსანი 7,5 მლნ დოლარს მოითხოვს. ■

ფლორიდაში მარიხუანის მოყვარული მოკრივე დაჭრეს

ნახევრად საშუალოწონოსანი კასიმ ოუმა, მეტსახელად ოცნება, რომელიც WBC-ის რეიტინგით მერვე, ხოლო IBF-ის რეიტინგით – მეცხრე ადგილზე იმყოფება, ფლორიდაში, ერთ-ერთი რესტორნის ავტოსადგომზე ორჯერ გასროლით დაჭრეს. „იგი დამამშვიდებელი პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ იმყოფება, თუმცა მისი მდგომარეობა სტაბილურია, – განაცხადა ოუმას მწვრთნელმა, ჯონი ბამფუზმა. – მე ვესაუბრე კიდეც, მაგრამ კასიმს ჯერჯერობით ბევრი ლაპარაკი არ შეუძლია“. ბამფუზმა ისიც დასძინა, რომ ექიმებს ჯერ არ შეუძლიათ იმის განსაზღვრა, თუ რა გავლენას მოახდენს მოკრივის მომავალ კარიერაზე ცეცხლსასროლი იარაღით მიღებული ჭრილობები. აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნის წინ დარელ ვუდსთან ჩატარებული მატჩის შემდეგ, ოუმას ორგანიზმში მარიხუანის კვალი აღმოუჩინეს. მიუხედავად ამისა, კასიმის ქომაგები და ახლობლები იმედს არ ჰკარგავენ, რომ იგი კვლავ გააგრძელებს გამოსვლას პროფესიონალურ რინგზე. ოუმა ხომ უგანდაში, სამოქალაქო ომის დროს იზრდებოდა და არაერთი სიძნელისა და განსაცდელის გადატანა მოუხდა. იგი უგანდის ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებულთ, ჯარშიც კი წაუყვანიათ ძალდატანებით. 1998 წელს კი, კასიმ ოუმა აშშ-ში ჩავიდა და მალე, მსოფლიო ჩემპიონიც გახდა პროფესიონალთა შორის. ■

ჟაკ როგეს გეგმა ჩაიშალა

მეხიკოში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 114-ე სესია ჩატარდა, რომელიც ორგანიზაციის პრეზიდენტის, ჟაკ როგესათვის არცთუ ისე სახარბიელო შედეგებით დასრულდა. როგორც სპორტის მოყვარულებისათვის არის ცნობილი, სოკ-ის თავკაცს ოლიმპიური პროგრამიდან სამი სახეობის – თანამედროვე ხუთჭიდის, ბეისბოლისა და სოფტბოლის ამოღება სურდა, რასაც იგი უკვე 2004 წელს, ათენის ოლიმპიადაზე აპირებდა. როგეს აზრით, სპორტის ეს სამი სახეობა, ნაკლებად სანახაობრივი და არათანამედროვეა და ოლიმპიური მოძრაობისათვის მათი დაფინანსება ზედმეტ, უსარგებლო ხარჯს წარმოადგენს. მიუხედავად სოკ-ის პრეზიდენტის უკომპრომისო პოზიციისა, 114-ე სესიის მონაწილე დელეგატთა უმრავლესობამ, მას მხარი არ დაუჭირა, რის გამოც, ოლიმპიური პროგრამის შეკვეცა აღარ განხორციელდა. სოკ-ში შემავალი სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენელთა განცხადებით, მათ რომ ჟაკ როგეს მიერ წამოყენებული წინადადებისათვის დაეჭირათ მხარი, ოლიმპიური ორგანიზაციის თავკაცი ალბათ მომავალშიც მოინდომებდა პროგრამის შეკვეცას. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიის მონაწილეებმა თანამედროვე ხუთჭიდის, ბეისბოლისა და სოფტბოლის წარმომადგენელთა მიმართ კოლეგიალობა გამოიჩინეს და როგეს მხარი არ დაუჭირეს. მკითხველს შევახსენებთ, რომ ბელგიელი ქირურგი, ჟაკ როგე სოკ-ის პრეზიდენტად მოსკოვში, 2001 წლის ზაფხულში აირჩიეს. ოლიმპიური თამაშების პროგრამის შემცირებას როგე თავისი საარჩევნო კამპანიის პერიოდშივე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. გარდა ამისა, სოკ-ის პრეზიდენტობის ბელგიელ კანდიდატს, აკრძალული სტიმულატორების მომხმარებლთა წინააღმდეგ უფრო მკაცრი სანქციების შემოღება და ქალთა ოლიმპიური მოძრაობის მნიშვნელოვანი გააქტიურება ჰქონდა განზრახული. სხვათა შორის, დოპინგის მომხმარებელთა წინააღმდეგ მის მიერ წამოწყებული „ჯვაროსნული ლაშქრობა“ ძალიან ძვირად დაუჯდა სოლტ-ლეიკ სიტიში ბოლო ზამთრის ოლიმპიადაზე მოასპარეზე არაერთ სპორტსმენს. როგე სოკ-ის პრეზიდენტის პოსტზე კიდევ სამი წელი იქნება, თუმცა თავისი წინამორბედი, ხუან ანტონიო სამარანჩისგან განსხვავებით, მუშაობა ძალიან გაუჭირდება. ექსპრეზიდენტი ხომ ორგანიზაციის წევრთა დიდი უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობდა. ■

დელ პიერო იტალიაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ვარსკვლავია

საინტერესო გამოკვლევა ჩაატარა იტალიურმა გამომცემლობა La Gazzetta dello sport-მა, რომლის შედეგადაც გამოირკვა, რომ სერია A-ში მოთამაშე ყველა ფეხბურთელის საერთო წლიური ანაზღაურება 752 მლნ ევროს შეადგენს. ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელები – ბუფონი, კანავარო, ტურამი, ნესტა, რივალდო, რუი კოშტა, რეკობა,ვიერი,დელ პიერო,ტოტი,ბატისტუტა,ფილიპო ინძაგი და შევჩენკო ყოფილან. სამი იტალიური კლუბი – „ინტერი", „მილანი" და „იუვენტუსი" – თავიანთი ფეხბურთელების ხელფასებისთვის წელიწადში 100 მლნ ევროზე მეტს ხარჯავს. რეკორდსმენი მათ შორის, მასიმო მორატის „ინტერია", რომლის შემადგენლობაშიც რვა „მილიონერი" თამაშობს. ზემოთ დასახელებულ მაღალანაზღაურებად ფეხბურთელებს შორის კი, „იუვენტუსის" ფორვარდი, ალესანდრო დელ პიერო ლიდერობს, რომელიც წელიწადში 5,5 მლნ ევროს იღებს. ■

ზამერი დააჯარიმეს

დორტმუნდის „ბორუსიისა" და ბერლინის „ჰერტას" მწვთნელები გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ მსაჯთან კამათისათვის დააჯარიმა. ბუნდესლიგის ბოლოსწინა ტურში, რომელშიც „ბორუსიამ" „ნიურნბერგი" დაამარცხა, ხოლო „ჰერტამ" „ბავარიასთან" დათმო შეხვედრა, მათიას ზამერმაც და ხუბ შტეფენსმაც წითელი ბარათები მიიღეს. ამის გამო, შტეფენსი ჯარიმის სახით 7,5 ათას ევროს გადაიხდის, ხოლო ზამერი – 10 ათასს. ■

„რეალმა" საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო

ესპანურმა „სამეფო კლუბმა" თავის წლევანდელ მონაგარს – ევროპის ჩემპიონთა თასსა და სუპერ-თასს საკონტინენტთაშორისო თასიც მიუმატა. 3 დეკემბერს იოკოჰამაში გამართულ მატჩში „რეალმა" ანგარიშით 2:0 დაამარცხა ლიბერტადორესის თასის მფლობელი, პარაგვაის „ოლიმპია". შეხვედრა თავიდანვე ესპანელთა უპირატესობით წარიმართა. უკვე მე-13 წუთზე რაულის მიერ ოსტატურად გატარებული ბურთი კარგად გამოიყენა რონალდომ და ანგარიშიც გახსნა. 84-ე წუთზე კი, მადრიდელთა გამარჯვება შეცვლაზე შემოსულმა გუტიმ დაგვირგვინა, რომელმაც ფიგუს მიერ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი თავით შეაგდო სამხრეთამერიკელთა კარში. იოკოჰამაში გამარჯვებით „რეალმა" მესამედ დაისაკუთრა საკონტინენტთაშორისო თასი (ადრე, „სამეფო კლუბმა" ეს პრესტიჟული ჯილდო 1960 და 1998 წლებში მოიგო), რითიც კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი უძლეველობა პლანეტაზე. ამაზე კი, ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის (IFFHS) მიერ 1 დეკემბრისათვის გამოქვეყნებული რეიტინგიც მეტყველებს, რომელშიც მსოფლიოს საფეხბურთო კლუბებს შორის მადრიდის „რეალი" 319 ქულით ლიდერობს. მადრიდელებს „მანჩესტერ იუნაიტედი" (310), „არსენალი" (302), „ბარსელონა (264) და „იუვენტუსი" (257) მოსდევენ. ■

მლაფერი გაამართლეს

ციურიხის პროკურატურამ ფიფას პრეზიდენტის, ზეფ ბლატერის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის დახურვა იმის გამო გადაწყვიტა, რომ ეჭვმიტანილს არაკანონიერი საქმიანობა არ დაუმტკიცდა. ფიფას თავკაცის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებათა დიდი ნაწილი ყალბი აღმოჩნდა, რიგ შემთხვევებში კი, ბლატერს თავისი უფლებამოსილებისათვის არ გადაუჭარბებია. მსოფლიო ფეხბურთის ნომერ პირველი პერსონა ძალიან კმაყოფილი დარჩა პროკურატურის გადაწყვეტილებით. „შელახული ავტორიტეტი აღვიდგინე. რაც მოხდა, უბრალოდ, ბინძური თამაში იყო, რომელმაც არა მარტო ორგანიზაციის პრეზიდენტის ავტორიტეტი შებღალა, არამედ თავად ფეხბურთისაც და ფიფასიც", – განაცხადა ბლატერმა, რომელსაც გასულ ზაფხულს, კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას, ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის 11 წევრი აუმხედრდა და კორუფციასა და საეჭვო ფინანსურ საქმიანობაში სდებდა ბრალს. განსაკუთრებით ფიფას გენერალური მდივანი, მიშელ ზენ-რუფინენი აქტიურობდა, რომელიც ბლატერს არაერთ ბრალდებას უყენებდა. ფიფას პრეზიდენტის აზრით, მის წინააღმდეგ წამოწყებული ცილისმწამებლური კამპანიის ძირითადი მიზანი ის იყო, რომ მუნდიალის მიმდინარეობის დროს გამართულ არჩევნებში ვერ გაემარჯვა. მიუხედავად ამისა, სეულში გამართული კენჭისყრის შედეგების მიხედვით, ფიფას პრეზიდენტად კვლავ ზეპ ბლატერი აირჩიეს და ზენ-რუფინენი იძულებული გახდა, რომ გენერალური მდივნის პოსტი თავისი ნებით დაეტოვებინა. ამის შემდეგ, პროკურატურა კვლავ განაგრძობდა ფიფას თავკაცის წინააღმდეგ აღძრული საქმის გამოძიებას, თუმცა სერიოზული სამხილი ვერ აღმოაჩინა და ცოტა ხნის წინ საქმე დახურა. ■

ქალური იხვეული
ანუ ჯიბეში ფრთები

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №40-48

ქალბატონი თამთას უჩვეულო გამოხდომის შემდეგ, ნინი მას ყველანაირად ერიდებოდა, თუმცა, ტყუპი მასზე ძველებურად ქირქილებდა. ერთ დღეს, ნინომ ერთ-ერთი მათგანი — თეა, „საქმის გასარჩევად“ დაიმარტოხელა, მაგრამ ტყუპისცალს წარბიც კი არ შეუხრია. მეტიც: მან ნინი სასწრაფოდ საკონდიტროში გამეფებულ წესებში ჩაახედა და იმაშიც დაარწმუნა, რომ თუ ქალბატონი თამთას სურვილებს არ დააკმაყოფილებდა, იქ დიდხანს არავინ გააჩერებდა.

ამით თავზარდაცემული ნინი საკონდიტროს გამგესთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის მოემზადა. მაგრამ თავად თამთამ მასთან კონფლიქტს გვერდი ოსტატურად აუარა და აქაოდა, ფეხმძიმობის გამო ძალიან დამრგვალდი, დაუშნოვდი და კლიენტებს მიფრთხობო, ნინი სამუშაოდან დაითხოვა.

სამუშაოს გარეშე დარჩენილ ნინის მხსნელად ნაცნობი მზარეული მოევლინა. მზარეულმა ნინის თევზით მოვაჭრე ვინმე გოგია შავიშვილი გააცნო, რომელმაც, კარგა ხანს ვაჭრობის შემდეგ, ნინი თავისი ფურგონის მძღოლად აიყვანა.

გოგია თევზით მაღაზიებსა და რესტორნებს ამარაგებდა. ამიტომ, პირველივე დღეს, ნინომ თავი რესტორან „მირაჟის“ ეზოშიც ამოყო.

ნინიმ მანქანაში ფეთიანივით მიმოიხედა.

— რას ეძებ? — ჰკითხა მას ნიკომ.

— არაფერს, — უპასუხა ნინიმ, უცბად ხელი ყელზე იტაცა, შარფი მოიხსნა და სასწრაფოდ პირი აიხვია.

— რას შვრები, ასე რატომ შეიფუთნე? — გაოცება ვეღარ დამალა ნიკომ.

— კბილი ამტკივდა.

— არ გამიკვირდა, რა ეცა-მეთქი? არა უშავს, ახლავე მოგარჩენ. — ამ სიტყვებზე ნიკომ ჯიბეში ხელი ჩაიყო და კარგა ხნის ქექვის შემდეგ ჭუჭყისგან სულ მთლად გაშავებული, გაურკვეველი წარმომავლობის აბი ამოიღო:

— ამას „პახმელიაზე“ ვსვამ ხოლმე. იცი, რა მაგარია, ტკივილით თავიც რომ გისკდებოდეს, ხუთ წუთში გაგივლის. შენც გიშველის: აბა, თავი და კბილი რამ გაყო?

ნინის აბის დანახვაზე წამოაზიდა, მაგრამ უცბად საკუთარი მდგომარეობა გაახსენდა და შვებით ამოისუნთქა:

— ჩემთვის წამლის დალევა არ შეიძლება.

— ა-ა-ა, სულ გადამავიწყდა. აბა რა გეშველება? — თანაგრძნობით გადახედა მას ნიკომ.

— იქნებ, თავისით გამიაროს...

ამასობაში რესტორანი „მირაჟიც“ გამოჩნდა. ნიკომ მანქანა რესტორნის ეზოსკენ გაახვევინა და ნინიმაც ოდნავ შვებით ამოისუნთქა: ეზოში კაცის ჭაჭანებაც კი არ იყო.

როგორც კი მანქანა გაჩერდა, ნიკო მაშინვე გადახტა, საბარგულიდან თევზით სავსე კალათა ამოიღო და ეზოში გამომავალ, რესტორნის ერთ-ერთ კარში შეაბიჯა. საჭეს ნერვიულად ჩაფრენილი ნინი კი, მანქანაში დარჩა. ცოტა ხანში მას რესტორნის შეფ-მზარეულ გრიშას ხმა მოესმა. ის ნიკოს მანქანისკენ მოჰყვებოდა და თან გზადაგზა რაღაცაზე ჯიუტად ევაჭრებოდა. მალე მათ საუბარს ნუცას ხმაც გამოერია. ნუცას ხმის გაგონებაზე ნინის გული შეუხტა და რესტორნის ეზო საგულდაგულოდ მოათვალიერა. ნეტავ, შალვა ბიძიასთვის თვალი ერთხელ მაინც მომაკვრევინაო, — ინატრა მან. თუმცა, კარგად იცოდა, რომ რესტორნის ეზოში ბიძამისს ნამდვილად არაფერი დარჩენოდა.

ამასობაში, გრიშა ვაჭრობას მორჩა. ნიკო მას სასწრაფოდ დაემშვიდობა, მანქანაში მოწყვეტით ჩაჯდა და კარი გამეტებით მიიჯახუნა:

— დამპალი ღორი! არ შემჭამა?! მე

მაგის დედა კი ვატირე! – ჩაიღმუვლა მან და თევზის ქერცლითა და სისხლით მოსვრილი ხელები პირდაპირ შარვალზე გაიწმინდა.

– ვის აგინებ? – ვითომ ვერაფერს მიხვდაო, ისე ჰკითხა ნინიმ.

– ვის და გრიშას, აქაურ „პოვარს“. სანამ ყველა თევზი სათითაოდ არ გასინჯა, არ მოისვენა. ლაყუჩები არ მომწონსო... უფრო ვარდისფერი უნდა ჰქონდესო... ძველი თევზი არ შემომაპარეო... წამო ერთი რა, დროზე გავეცალოთ აქაურობას. – ბუზღუნებდა გაცოფებული ნიკო.

ნინიმ მანქანა მაშინვე ადგილს მოსწყვიტა. „მირაჟის“ შემდეგ მან და ნიკომ კიდევ რამდენიმე რესტორანი და კაფე მოიარეს და ისევ ბაზარში დაბრუნდნენ. გოგიამ მათ იქ თევზის ახალი პარტია დაახვედრა.

– ძაან თევზი კი ჩავიგდე ხელში, აბა დახედე! – უთხრა მან ნიკოს.

– მართლა კარგი თევზი აგიღია. – შეაქო ნიკომაც.

– თქვენთან როგორღაა საქმე? – დაინტერესდა გოგია.

– კარგად. მარტო გრიშას გული ვერ მოვიგე ვერაფრით, თორემ სხვები ნამდვილად კმაყოფილები დარჩნენ.

– გრიშა ეგრე ადვილად გასაცურებელი ნამდვილად არ არის, მაგრამ მაინც კარგი კლიენტია, ამიტომ ცოტა კიდეც უნდა მოუთმინო, აბა, როგორ გინდა? – შეუძახა გოგიამ ნიკოს.

ამის შემდეგ, კაცებმა მანქანაში თევზის ახალი პარტია ჩატვირთეს. ნინის გვერდით ამჯერად გოგია მიუჯდა. ნიკომ კი საბარგულში, თევზებთან გადაინაცვლა.

საღამოს, ნავაჭრით კმაყოფილმა გოგიამ, ნინის და ნიკოს თევზი შინაც ბლომად გაატანა. თევზით სავსე ცელოფანის პარკის დანახვაზე, მაკამ სიხარულით კინაღამ ტაში შემოჰკრა:

– ცოცხალი ხარ, გოგო? ასე რატომ დაიგვიანე? ან ამდენი თევზი რად გინდოდა, ფული მაინც არ დაგენანა?

– არ მიყიდია, გოგიამ მომცა. – დაამშვიდა ნინიმ.

მაკამ ნინის ახალი სამუშაოს შესახებ დაწვრილებით გამოჰკითხა და თავი უიმედოდ გადააქნია:

– არ ვიცი, არ ვიცი... ვნახოთ ერთი, მანდ რამდენ ხანს გაგაჩერებენ...

– ვნახოთ, ვნახოთ... შენ ხომ ყოველდღე მემუქრები, ჩემთან დიდხანს აღარ გაგაჩერებო, მაგრამ ჯერაც არ გაგიგდივარ...

– ჰო, კარგი, კარგი, გეხუმრე – სასწრაფოდ მოლბა მაკა. – ისე, დიდი გულღრძო ვინმე კი ხარ, მარტო ცუდს იმახსოვრებ. მაგრამ თევზი მართლაც კარგი მოგიტანია. წავალ, შევწვავ. ცოტა ხანში ვახოც მოვა და ერთი კარგად წავიქეიფოთ. მეტი რა შეგვრჩება?..

მეორე დღეს რესტორან „მირაჟისკენ“ მიმავალმა ნინიმ მანქანა სპორტულ მაღაზიასთან გააჩერა, ბეისბოლის ქუდი იყიდა და სასწრაფოდ დაიხურა. ქუდს მუქი ნაცრისფერი გამჭვირვალე პლასტმასის მოზრდილი კეპი ჰქონდა, რომლის ქვეშაც ნინის სახე უსიამოდ მიწისფერი გამოუჩნდა. ნიკოს ნინის შეხედვაზე ელდა ეცა:

– რა არის, გოგო, სხვა ვერაფერი ნახე? სამი დღის მკვდარს ჰგავხარ...

– სამაგიეროდ, მზე თვალებს აღარ მჭრის და მუშაობაში ხელს არ მიშლის.

– არა, ძმაო, ქალებისა არასდროს არაფერი გამეგებოდა. – ხელი ჩაიქნია ნიკომ.

„მირაჟში“ სტუმრობა ამჯერად უფრო ხანმოკლე აღმოჩნდა. გრიშას, ეტყობა, თევზი მოეწონა, რადგან ნიკოს აღარაფერზე შესდავებია. ამ უკანასკნელმაც თევზით სავსე კალათი სამზარეულოში მკვირცხლად შეარბენინა. ცოტა ხანში ნინიმ დაინახა, რომ უკან გამოსულ ნიკოს, გვერდით ოფიციანტი აჩიკო მოჰყვებოდა.

– „პრავა“ რამდენი ხნით ჩამოგართვეს? – ჰკითხა მან ნიკოს, თან სიგარეტს მოუკიდა და გემრიელად მოქაჩა.

– ერთი წლით, მე მაგათი დედა ვატირე...

– შენ მაგივრად გოგიამ ვინ აიყვანა?

– ერთი პატარა გოგო.

– გოგო? – სიცილი ვეღარ შეიკავა აჩიკომ. – მეტი ვერავინ ნახა?

– კაცს ჩემს მანქანას ახლოს აღარ გავაკარებო, დაიგინა და აასრულა კიდეც.

– შეეხედება მაინც?

– ვის?

– გოგოს.

– მაგის შეხედულება მე რას მარგებს? თანაც, დღე-დღეზე ბავშვს ელოდება.

– რაო? ორსული ქალი აიყვანეთ შოფრად? – გაოცება ვეღარ დამალა მანქანასთან მოსულმა აჩიკომ და, ვითომ შემთხვევით, კაბინაში შეიხედა. მაგრამ როგორც კი ნიკოს მიერ „სამი დღის მკვდრად“ მონათლული ნინის სახეს მოჰკრა თვალი, დამფრთხალი მაშინვე უკან გადაქანდა...

– არა, ისე კაი გემრიელად კი დააფეთე ჩვენი აჩიკო. სამი დღე საჭმელს ვეღარ შეჭამს. თვალწინ სულ შენი სიფათი დაუდგება. – უთხრა ნიკომ ნინის.

– აი, დარდი...

– „პიდარასტი“ აჩიკო რა შენი სადარდებელია, მაგრამ მაგ ოხრობით თავს ძალიან იმახინჯებ... რა ისეთი მზე აჭერს, რომ უქუდოდ ვერ გაგიძლია?

შეგულიანებულმა ნინიმ კეპი მართლა მოიხადა, ხელში შეატრიალ-შემოატრიალა და ღია ფანჯრიდან გადაუძახა.

– ეგრე რა... ძლივს ისევ ქალს არ დაემსგავსე?! – შვებით ამოისუნთქა ნიკომ.

მეთევზე გოგიასთან მუშაობა ნინისთვის საკმაოდ მძიმე გამოდგა. მართლაია, მას მხოლოდ საჭესთან ჯდომა უწევდა, სხვა დანარჩენს კი ნიკო აგვარებდა, მაგრამ სანამ ბაზარში ორ გზას გააკეთებდნენ და თითქმის მთელ ქალაქს ორჯერ შემოივლიდნენ, დღეც გადიოდა. ნინი იმდენად იღლებოდა, რომ დღის ბოლოს სახლამდე მისვლა კი არა, მანქანიდან გადმოსვლაც კი უჭირდა. მისი შეხედვარე გოგია თავს აქეთ-იქით უკმაყოფილოდ აქნევდა, თუმცა, თქმით მაინც არაფერს ეუბნებოდა. ის კი არადა, ნინი რაც უფრო „მძიმდებოდა“, გოგიას გული მით უფრო „ულბებოდა“ და, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე „ამ, ბედის ანაბარად მიტოვებულ გოგოს“ ხელს ყველანაირად უმართავდა.

ნინის ყოველ მეორე საღამოს შინ გოგიას ნაჩუქარი თევზით სავსე პარკი მიჰქონდა, თუმცა, თავად ყველანაირი თევზი უკვე ისე სძულდა, რომ ჭამა კი არა, სუნიც კი ჭკუაზე შლიდა. სამაგიეროდ, მაკას კვირაში შვიდი დღე, თევზის დღესასწაული ჰქონდა. რასაც ის და ვახო ვერ ერეოდნენ, მეზობლებს აწვდიდა, ზოგსაც იაფად ყიდდა და დიდს და პატარას იმადლიერებდა.

ერთ საღამოს სულ მთლად გამტკნარებული ნინი შინ ძლივსღა „მიგორდა“ და მაშინვე დაწვა.

– რა იყო, ხომ არ გეწყება? – თავზე დაადგა მაკა.

– რა ვიცი, რამდენჯერმე დამწყებია, რომ მივხვდე? – ძლივს ამოიკვნესა ნინიმ.

– რა? მუცელი აგტკივდა თუ არა, ვერ უნდა მიხვდე?

– მუცელი ბავშვობაშიც ხშირად მტკიოდა...

– ა-უ-უ-უ ეს ვინ არის? ფერი აღარ ადევს და ენას რომ მაინც ასარსალებს?! ჰო, კარგი, მე დასაძინებლად ვწვები. როგორც აგტკივდება, მაშინვე გამაღვიძე, გაიგე?

– გავიგე...

ნინი ღამე ძლიერმა ტკივილმა გააღვიძა. ლოგინიდან რის ვაი-ვაგლახით წამოდგა, შუქი აანთო და საათს დახედა: ოთხს ოცი წუთი აკლდა. გათენებამდე ჯერ კიდევ შორს იყო. ტკივილი კი მატულობდა და მატულობდა. ნინიმ ტანსაცმელი სვენებ-სვენებით ჩაიცვა, შემდეგ ლოგინიც გაასწორა. გოგას ნაჩუქარ ერთადერთ სკამზე ჩამოჯდა და ირგვლივ დაბნეულმა მიმოიხედა: „ახლა რაღა ვქნა?“ სწორედ ამ დროს ოთახიდან ნამძინარევ-

მა და თმაგაწეწილმა მაკამ გამოყო თავი:

— დაგეწყო?

— დამეწყო.

— მერე, რას ჩამომჯდარხარ, აქ ხომ არ აპირებ მშობიარობას?

— არა. უბრალოდ, ცოტას დავისვენებ და საავადმყოფოში წავალ.

— გაგიჟდი, გოგო?! ამ შუაღამისას მარტო სად უნდა წახვიდე. ახლავე ვახოს გავაღვიძებ და საავადმყოფომდე მიგიყვანთ.

მაკა ისევ თავის ოთახში შებრუნდა, საიდანაც ძალიან მალე მისი კივილი და ვახოს ბუზღუნი მოისმა.

— ადექი-მეთქი, გეუბნები. — დაჰკიოდა მაკა ვახოს, — გინდა, მართლა აქ იმშობიაროს?!

რამდენიმე წუთის შემდეგ ვახო მაკას ოთახიდან მთქნარებით გამოიზლაზნა:

— რა იყო, სხვა დრო ვერ შეარჩიე? — შეუღრინა მან ტკივილისაგან გამტკნარებულ ნინის, რომელსაც პასუხის გაცემის თავი ნამდვილად აღარ ჰქონდა.

ვახოს მანქანა ეზოში, ზედ ნინის ფანჯარასთან იდგა. ძრავას ჩართვის ხმას მაშინვე ვახოს ღრენაც მოჰყვა:

— დიდხანს უნდა გელოდოთ? გადმოადგით რაღა ფეხი!

საავადმყოფო, სადაც ვახომ და მაკამ ნინი სამშობიაროდ მიიყვანეს, ქალაქის ცენტრალურ უბანში, შალვა ბიძიას სახლიდან სულ რაღაც ას მეტრში მდებარეობდა. მაკამ ნინი მიმღებ განყოფილებამდე მიაცილა და მორიგე ექიმს გადაულოცა. მას უკვე მეორედ უწევდა ნინის საავადმყოფომდე მიყვანა.

— აბა, შენ იცი, მაგრად იყავი, — მხარზე თანაგრძნობით მოუთათუნა ხელი შიშით თვალებადქცეულ ნინის მაკამ, თავად ისევ მანქანასთან დაბრუნდა და კარი გამოაღო. ვახოს საჭისთვის ორივე ხელი შემოეხვია, თავი ზედ დაედო და თვლემდა. კარის გაღების ხმაზე თავი ასწია და მაკას უაზროდ მიაშტერდა:

— მორჩა?

— აუ, რა „შუსტრი“ ვინმე ხარ?! ბავშვები რომ ეგრე ტყაპატყუპით ჩნდებოდნენ, ქალებს რაღა გვიჭირდა?! — დაუტატანა მაკამ.

— რას იღრინები, შენ ხომ არ აჩენ, — ჩაიბურდღუნა ვახომ, — მართლა, ბავშვიც შენთან უნდა იცხოვროს?

— ძალიანაც არ მინდა, მაგრამ მთლად ასე, ქუჩაში როგორ გავუშვა?

— მდა-ა-ა-ა... ვერ არის კარგი საქმე... — თავისთვის ჩაიბურტყუნა ვახომ და მაკას სახლიდან ნინის გაშვების საბაბის ძებნაზე ფიქრი დაიწყო:

— მოდი, იცი, რა უთხარი? ბინას საერთოდ აღარ ვაქირავებ-თქო. ანდა, სანამ შენ საავადმყოფოში იწექი, სხვა შევი პირე-თქო...

— არ ივარგებს, ვახო, არა. წარმოიდგინე, ეს გოგო კარზე ბავშვით მომადგება, მე კი: აბა, აქედან აახვიე-მეთქი, რომ ვუთხრა, მეზობლები ხომ ცოცხლად შემჭამენ. იცი, ამ ლაწირაკმა უკვე ყველას თავი როგორ შეაყვარა?

— კაი, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს — მაკას პრობლემით თავის მტვრევა მოჰბეზრდა ვახოს, — ჯერ გააჩინოს და მერე ვნახოთ. ანდა, იქნებ, გოგოს აჩენს და მაშინვე ვათხოვებთ?! — უკბილოდ იხუმრა მან ბოლოს.

ნინიმ მართლაც გოგონა გააჩინა. თანაც, მშობიარობამ სწრაფად და ყოველგვარი ზედმეტი გართულების გარეშეც ჩაიარა. ექიმებმა „ახალგამომცხვარ“ დედიკოს ბავშვი ერთი წუთით დაანახვეს და სასწრაფოდ სადღაც გააქანეს. ნინიმ მათ ერთი თვალი კი გააყოლა და მკვდარივით ჩაეძინა.

ნაშუადღევს ექთანმა ბავშვი ისევ მიუყვანა და გვერდით მიუწვინა. ნინი ბავშვს გულმოდგინედ დააკვირდა და პირველი რაც დააფიქსირა, მისი წითური ღინღლივით თმა იყო. „დიტოს თმის ფერი გამოჰყოლია... — გაიფიქრა მან და გული შეეკუმშა: — ნეტავ, სადა ხარ ახლა, დიტო? ნუთუ, გული სულსულ არაფერს გიგრძნობს?...“

საღამოს ექთანმა ნინის ხასხასა წითელი ვარდების თაიგული შემოუტანა. მათ დანახვაზე ნინის გული სიხარულით ისე შეუხტა, რომ ერთი წამით ისიც კი დაიჯერა, რომ სასწაული მოხდა, დიტო დაბრუნდა, ყველაფერი გაიგო და ვარდებიც იმან გამომიგზავნაო. მაგრამ მალევე მიხვდა, რომ დიტო მის ამბავს ასე უცბად ვერაფრით გაიგებდა. მაშ, ვინ?.. იქნებ, გოგამ... გოგამ გამიხსენა? — გაიფიქრა ნინიმ...

მაგრამ ვარდების გამომგზავნი არც დიტო აღმოჩნდა და არც გოგა. ცოტა ხანში სანახავად მოსულმა მაკამ, ნინის ზარ-ზეიმით აუწყა, რომ ვარდები ქიშო მინდელმა გამოგიგზავნაო. ნინი მიწაზე საბოლოოდ დაეშვა...

ახლა ის მხოლოდ იმაზეღა ფიქრობდა, თუ საავადმყოფოდან გასულს რა უნდა ექნა და როგორ ეცხოვრა. მაშინაც კი, თუ მაკა მოწყალებას მოიღებდა და ბინიდან ბავშვიანად არ მოისროდა, ნინის უამრავი თავსატეხი რჩებოდა. „იქნებ, მართლა გავყვე ქიშოს და მოვრჩე და მოვისვენო?“ — ეკითხებოდა ნინი გულში საკუთარ თავს, მაგრამ ქიშოს გვერდით თავის წარმოდგენაც კი უკვე ისე ზარავდა, რომ ამაზე ფიქრს სასწრაფოდ თავს ანებებდა...

„მაშინ, იქნებ ბავშვი მშობლებთან, სოფელში წამეყვანა?!“ — წყალწაღებულივით ახალ ხავსს ეჭიდებოდა ნინი, მაგრამ მაშინვე თვალწინ თავჩაქინდრული მამა და დედის გამეხებული სახე წარმოუდგებოდა: „არა, დედაჩემი ამას არაფრით მაპატიებს, მამაჩემი კი ამ სირცხვილს საერთოდ ვერ გადაიტანს...“

მსგავსი ფიქრებით გულდამძიმებული ნინი საავადმყოფოს პალატის ფანჯარასთან საათობით იდგა და სივრცეს გაჰყურებდა: სადღაც იქვე, სულ ახლოს კი, რესტორანი „მირაჟი“ იყო. რესტორნის შესასვლელში ძველებურად იდგა შალვა ბიძია, სტუმრებს თავს უკრავდა და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ ნინი აქვე, სულ ახლოს, თითქმის მის გვერდით იყო... „ნეტავ, თუ იდარდა, ჩემი გაქცევის ამბავი რომ გაიგო? ან ახლა თუ ვაგონდები?..“ — უნებლიეთ ეკითხებოდა ნინი საკუთარ თავს. მაგრამ ყველაზე მეტად გულს მაინც, დიტოს გახსენება სტკენდა და იმასაც ხვდებოდა, რომ ახლა, როგორც არ უნდა მოენდომებინა, მის დავიწყებას ბოლომდე მაინც ვეღარ შეძლებდა, იმიტომ რომ ისინი ერთმანეთს სამუდამოდ დაუკავშირა პაწია არსებამ, რომელსაც, კარგა ხნის ფიქრის

შემდეგ, ნინიმ ნიტა დაარქვა. ეს სახელი მის სანახავად მოსულმა მარიმაც ძალიან მოუწონა, მაკამ კი მხოლოდ მხრები აიჩეჩა: ყველაფერი უცნაური მაინც და მაინც, შენ რატომ უნდა მოიგონო-ო?

როცა ექიმებმა შინ წასვლის ნება დართეს, ნინიმ მარის დაურეკა, დახმარება სთხოვა. მარიმ მაშინვე მოირბინა, ნინის ბავშვი საავადმყოფოს კარშივე ჩამოართვა და მაკას სახლამდე ხელიდან აღარ გაუშვია.

როცა ნინი მარის თავის ოთახში შეუძღვა, ამ უკანასკნელმა ირგვლივ შემცბარმა მიმოიხედა:

— შენ რა... აქ ცხოვრობ? ამ დერეფანში?.. ეს შირმა რაღაა?.. კი მაგრამ... ბავშვი აქ როგორ უნდა გაზარდო?..

— სხვა გზა არა მაქვს, უნდა გავზარდო... — ამოიოხრა ნინიმ.

— იქნებ... — დაიწყო ისევ მარიმ, მაგრამ უცბადვე გაჩერდა, რადგან მიხვდა, რომ იმაზე, რაც ახლა ნინისთვის უნდა შეეთავაზებინა, ჯერ უფროს დას უნდა მოსთათბირებოდა. თუმცა, ბოლოს, ეტყობა, მაინც ნინის სიყვარულმა და სიბრალულმა ერთად გადასძალა და სათქმელი ბოლომდე დაასრულა:

— იქნებ, ჩემთან გადმოსულიყავი... ყველანი დავეტევით... თანაც, ბავშვისთვის ნამდვილად ასე აჯობებდა...

ნინის ასეთ წინადადებაზე, ალბათ, ოცნებაც კი არ შეეძლო. მაგრამ ისიც იცოდა, რომ მარის უფროსი და, ამ გადაწყვეტილებას ნამდვილად არ მოუწონებდა:

— გმადლობ, მარი... ძალიან დიდი მადლობა, მაგრამ... მე მაინც, აქ მირჩევნია...

— ნუ გეშინია, ანის მე მოველაპარაკები... — უარის მიზეზს მაშინვე მიუხვდა მარი.

— არა, ნამდვილად არ ღირს... თანაც, ჩვენთან ცხოვრება შენც ძალიან გაგიჭირდება...

ამ დროს ოთახში მაკა გამოჩნდა. ის მაშინვე საწოლს ეცა და ვარდისფერ საბანში გამოხვეულ ბავშვს დააშტერდა:

— რა დაარქვი? ვეღარ ვიხსენებ...

— ნიტა.

— ჰო, ნიტა... კარგი, ნიტული... ვნახოთ, ვნახოთ...

ნინი ბოლომდე ვერ მიხვდა, მაკას „ვნახოთ“ რას მოასწავებდა. თუმცა, გულზე, მაინც, ოდნავ მოეშვა: ეტყობა, ჯერჯერობით, გარეთ არ გვერეკებაო...

გადაწყვეტილების მიღება მაკას მართლაც, ძალიან გაუჭირდა. თუმცა, ბოლოს მაინც სიბრალულმა გადასძალა: „ჯანდაბას, ვეტყვი ამ სულელს, რომ დროებით დარჩეს. მერე ვნახოთ...“ — როგორც იქნა, დასკვნა მან და, თავისდა გასაკვირად, ისიც იგრძნო, თუ გულზე როგორ მოეშვა.

მშობიარობის შემდეგ ნინის ძველი ხიბლი ნელ-ნელა დაუბრუნდა და რაც დრო გადიოდა, სულ უფრო მშვენდებოდა.

— მგონი, ამ გოგოზე გაჭირვება სასიკეთოდაც კი მოქმედებს. დახეთ ერთი, რა ქალი დადგაო, — აღტაცებას ვერ ფარავდნენ მეზობლები.

— მაგას რა უჭირს, მე ვიკითხო. — წუწუნებდა მაკა. — მაგის და მაგის დორბლიანი გოგოს გადამკიდე, დღე მოსვენება აღარა მაქვს და ღამე ძილი...

ნინი კი მეზობლების ქებას და მაკას ბუზღუნს ერთ ყურში რომ შეუშვებდა, მეორიდან ისევ უკან უშვებდა. ახლა მისი მთავარი საფიქრალი პატარა ნიტა იყო.

ერთ დღეს რძის საყიდლად ქუჩაში გამოსული ნინი, ქალბატონ თამთას შეეჩეხა და ადგილზე გაშეშდა. ნინის დანახვაზე თამთაც აშკარად დაიბნა, თუმცა, თავისი ყოფილი თანამშრომელი მაინც გულმოდგინედ შეათვალიერა და გზა სიტყვის უთქმელად განაგრძო. ნინიმ შვებით ამოისუნთქა და მაშინვე შინისკენ მოკურცხლა.

მაგრამ იმ საღამოსვე ქალბატონი თამთა ნათიასა და თეასთან ერთად ესტუმრა და ნიტას უამრავი ტანსაცმელი და სათამაშოც მოუტანა. დები ნიტას ცქერით ვეღარ ძღებოდნენ. ბავშვს გულში ხან ერთი იხუტებდა და ხან მეორე. ქალბატონი თამთა კი, სკამზე კარგა ხანს მდუმარედ იჯდა. ბოლოს მოწყალება მოიღო და ნინის თავისი სტუმრობის მიზეზი ამცნო:

— საკონდიტროში შენს ადგილზე არავინ მიმიღია, შეგიძლია, ხვალვე გამოხვიდე.

— გმადლობთ, მაგრამ მე უკვე სხვა სამუშაო მაქვს.

— თუ საიდუმლო არ არის, სად მუშაობ? — წარბი შეიკრა ქალბატონმა თამთამ.

სანამ ნინი პირს დააღებდა და რაიმეს უპასუხებდა, ქალბატონ თამთას სამზარეულოდან მაკამ გამოსძახა:

— თევზს დაატარებს!

— თე-ე-ვზს? — გაოცება ვერ დამალა ქალბატონმა თამთამ.

— ჰო, თევზს! რა იყო, თევზს მარტო ჭამა კი არა, დაჭერა და მაღაზიამდე მიტანაც რომ უნდა, არ გაგიგიათ? — ისევ ყველას დაასწრო მაკამ, რომელიც ამასობაში სამზარეულოდან გამოსულიყო და ქალბატონი თამთას წინ, დინჯშემოყრილი იდგა.

— კი, მაგრამ, განა აყროლებული თევზის ტარების შედარება შეიძლება გაქათქათებულ საკონდიტროში მუშაობასთან?

— არ შეიძლება! — მაგრამ იქ ნინის არავინ ეტყვის, მყიდველს გვიფრთხობო! — თავის სათქმელს საბოლოოდ წერტილი დაუსვა მაკამ და ისევ სამზარეულოში გავარდა.

მაკას გამოხდომით აშკარად გაღიზიანებული ქალბატონი თამთა, ნინის დაჟინებით მიაშტერდა:

— შენც ასე ფიქრობ?

ნინიმ მის მზერას ძლივს გაუძლო, მაგრამ პასუხი კი მოკლედ გასცა:

— დიახ.

— რა გაეწყობა, — კბილებში გამოცრა ქალბატონმა თამთამ, — თუ მაინც გადაიფიქრებ, საკონდიტროში შემოგვიარე. გოგონებო, წავედით. — მიუბრუნდა შემდეგ ნიტასთან თამაშში გართულ დებს და ფეხზე წამოდგა...

როგორც კი დაუპატიჟებელი სტუმრები ნინის ოთახიდან გავიდნენ, მაკა მაშინვე სამზარეულოდან გამოვარდა:

— ხომ მიიღო, რაც ეკუთვნოდა?! ჰოდა, ძალიანაც კარგი! წამო, თევზი მზადაა...

— თევზი კარგია, მაგრამ მეთევზეებთან მუშაობა საიდანღა გამომიწერე?

— რა? არ გითხარი, რომ გოგიას დაუბარებია ვახოსთვის, როგორც კი მოიკეთებს, მაშინვე სამუშაოზე გამოვიდესო?

— არა, ნამდვილად არ გითქვამს.

— ჰოდა, ახლა გეუბნები! წამო, წამო... სანამ ბავშვი გაიღვიძებს, მოასწარი... რას გაშტერებულხარ, იქნებ, ახვარ თამთასთან მუშაობა გინდოდა და მე საქმე ჩაგიშალე?

— არა, ისე უბრალოდ, ჩავფიქრდი... — უპასუხა დაბნეულმა ნინიმ და მაკას სამზარეულოში გაჰყვა...

მალე ნინიმ მეთევზე გოგიასთან მუშაობა მართლაც გააგრძელა. დღის მანძილზე სახლში შემორბენას ორჯერ მაინც ახერხებდა, ბავშვს აჭმევდა, გამოუცვლიდა და ისევ უკან გარბოდა. დანარჩენი დრო კი, პატარა ნიტა ხან ერთი და ხან მეორე მეზობლის ქალის იმედზე იყო. ხანდახან ნინის ხელს მაკაც წააშველებდა ხოლმე და ნიტას მთელი დღით იტოვებდა, ზოგჯერ კი მას, როცა თავს კარგად გრძნობდა, მარიც ეშველებოდა... მაგრამ ამდენი „ძიძის“ ხელში, ნიტას ხან ჭამა უგვიანდებოდა, ხან — გამოცვლა და ნინის ის ბევრჯერ გულამოსკვნით მტირალიც დახვედრია. ნინი შვილს მაშინვე გულში იხუტებდა და მაკას საძინებლის კარს შიშით უყურებდა: ან ახლა გამოვარდება და გარეთ გამიძახებს, ან ახლაო... მაგრამ მაკა არ გამოდიოდა, თუმცა, ოთახიდან მისი გაწიწმატებული ხმა და ვახოს ბუზღუნი სულ უფრო ხშირად მოისმოდა... ერთ საღამოს კი, როცა ნინიმ ატირებული ნიტა ვეღარაფრით დაამშვიდა, საძინებლის კარი მართლაც გაიღო და იქიდან გაცოფებული მაკა გამოვარდა:

— მორჩა! მეტი აღარ შემიძლია! — ან ქიშოს გაჰყვები და დამასვენებ, ან არადა, სხვა ბინა ეძებე!

ამ სიტყვების შემდეგ, მაკამ შემოსასვლელი კარი გაიჯახუნა და გარეთ გავარდა.

გაგრძელება იქნება

ფეხბურთის მეფის ბისექსუალური აღსარება

რამდენიმე წლის წინ, საფეხბურთო სამყარო დიეგო მარადონას შესახებ გავრცელებულმა ერთმა სკანდალურმა ინფორმაციამ გააოგნა. ნუ იფიქრებთ, რომ არგენტინელი სუპერვარსკვლავი ჩვეულებისამებრ, ნარკოტიკების მოხმარების ან ყოფილი საყვარლის მიერ გაჩენილი უკანონო შვილის გამო მოექცა მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა ყურადღების ცენტრში. დონ დიეგოს, არგენტინული ფეხბურთის 90-იანი წლების ვარსკვლავის — კლაუდიო კანიჯას (იგი წელს თეთრ-ცისფერმაისურიანთა გუნდს სათადარიგო ფორვარდად ახლდა მსოფლიო ჩემპიონატზე იაპონიაში, თუმცა ბიელსამ მოედანზე გასვლა არ აღირსა) მეუღლე ედავებოდა. მიშველეთ, ხალხო, დიეგო ქმარს მართმევსო! — დაუჩივლია ბუენოს-აირესის ერთ-ერთი სატელევიზიო არხის პირდაპირ ეთერში გამოსვლისას კლაუდიოს ცოლს და მისი ნათქვამი უმალვე აუტაციათ სპორტულ მიმომხილველებსა და სკანდალურ ამბებზე მონადირე ჟურნალისტებს. მართალიაო, — ეთანხმებოდნენ ერთნი სინიორა კანიჯას, — როდესაც კლაუდიო და დიეგო ერთ გუნდში თამაშობდნენ, გოლის გატანის შემდეგ, როგორც ქალ-ვაჟი, ისე ეხვეოდნენ ერთმანეთს უსირცხვილოდ და ხშირად, ტუჩებში კოცნისგანაც ვერ იკავებდნენ თავსო. აი, თურმე რატომ აითვალწუნა და არ წაიყვანა პასარელამ საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე გრძელთმიანი და საყურიანი ფეხბურთელები და მათ შორის, მარადონა-კანიჯას ბრწყინვალედ შეთამაშებული ტანდემიო! — წერდნენ მეორენი. დიეგოსი რა გაგიკვირდათ? — თავისი ჰომოსექსუალური წარსულის შესახებ ხომ პირველად, პელემ მოუთხრო მკითხველს ავტობიოგრაფიულ წიგნშიო, — ამბობდნენ სხვანი. გავიდა ხანი და ეს სკანდალი დავიწყებას მიეცა, თუმცა პელემ, რომელიც 23 ოქტომბერს 62 წლის გახდა, ტყავის ბურთის გარშემო შემოკრებილ უზარმაზარ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა იმის შესახებ, რომ დიდ ფეხბურთში, ნარკოტიკებისა და დოპინგის მოხმარებასთან თუ ფინანსურ მაქინაციებთან ერთად, „ცისფერი სიყვარულიც“ საკმაოდ ფესვგადგმული ყოფილა. ცოტა ხნის წინ მიცემულ ინტერვიუში, მამაკაცის სქესობრივი პოტენციის ასამაღლებელი პრეპარატის რეკლამირებაში ჩაბმული „ფეხბურთის მეფე“, დაუფარავად საუბრობს თავის ბისექსუალურ წარსულზე.

ფეხბურთის მეფე – საწოლშიც მეფეა

— მაპატიეთ ამ შეკითხვისთვის, მაგრამ თქვენ მიერ წამოწყებული ახალი სარეკლამო ბიზნესი პირადი პრობლემებით (ნაწილობრივ მაინც) ხომ არ არის განპირობებული? თქვენს ასაკს ხომ ახალგაზრდულს ვერ ვუწოდებთ...

— ტყუილად ფიქრობთ ასე. რაღაც-რაღაცებში ჯერაც შემიძლია ახალგაზრდებისთვის ფორის მიცემა. მით უმეტეს, რომ ხშირად, ისინიც განიცდიან სქესობრივ სისუსტეს. ამ მხრივ გამონაკლისნი არც ფეხბურთელები არიან. ხანდახან ისინი ვერ უძლებენ ზეწოლას და სტრესში ვარდებიან, რის გამოც ყველაზე „საპასუხისმგებლო მომენტში“ ძალა ეცლებათ ხოლმე. ზოგჯერ ფეხბურთელი სამშობლოდან უცხო ქვეყანაში წასვლისა და შეუჩვეველ გარემოში მოხვედრის გამო აღმოჩნდება ხოლმე ასეთ მდგომარეობაში. მე რომ იმპოტენტი ვიყო, აუცილებლად ექიმს მივმართავდი, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ბევრი ადამიანი, რომელიც იმპოტენციისგან იტანჯება, ექიმთან არ მიდის სირცხვილის გამო. იმედი მაქვს, რომ ამ სარეკლამო კამპანიაში ჩემი მონაწილეობა ბევრს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში. ჩვენი აქცია, ტელევიზისაა და პრესის გარდა, თვით „მარაკანაზეც“ მიმდინარეობს.

— ამ თემასთან დაკავშირებით შეგახსენებთ იმ პერიოდს, როდესაც პოლიტიკურმა მტრებმა, თქვენი იმიჯის შელახვის მიზნით, იმპოტენტად გამოგაცხადეს.

— ასეთი ამბავი მართლაც მოხდა. ეს მაგნატმა კლებერ ლეიტემ მოიმოქმედა, რომელიც კერძო მეწარმეობის ინტერესების გამო, პირველად 90-იანი წლების დასაწყისში დამიპირისპირდა. ჩემი სამარკეტინგო კომპანია ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩების შესყიდვას აპირებდა. ფედერაციამ, რომელსაც რიკარდო ტეიშერა ხელმძღვანელობდა, ქრთამად მილიონი დოლარი მომთხოვა, რაზეც უარი განვუცხადე. უფრო მეტიც, ფედერაციის ეს თაღლითობა ჟურნალისტების წინაშე გამოვააშკარავე. სწორედ ამის გამო გამინაწყენდა ტეიშერას სიმამრი, ჟოაო აველანჟი. იგი ვეღარ მიტანდა და მისი პერსონისათვის შეუფერებელი გამოხდომებისგანაც ვერ იკავებდა თავს. მან 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის კენჭისყრაზე დასწრების უფლებაც კი არ მომცა. კლებერ ლეიტე კი, სწორედ ის ბიზნესმენი გახლავთ, რომლის მფლობელობაში მყოფმა კომპანიამ — „ტრაფიკ კომპანიმ“ საფეხბურთო მატჩების ტელეტრანსლაციის უფლება შეისყიდა. იგი უსირცხვილოდ გაურიგდა ტეიშერას და ათასგვარ მაქინაციაში გაება. მალე მას აველანჟი „ფლამენგოს“ პრეზიდენტის არჩევნებზე მხარდაჭერას შეჰპირდა. რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ბრაზილიის სპორტის მინისტრად დამნიშნეს, ჩვენი ინტერესები კვლავ შეეჯახა ერთმანეთს. როდესაც კლებერ ლეიტემ მის-

თვის სასურველი პოსტი დაიკავა, ბრაზილიურ ფეხბურთში შექმნილი ვითარების გამოსწორებაში ყოველნაირად მიშლიდა ხელს. სწორედ მაშინ, ლეიტემ თავისი დამქაშების წრეში, ჩემს დისკრედიტირებას მიჰყო ხელი. მისი გეგმა ასეთი იყო: მე პოპულარულ საკვირაო ტელეგადაცემაში მიმიწვევდნენ, სადაც მოსყიდულ მეძავს დამახვედრებდნენ, რომელიც საჯაროდ განაცხადებდა, რომ ჩემთან ერთად ღამის გატარება სურდა, მაგრამ იმპოტენტი აღმოვჩნდი... საბედნიეროდ, შეთქმულების მონაწილეთა საუბრის აუდიოჩანაწერი გამოაშკარავდა. ჩანაწერში ვიღაცა, შეკითხვას უსვამს ლეიტეს: ღირს თუ არა მისი ჩანაფიქრის განხორციელება? „რა თქმა უნდა. თუ ვინმეს რეპუტაციის შელახვა გსურს, ყველა მეთოდი გამოდგება. თუ მეძავი ეკრანიდან იტყვის, რომ კლებერი იმპოტენტია, იგი მე მხოლოდ გამაბოროტებს და მეტი არაფერი. ეს ყველას მალევე მიავიწყდება. მაგრამ თუ ის იტყვის, რომ იმპოტენტი პელეა!.. ოო, ეს მთელი მსოფლიოსთვის სენსაციად იქცევა“, – პასუხობს ლეიტერი. ამ აუდიოჩანაწერის წყალობით, მზაკვრული გეგმა ჩაიშალა. ღმერთმა კვლავ გადმომხედა, ისევე, როგორც ეს ადრე არაერთხელ მომხდარა.

„ცისფერი“ დებიუტი

– რამდენიმე წლის წინ, თქვენ აღიარეთ, რომ პირველი სექსუალური კავშირი მამაკაცთან გქონდათ. თქვენთან, ბრაზილიაში, „ცისფრობა“ უფრო ნაკლებად სამარცხვინოა, ვიდრე იმპოტენცია?

– არა მგონია, რომ ამ შემთხვევაში „ცისფრობასთან“ გვქონდეს საქმე. ეს ხომ მხოლოდ ერთხელ მოხდა... ჰო, ერთხელ არა – რამდენჯერმე, მაგრამ ერთსა და იმავე ადამიანთან. მაშინ 14 წლის ვიყავი, ის კი ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი იყო. ბრაზილიაში არანორმალურად არ ითვლება, რომ 13, 14, 15 წლის ბიჭებს ერთმანეთთან ჰქონდეთ სქესობრივი კავშირი. უმეტესობა ამას გოგონებთან აკეთებს, მაგრამ ზოგიერთი, ბიჭებთანაც. ამას აუტანლად არავინ მიიჩნევს, მით უმეტეს, რომ უმრავლეს შემთხვევაში, ასეთი კონტაქტი არ განსაზღვრავს ადამიანის სექსუალურ ორიენტაციას მთელი ცხოვრების მანძილზე და იგი გარდამავალი ხასიათისაა. სწორედ ასე იყო ჩემს შემთხვევაშიც. როდესაც „ცხოვრების საგზური“ მივიღე, ასეთ კონტაქტებს აღარასოდეს დავბრუნებივარ. ვიმეორებ: მაშინ 14 წლის სულელი ბიჭი ვიყავი, როდესაც „სანტოსში“ ჩავირიცხე, აღმოვაჩინე, რომ კლუბის თითქმის ყველა მოთამაშეს ერთი და იმავე „გეისთან“ ჰქონდა სქესობრივი კავშირი. მე უბრალოდ, საერთო ნაკადში მოვყევი...

– როდესაც 1958 წელს, შვედეთში პირველად ითამაშეთ მსოფლიო ჩემპიონატზე, თქვენ 17 წლის იყავით. იმ დროისათვის უკვე გქონდათ თუ არა ჰეტეროსექსუალური გამოცდილება?

– დიახ, „ეს“ მე პირველად იმ მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ერთი წლით ადრე, ერთ გოგოსთან გავაკეთე. მაშინ მოზარდები ვიყავით და ერთმანეთი გვიყვარდა.

– როდესაც პირველად ევროპაში და თანაც, მის ჩრდილოეთ ნაწილში აღმოჩნდით, ალბათ აღფრთოვანებული იყავით შვედი გოგონებით.

– აბა, რა გითხრათ. ასეთი ქერათმიანი მანამდე მხოლოდ თოჯინები თუ მენახა მაღაზიაში! თუმცა, შვედი გოგონები თავადაც ისე მიყურებდნენ, როგორც რაღაც ბუნების საოცრებას. მოდიოდნენ ჩემთან, რათა გამსაუბრებოდნენ, ავტოგრაფი ჩამოერთმიათ, ხანდახან კი, ხელზე ან სახეზე მეხებოდნენ კიდეც. ისინი თავიანთ გაკვირვებას ვერ ფარავდნენ, რადგან ჩემი კანის ფერი ძალიან ეუცნაურებოდათ. ამის გამო, თანაგუნდელები დამცინოდნენ: „პელე, უთხარი მათ, რომ ამ ფერს ვერანაირი წვიმა ვერ გაგაცლის!“ ან: „ნუ გეშინიათ, გოგონებო, ის არ ხუნდება“, ან კიდევ: „მას აბაზანაშიც ვერ „გარეცხავ“. ერთი გოგონა ყველაზე ძალიან დამამახსოვრდა. მას ლენა ერქვა და ჩემსავით 17 წლის იყო. ჩემთან მოდიოდა ხოლმე ნომერში და ხელიხელჩაკიდებულები, ბედნიერები, სასეირნოდ მივდიოდით. როდესაც ბრაზილიაში მივფრინავდი, ის ქვითინებდა. ჩემდა უნებურად, თავი ზრდასრულ ადამიანად ვიგრძენი, – ასეთი ლამაზი გოგონა ხომ იმიტომ ტიროდა, რომ მე მეთხოვებოდა...

ფეხბურთელებს სექსი როდი ღუპავთ?!

— როგორც ჩანს, თქვენი თაობის ფეხბურთელები სქესობრივი ცხოვრების მხრივ უფრო თავისუფლად და ლაღად გრძნობდნენ თავს. აი, „დიდმა ფილმა“ კი, კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატზე თავის შეგირდებს საერთოდ აუკრძალა სექსი.

— ვერ გავიზიარებ მის პოზიციას. რა არის ცუდი სექსში, თუნდაც მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობის პერიოდში?! თუ კონკრეტულ მაგალითებს გავითვალისწინებთ, მივხვდებით, რომ ფეხბურთელს კარიერის შექმნაში სექსი სულაც არ უშლის ხელს. ფეხბურთელები მავნე ჩვევებით იღუპავენ თავს. მაგალითად, ლოთობით ან, რაც უფრო სამწუხაროა, — ნარკოტიკებით. გავიხსენოთ თუნდაც, ჯორჯ ბესტი, რომელიც, როგორც ცნობილია, დიდი მექალთანე ყოფილა და ამ მხრივ ზომიერება არ სცოდნია, მაგრამ სექსმა კი არ დაღუპა, არამედ — ალკოჰოლმა. მახსოვს, 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც ბრაზილიელებს ინტიმური ურთიერთობა აუკრძალეს. მაშინ, გუნდის წამყვანი მცველი, ლუის პერეირა შემომჩიოდა: „...და ასეთ ყოფაში მოითხოვენ ისინი ჩვენგან მსოფლიო ჩემპიონობას! რა გზით? მასტურბაციით?“ იმ ნაკრებს, მოედანზე სილაღის უქონლობისა და მეტისმეტი აგრესიულობისთვის აკრიტიკებდნენ და არცთუ ისე უსაფუძვლოდ.

— თქვენი პოპულარობის ზრდასთან ერთად, ალბათ მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა მხრიდან თქვენ მიმართ ინტერესიც მძაფრდებოდა.

— ოო, ხანდახან ეს ნამდვილ უბედურებაში გადაიზრდებოდა ხოლმე, მით უმეტეს, რომ წლების გასვლასთან ერთად, გოგონები უფრო თავისუფლად მოქმედებდნენ. მე წმინდანი არ ვიყავი. ყოფილა შემთხვევები, როდესაც მეტისმეტად აბეზრებს ვაკმაყოფილებდი. ხშირად ამის გამო, დიდ უსიამოვნებასაც გადავყრივარ. ამიტომ, ასაკის მომატებასთან ერთად, უფრო ფრთხილი გავხდი და მცველებიც დავიქირავე, რათა სხვადასხვა თავქარიანისაგან დამეცვა თავი.

— რა შემთხვევები გაქვთ მხედველობაში?

— მაგალითად, წლების მატებასთან ერთად, ვრწმუნდებოდი, რომ ქალწულებთან საქმის დაჭერა არ ღირდა, რადგან შემდეგ, მათთან და მათ მშობლებთან ურთიერთობისას პრობლემებს ვერ ავარიდებდი თავს. უარესია, როდესაც ვინმეს „აიკიდებ“: ასე, რომელიმე ქალთან შემთხვევით ერთ ღამეს გაატარებ და რამდენიმე ათეული წლის შემდეგ აღმოაჩენ, რომ მას ბავშვი ჰყავს შენგან. ადექი და იარე მერე სასამართლოებსა და ექსპერტიზებზე...

— ხშირად მოხვედრილხართ ასეთ სიტუაციაში?

— ჯერჯერობით ორჯერ; თანაც, მეორე შემთხვევა სულ ცოტა ხნის წინ — წლეულს მოხდა. ჩემი შვილების რიცხვი, ფლავია კრისტინა კურც დე კარვალომ შეავსო, რომელიც 33 წლისაა. ის ჩემი ერთ-ერთი ხანმოკლე რომანის ნაყოფია, რომელიც 1968 წელს მქონდა. ამიტომ, კარვალო საკუთარ ქალიშვილად ვაღიარე.

— მეორე ქალს — სანდრა რეჟინას, რომელიც ასევე პრეტენზიას აცხადებდა თქვენს შვილობაზე, როგორც ცნობილია, ნაკლებად გაუმართლა.

— მართალია. თუმცა ის ამტკიცებს, რომ დედამისსა და ჩემ შორის 1961 წელს მომხდარი ინტიმური კავშირის შედეგად მოევლინა ქვეყანას. ამისთვის მან სპეციალური ცნობაც კი იშოვა, რომლითაც სისხლით ნათესაობის დამტკიცება სურდა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ ჩემს ქალიშვილად მისი ცნობისათვის სერიოზული საფუძველი არ არსებობს... ასეთი პრობლემებისთვის რომ თავი ამერიდებინა, რადიკალური გადაწყვეტილება მივიღე: სათესლე გზების რეზექცია ჩავიტარე; ამჟამად, ბუნებრივი მეთოდით ქალის განაყოფიერება აღარ შემიძლია. შემდეგ, როდესაც ჩემს ამჟამინდელ ცოლზე — ასირიაზე დავქორწინდი, ძალიან ვინანე ამის გამო. ჩვენ ბავშვების ყოლა გვინდოდა და იძულებულნი გავხდით, რომ ეს ლაბორატორიული მეთოდით მოგვეხდინა. ასე მოევლინნენ ქვეყანას ტყუპი სელესტე და ჯოშუა.

— ლეგენდარული კალათბურთელი, უილტ ჩემბერლენი ამტკიცებდა, რომ მას თავისი სიცოცხლის მანძილზე 20 ათასი სექსუალური პარტნიორი ჰყავდა. ის სამი წლის წინ, 63 წლის ასაკში გარდაიცვალა. დავუშვათ, რომ მან, ისევე, როგორც თქვენ, 14 წლის ასაკში დაიწყო სქესობრივი ცხოვრება. ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ მას წელიწადში საშუალოდ, 400 სხვადასხვა ქალთან ჰქონდა ინტიმური ურთიერთობა. რას იტყვით ამის შესახებ?

— ფენომენალურია, საკვირველია! თუ NBA-ს დაძაბულ რეჟიმსა და მკაცრ მოთხოვნებს გავითვალისწინებთ, საიდან ჰქონდა ამდენი დრო და ენერგია?!. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სქესობრივი ცხოვრება ჯერ კიდევ ნორმაშია, ჩემბერლენის მიერ დამყარებულ რეკორდთან მიახლოებაზეც კი ვერ ვიოცნებებ.

— ის რომ ცოცხალი იყოს, დიდ დახმარებას გაუწევდა თქვენს სარეკლამო კამპანიას! ის ხომ იმპოტენციის სამკურნალო პრეპარატის შესანიშნავი პროპაგანდისტი იქნებოდა. ასე არ არის?

— უფრო სწორად — პრეზერვატივის პროპაგანდისტი!..

■

ჰკითხეთ ვინ დიზელს, რის შესახებაა ფილმი „სამი იქსი“? — და ასეთ მარტივ და მკაფიო პასუხს მიიღებთ: „ეს არის კინოფირი ვინ დიზელის მონაწილეობით“. მისი აზრით, ჯაშუშური ბოევიკი სხვაგვარ დახასიათებას აღარ საჭიროებს. სურათის იდეის შესახებ კი, იგი ქედმაღლურად მოგახსენებთ: „დროა, მაყურებელმა ჩემი თაობის ხმა ისმინოს. ვაღიარებ, ჯეიმს ბონდი თავისი დროის გამორჩეული გმირია და ისიც ფაქტია, რომ სწორედ იგია ნებისმიერი თანამედროვე კინოჯაშუშის მამამთავარი, მაგრამ მისი დრო უკვე წავიდა და ჩემი აზრით, ეს კლარკ გეიბლის მენტალიტეტის მქონე ბოლო პერსონაჟია ეკრანზე. აგენტი 007 ფრაკში გამოწყობილი გმირია, თანამედროვე ახალგაზრდობა კი აღარ ატარებს ფრაკს, ამიტომ ჩემი გმირი აბსოლუტურად არ ჰგავს აგენტ ბონდს. სისხლში ჭარბი ადრენალინის შეგრძნების გარდა, მას სხვა არაფერი აინტერესებს ამქვეყნად“.

ვინ დიზელი

თავის გმირს ჯეიმს ბონდის აღგილის დამკვიდრებას უწინასწარმეტყველებს

დიზელს იმედი აქვს, რომ „სამი იქსი“ ისეთივე პოპულარობას მოიპოვებს, როგორიც თავის დროზე ჯეიმს ბონდის კინოსაგას ხვდა წილად. ეს მას საშუალებას მისცემს, წლების მანძილზე ითამაშოს ამ ფილმის შემდგომ სერიებში. დღესდღეობით ვინი 35 წლისაა და თუ მისი ვარაუდი გამართლდა, იგი ათიოდე სერიაში მონაწილეობას ნამდვილად მოასწრებს.

მან ასევე გადაწყვიტა, კოსმოსელი განდგომილის — ოქროს გულის მქონე რიდიკის („შავი ხვრელის“ გმირი) როლის შესრულება. გაზაფხულზე დიზელმა გააფორმა კონტრაქტი „რიდიკის ქრონიკის“ მეორე სერიაში მონაწილეობაზე და შემოდგომიდან უკვე ამ ფილმის გადაღებებშიც ჩაერთო. ამის გამო, მან უარი თქვა „ფორსაჟის“ მეორე სერიაში მისთვის შეთავაზებულ როლზე, რადგან ამ სურათის გადაღებაც შემოდგომაზე იყო დაგეგმილი. მართალია, ვინი ირწმუნება, რომ „ფორსაჟ-2“-ში გადაღებაზე გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო თქვა უარი, მაგრამ ჰოლივუდში გავრცელებული ხმების მიხედვით, ამას სულ სხვა მიზეზი ჰქონდა, კერძოდ — ამბობენ, მსახიობი მეტისმეტად დიდ ჰონორარს მოითხოვდა, სტუდია კი იმ მომენტისთვის, ამ საკითხის დადებითად გადასაწყვეტად მზად არ აღმოჩნდა. ეს ვარაუდი სიმართლეს მოკლებული არ უნდა იყოს, ვინაიდან გაზაფხულზე გამართული მოლაპარაკებების შედეგად („რიდიკის ქრონიკა“) ვინი და სტუდია 12.5 მლნ დოლარზე შეთანხმდნენ, თუმცა, „სამი იქსის“ პრემიერის წინ, მან თითოეულ ფილმში 20-მილიონიანი ჰონორარი მოითხოვა. არადა, სულ ცოტა ხნის წინ, დიზელს ფული საერთოდ არ ჰქონდა...

მარკ ვინსენტი (ვინი დიზელის ნამდვილი სახელი და გვარი) ნიუ-იორკის საშუალო ფენის მოსახლეობის უბანში — ბრონქსში დაიბადა. მისი მამა-ცვალი სამსახიობო ხელოვნებისა და რეჟისურის მასწავლებელი გახლდათ. ასე რომ, მარკისათვის პროფესიონალ მსახიობთა უნარ-ჩვევები უცხო არასოდეს ყოფილა; იგი ბავშვობიდანვე თამაშობდა თეატრში. სკოლის შემდეგ, სწავლა კოლეჯში განაგრძო და ინგლისური ენისა და ლიტერატურის პედაგოგის დიპლომიც აიღო. სწავლის პერიოდში ახოვანი ვინი საღამოობით ნიუ-იორკის ბარებში მუშაობდა, სადაც მის ფუნქციას, ზედმეტად აგრესიული კლიენტების დაშოშმინება წარმოადგენდა.

მოგვიანებით, მარკმა სამსახიობო კარიერის შექმნა გადაწყვიტა და მოღვაწეობა ვინ დიზელის ფსევდონიმით დაიწყო. ვინს საკმაოდ დიდხანს არ მიეცა საკუთარი ტალანტის გამოვლენის საშუალება. 1995 წელს მან საკუთარი ფულით გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი — „მრავალსახეობა“; ორი წლის შემდეგ კი, ისევ საკუთარი ხარჯითა და საკუთარი სცენარით — „მაწანწალები“ (ორივე ფილმში ვინი თავად მონაწილეობდა, როგორც მსახიობი), რომელიც „სანდენსის“ დამოუკიდებელი ფილმების ფესტივალზე (რომელიც რობერტ რედფორდმა დააწესა) მოხვდა და სტივენ სპილბერგის ყურადღება მიიქცია. მაესტრომ მას შანსი მისცა: ეპიზოდური როლი შესთავაზა სურათში — „რიგითი რაიანის გადასარჩენად“. ამით სპილბერგმა ჰოლივუდში ერთ-ერთი ყველაზე თავბრუდამხვევი სამსახიობო კარიერის შექმნას დაუდო სათავე. ორი წლის შემდეგ, დიზელმა თავის პირველ, მილიონიან კონტრაქტს მოაწერა ხელი („ფორსაჟი“).

უკანასკნელ ხანებში პრესაში ბევრს წერენ ვინის დიდი ჰონორარების შესახებ. დიზელი კი, თავის მხრივ, ირწმუნება, რომ მას ფული მხოლოდ საკუთარი საავტორო პროექტების განსახორციელებლად სჭირდება. ამჟამად ის წერს სცენარს — „კარისკაცი“, რომლის დადგმასაც გაისად აპირებს; ვინს ნიუ-იორკის კლუბებში კარისკაცად მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და, რაღა თქმა უნდა, მთავარ როლს თავადვე შეასრულებს. ■

Renault Megane II — წლის ავტომობილი

Renault Megane II

Renault Megane II ევროპაში ყველაზე პრესტიჟულ კონკურსში გამარჯვებულად ცნეს და „2003 წლის ავტომობილის" წოდებაც მიანიჭეს. ფრანგულმა მანქანამ 322 ქულა მიიღო და მეორე ადგილზე გასულ Mazda 6-ს 20 ქულით გაუსწრო. მესამე, „რენოს" „თანამემამულემ" – Citroen C 3-მა დაიკავა. დასახელებული 3 ავტომობილის გარდა, ფავორიტებს შორის იყო: Ford Fiesta, Honda Jazz-ი, E კლასის Mercedes-ი და Opel Vectra.

ამ კონკურსის ორგანიზატორია 7 ევროპული ჟურნალი, მათ შორის: გერმანული Stern-ი, ბრიტანული Autocar-ი, ფრანგული L'Automobile და იტალიური Auto. ჟიურიში 22 ქვეყანაში გამოცემული 58 საავტომობილო ჟურნალის წარმომადგენლები შედიოდნენ. „რენოს" 27-მა მისცა ხმა.

პირველ სამეულში შესული ორი ფრანგული მანქანის წარმატება ყველამ ამ ქვეყნის საავტომობილო წარმოების დიდ გამარჯვებად აღიქვა. აღსანიშნავია, რომ ეს ზედიზედ მეორედ ხდება: „2002 წლის ავტომობილად" ხომ Peugeot 307 დასახელეს.

ავტომობილები შემდეგი კატეგორიების მიხედვით ფასდებოდა: ეკონომიურობა, კომფორტი, უსაფრთხოება, გავლადობა, ფუნქციონალურობა, ფასისა და ხარისხის თანაფარდობა. როგორც ევროპელი საავტომობილო ექსპერტები მიიჩნევენ, Megane II-ის წარმატების მთავარი მიზეზებია მისი ე.წ. აქტიური და პასიური უსაფრთხოების დონე და ორიგინალური დიზაინი. მანქანის ძარა დააპროექტა კომპანია „რენოს" დიზაინერმა პატრიკ ლე კიუმენმა.

„წლის ავტომობილის" კონკურსი 1964 წლიდან ტარდება და მასში უკვე რამდენჯერმე გაიმარჯვა აღნიშნული კომპანიის მოდელმა: 1966 წელს ლაურეატი გახდა Renault 16, 1982-ში – Renault 9, 1991-ში – Clio, ხოლო 1997-ში – „რენოს" პირველი კომპაქტური ვენი Scenik-ი. ■

Mazda 6

Citroen C 3

„ღლეგჰძელი" Honda NSX-ი



ეს სპორტული ავტომობილი სამართლიანად სარგებლობს ბესტსელერის რეპუტაციით. გამოჩენისთანავე 1990 წელს, მის მიმართ ძირითადი კონკურენტები – „პორშეს", „მერსედესისა" და „ბე-ემ-ვეს" მესვეურებიც კი სიმპათიით განეწყვნენ. ფირმამ არაერთხელ მოახდინა ამ მოდელის მოდერნიზება. ბოლო განახლება 2001 წელს განხორციელდა. ამჟამად კი, „ჰონდა" მის კიდევ უფრო გაუმჯობესებულ ვერსიას – NSX-R-ს სთავაზობს მომხმარებელს.

მისი კონსტრუქტორების მთავარი მიზანი მანქანის მასის შემცირება იყო. მაგალითად, კაპოტი მსუბუქი მასალის – კარბონისგანაა დამზადებული; შემცირებულია 17-დუიმიანი დისკებისა და აკუმულატორის წონაც და საბოლოოდ, წინანდელი 1400-ის ნაცვლად, ავტომობილის მასა 1244 კგ-მდეა შემცირებული.

ისევე, როგორც წინა მოდელების, ახალი „ჰონდას" V ტიპის ძრავა 280 ცხ.ძ-ს ავითარებს. ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე 280 კმ/სთ-ს შეადგენს, 100 კმ/სთ სიჩქარემდე კი ის 4,9 წმ-ში მიაღწევს.

მანქანას გამოკვეთილად სპორტული დიზაინი აქვს, ამიტომ მისი საბარგული ფაქტობრივად, სიმბოლური ატრიბუტი წარმოადგენს: მისი მოცულობა სულ 15 ლ-ს შეადგენს.

ახალ „ჰონდას" ჯერჯერობით მხოლოდ იაპონური ბაზრისთვის გამოუშვებენ, სადაც ის 100.000 ევროს ეკვივალენტურ თანხად გაიყიდება.

Volvo-ს „ჭკვიანი" ამორტიზატორები

2003 წლის ივნისში შვედური კომპანია სპორტული მოდელების – S 60 R-ისა და V 70 R-ის წარმოებას დაიწყებს. ახალი მანქანები ავითარებს იმ კონცერნის სპორტულ ტრადიციებს, რომელიც 1999 წლიდან კორპორაცია Ford-ის შემადგენლობაში შევიდა.

ამ სეგმენტის სამოდელო რიგს სათავე დაუდო Volvo 850 T 5R-მა, რომელიც 1993 წელს გამოვიდა. მისი ძრავას სიმძლავრე 225 ცხ.ძ-ს შეადგენდა, მაგრამ ავტომობილს ხინჯიანი კონსტრუქცია აღმოაჩნდა – მას სიმდგრადე აკლდა.

ორივე ახალი მოდელი 5-ცილინდრიანი ძრავათი იქნება აღჭურვილი. მათი მოცულობაა 2,5 ლ, სიმძლავრე 300 ცხ.ძ. სედანი S 60 R-ი სიჩქარის გადაცემათა მექანიკური კოლოფით აღიჭურვება, უნივერსალი V 70 R-ი კი – ავტომატურით. „ვოლვოს" ახალი მოდელები სრულამძრავიანი იქნება და ახალი კონსტრუქციის – ე.წ. 4C-ს ამორტიზატორებით იქნება აღჭურვილი. ეს კონსტრუქცია კონკრეტულ საგზაო საფართან და მძღოლის მართვის ინდივიდუალურ მანერასთან ავტომატურ დაპტირებას უზრუნველყოფს. მას მოქმედების სამი რეჟიმი აქვს: „კომფორტი", „სპორტული" და „სუპერსპორტული"; რეჟიმს თავად მძღოლი ირჩევს. „ვოლვოს" ინჟინრების აზრით, ეს სისტემა სადღეისოდ ერთ-ერთი ყველაზე პროგრესულია მსოფლიოში. სავარაუდოა, რომ მომავალში მას „ვოლვოს" სხვა მოდელებსაც დაუყენებენ.

ექსპერტთა აზრით, სედანი ბაზარზე Audi A 4-ის და შესაძლოა, BMW M3-ის კონკურენტად მოგვევლინოს. რაც შეეხება უნივერსალს – ის კომფორტისა და შორეული მოგზაურობის მოყვარულებზეა ორიენტირებული. ■

„სეფთა" დიზელით აღჭურვილი Avensis-ი

მომავალი წლის გაზაფხულზე იაპონური კორპორაცია „ტოიოტა" „ავენსისის" განახლებული ვერსიის გაყიდვას დაიწყებს. ევროპაში, კერძოდ დიდი ბრიტანეთის ქალაქ ბერნასტონში შემუშავებული და წარმოებული ეს მანქანა ყველა ღირსებით გამოირჩევა საიმისოდ, რომ ბიზნესკლასის სეგმენტის ნამდვილი ლიდერი გახდეს.

მომხმარებელს ძარის 3 ვარიანტს შესთავაზებენ: ოთხკარიან სედანს, ხუთკარიან ჰეჩბეკს და უნივერსალს. მანქანას ოთხნაირი ძრავა ექნება. საბაზო ვერსიას 1,8-ლ-იანი ბენზინის ძრავათი აღჭურავენ; 2003 წლის შემოდგომისთვის გამოუშვებენ ორლიტრიან აგრეგატს, რომელიც პირდაპირი შეშხეფების პრინციპით იმუშავებს. ორივე დიზელის ძრავა, ორლიტრიანი იქნება. ერთ-ერთი, რომელიც ასევე მომავალი შემოდგომისთვის გამოვა, სრულყოფილი ე.წ. კატალიტური ნეიტრალიზატორით აღიჭურვება, რომელიც ევროპაში დაწესებულ, საკმაოდ მკაცრ სტანდარტთან შედარებით, 50%-ით შეამცირებს გამონაბოლქვის ტოქსიკურობას.

„ტოიოტა ავენსისი" კომფორტული და საკმაოდ ტევადი ავტომობილია. მისი სიგანე 1,76 მ, სიმაღლე 1,48 მ, ხოლო სიგრძე 4,63 მ-ია. საინტერესოა, რომ მისთვის განკუთვნილი დიზელის ძრავის გარკვეულ ნაწილს პოლონეთში გამოუშვებენ. ქალაქ ვროცლავის მახლობლად უკვე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ძრავათა ქარხნის მშენებლობა, რომელიც 2005 წელს უნდა ამუშავდეს და რომლის საწარმოო სიმძლავრემ, „ავენსისისა" და „კოროლასთვის" განკუთვნილ 120 ათას ძრავას უნდა მიაღწიოს. ამ პროექტის ღირებულება 170 მლნ ევროს შეადგენს. ბოლოს დავძენთ, რომ წლევანდელი წლის გაზაფხულზე „ტოიოტამ" ამ ქვეყანაში სიჩქარის გადაცემათა კოლოფების ქარხანა გახსნა. ■



ქეთა თოფურია 26 თებერვალს მოსკოვში მიემგზავრება. ის რუსეთის ერთ-ერთმა მსხვილმა საპროდიუსერო კომპანიამ მიიწვია. კონტრაქტის პირობები ჯერჯერობით უცნობია. ყოველ შემთხვევაში, მასა და მის პრესატაშეს ამაზე კონკრეტულად საუბარი არ სურთ. ისინი მიწვევაზე დიდ იმედებს ამყარებენ. ქეთა ჰოლივუდს უმიზნებს და სურს, მსოფლიო დონის მომღერალი გახდეს.

მომღერალი, რომელმაც სამი მიწისძვრა გადაიტანა სცენაზე...

ლელა ჭანკოტაძე

როგორც სპეციალისტები ამბობენ, ის კარგი „ფაქტურაა“ საიმისოდ, რომ შექმნა სერიოზული „პროდუქტი“. ვოკალურ მონაცემებთან ერთად, ქეთას ხელს უწყობს გარეგნობა და კარგი მუსიკალური გემოვნება, რაც მის ვიდეორგოლებსა და რეპერტუარში ჩანს. წლევანდელი წელი ქეთასთვის წარმატებული აღმოჩნდა. „შაირის“ გადაღების შემდეგ, მისი პოპულარობა გაიზარდა. ფაქტია, რომ თინეიჯერები მას ჰბაძავენ, მის მსგავსად იცვამენ და მის სიმღერებს მღერიან. დადგება თუ არა ქეთასგან მსოფლიო დონის მომღერალი, ამას მომავალი გვიჩვენებს, ჯერჯერობით კი, ის ნაყოფიერად მუშაობს და რეკორდსმენადაც კი ითვლება: თურმე წელს ყველაზე მეტი კონცერტი ჩაატარა და ყველაზე მეტი მიწვევა მიიღო. თუ როგორია სინამდვილეში ქეთა თოფურია, ამის გასარკვევად მას შინ ვესტუმრეთ. ენაწყლიანი მოსაუბრე არ აღმოჩნდა, თუმცა კარგი განწყობა ნამდვილად შეგვიქმნა.

ქეთას სახლში უზარმაზარი ძაღლი ჰყავს, რომელიც ინტერვიუს მსვლელობისას გაუჩერებლად ყეფდა — ალბათ ჩვენს იქ ყოფნას აპროტესტებდა. მთელ სახლში უამრავი სათამაშო აღმოვაჩინეთ. ქეთას ოთახში თავი ზღაპრულ სამყაროში გვეგონა. ვნახეთ თოჯინა, რომელიც ქეთას გაჩენისთანავე შეუძენიათ, წითელი ქუდი, რომელიც ტორშერს აფარია, კარიკატურები, რომელიც ვიღაცას დაუხატავს და უამრავი სურათი, რომელზეც ზღაპრის გმირები ცოცხლდებიან. უზარმაზარი მწვანე მატელი, რომელიც კედელზეა გაკრული, დიდი თოჯინები და რბილი სათამაშოები ქეთას ბავშვობას აცოცხლებენ. თუმცა, სჯობს საკუთარ სამყაროზე და საკუთარ სახლზე თავად ქეთამ ისაუბროს:

— ამ სახლში შარშან გადმოვედით. აქამდე ბინა იმდენ ადგილას გვქონდა, რომ თითქმის ყველა უბანში მყავს მეგობრები. სულ მალე ისევ გადავალთ ახალ ბინაში — ვაკე-საბურთალოს გზაზე დუპლექსის ტიპის ბინა შევიძინეთ. ჯერ იქ რემონტია.

— როდის აღმოაჩინე, რომ სიმღერა გიყვარს და გინდა, პროფესიონალურ სცენაზე იმღერო?

— მახსოვს, პატარა ვიყავი. სულ ეზოში დავრბოდი. მეზობლად კი ჩემი მუსიკის მასწავლებელი ცხოვრობდა. მის გასაგონად მთელი ხმით ვმღეროდი. მაშინვე ვხვდებოდი, რომ სიმღერის გარეშე ვერ ვიცხოვრებდი. სხვათა შორის, ის მასწავლებელი გახლავთ ელზა ლელუაშვილი, რომელიც სიმღერის — „გვეყვარება ერთმანეთი“ — ავტორია. ეს სიმღერა მე და აჩი ფურცელაძემ ვიმღერეთ. წლების წინ მოხდა ისე, რომ საბავშვო-სამანეკენო თეატრ-სტუდიამ მიმიწვია. მონაწილეობა მივიღე სილამაზის კონკურსში და მომენიჭა: „მის მოდელი“ და „მის ტოპ-მოდელი-96“. ჩემმა დიზაინერმა იცოდა, სიმღერის ნიჭი რომ მქონდა და შემომთავაზა — ესპანური სიმღერა ჩავწეროთო. მიმიყვანეს ნაზი დუმბაძესთან და ძალიან კარგი სიმღერა შევისწავლე. შემდეგ ბათუმში მივდიოდით და საზაფხულოდ კიდევ ჩავწერე სიმღერა, რომელიც ოთარ ტატიშვილმა დამიწერა. სულ მალე მისი მოსწავლე გავხდი. აქედან დაიწყო ჩემი მჭიდრო კავშირი მუსიკასთან. დღემდე ვოკალში ვმეცადინეობ მასთან. ვსწავლობ ზაქარია ფალიაშვილის მეორე მუსიკალურ ტექნიკუმში.

— ეი. სიმღერა შენი ოცნება იყო?

— სიმღერა ჩემი ბავშვობის ოცნება არ ყოფილა. ბავშვობაში მინდოდა, სამშობიარო სახლში მემუშავა და უამრავი ჩვილი დაბადებულიყო ჩემს ხელში.

— ხომ არ დამდგარხარ არჩევანის წინაშე — ესტრადა თუ პოდიუმი?

— ყოველთვის ვგრძნობდი, რომ სიმღერა ჩემთვის უფრო ახლოს იყო, ამიტომ პოდიუმს იოლად შეველიე. თუმცა, დღემდე მაქვს ბევრი შემოთავაზება. მაგრამ პოდიუმზე დაბრუნებას აღარ ვაპირებ. ძალიან დატვირთული ვარ, თან — ნაადრევად მომიწია ბავშვობის ასაკიდან გამოსვლა. იმდენ დროს ვეღარ ვუთმობ მეგობრებს, რამდენიც მინდა, მათთან რომ გავატარო.

— ჩამოთვალე ის დათმობები, რაზეც წახვედი.

— როცა პოპულარული ხარ, შენმა თაყვანისმცემლებმა ყოველთვის რაღაც უნდა გადაიღონ შენგან. თუ მათთვის იდეალური და მისაბაძი არ ხარ, ე.ი. კარგად ვერ მუშაობ. ასე რომ, პასუხისმგებლობის გრძნობა გაათკეცებული მაქვს.

თოჯინა, რომელიც ქეთას გაჩენისთანავე შეუძენიათ

ჩემთვის მთავარია, ჩემს ყელს მოვუარო, ...ორემ გარეგნობით ისედაც კარგი ვარ. ...მიუხედავად ამისა, მაინც განსაკუთრებულად ვზრუნავ საკუთარ გარეგნობაზე. ...ძალიან სწრაფად ვიღებები. როგორ ხასიათზეც ვარ, ზუსტად ისე ვიცვამ. გამოვდებ გარდერობის კარს და მაშინვე ვხედები, ჩემს ხასიათს რა შეესაბამება.

— თუ ცდილობ, რომ გქონდეს საკუთარი სტილი?

— არა. ვიცვამ ყველაფერს, რაც მიხდება.

— რა გიხდება?

— სპორტული სტილიც და კლასიკური. სცენაზე გამაღიზიანებელია სპორტულად ჩაცმა, ამიტომ ვარჩევ კლასიკურ ჩაცმულობას. ყველა ფერი მიხდება, მაგრამ არ მიყვარს მყვირალა, „იარკი" ფერები. ვცდილობ, ძალიან მოღებული და დეოლტირებული ტანსაცმელი ჩემს გარდერობში არ მოხვდეს: არ მინდა, ვიყო ...ულგარული. დედა ყოველთვის მაქცევს ...ურადღებას. ჩვენი გემოვნება ემთხვევა. ...რაც შეეხება ვარცხნილობას, ნატა (დედა) ...აკონტროლებს. მის გარეშე თმა რომ ...ვეჭრა, ალბათ გამაგდებს სახლიდან. თმა ...ოუ სახეს მიფარავს, საშინლად ნერვიულობს. მოკლე „ჩოლკა" მიყვარს და ძალიან ...ინდა, რომ შევიჭრა, მაგრამ არ მანებებს. ...ასე რომ, მისგან გარკვეულ გავლენას განიცდი. სალონში როცა დავდივარ, სტილისტი სულ მეხვეწება — რაღაც ორიგინალურს გაგიკეთებო. მე კი ვპასუხობ: რა ...ქნა — დედა არ მაჭრევინებს-მეთქი.

— სხვის ჩაცმულობას ან ვარცხნილობას თუ აკვირდები?

— რა თქმა უნდა, ვაკვირდები, მაგრამ მიტომ არა, რომ მისგან რაღაც გადმოვლო. თუმცა, შეიძლება ვიფიქრო, რომ ის ...ალიან გემოვნებიანია.

— სხვა ადამიანების გარეგნობასა და ჩაცმულობას ყურადღებას ...ატომ არ აქცევ? ამდენად თავდაჯერებული ხარ?

— ალბათ მიმაჩნია, რომ უკეთესად ...ცია.

— საახალწლოდ გარდერობი თუ ...ეცვალე?

— ზამთარი რომ მოდის, ისედაც მიწევს ახალი ტანსაცმლის შეძენა, ასე რომ, ...ახალწლოდ ყოველთვის ბევრი ახალი ...ოსტიუმი მაქვს. როცა ფართო საზოგა...ების წინაშე უნდა წარვდგე, შედარ...ით მეტ ყურადღებას ვაქცევ ჩაცმულ...ას, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ყვე...აფერი მიხდება, დიდი წვალება არ ...ჭირდება. მე რაც მინდა, ყოველთვის იმას ...ცვამ, სხვების აზრს ყურადღებას არ ...ქცევ.

— რა გაღიზიანებს ადამიანებ...ი?

— ალბათ ის, რომ ძალიან დიდი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე, სინამდვილეში კი, დიდს არაფერს წარმოადგენენ.

— საკუთარ მუსიკალურ გემოვნებაშიც თავდაჯერებული ხარ?

— ყველას აზრს ვითვალისწინებ, ვინც პროფესიონალია.

— რა არის შენი, როგორც მომღერლის მიზანი?

— მინდა, მსოფლიო დონის ვარსკვლავი გავხდე. რამდენად გამომივა, არ ვიცი. ახლა მიწვევა მაქვს მოსკოვში. საერთოდ, წელს იმდენი მიწვევა მქონდა, მე მგონი, რეკორდსმენი ვარ.

— რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოს, რომელიც შენს სახლშია გაბატონებული?

— გვყავს დამხმარე ქალი. სულ იმაზეა ჩხუბი, რომ არაფერი გადაადგილოს. არ მიყვარს, ჩემს ოთახში ვინმე რომ შედის და ნივთებს ჩემს დაუკითხავად ეხება. მინდა, რომ ჩემი ოთახი ძალიან დიდი იყოს და შიგ იმდენი რამე მქონდეს, რამდენის დატევაც შეიძლება. მიყვარს სათამაშოები. უამრავი თოჯინა მქონდა, რომელიც ადრე ძალიან მიყვარდა, ახლა კი უმეტესობა გავაჩუქე, ზოგიც ძაღლმა დამიგლიჯა. ჩემი ძაღლი ყველაფერს ჭამს.

— მარტო როცა რჩები, რით ერთობი ხოლმე?

— ვუსმენ რუსულ მუსიკას. მუსიკას საოცარი რამ ახასიათებს — მას ჩემი ხასიათის შეცვლა შეუძლია. თუ მხიარულ სიმღერებს ვუსმენ, კარგ ხასიათზე ვდგები, თუ არა და — პირიქით.

— ასაკით საკმაოდ პატარა ხარ. ამის გამო რაიმე კომპლექსი ხომ არ გაგიჩნდა?

— სულ დიდებთან მიწევდა ურთიერთობა — მერაბ სეფაშვილის, თემურ თათარაშვილის, მამუკა ონაშვილის, ეკა კვალიაშვილის გვერდით ვმღეროდი. მათ არასდროს უგრძნობინებიათ ჩემთვის, რომ პატარა ღლაპი ვიყავი, პირიქით — მექცეოდნენ ისე, როგორც უმცროს მეგობარს.

— შეგიძლია, რომელიმე მათგანს გულწრფელად უთხრა, რომ მისი ნამუშევარი არ მოგეწონა?

— ჩემი მხრიდან ამის თქმა ალბათ უტაქტობა იქნება. არა იმიტომ, რომ ასაკით ვარ მათზე უმცროსი. ჩემს უახლოეს მეგობრებს, რა თქმა უნდა, შენიშვნას თავისუფლად მივცემ.

— საჩუქრები თუ გიყვარს?

— კი. ძალიან მიყვარს. ჩემმა მეგობრებმა „სოსკა" მაჩუქეს და მაშინ ყველა, „სოსკიან" ქეთას მეძახდა. ფოტოებიც კი გადავიღე „სოსკით". როცა მე ვყიდულობ ვინმესთვის საჩუქარს, ვცდილობ, ორიგინალური ვიყო. ისე, მირჩევნია, წინასწარ ვიცოდე, რა უნდა ჩემს მეგობარს, რომ ის ნივთი ვაჩუქო და გავახარო.

ყველა ფერი მიხდება, მაგრამ არ მიყვარს მყვირალა, „იარკი" ფერები

— რაიმე ხიფათი თუ შეგმთხვევია?

— მე ის მომღერალი ვარ, რომლის სახელსაც სამი მიწისძვრა დაუკავშირდა. სამჯერვე ვმღეროდი და ცხადია, ცუდ დღეში ჩავვარდი. ჩემი კარიერის დასაწყისში ასეთი რამ მოხდა: სიმღერის დროს ელექტროენერგია გამოირთო და უკუნეთ სიბნელეში ვიმღერე. როგორც კი დავამთავრე, დარბაზი გაჩახჩახდა, შუქი მოვიდა და ხალხმა მაშინღა დაინახა, ვინ მღეროდა... დათო გომართელთან ერთად კლიპს ვიღებდი. ერთი კადრი ასეთია: მეორე სართულიდან ვძვრები. დილის ექვს საათზე გამაღვიძეს და მითხრეს: უნდა გადაგიღოთო. ნამძინარევს, მეორე სართულის სახურავიდან ფეხი დამიცდა და ოპერატორს რომ არ დავეჭირე, დღეს მკვდარი ვიქნებოდი...

— ერთ დღესაც სახლში მარტო რომ დარჩე, იმედია, არ დაიბნევი...

— არა. განსაკუთრებული საჭმელები — ჩახოხბილი და „ბორშჩი" არ ვიცი, რადგან არც მიყვარს. გადასარევად ვამზადებ ხილის სალათას და „ყიყლიყოს". იმდენს ვჭამ, რამდენიც მინდა. დიეტა არ მჭირდება, რადგან წონის პრობლემა არ მაქვს. ■

შაკირას სამსახიობო კარიერა სულაც არ სიმღავს

სამსახიობო ასპარეზზე თავისი ძალები მოსინჯეს ისეთმა ცნობილმა პოპ-მუსიკის ვარსკვლავებმა, როგორებიც ჯენიფერ ლოპესი, ბრიტნი სპირსი და ემინემი არიან, მაგრამ მათგან განსხვავებით, შაკირას მსახიობობა სულაც არ სიმღავს.

კოლუმბიელმა პოპ-ვარსკვლავმა „ლონჩისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ სამსახიობო ასპარეზზე მოღვაწეობის გამოცდილება უკვე მაქვს (შაკირა 90-იანი წლების მეორე ნახევარში მონაწილეობდა კოლუმბიურ სერიალში – El Oasis), კინოში დაბრუნებას არ ვაპირებ. ჩემი აზრით, საკმაოდ ცუდი მსახ-

იობი ვიქნები და კინოს სარბიელზე მოღვაწეობა არ მიმიდავს. თუმცა, არასოდეს უნდა თქვა – „არასოდეს“, რადგან წინასწარ არავინ იცის, რა ხდება მომავალში“.

მომღერალი 2003 წელს საკონცერტო ტურნეს დამთავრების შემდეგ, ახალი ალბომის ჩაწერას აპირებს. ამჟამად შაკირა ევროპაში იმყოფება, სადაც დაგეგმილი აქვს გამოსვლები ბარსელონაში, კიოლნსა და ლონდონში. იანვარში მომღერალი კონცერტს ჩიკაგოში ჩაატარებს. ■

რობი უილიამსი „მიტლოქმის“ სიყვარულს ორიგინალურად გამოსცემს



რობი უილიამსის ფრანგი თაყვანისმცემლებისა და ფოტოგრაფების აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მომღერალმა მათ თვალწინ თავისი ახალი ტატუირების დემონსტრირება მოახდინა. ტატუ-შედევრი, რობის ზურგის ქვედა ნაწილზე აქვს ამოსვირინგებული და მასზე გამოსახულია „ბიტლების“ ცნობილი ჰიტის – „ყოველივე რაც მჭირდება, – სიყვარულია“ – სანოტო ფრაგმენტი. რობი პარიზში ტელეშოუს გადაღებებში მონაწილეობდა, იგი შესანიშნავ ხასიათზე იყო და თავისი არაჩვეულებრივი განწყობა მაყურებელსაც გაუზიარა: მან სვიტერის ბოლო აიწია და მოშიშვლებული ზურგი ფანატებს უჩვენა, ამით კი ყველაზე დიდი სარგებელი ფოტოგრაფებმა ნახეს, რომლებმაც სასწრაფოდ აღბეჭდეს ფირზე მომღერლის ორიგინალური ტატუირება. ■

ათლეტმა სასიდედრო საჩუქრემით ააცსო

ჰოლივუდის ვარსკვლავმა ბენ აფლეკმა ახარტული თამაშებით გატაცება, სხვა გატაცებით შეცვალა: იგი საოცარი გულუხვობითა და თავდავიწყებით ყიდულობს საჩუქრებს თავისი საცოლისა და მისი ოჯახის წევრებისთვის. მსახიობის მეგობრები და ახლობლები ეჭვის თვალით უყურებენ მის ამ ახალ ჩვევას.

ამას წინათ, ბენ აფლეკმა ლოს-ანჯელესის მაღაზიებში 500.000 დოლარი დახარჯა. ბენის გულუხვობით ყველაზე მეტად მოგებულნი, მისი მომავალი მეუღლის – ჯენიფერ ლოპესის ოჯახის წევრები დარჩნენ. „მერსედესის“ ფირმის ავტომობილში აფლეკმა 150.000 დოლარი გადაიხადა და ეს მანქანა სასიდედროს – გვადელუპეს უძღვნა. იმასაც ამბობენ, რომ დანარჩენი ათიათასობით დოლარითაც, ბენმა ძვირფასეულობა და ტანსაცმელი შეიძინა ისევ ჯენიფერის, გვადელუპესა და მომავალი ცოლისდისთვის. ■



რიჩარდ გირი - ქირათი

ჰოლივუდის ვარსკვლავმა, რიჩარდ გირმა, რომელიც ერთი ხანობა მსოფლიოს ყველაზე სექსუალური მამაკაცის ტიტულის მფლობელიც კი იყო, ახალი, მეტად საეჭვო პრიზი მიიღო. ყოველწლიურად კომპანია Britain's Plain English Campaign-ი ყველაზე სასაცილო გამონათქვამისა თუ უაზრო სპიჩის ავტორს აჯილდოებს მეტად უცნაური სახელის მქონე პრიზით – „ფეხი პირში“. ამჯერად, 2002 წლის ამ ჯილდოს ლაურეატი, სწორედ რიჩარდ გირი გახდა. მსახიობს ეს პატივი წილად ხვდა ფილოსოფიური გამოთქმისათვის (ინტერვიუ დაიბეჭდა ივნისში, ბრიტანეთის გაზეთ „გარდიანში“) – „მე ვიცი, ვინ ვარ, არავინ ჩემ გარდა არ იცის ეს. მე რომ ჟირაფი ვყოფილიყავი და ვინმეს ეთქვა, რომ მე გველი ვარ, ვიფიქრებდი – არა და არა, მე ხომ ნამდვილად ჟირაფი ვარ“. პრიზის – „ფეხი პირში“ ორგანიზატორებს ეს ლოგიკური და დახვეწილი გამონათქვამი უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ და ჯილდოც სწორედ მის ავტორს მიანიჭეს. თავისი მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამის წყალობით, გირი წინა ლაურეატების ღირსეულ მემკვიდრედ იქცა. ჯილდოს ადრინდელი მფლობელები კი, ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი – გორდონ ბრაუნი, ფეხბურთის მწვრთნელი – გლენ ჰოდლა და მსახიობი – ტრეისი ემინი არიან. ■

მერაია ქერი საკუთარ წარუმატებლობაში მინ ლადენს დებს მრალს

მერაია ქერიმ, საერთაშორისო ტერორისტი უსამა ბინ ლადენი საკუთარი ფილმისა და ალბომის ჩავარდნაში დაადანაშაულა. სურათში – Glitter-ი მერაიამ ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა და ალბომზეც სწორედ მის მიერ ამ ფილმში შესრულებული სიმღერები იყო შეტანილი.

მომღერალი მიიჩნევს, ფილმიც და ალბომიც დაწყევლილი აღმოჩნდა, რადგან სწორედ 2001 წლის 11 სექტემბერს – კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ტერაქტის განხორციელების დღეს გამოვიდა. ქერიმ აღნიშნა, რომ ფილმიცა და ალბომიც ძირითადად ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი და ვინაიდან, 11 სექტემბრის მოვლენებიდან ერთი კვირის განმავლობაში მშობლებს შვილები კინოში აღარ დაჰყავდათ (რომ აღარაფერი ვთქვათ, ალბომის შეძენაზე), სურათიცა და დისკიც კომერციული თვალსაზრისით არამომგებიანი აღმოჩნდა. ამის გამო ქერიმ ისე ინერვიულა, რომ ნერვიული სტრესი დაემართა, ხოლო ხმის ჩამწერი კომპანია – EMI იძულებული გახდა მასთან კონტრაქტი გაეწყვიტა. ■

ჯიმ კერიმ პარტნიორის სიცოცხლე იხსნა



ახალი ფილმის – „ბრიუს ყოვლისშემძლის" გადაღებებზე, მოულოდნელად ამოვარდნილმა ქარმა საოპერატორო ამწე წააქცია. ამ დროს, მსახიობი – ჯენიფერ ენისტონი ამწესთან ზურგშექცევით იდგა და ვერაფერს ამჩნევდა; ჯიმ კერიმ კი ამწეს ვარდნა შენიშნა და ისიც დააფიქსირა, რომ იგი პირდაპირ ენისტონს ეცემოდა. კერიმ ჯენიფერს ხელი ჰკრა და ამით მისი სიცოცხლე გარდაუვალი საფრთხისგან იხსნა. მომხდარით შეძრწუნებული ბრედ პიტის მეუღლე, ჯიმს კისერზე ჩამოეკიდა და დიდხანს მხურვალედ უხდიდა მადლობას – მან კერის ნამდვილი გმირიც კი უწოდა. ■

ტომ ჰენკსს ახალგაზრდა ვირტუალური ორეული ეყოლება

სპეცეფექტების სპეციალისტები ახალი პროექტისათვის ახალგაზრდა ტომ ჰენკსის ვირტუალურ ვერსიას ქმნიან. რეჟისორ რობერტ ზემეკისის ფილმში – „პოლარული ექსპრესი" მსახიობს ძალზე საინტერესო როლი ელის. ჰენკსი და ზემეკისი რამდენიმე ფილმზე უკვე მუშაობდნენ ერთად, მათ შორისაა აღიარებული – „ფორესტ გამპიც". ახალი სურათისთვის კომპიუტერული ექსპერიმენტების წყალობით, შეიქმნება ყმაწვილი ჰენკსის ციფრული გამოსახულება, რომელზეც მთელი წლის განმავლობაში სპეციალისტთა ჯგუფი მუშაობდა. ისინი ექსპერიმენტებს ატარებდნენ და დეტალურად შეისწავლიდნენ მსახიობის სახის ნაკვთებისა და კუნთების სტრუქტურულ ცვლილებებს.

სპეციალისტებს დაგეგმილი აქვთ ჰენკსის ბავშვობის დროინდელი ფოტოსურათების კომპილირება და ამის მეშვეობით ბავშვის ისეთი ვირტუალური გამოსახულების შექმნა, რომელიც ზრდასრულ მსახიობს ემგვანება. „პოლარული ექსპრესი" საკარაუდოდ, 2005 წლისათვის გამოვა ეკრანებზე. შეგახსენებთ, რომ მსახიობი ამჟამად 46 წლისაა. ■

რითი ერთობა კურნიკოვა

ანა კურნიკოვასა და ენრიკე იგლესიასის გახმაურებული რომანი კვლავაც გრძელდება. ამ ცოტა ხნის წინ ანა და ენრიკე მეგობრებთან ერთად, ლონდონის იაპონურ რესტორან – Nobu-ში სადილობდნენ. მათი სუფრის ერთ-ერთმა წევრმა თანამეინახეთა გამხიარულება გადაწყვიტა და ფრიად ორიგინალურ ხერხს მიმართა: მან შარვალი ჩაიხადა და შიშველი უკანალი რესტორნის ვიტრინიდან გამვლელებს დაანახვა. პაპარაცებმაც (რომლებიც თითქოს წინასწარ გრძნობენ, რომ იქ, სადაც ანა და ენრიკე არიან, რაღაც უჩვეულო ყოველთვის ხდება) არ დაახანეს და ყოველივე ფირზე აღბეჭდეს. დღეისათვის ფოტოებმა, რომელზედაც შიშველი უკანალის გვერდით, მოცინარი კურნიკოვას სახეა აღბეჭდილი, მსოფლიოს გაზეთები მოიარეს. როგორც ამბობენ, ანა ადრე ბევრად უფრო მორცხვი გახლდათ: ორიოდე წლის წინ, როცა უიმბლდონზე მისი ერთ-ერთი გამოსვლისას კორტზე დედიშობილა მამაკაცი გამოვარდა, ტენისისტი შეცბა და სახეზე პირსახოცი აიფარა.

ბრიტანულ გაზეთ – „მირორში" გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, კურნიკოვა ლონდონში თავისი შეყვარებულის კონცერტზე დასასწრებად ჩასულა. კონცერტის შემდეგ წყვილს ზემოთ ხსენებულ იაპონურ რესტორანში ამოუყვია თავი, ხოლო მოგვიანებით კი, სასტუმროში წასულა. ■



ასთმიანებო, ერიდეთ სიცივეს

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

სიცივე ასთმიანთა ვერაგი მტერია. საკმარისია ადამიანი გავიდეს გარეთ ყინვიან, ქარიან ან ნესტიან ამინდში, რომ შეტევა გარანტირებული აქვს! მსგავსი რამ ჯანმრთელ ადამიანსაც ემუქრება გრიპის ან ზემო სასუნთქი გზების დაავადებების გადატანის შემდგომ პერიოდში: ვირუსული ინფექცია აიძულებს ბრონქებს, რომ არახელსაყრელ გარე გამღიზიანებლებს სპაზმით (შევიწროებით) უპასუხოს.

ალერგია ამინდზე

როდესაც გარემოში ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება ხდება (8-10 გრადუსით), ეს კატასტროფას წარმოადგენს მგრძნობიარე ბრონქებისთვის. მათი ლორწოვანი გარსის გაცივების დროს, ირთვება მეტეოალერგიის – ამინდის ცვალებადობისადმი მომატებული მგრძნობელობის მექანიზმი. ჩვეულებრივი ალერგიული რეაქციისაგან მეტეოალერგია იმით განსხვავდება, რომ ალერგიის როლს ამ დროს ფიზიკური ფაქტორი – ყინვა ასრულებს. ასეთ ალერგიას სპეციალისტები ცრუ ალერგიას უწოდებენ, თუმცა ადამიანის განცდა ისეთივეა, როგორიც ჩვეულებრივი ასთმის დროს.

ჯანმრთელებში ცივი ჰაერის ჩასუნთქვისას მხოლოდ წამიერად ხდება სუნთქვის შეკავება – შევიწროებული ბრონქები ამგვარად იცავს ფილტვებს მათში ცივი ჰაერის მოხვედრისაგან, მაგრამ თუ სპაზმი გახანგრძლივდება, ადამიანს მკერდში შებოჭილობის გრძნობა ეუფლება, უძნელდება სუნთქვა, ეწყება ხველა – ყველაფერი ეს ბრონქების ჰიპერრეაქტიულობაზე (ჭარბ მგრძნობელობაზე) მეტყველებს, რაც ბრონქიალური ასთმისადმი ორგანიზმის წინასწარგანწყობის საწინდარია.

არც კი გაიფიქროთ თვითნებურად ბრონქების მდგრადობის შემოწმება ცივი ინჰალაციებით! მსგავს გამოკვლევას სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებებში აკეთებენ. მას კომპიუტერული სპიროგრაფია ეწოდება: ექიმი ადგენს თქვენი სუნთქვის საწყის მაჩვენებლებს და შემდგომ შეგასუნთქებთ „პროვოკატორის“ (ცივი ჰაერის ან გამოხდილი წყლის ორთქლის) უვნებელ დოზას. ამის შემდეგ მაჩვენებლები ხელმეორედ იზომება და გაანალიზდება მათი ცვლილებები საწყის მაჩვენებლებთან შედარებით. თუ ასთმისადმი თქვენი წინასწარგანწყობა დადასტურდა, სპეციალისტები მოგცემენ ინდივიდუალურ რეკომენდაციებს დაავადების განვითარების თავიდან ასაცილებლად.

თუ ასთმისადმი მიდრეკილება გაქვთ...

ტანსაცმელი ამინდის მიხედვით შეარჩიეთ, მაგრამ ძალიან ნუ ჩაიფუთნებით – უმჯობესია, ოდნავ შეგცივდეთ, ვიდრე გადახურდეთ. მძიმე ქურქის ქვეშ დამალვით თქვენ მხოლოდ ზრდით ტემპერატურულ კონტრასტს და ასთმური შეტევის პროვოცირებას იწვევთ.

ეცადეთ, ტემპერატურის ცვალებადობა ნაკლებად მკვეთრი გახადოთ სასუნთქი სისტემისათვის. გარეთ გასასვლელად ჩაცმის შემდეგ სამი წუთით ღია ფანჯარასთან დადექით და ნესტოებით ცივი ჰაერის ნაკადი ჩაისუნთქეთ. პირველ სართულზე ჩასვლის შემდეგ, სადარბაზოს შესასვლელთან შეყოვნდით და შეეგუეთ სიცივეს.

ქუჩაში გასვლისას ცხვირ-პირზე განიერი შალის შარფი მოიხვიეთ.

ისუნთქეთ მხოლოდ ცხვირით: ამგვარად ჰაერი თბება და უკვე გამთბარი გაივლის ბრონქებში.

ყოველი შემთხვევისათვის, მაინც თან იქონიეთ ექიმის მიერ შერჩეული ინჰალატორი. მკერდში შებოჭილობის შეგრძნების გაჩენისთანავე, შეისუნთქეთ წამალი და შედით თბილ შენობაში – მაღაზიაში, მეტროში, ავტობუსში. დაჯექით, შეიხსენით ლაბადის ზედა ღილები, მოიხსენით შარფი, მოუშვით პერანგის საყელო.

თუ ქუჩაში გამოსვლისას თითქმის ყოველთვის გრძნობთ სუნთქვის გაძნელებას, ინჰალატორით, შენობის დატოვებამდე 10-15 წუთით ადრე ისარგებლეთ.

ერიდეთ რესპირატორულ ინფექციებს. გრიპის, პარაგრიპის გამომწვევები, ადენოვირუსები, აგრეთვე მიკოპლაზმები და ქლამიდიები აზიანებს სასუნთქი გზების მოციმციმე ეპითელიუმს, ხელს უწყობს ალერგენების შეღწევას ორგანიზმში და ბრონქების ჰიპერრეაქტიულობის ფორმირებას. ჯანმრთელ ადამიანს მსგავსი მოვლენები მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციის გადატანიდან 2-6 კვირის განმავლობაში აღენიშნება. ამ პერიოდში ტემპერატურის ვარდნით გამოწვეული ბრონქოსპაზმის რისკი, საკმაოდ მაღალია. ■

ზამთრის კოსმეტიკა



დადგა ზამთრის კოსმეტიკაზე გადასვლის დრო. როგორ უნდა შეარჩიოთ თქვენი შესაფერისი საცხი?

ჯერ კიდევ 15 წლის წინ, კოსმეტოლოგები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ აცივებისთანავე და, მით უმეტეს, ყინვაში, აუცილებელია მხოლოდ მკვებავი საცხის გამოყენება, რადგან იგი ტენს ინახავს და კანს გამოშრობისგან იცავს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კანის სიმშრალის თავიდან აცილება დამატენიანებელი საშუალებებითაც შეიძლება, რომელიც აღადგენს ჰიდროლიპიდურ შრეს და ამით იცავს კანს.

კანის კვების ან ინტენსიური დატენიანების არჩევა თქვენი კანის მდგომარეობაზეა დამოკიდებული. სიცივეების დაწყებისთანავე, ხშირად ჩაიხედეთ სარკეში: თუ დაგეწყოთ აქერცვლა, შეწითლება, დაჭიმულობის შეგრძნება, მაშასადამე, კანი გამოშრა და მას ჯერ დატენიანება, ხოლო შემდეგ კვება ესაჭიროება. თუ ყინვა და ქარი არ ჭიმავს კანს, თქვენთვის სავსებით საკმარისი იქნება სუსტი დამატენიანებელი საცხი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ტემპერატურის დაქვეითებასთან ერთად (-5 გრადუსამდე) სახის კანის მოვლამ ინტენსიური ხასიათი უნდა მიიღოს.

კარგი საცხი ის არის, რომელიც თქვენთვისაა შესაფერისი. მისი შერჩევა თქვენი კანის ტიპისთვის მხოლოდ სინჯების გზით შეიძლება ე.ი. თქვენ მისი შერჩევისას, საჭიროა ზოგჯერ შეცდეთ კიდეც, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არსებობს.

ყველაზე ჭირვეულია ძალიან მშრალი, თხელი და მგრძნობიარე კანი, რომელიც ნიავზეც კი იქერცლება და ტემპერატურის დაქვეითებისას წითლდება. ეს კანის ერთადერთი სახეობაა, რომელსაც ზამთარში სწორედ კვება ესაჭიროება. გამოიყენეთ დღისით მკვებავი, ხოლო ღამით – ჩვეულებრივი დამატენიანებელი საცხი.

სიმშრალისადმი მიდრეკილების მქონე კანს, ემულგატორები ანუ გაუწყლოებული და დიდი რაოდენობით ცხიმების, ცვილის და სპირტის შემცველი საცხები ესაჭიროება.

ნორმალური კანისათვის ზამთარში საკმარისია ინტენსიური დამატენიანებელი საცხი. შეიძლება ემულსიური საცხისა და რძის გამოყენებაც. ისინი ორი სახისაა: მსუბუქი და ღამის (ანუ სამკურნალო). პირველი დღისითაა იდეალური, მეორე კი – ძილის წინ.

ქალებს, რომელთა ასაკი 25 წელზე მეტია, უფრო ინტენსიური ღამის საცხი ესაჭიროებათ, რომელიც კოლაგენს ან ელასტინს შეიცავს.

შერეული ტიპის კანს ცხიმიანობისა და ტენიანობის დასარეგულირებლად მთელი დღის განმავლობაში ინტენსიური მოვლა სჭირდება.

ცხიმიანი კანი აქტიურ, მაგრამ მსუბუქ დატენიანებას საჭიროებს. დამატებით კვებას იგი არ ითხოვს. ძილის წინ წაისვით უცხიმო საცხი;

ქუჩასა და ტრანსპორტში ტემპერატურის ცვალებადობა ზოგიერთ ადამიანში კანის გაცხიმიანების, ხოლო შემდეგ, გამოშრობის შეგრძნებას იწვევს. ასეთ შემთხვევაში როგორი ტიპის კანიც არ უნდა გქონდეთ, გამოიყენეთ მსუბუქი დამატენიანებელი საცხი ცხიმოვანი კომპონენტის მინიმალური შემცველობით. ჭარბი საცხის ნაწილი აუცილებლად ჩამოიწმინდეთ კანიდან, რადგან იგი ახშობს კანის ფორებს და მას უშლის სუნთქვას.

სუპერტექნიკა

დღეისათვის არსებობს კანის ტიპის განმსაზღვრელი უახლესი ტექნიკა – სპეციალური ვიდეოკამერა, რომელიც 300-ჯერ ადიდებს კანის მოცემული უბნის სტრუქტურას და ამის მიხედვით, ექიმი-კოსმეტოლოგი მაშინვე დაადგენს თქვენს პრობლემებს და შესაფერის კოსმეტიკასაც შეგირჩევთ. ■

ფრთხილად – ინსულტი!

ინსულტი (თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა) ლათინურად „თავდასხმას“ ნიშნავს. უკანასკნელ ხანს ჩვენში საკმაოდ გახშირდა ეს დიაგნოზი და პაციენტთა 30-35% დაავადების პირველი თვის განმავლობაში იღუპება. დანარჩენი 70% კი ინვალიდდება, მეტყველებისა და მოძრაობის მკვეთრი დარღვევა აღენიშნება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინსულტი საკმაოდ „გაახალგაზრდავდა“ და ჩვენში 30 წლის პაციენტები იშვიათობას აღარ წარმოადგენენ.

ინსულტის გადატანის რისკი მატულობს თუ:

- თქვენ გაქვთ ჰიპერტონია (მაღალი წნევა).
- გაქვთ სისხლძარღვთა ათეროსკლეროზული დაზიანება.
- გაქვთ გულის დაავადება ან შაქრიანი დიაბეტი.
- ეწევით სიგარეტს.
- თქვენი ასაკი 50 წელს აღემატება. რაც მეტია ასაკი, მით მეტია ინსულტის რისკი.

ვინაიდან ინსულტის განვითარების ძირითადი რისკ-ფაქტორი მაღალი წნევაა, 40 წელს გადაცილებულმა ყველა ადამიანმა კვირაში 2-3-ჯერ მაინც უნდა გაიკონტროლოს წნევა. ზრდასრული ადამიანისათვის სისხლის წნევა ნორმალურია, თუ იგი 120/80 მმ.ვწყ.სვ-ს არ აღემატება. 140/90-160/95 მმ.ვწყ.სვ. მაჩვენებელი უკვე არტერიულ ჰიპერტენზიაზე (წნევის მოატებაზე) მეტყველებს და მკურნალობას საჭიროებს. მრავალრიცხოვანი გამოკვლეის მონაცემებით სისტოლური (ზედა) წნევის 12 ერთეულით, ხოლო დიასტოლურის (ქვედა) 5 ერთეულით დაქვეითება ინსულტის რისკს 34%-ით ამცირებს.



წნევასთან ერთად საჭიროა სისხლში ქოლესტერინისა და შაქრის კონტროლი. სასურველია, ყოველწლიურად გაკეთდეს გამოკვლევა საერთო ქოლესტერინზე და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებზე. ყველაზე დაბალი სიკვდილიანობა აღინიშნება მაშინ, როცა ქოლესტერინის კონცენტრაცია 5,2 მმოლ/ლ-ზე დაბალია, 5,3-6,5 მმოლ/ლ მაჩვენებელზე სიკვდილიანობა მატულობს, ხოლო 8 მმოლ/ლ-ზე მაღალ ციფრებზე – იგი საკმაოდ დიდია.

რაც შეეხება საკვებს, მნიშვნელოვანია ცხოველური ცხიმების შეზღუდვა. თუმცა უნდა ვიცოდეთ, რომ თუ პურითა და კარტოფილით ვიკვებებით, მათში შემავალ ნახშირწყლებს შეუძლია, ცხიმად გარდაიქმნას. ამიტომ საჭიროა ადვილად ათვისებადი ნახშირწყლების: თეთრი პურის, კარტოფილის, შაქრის, მურაბის, კანფეტის შეზღუდვაც.

ექიმთა დაკვირვებით დიდი მნიშვნელობა აქვს რაციონში ხილის, ბოსტნეულისა და განსაკუთრებით თევზეულის სიჭარბეს.

ინსულტის კატალიზატორად ითვლება სტრესი, რადგან დღეს ადამიანები მომავალს შიშით უყურებენ და მუდმივი, ქრონიკული პანიკის ქვეშ იმყოფებიან, რაც წნევის მატებას უწყობს ხელს.

ალკოჰოლის ზომიერად მიღება არ წარმოადგენს ინსულტის რისკ-ფაქტორს. პირიქით, მედიკოსები თვლიან, რომ მცირე რაოდენობით წითელი ღვინო იცავს კიდეც ორგანიზმს მისგან.

სიგარეტს რაც შეეხება, ახალს ვერაფერს ვეტყვით მწეველებს. ექიმები გაფრთხილებენ და – თქვენი საქმისა თქვენ იცით. მთელ მსოფლიოში დღითი დღე კლებულობს მწეველთა რიცხვი, ჩვენში კი – პირიქით ხდება. მწეველთა რაოდენობის მიხედვით, ლამის პირველ ადგილზე ვიმყოფებით. არადა, ეს ფაქტორი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ინსულტის რისკ-ფაქტორთა შორის.

თუ ინსულტი მაინც მოხდა:

1. დაუყოვნებლივ გამოიძახეთ „სასწრაფო დახმარება“.
2. მის მოსვლამდე შეგიძლიათ, გაუზომოთ ავადმყოფს წნევა. თუ იგი ძალიან მაღალია, მიეცით კორინფარი (ენის ქვეშ) ან კლოფელინი. წნევის მკვეთრი დაქვეითება აგრეთვე საშიშია იშემიური ინსულტის დროს. დღეისათვის რეკომენდებულია მისი დაწევა არა უმეტეს 15-20%-ისა. ამის შესახებ ექიმებმაც უნდა იცოდნენ. ■

კითხვა + პასუხი



კითხვა: მყავს 3 წლის ბიჭუნა, რომელსაც გამუდმებით უოფლიანდება ფეხები. მას დღეში რამდენჯერმე ვუცვლით წინდებს. როგორ მოვიქცეთ?

პასუხი: სწორად იქცევით, როცა ხშირად უცვლით ბავშვს წინდებს – ასეთი ბავშვები ადვილად ცივდებიან და ფეხების მშრალად ქონა იცავს მას. დილიდან, გაღვიძებისთანავე პატარას ფეხის ძირებზე გაუგეთეთ მასაჟი. მისი ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 10 წთ-ზე ნაკლები და კარგი იქნება, თუ დღის განმავლობაში კიდევ გაიმეორებთ. ყოველდღიურ პროცედურად უნდა იქცეს შხაპი, ან, თუ ბავშვი ხშირად ცივდება, ფეხების აბაზანა. წყლის ტემპერატურა უნდა იყოს 38-39 გრადუსი, 3-5 წუთის განმავლობაში უნდა შეამციროთ სხეულის ტემპერატურამდე ანუ 37 გრადუსამდე. ამგვარად ხდება სისხლძარღვთა გავარჯიშება. ხელებისა და ფეხების ზედმეტი ოფლიანობა ბავშვებში ხშირად სისხლძარღვთა სისტემის რეგულაციის დარღვევის ფორმირების ნიშანს წარმოადგენს. მის გამოვლინებასთან ბრძოლა შეიძლება ორი ძირითადი საშუალებით – ფიზიკური აქტივობით და გაკაჟებით.

კითხვა: რატომ უჩნდებათ მოზარდებს სახეზე ჩირქოვანი მუწუკები? თავისით გაივლის ის თუ ჩარევაა საჭირო?

პასუხი: ბევრ მოზარდს აწუხებს სახეზე გამოყრილი ჩირქოვანი მუწუკები. ეს სქესობრივი მომწიფების პერიოდთანაა დაკავშირებული, რადგან ამ დროს ხდება მამაკაცური სასქესო ჰორმონების მოძალება (როგორც ვაჟებში, ისე გოგონებში). რამდენიმე წელიწადში „ჰორმონული ქარიშხალი" ჩაცხრება ხოლმე და კანიც სუფთავდება. თუ ეს ასე არ ხდება და მუწუკებთან ერთად აღინიშნება ჭარბი წონა, წითელი ზოლები კანზე, მაშინ შესაძლებელია, ეს სხვა დაავადების არსებობაზე მეტყველებდეს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია დერმატოლოგისა და ენდოკრინოლოგის კონსულტაცია უფრო დეტალური გამოკვლევისათვის.

კითხვა: როგორც მახსოვს, ძველად „უშვილობის" დიაგნოზს სვამდნენ, თუ ქალი 3 წლის განმავლობაში არ ორსულდებოდა. ახლა კი ეს დრო ერთ წლამდე შემცირდა. რატომ?

პასუხი: დიაგნოზის დასმის ვადების შემცირება იმასთანაა დაკავშირებული, რომ გაჩნდა დიაგნოსტიკის ახალი მეთოდები, თანამედროვე ხელსაწყოები. აზრი არ აქვს დიდხანს ლოდინს. თუ ქალი ერთი წლის განმავლობაში არ ორსულდება და ამასთან, მეუღლეს ყველაფერი რიგზე აქვს, სჯობს, იგი დროულად მივიდეს ექიმთან და დაიწყოს მკურნალობა, რათა დრო ტყუილად არ დაკარგოს.

კითხვა: ბოლო დროს დილაობით მიჭირს კუჭში გასვლა. კუჭის მოქმედება მაქვს ერთი საათის განმავლობაში რამდენჯერმე, ცოტ-ცოტა. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ სწორ ნაწლავში რაიმე ანთებითი პროცესი მაქვს?

პასუხი: თქვენ მიერ აღნიშნული სიმპტომი შესაძლოა იყოს ფუნქციური ან ორგანული ცვლილებების შედეგი. ფუნქციური ცვლილებები შესაძლოა, გაჩენილიყო თქვენი ცხოვრების სტილის შეცვლის, კვების თავისებურების გამო. ორგანული ცვლილებებიდან კი შესაძლოა ადგილი ჰქონდეს: სწორი ნაწლავის შევიწროებას, სიმსივნეს, ანუსის (უკანა გასავლის) სპაზმს და სხვა. გირჩევთ, ნუ მიმართავ თვითმკურნალობას. დიაგნოზის დასაზუსტებლად გესაჭიროებათ პროქტოლოგის კონსულტაცია.

კითხვა: მაქვს ვენების გაფართოება ფეხებზე. ექიმმა გამომიწერა დეტრალექსის აბები. მის ანოტაციაში წერია, რომ პრეპარატი რეკომენდებულია ბუასილის დროსაც. რა კავშირშია ერთმანეთთან ბუასილი და ვენების გაგანიერება?

პასუხი: ეს ორი დაავადება სწორედაც რომ ერთმანეთთანაა კავშირში, რადგან ორივე სისხლძარღვოვან პათოლოგიას წარმოადგენს, დეტრალექსი კი სისხლძარღვებზე მოქმედებს. ამ პრეპარატის გამოყენება ბუასილის დროს საკმაოდ ეფექტურია. ორივე დაავადების დროს საჭიროა სისხლძარღვის გამავლობის გაუმჯობესება, მისი კედლის გამაგრება და თრომბების წარმოქმნის შეფერხება. ბუასილის დროსაც და ვენების ვარიკოზული გაგანიერების დროსაც, ეს ყველაფერი მეტად მნიშვნელოვანია. ■

ტყუილის ფსიქოლოგია

ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ ადამიანს ტყუილის თქმის დროს ენა ებმის, სიტყვებს არჩევს, აზრის გამოთქმა უჭირს... ყოველგვარ ტყუილს თან ახლავს ხმის რხევა, რომელიც ადამიანის ყურისათვის შეუმჩნეველია. ამ მოვლენაზეა დაფუძნებული მეტად მარტივი და იაფი ხელსაწყო – „ემოციის მზომი", რომელიც ადამიანის ხმაზე რეაგირებს. იგი ადვილად თავსდება ჯიბეში და ამიტომ შეუმჩნეველი რჩება მოსაუბრისთვის.

ცბიერი მანქანა, რომელიც სამხრეთკორეელმა სპეციალისტებმა შექმნეს, ხმის სულ მცირე რხევასაც კი აანალიზებს, რაც შესაძლებლობას იძლევა შემთხვევათა 80%-ში განასხვაოს სიმართლე ტყუილისაგან. ხელსაწყოს აქვს პატარა ეკრანი, რომელიც მის მფლობელს აჩვენებს, რამდენად ატყუებს თანამოსაუბრე. სიმართლის ხარისხი თვალსაჩინოდ ვაშლის ფორმითაა გამოსახული – რაც უფრო მეტადაა იგი მოკბეჩილი, მით უფრო დიდი ტყუილის მოსმენა გიწევთ.

ხელსაწყო ადვილად შეიძლება შეუერთდეს ტელეფონსაც და თუ მოღალატე ქმარი ხაზის მეორე მხარიდან ატყუებს ცოლს, რომ დღეს მეტად მნიშვნელოვანი თათბირი აქვს, ქალს შეუძლია, თამამად გააწყვეტინოს მას: „იტყუები, ძვირფასო, მინიმუმ, ნახევარი ვაშლით მაინც."

სხვათა შორის, ხელსაწყო პირველ რიგ-

ში პოლიტიკოსებზე გამოიცადა და კარგი შედეგიც აჩვენა: ჯორჯ ბუშისა და ალბერტ გორის წინასაარჩევნო კამპანიის დროს გაირკვა, რომ ბუშმა დებატების ერთ სერიაში 57-ჯერ იცრუა, ხოლო გორმა – 23-ჯერ. თუმცა, რადგან ამომრჩევლებს არ ჰქონდათ სათანადო ხელსაწყო, არჩევნებში მაინც ბუშმა გაიმარჯვა.

საიდუმლო მეცნიერება

ერთი პეშვი ბრინჯი სიკვდილით დასჯამდე. ძველ ჩინეთში სიმართლის გარკვევის თავისებური მეთოდი არსებობდა, რომელიც ადამიანის ბუნებრივ რეაქციებს ეფუძნებოდა. რაიმე დანაშაულში ყველა ეჭვმიტანილს სთავაზობდნენ ერთ პეშვ ბრინჯს, რომელიც პირში უნდა ჩაეყარა და შემდეგ ისევ გადმოეფურთხებინა. ვინც ამ დავალებას ყველაზე სწრაფად ასრულებდა, იმას სჯიდნენ: როდესაც ადამიანი ღელავს, მას პირი უშრება, ამიტომ ბრინჯის მარცვლები აღარ ეკვრის სასას და ადვილი ხდება მათი გადმოყრა.

ვერ ლიქტი ვირს გამოაქვს. ირანელებს უფრო მარტივი მეთოდი ჰქონდათ. მათ ადამიანი შეჰყავდათ ბნელ ოთახში და უბნებოდნენ, რომ იქ ჯადოსნური ვირი იდგა, რომლისთვისაც კუდზე ხელი უნდა წაეღო. „თუ შენ დამწაშავე ხარ, ხელები გაგიშავდება, ხოლო თუ არა – თეთრი დაგრჩება“ – არწმუნებდნენ. სინამდვილეში კი ვირს კუდზე მური ესვა. დამნაშავეები, რომლებიც მოსამართლეთა მოტყუებას ცდილობდნენ, ცხოველს ხელს არ ახლებდნენ და სუფთა ხელებით გამოდიოდნენ, რითიც საკუთარ თავს გასცემდნენ ხოლმე.

რამ გაამწვანა მატყუარა? ცოტა ხნის წინ, აშშ-ში დანერგეს დეტექტორი, რომელიც რეაგირებს ადამიანის კანის ფერის ცვლილებაზე ტყუილის თქმის დროს. კერძოდ, მის გაწითლებაზე ან მომწვანო ელფერზე, ტემპერატურის მომატებაზე თვალების ირგვლივ. ამ ყველაფერს ინფრაწითელი გადამწოდი აფიქსირებს.

გამცემი ცხვირი. კონგრესზე მონიკა ლევინსკის საქმესთან დაკავშირებული მოსმენის ვიდეოჩანაწერების ნახვისას ამერიკელმა მედიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ მისთვის მრავალ არასასიამოვნო კითხვაზე პასუხის დროს, ბილ კლინტონი გამუდმებით იკიდებდა ხელს ცხვირის წვერზე. როგორც დღეს ჩვენთვის ცნობილია, პრეზიდენტი ურცხვად ატყუებდა კონგრესმენებს, ხოლო ცხვირი გასცემდა თავის პატრონს. როგორც აღმოჩნდა, როცა ადამიანი ცრუობს, ორგანიზმი გამოყოფს ჰორმონებს, რომელიც ცხვირის ქავილს იწვევს. მატყუარას უჩნდება დაუოკებელი სურვილი, მოიფხანოს ან ხელით დამალოს ცხვირი.

ფესტივალის ენაზე. ბევრი ადამიანი მოზრდილობაშიც ვერ გადაეჩვევა ხოლმე ტყუილის თქმის დროს შუა და საჩვენებელი თითების გადაჯვარედინების ჩვევას. არსებობს კიდევ ერთი ნიშანი: მატყუარა ხელებს ზურგს უკან, მაგიდის ქვეშ ან ჯიბეებში მალავს.

ძვირფასი, მატყუარა ინტერნეტი. მალე ინტერნეტით მოსარგებლეებს უპრობლემოდ შეეძლებათ განასხვაონ, ელექტრონული ფოსტით მიღებულ წერილთაგან რომელია სიმართლე და რომელი – სიცრუე. ამერიკელი პროგრამისტები ამუშავებენ პროგრამას, რომელიც წერის შეცვლილი სტილისა და წინადადების წყობის მიხედვით, გამოარჩევს ტექსტის იმ ნაწილებს, სადაც სიცრუე წერია. სისტემა ჯერ აანალიზებს ტექსტს და განსაზღვრავს მის ძირითად ფორმას: სიტყვების თანმიმდევრობას წინადადებაში, სასვენი ნიშნების განლაგებას. შემდეგ გამოყოფს ტექსტის იმ ნაწყვეტებს, რომელიც წერილის ზოგად სტილს არ შეესაბამება. მართალი ფრაზები, როგორც წესი, ლაკონიური და მარტივია. როცა ადამიანი იტყუება ან გაურბის პასუხს, იგი იწყებს უფრო გაუგებარი, რთული ფრაზების მოფიქრებას. ■

რომელი პროდუქტი გიყვართ ყველაზე მეტად?

თუ ხშირად გიჩნდებათ ერთი და იმავე პროდუქტის ჭამის სურვილი, შესაძლოა, ეს მასში შემავალი ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების დეფიციტთან იყოს დაკავშირებული. ყური მუგდეთ კუჭის ძახილს, უარს ნუ ეტყვით მას დაჟინებულ ითხოვნაზე.

თუ აღმოაჩენთ, რომ ისევ და ისევ გინდებათ ბანანის ჭამა, შესაძლოა, თქვენს ორგანიზმს კალიუმი აკლია. ერთ საშუალო ბანანში ამ ელემენტის 550 მგ შედის. ვინც ორგანიზმიდან კალიუმის გამომტან შარდმდენ საშუალებებს ღებულობს, განსაკუთრებით საჭიროებს ამ ელემენტს. სხვათა შორის, ამ პრინციპით შეიძლება ახსნა მოეძებნოს ზოგიერთი ადამიანის სიყვარულს ლუდისადმი. ლუდი ბევრ კალიუმს შეიცავს, თუმცა, ამავე დროს შარდმდენი თვისებითაც ხასიათდება. ასე იქმნება მანკიერი წრე, რაც ალკოჰოლიზმის მიზეზი შეიძლება გახდეს. ლუდის მორიგი ბოთლის დალევის ნაცვლად, უმჯობესი იქნება, ბანანი მიირთვათ.



თუ ძალიან გიყვართ ყველი, აუცილებლად გესაჭიროებათ კალციუმი და ფოსფორი. მიირთვით მეტი კომბოსტო, რომელშიც ბევრია ფოსფორი და კალციუმი, მაგრამ ნაკლებკალორიულია ყველთან შედარებით.

არსებობს გამონათქვამი, რომ ერთი ვაშლი დღეში უექიმოდ ცხოვრებაში გეხმარებათ, რადგან ბევრ სასარგებლო ნივთიერებას (კალციუმს, მაგნიუმს, ფოსფორს, კალიუმს...) შეიცავს. გარდა ამისა, ვაშლი ქოლესტერინის დაქვეითების უნარის მქონე ნივთიერების – პექტინის წყაროს წარმოადგენს. თუ ძალიან გიყვართ ცხიმიანი საკვები, ეცადეთ, მას ვაშლი დააყოლოთ ხოლმე.



თუ კაკალზე გიჟდებით, ე.ი. თქვენ ცილა, B ჯგუფის ვიტამინები და ცხიმები გაკლიათ. აღმოჩნდა, რომ სტრესის მდგომარეობაში მყოფი ადამიანები ბევრ კაკალს ჭამენ, რაც ამ სასარგებლო პროდუქტის ანტისტრესულ თვისებებზე მეტყველებს.

ნესვის სიყვარულის მიზეზი მხოლოდ მისი სასიამოვნო გემოროდია. ნესვში ბევრია კალიუმი და A ვიტამინი. საშუალო ზომის ნესვი 3400 ME A ვიტამინს შეიცავს. გარდა ამისა ნესვი მდიდარია C ვიტამინით, კალციუმით, მაგნიუმით, ფოსფორით, ბიოტინით, ინოზიტით; ამასთან დაბალკალორიულიცაა.

თუ ზრდასრულ ადამიანს ძალიან უყვარს რძე, სავარაუდოა, რომ მას ესაჭიროება კალციუმის დამატებითი დოზა, აგრეთვე – ისეთი ამინომჟავები, როგორიცაა ტრიპტოფანი, ლიცინი და ლიზინი. ტრიპტოფანს კარგი დამამშვიდებელი ეფექტი აქვს, ამიტომ, რძე ჩვეულებისამებრ ნერვიულ ადამიანებს უყვართ, რომლებიც ხშირად არიან სტრესულ სიტუაციაში. ■

„ჯადო“ და „სხვა“ „თეატრალურ სარდათში“

აკა მორჩილაძე

ვისაც აკა მორჩილაძის შემოქმედება უყვარს, მათთვის დღევანდელი დღე არაჩვეულებრივი მოვლენაა, — თქვა დათო ტურაშვილმა „სარდაფში“ გამართულ ახალი წიგნების პრეზენტაციაზე, რომელმაც დამსწრეთ აკა მორჩილაძის (გიორგი ახვლედიანის) „სხვა“ და ბესო ხვედელიძის „ჯადო“ წარუდგინა. „ჯადოზე“ საუბრისას დათომ აღნიშნა: ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ მიხვდებით, რომ ჩვენ შორის ძალიან კარგი მწერალი გამოჩნდაო. ავტორმა — ბესო ხვედელიძემ რამდენიმე ნაწყვეტი წაიკითხა.

წიგნების გამომცემელმა, ბაკურ სულაკაურმა აღნიშნა: შემთხვევითი არ არის, რომ ამ ორი მწერლის წიგნების პრეზენტაცია ერთად გაიმართა, — რადგან მათ შორის საერთო ის არის, რომ ორივეს უყვარს ამბის მოყოლა, ორივე ძალიან კარგად წერს და ორივე, პროფესიონალიაო.

შეკრებილ საზოგადოებას შესთავაზეს, კითხვები დაესვათ მწერლებისთვის, მაგრამ ამ შესაძლებლობით რატომღაც არავის უსარგებლია. ამაზე აკა მორჩილაძემ თქვა: ეს კარგია — ე.ი. ყველაფერი ისედაც ნათელია, შეკითხვები მაშინ არის, როცა რაღაც გასარკვევიაო...


ბესო ხვედელიძე

ალბათ ეს ყველაზე ხანმოკლე საღამო იყო „სარდაფის“ ისტორიაში. ■

თოვა და ჩათხუტვიანი სტუმრები თეატრალურ ინსტიტუტში

9 დეკემბერს, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტში, სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის ორგანიზატორობით, სტუდენტური ფილმებისა და სპექტაკლების ფესტივალი — „დებიუტი“ გაიხსნა. ამას წინ უძღოდა პრესკონფერენცია, რომელიც რექტორატის ინიციატივით, ამავე ინსტიტუტის უძველეს სასწავლო თეატრის დარბაზში — „სპარტაკში“ ჩატარდა. ეს დარბაზი დიდ ხანია სიძველის გამო, ნელ-ნელა ინგრევა და წლების მანძილზე გაუქმებული იყო. ახლა სარემონტო სამუშაოები იწყება. ფესტივალის გახსნის დღეს თბილისში თოვდა. პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს თავზე ათოვდათ. რექტორატი გულმოწყალე აღმოჩნდა და სტუმრებს, თოვლისგან და ნანგრევებისგან თავის დასაცავად, ჩაფხუტები შესთავაზა, თან დასძინა: არ გეგონოთ, ფესტივალის ძველ დარბაზში გახსნის აუცილებლობა, საპროტესტო ან პროვოკაციულ ხასიათს ატარებდეს, ამაში თეატრალური და შემოქმედებითი ხასიათი დევს, სიმბოლურად გადავწყვიტეთო. იქვე გაირკვა, რომ ფესტივალში მონაწილეობის მიღება საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს შეეძლოთ, რა თქმა უნდა, ვინც ამ განხრით სწავლობს. სპექტაკლების ჩვენება სასწავლო თეატრის სცენაზე მიმდინარეობს. ფილმების ჩვენება 14 დეკემბრიდან კინოთეატრ „ქოლგაში“ დაიწყება. შესაბამისად, ჟიური ორ ნაწილად დაიყო: ერთი სპექტაკლებს შეაფასებს, ხოლო მეორე — ფილმებს. ისინი, ჩვენთვის კარგად ნაცნობი მსახიობები და რეჟისორები — მურმან ჯინორია, ანდრო ენუქიძე, ნანა ჯანელიძე და სხვ. არიან. ჟიურის თავმჯდომარეებად კი ამავე ინსტიტუტის ასპირანტები გვევლინებიან. ფესტივალი — „დებიუტი“ 18 დეკემბრამდე გასტანს. ■

„ჯინსების თაობა“ ერთ თვეში განასლდება

ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთი ჟურნალის გარეკანზე გამოტანილმა სათაურმა — „რატომ მოიხსნა „ჯინსების თაობა“ თავისუფალი თეატრიდან“, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მითქმა-მოთქმის საფუძველი ალბათ ამ სპექტაკლის შექმნის დრამატულ ამბავს დაუკავშირეს: ყველას კარგად ახსოვს, თუ როგორ გაუჭირდა თავის დროზე დათო დოიაშვილს მისი მაყურებლამდე მიტანა. საზოგადოების ინტერესი რომ დამეკმაყოფილებინა, რეჟისორს დავუკავშირდი:

— დათო, დოიაშვილი:

— სპექტაკლში მონაწილე ერთი მსახიობი პარიზშია გადაღებებზე, მეორე — ორსულადაა, ბავშვს ელოდება. ვერც ერთ მათგანს ვერ შევცვლიდი. ამიტომაც მოვხსენი დროებით.

— როდის განახლდება კვლავ „ჯინსების თაობა“?

— იანვარში — როცა მსახიობი ბავშვს გააჩენს! ამაში არაბუნებრივი, მე მგონი, არაფერია. რა ხდება, ხალხო? დავიღალე — ყველა ამას მეკითხება! ■

თელავის თეატრი აკადემიური გახდა!

თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა თბილისში, რკინიგზელთა კულტურის სახლში სამი სპექტაკლი აჩვენა: გოგი ჩაკვეტაძის „ძმვიდობით, ლომებო!“, ფიქრია ყუშიტაშვილის „ალადინის ლამპარი“ და ლევან სვანაძის „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი“. სპექტაკლს „ალადინის ლამპარი“ პოლიტიკური ელიტა დაესწრო. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, სცენაზე ვანო ზოდელავა და მედიკო მეზვრიშვილი ავიდნენ. ხოლო ედუარდ შევარდნაძემ გამოაცხადა, რომ თელავის თეატრს სახელმწიფო აკადემიური თეატრის სტატუსი მიენიჭა — იმ უდიდესი წვლილისთვის, რომელიც ამ თეატრს ქართული კულტურის განვითარებაში მიუძღვის. ■

მოამგეობენ ნინო მჭედლიშვილმა და ნათია თენიეშვილმა



ლამების წინაპარი
ამერიკული ვისკი
ალექსანდრე დიდის სამშობლო
იძულებითი ყაიმი ჭადრაკში
რუსი ილუზიონისტი
ამერ. მსახ. ქეიჯის ყოფილი მეუღლე
იუპიტერის თანამგზავრი
პოვნის მცდელობა
ლ. ბაშიძის ფ. ფილმი
„თავისუფალი თეატრის“ სპექტაკლი
„ჟან კრისტოფი“ ფრანგი მწერალი
გამძლე ბელი ა. კრისტის დეტექტივში
ანარქიის მქადაგებელი ნესტორ ...
რისი წყაროც წიგნია
იაპონიის ნარების ახალი მწვრთნელი
უგუმბათო ტაძარი
საშუალო სასწავლებელი
ფრანგი ფერმწერი
კომპიუტერის სატვდ
შრილანკას დედაქალაქი
ცოლ-ქმრის მშობლები ერთმანეთის მიმართ
თანამდებობა მეფის კარზე
ქავჟარაძე
ბოულინგის მოედანი
ადამის ცოლი
რუსული მცირელიტრაჟიანი ავტომობ.
აპოლონის ვატიკანისეული ქანდაკება
სმგზარო განყოფილება სპერრ ბურთზე
ცის თაღი
კროუფორდის დეტექტივი სახის კბზე
დიდი უჩოჩრო თუთიყუში
კაზინოს თანამშრომელი
„რომაული არდადეგები“ (მსახიობი)
ი. ჭეჭვეთ „... ადამანი“
ჩქარი ტემპი მუსიკაში
ლაიმა ...
უკრაინის პარლამენტი
პარკოვანი სიმსივნე
გარეული თხა
კარგი მსროლელი, ჩუბინი
ჯილდო
ფირნიში
კედლის შანდალი
თავბრუ



შეადგინა
რამაზ ალანიამ

28-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ბ.

კვირის (16 – 22 დეკემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII



ეცადეთ, ყველა საქმე შემდეგი კვირისთვის გადადოთ. განსაკუთრებით მოერიდეთ ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომლის განხორციელებას ხანგრძლივი დრო სჭირდება, რადგან ახლა მასზე საკმარის ინფორმაციას არ ფლობთ და, ამასთან, ვარსკვლავებიც მაინცდამაინც არ გწყალობენ. უმჯობესია, მთელი კვირა მეგობრებს მიუძღვნათ.

თხის რქა – 22/XII-20/I

კარგი იქნება, თუ ხშირ-ხშირად გაიმეორებთ ანდაზას – „ხერხი სჯობია ღონესა...“, რადგან შესაძლოა, მთელი ენერგიითა და მონდომებით შეეჭიდოთ ისეთ საქმეს, რომლისთვისაც საერთოდ არ ღირდა თავის შეწუხება. მოკლედ, სიფრთხილე გმართებთ; თორემ, შაბათისთვის დიდი უსიამოვნებები არ აგცდებათ.

მერწყული – 21/I-19/II



შეგიძლიათ ხუთშაბათამდე ბედს მიენდოთ და მშვიდად ადევნოთ თვალყური მოვლენების განვითარებას. ყველაფერი თქვენ სასარგებლოდ წარიმართება. ამის შემდეგ მთელი სერიოზულობით უნდა მოჰკიდოთ საქმეს ხელი. თუ გონივრულად მოიქცევით, კარიერაში წარმატებას მიაღწევთ.

თევზები – 20/II-20/III



კვირის დასაწყისში შესაძლოა, ვერ მოახერხოთ საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედება, რადგან გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება იმ გარემოებებს, რომელშიც აღმოჩნდებით. ასეთი მომენტები ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში დგება, ამიტომ გულს ნუ გაიტეხთ: ცოტაც მოითმინეთ და ხუთშაბათიდან სრული თავისუფლება გექნებათ.

ვერძი – 21/III-20/IV



გამორჩეულად მოუსვენარი და დინამიკური კვირა გელით. რასაც მოიწადინებთ, ყველაფრის განხორციელებას ეცდებით და საამისოდ არაფერს დაიშურებთ. ამასთან, თუ ვინმე წინ გადაგეღობათ, სერიოზულად უნდა გიფრთხილდეთ, რადგან ახლობელ ადამიანსაც არაფერს აპატიებთ.

კურო – 21/IV-21/V

შესაძლოა, მთელი კვირის მანძილზე, ნებისმიერ საქმეზე კონცენტრირება გაგიჭირდეთ, რის გამოც გვიანობამდე მოგიხდებათ სამსახურში დარჩენა და შეიძლება, სამუშაოს შინწაღებაც მოგიწიოთ. კვირის ბოლოსთვის კვლავ ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებით.

მარჩხები – 22/V-21/VI



ზედმეტმა ცნობისმოყვარეობამ, შესაძლოა, მოულოდნელი და სერიოზული პრობლემები შეგიქმნათ, ამიტომ, აუცილებლად უნდა გამოამჟღავნოთ დისციპლინა და ორგანიზატორული ნიჭი, თორემ ნამდვილად რაღაც ხათაბალაში გაეხვევით. ხუთშაბათი და პარასკევი საფინანსო წამოწყებისთვის იქნება ხელსაყრელი, შაბათი კი აუცილებლად დასვენებასა და გართობას მიუძღვენით.

კირჩხები – 22/VI-22/VII



ჯერ კიდევ წინა კვირაში წამოჭრილი სამსახურებრივი პრობლემები, ბოლოს და ბოლოს, ამ კვირის დასაწყისში ისე გადაწყდება, როგორც თქვენ გსურდათ. საერთოდ, ყველა საქმე თქვენთვის სასურველი მიმართულებით წაგივათ, თანაც, დატვირთვაც იმაზე ნაკლები გექნებათ, ვიდრე ელოდით.

ლომი – 23/VII-23/VIII



გარშემომყოფთა გაკვირვებისა და გაღიზიანების დაუოკებელი სურვილი გაგიჩნდებათ. მეტისმეტად ექსტრავაგანტური და გამომწვევი იქნებით, თქვენი ქცევით ყველას გააოგნებთ და აღაშფოთებთ კიდეც. წარმოიდგინეთ, რომ ესეც სიამოვნებას მოგგვრით. და მაინც, გაითვალისწინეთ, რომ ასეთმა ქცევამ შესაძლოა, პრობლემები შეგიქმნათ, ამიტომ სიფრთხილე გამოიჩინეთ.

ქალწული – 24/VIII-23/IX



ამ კვირაში საგრძნობლად ამაღლდება თქვენი ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალი. ეცადეთ, ყოველივე ეს პრაქტიკულად გამოიყენოთ. კროსვორდების ამოხსნა და ხატვა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ახლა თქვენი ნიჭი უფრო ნაყოფიერად შეგიძლიათ გამოიყენოთ.

სასწორი – 24/IX-23/X



მოემზადეთ! ოთხშაბათიდან დაწყებული, კვირის ბოლომდე ძალზედ ხშირად შეგაქებენ. თუმცა, ძირითადად, წარსული, თანაც საკმაოდ მოკრძალებული მიღწევებისთვის, მაგრამ ესეც ხომ სასიამოვნოა! თანაც ამ ქებამ სტიმული უნდა მოგცეთ და უფრო სერიოზული წარმატებებისკენ გიბიძგოთ.

ღრიანცალი – 24/X-22/XI

კვირის დასაწყისში ყველაზე უმნიშვნელო და უბრალო საქმეზეც კი ვერ მოახერხებთ ყურადღების კონცენტრირებას. ყველგან და ყველაფერში კოლეგების, მეგობრებისა და ოჯახის წევრების დახმარება დაგჭირდებათ. პარასკევისთვის ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში ჩადგება და ნორმალურ ცხოვრებას განაგრძობთ.

ხართ თუ არა ეჭვიანი



ცნობილია, რომ ეჭვიანობა სენია, თუმცა, ზომიერების ფარგლებში მას თურმე ერთფეროვანი ოჯახური ცხოვრების გახალისებაც კი შეუძლია, მაგრამ თუ გარკვეული ზღვარი გადაკვეთა, შეიძლება, მამაკაცისა და ქალის ურთიერთობა ნამდვილ კოშმარს დაემგავსოს. ასე რომ, ურიგო არ იქნება, თუ ქვემოთ მოყვანილი ტესტის მეშვეობით დაადგენთ, ხართ თუ არა ეჭვიანი და რამდენად ძლიერია თქვენში ეს გრძნობა.

1). როგორია თქვენი რეაქცია, როცა მეუღლე ტელეფონით საუბრობს?

ა) ერთი სული გაქვთ, როდის დაამთავრებს საუბარს, რომ გაარკვიოთ, თუ ვის ელაპარაკებოდა – 2;

ბ) ბოლომდე ვერ მოითმენთ, საუბარს შეაწყვეტინებთ და მაშინვე შეიტყობთ, თუ ვის ესაუბრებოდა – 3;

გ) მიგაჩნიათ, რომ ეს მისი პირადი საქმეა – 1.

2) რას ფიქრობთ სიყვარულის შესახებ?

ა) ნამდვილი სიყვარული ადამიანს მხოლოდ ერთხელ ეწვევა და მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება – 3;

ბ) სიყვარული მთელი ცხოვრების მანძილზე ხან მიდის, ხან მოდის – 1;

გ) მთელი გულით გსურთ, რომ სიყვარულის მარადიულობის გჯეროდეთ, მაგრამ გრძნობთ, რომ ეს არარეალურია – 2.

3) როგორი გრძნობა გიჩნდებათ, როცა იძულებული ხდებით, სახლში კი არა, სხვაგან გაათიოთ ღამე?

ა) გეშინიათ, რომ თქვენი მეორე ნახევარი ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს და მაშინვე გასართობად გაექანება – 3;

ბ) სულაც არ განაღვლებთ მეუღლის რეაქცია – რაც უნდა, ის იფიქროს და სადაც უნდა, იქ წავიდეს – 2;

გ) ზედმეტი ფიქრით თავს არ იტკივებთ – 1.

4) შეგიძლიათ თუ არა გახსნათ და წაიკითხოთ მეუღლის სახელზე მოსული წერილი?

ა) არა – 1;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ წერილი ოფიციალურია – 2;

გ) აუცილებლად წაიკითხავთ – 3.

5) რას ფიქრობთ თქვენი მეუღლის წარსულის შესახებ?

ა) უსიამოვნო გრძნობა გიპყრობთ, როცა ფიქრობთ – ხომ შეიძლებოდა, მას თქვენამდეც ჰქონოდა ვინმესთან რომანი – 3;

ბ) ცდილობთ, ამაზე არ იფიქროთ – 2;

გ) ამაზე არასოდეს გიფიქრიათ – 1.

6) როგორ მოიქცევით, თუ საწოლი ოთახის ავეჯი გაქვთ შესარჩევი?

ა) ფართო საწოლს აარჩევთ – 3;

ბ) ორ საწოლს შეიძენთ – 2;

გ) არჩევანს მეუღლეს მიანდობთ – 1.

7) როგორ მოიქცევით, თუ ოთახში შესული დაინახავთ, რომ თქვენი მეუღლე ღრმადაა ჩაფიქრებული?

ა) იფიქრებთ, რომ ის თქვენზე ფიქრობს – 2;

ბ) ინატრებთ – ნეტავ, მისი ფიქრების წაკითხვა შემეძლოს, რომ დავადგინო, სხვა ადამიანზე ხომ არ ფიქრობსო – 3;

გ) არ მიაქცევთ ყურადღებას – 1.

8) როგორ მოიქცევით, თუ მეუღლის ღალატის დამადასტურებელი მრავალი სამხილი გაჩნდა?

ა) შესთავაზებთ, რომ დასხდეთ და მშვიდად გაარკვიოთ ურთიერთობა – 2;

ბ) სამაგიეროს გადაუხდით – 1;

გ) იფიქრებთ, რომ თქვენმა ერთობლივმა ცხოვრებამ აზრი დაკარგა, მაგრამ ოჯახს მაინც არ დაანგრევთ – 3.

9) როგორი რეაქცია გექნებათ, თუ შეამჩნევთ, რომ თანდათან მეუღლე თქვენთვის უცხო და შორეული ადამიანი ხდება?

ა) იფიქრებთ, რომ ეს დროებითია და ყველაფერი გამოსწორდება – 1;

ბ) დაფიქრდებით იმაზე, რომ შესაძლოა, ამის მიზეზი თქვენშია – 2;

გ) მაშინვე იფიქრებთ, რომ მას სხვა ადამიანი შეუყვარდა და მასზე თვალთვალს დააწესებთ – 3.

10) როგორ მოიქცევით, თუ წვეულებაზე თქვენი მეუღლე გადამეტებულ ყურადღებას მიაქცევს საწინააღმდეგო სქესის უცნობ წარმომადგენელს?

ა) ყურადღებას არ მიაქცევთ – 1;

ბ) განზე გაიხმობთ და მოსთხოვთ, რომ უფრო მოკრძალებულად მოიქცეს – 3;

გ) მოითმენთ და შინ მისვლის შემდეგ, სერიოზულად დაელაპარაკებით – 2.

11) როგორ იქცევით, როცა რამდენიმე დღით ქალაქიდან გამგზავრება გიწევთ?

ა) არაფერზე არ ნერვიულობთ – 1;

ბ) ხშირად რეკავთ სახლში, განსაკუთრებით ღამით – 3;

გ) ეჭვიანობთ, მაგრამ არ იმჩნევთ – 2.

12) როგორ იქცევით ეჭვიანობის გამო გამართული კამათის დროს?

ა) გულში ფიქრობთ, რომ სულელურ და სასაცილო სიტუაციაში იმყოფებით – 1;

ბ) ამგვარი საუბარი გსიამოვნებთ კიდეც – 2;

გ) ძალიან ნერვიულობთ და განიცდით – 3.

დაჯამეთ ქულები

12-20 ქულა: ან საერთოდ არ იცით, რა არის ეჭვიანობა, ან თქვენი მეუღლე ეჭვიანობის საბაბს არ გაძლევთ. ამ მხრივ მართლაც შესაშურ მდგომარეობაში იმყოფებით, ამიტომ კარგი იქნება, თუ ყველაფერ ამას სათანადოდ დააფასებთ და გაუფრთხილდებით.

21-28 ქულა: ეჭვიანი ნამდვილად ხართ, მაგრამ თქვენში ეს გრძნობა ზომიერების ფარგლებს არასდროს სცილდება და აგრესიულობაში არ გადადის. თუ ეჭვის ჭია შეგიჩნდათ და უნდობლობამ შეგიპყროთ, ყოველთვის შეგიძლიათ თავის შეკავება და მოვლენების რეალურად შეფასება.

29-36 ქულა: ძალიან ეჭვიანი ადამიანი ხართ. ძალაუფლებაც გიყვართ, ძალიან მომთხოვნიც ხართ და ამიტომ, მუდამ უნდობლად შესცქერით გარშემომყოფ ადამიანებს, პირველ რიგში — თქვენს მეორე ნახევარს, რომელსაც გამუდმებით აყენებთ ტკივილს..

მეცნიერებმა მარსზე წყლის მარაგი აღმოაჩინეს



არიზონის შტატის გეოლოგიური ცენტრის სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ე.წ. „მშრალი ყინულის“ (ნახშირბადის ორჟანგი) გარდა, წითელი პლანეტის სამხრეთ პოლუსზე გაყინული წყალიც არის. სწავლულთა მტკიცებით, პოლუსზე მდებარე „მშრალი ყინულის“ მწვერვალს, ირგვლივ ჩვეულებრივი ყინული აკრავს. ყინულის ეს სარტყელი ერთიდან ათი კილომეტრის დიამეტრისა უნდა იყოს, — იტყობინება სააგენტო. ექსპერტთა აზრით, ახალი აღმოჩენა კოსმოსური ფრენის განსხვავებულ ასპექტში აღქმის საშუალებას იძლევა: კოსმონავტებს, რომლებიც მარსზე გაემგზავრებიან, წყლის მარაგის წაღება დედამიწიდან აღარ მოუწევთ, მას ადგილზევე მოიპოვებენ. ■

ახალი აღმოჩენა გენეტიკის დარგში



მეცნიერებმა შეძლეს თაგვის გენომის გაშიფვრა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი დახმარებით მალე ისინი ადამიანის გენომის გაშიფვრასაც შეძლებენ. აღმოჩნდა, რომ გენების 99 პროცენტი, რომელიც ადამიანის ავადმყოფობებზე აგებს პასუხს (კიბო, შიზოფრენია, დიაბეტი), თაგვების გენების იდენტური ყოფილა. გამოდის, რომ ვიდრე სწავლულები ადამიანების გენის დონეზე მკურნალობას დაიწყებენ, ამ ექსპერიმენტს მღრღნელებზე ჩაატარებენ. დავუშვათ, კიბოს გენს ისინი ქრომოსომების შემადგენლობიდან „ამოაგდებენ“ და თუ თაგვი განიკურნა, სავარაუდოა, რომ იმავე მეთოდის ადამიანზე გამოყენება, დადებით შედეგს მოგვცემს. თაგვის გენომის გაშიფვრა, ადამიანის გენეტიკური საიდუმლოებების ამოხსნაში, მეცნიერებს დიდად დაეხმარება. ამ პროექტზე აშშ-ის, ბრიტანეთისა და იაპონიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები ერთდროულად მუშაობდნენ. გამოკვლევის შედეგები, მართლაც, გამაოგნებელი აღმოჩნდა: ზედაპირული შედარების დონეზეც კი, ადამიანის 1200 და თაგვის 9000 ახალი გენი გამოვლინდა. ჩვენ და თაგვებს დაახლოებით ოცდაათოცდაათი ათასი გენი გვქონია, მათგან 80 პროცენტი იდენტური. უცნაურია, მაგრამ ადამიანებს და მღრღნელებს კუდის გენიც კი საერთო გვქონია, უბრალოდ, ჰომო საპიენსის დნმ-იდან იგი ემბრიონული განვითარების სტადიაზე ითიშება. უნიკალური კი ამ ორ სახეობას მხოლოდ სამი ასეული გენი ჰქონია. თურმე, ეს არის ყველაფერი, რაც ამ ორ ბიოლოგიურ სახეობას ერთმანეთისაგან განასხვავებს. ამჯერად მეცნიერები ძაღლების გენომს იკვლევენ. ■

გოგონამ ავტობუსს ტიღომეტრ-ნახევრის მანძილზე სდია

ფინეთში ერთ უცნაურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: მძღოლმა ვერ შენიშნა, რომ ავტობუსში ასვლისას გოგონას კარში ხელი მოჰყვა, მან დაძრა ავტობუსი და მთელი მარშრუტი შემდეგ გაჩერებამდე მშვიდად გაიარა. ხაფანგში მოყოლილი გოგონა კი, კილომეტრ-ნახევრის მანძილზე, ავტობუსს სირბილით მისდევდა. თვითმხილველთა თქმით, ამ ამბავში ყველაზე უცნაური თავად გოგონას საქციელი იყო. როცა, ბოლოს და ბოლოს, ავტობუსი გაჩერდა, მან ზედმეტი ემოციების გარეშე, პალტოდან თოვლის ფიფქები ჩამოიფერთხა და ტრანსპორტში სრულიად მშვიდად ავიდა. ■

მკვლელობა ეროი ქილა ღუდისათვის

ტეხასის შტატის სასამართლომ 42 წლის სტივენ ბრაშერს, ამხანაგის მკვლელობისათვის, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.



მოწმეთა ჩვენებით, ბრაშერმა თავისი დიდი ხნის მეგობარი პისტოლეტიდან თავში გასროლით მოკლა. მეგობრებს უთანხმოება ერთი ქილა ლუდის გამო მოსვლიათ. „მაცივარში ორი ქილა ლუდი იყო დარჩენილი, ერთი მე ავიღე, ვილის კი ვუთხარი, რომ იმ ერთისთვის ხელი არ ეხლო“, — განაცხადა ბრაშერმა ჩვენების მიცემისას. გამოძიების მსვლელობისას ეჭვმიტანილი ირწმუნებოდა, რომ იარაღი შემთხვევით გაუვარდა. ■

ავსტრალიელი ქალბატონების უცნაური ახირება

„როიტერის“ ცნობით, ავსტრალიის ქალაქ ქუინში მცხოვრებმა ქალბატონებმა ნეპალელთა ჩვეულების გადაღება გადაწყვიტეს: ისინი მოსავლის წვიმით უზრუნველსაყოფად სპეციალურ რიტუალურ ცეკვას, შიშვლები შეასრულებენ.

აქციის ორგანიზატორის — ლინი ჰილის თქმით, ღონისძიებაზე მალის ოლქის მცხოვრებთ ოჯახებით მიიწვევენ. ცეკვის გარდა, ორგანიზატორებს სადილი და სხვადასხვა ღონისძიება აქვთ დაგეგმილი. ამის შემდეგ კი, დაახლოებით ორასი ქალი მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ავტობუსებში ჩაჯდება და რიტუალის შესასრულებლად გაემართება. მასობრივი საშუალებების წარმომადგენლებს აქციაზე არ იწვევენ. „ჩვენ იქ სრულიად შიშვლები ვიქნებით, — ამიტომ არავითარი კამერები“, — განმარტა ჰილიმ. ■

ფოტოკუჩიოზები





განახლებული ჟურნალი

b 38/42

თქვენი და

თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის